


ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

19 ოქტომბერი 2010 №4(107)



პოეტური ალგორითმები
თამარ ერისთავის ლექსები
ნანა კუცია მაკა გოგუაძეზე
რა ინახება სელინჯერის სეიფში
თეიმურაზ დოიაშვილი გალაკტიონზე
გურამ მეგრელიშვილის მოთხრობა
დალილა ბედიანიძის ლექსები
ჯოვანი პაპინის ნოველები
იოსებ ჭუმბურიძის ესეი



შირვანისი

კულტურის სიახლეები	2	თეკლე ჯანელიძე ხუროთმოძღვარი და მისი კალატოზები (წარდგინება ალბომისა „დიმიტრი ყიფიანი — ცხოვრება და მოღვაწეობა“)
ნარსალი მოხავლისათვის	3	როსტომ ჩხეიძე ცხოვრების კომპოზიციური ჩარჩო (მოწამის ცხოვრება — ფოტორომანად)
ექსპოს-ინიციატივა	4	მარიამ წიკლაური „ვისაც ახალ კალაპოტში გადაჰყავს“ (მოამზადა ნატა ვარადამ)
უნივერსალური რაიონისით	6	ლაშა გიორგაძე ატირეგული პერი მილერი
მფარველი და კარსონეაზი	8	რუსულან ნიშნიანიძე პოეტური ალგორითმები (გრიგოლ ფერაძის პოეზიიდან)
პროზა	12	გურამ მეგრელიშვილი პიშვები (პრელუდია და ფუგა საკუთარ თემაზე)
არაზია	25	თამარ ერისთავი ღმერთსაც მინდება ლოცვები და სხვა ლექსები
	28	დალილა ბედიანიძე ბეჭინიარი დღეები და სხვა ლექსები
ერისთოვანი	32	ანზორ დიდებულიძე წაიკითხეთ და დარცხუდეთ! (ზურაბ ხასაძის ესე „აკუტაგვას ტრაგედია“)
უცხოეთის ცხოვრებიდან	33	პაატა ჩხეიძე ტ. ს. ლეიიონი და კ. ს. ლუისი
რეარჩიაზი	35	ეკა ბუჯიაშვილი ღიურერის რაიონის საჭურველი (შეხვედრა ჯემალ აჯიაშვილთან)
გამოხატარება	39	პანია მედალიონთა მომხიბლავი სამყარო (მაკა ჯოხაძის ესთეტიკური რკალი)
ჩვენი ზოგა, წევისოფალი	41	იოსებ ჭუმბურიძე ერთია ქვეყანაზედა!
დღიურის ფურსლებიდან	42	ესეათოლოგიური წამი (ერეკლე ტატიშვილის სამარესთან)
ახალი წიგნები	43	ზაზა აბზიანიძე სიტყვასთან მიახლების ტკბობა
აცონისი	45	თემურაზ დოიაშვილი „ენიგმები“ და „მიგნებები“
კრიტიკა	48	ნანა კუცია მზე „ცრემლის ნისლის გადაღმა“ (მაკა გოგუაძის რომანი „ერზაცი ისევ სუმრობს“)
უცხოეთის გზება	54	ხვთისო მამისიმედაშვილი ღმერთთან ვერიგება (სოსო ნადირაძის რომანი „ფქვილდაფქვილ სიარული“)
ახალი თარგმანები	56	ჯოვანი პაპინი სამი ნოველი
ჩაინ კაცისა	60	ჰილელ იტალი რა ინახება სელინჯერის სეიცები?
დაქვემდებარება	61	მახვილისიტყვაობის ნიმუშები
მოხანდა	63	ხამოკალე სიცოცხლის მცველვალი

ორკვირეული ჟურნალი
დამფუძნებელი „ილიონი“
მისამართი: თბილისი,
ჩუქინიაშვილის №41
რედაქცია — (995 32) 96_20_62
რეკლამა — (995 93) 65_93_68
გავრცელება — (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 32) 96_20_62
E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი — როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი — ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი — მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი — თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი — კარლო ფაჩულია დიზაინერი — მალხაზ იაშვილი
სტილისტ — კორექტორი — ნინო დევანოძე დაკაბადონება — თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი — თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი — ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური — ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ელიზბარ ერისთავის მემორიალი გორში, მოქანდაკე გენო ზაქარაია
ლადო ჩაჩუას ფოტოეტიუდი

„ჩვენი მნერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 5 მარტს

თეკლე ჯანელიძე

ცუროთმოძღვარი და მისი პალატოზე

□

ცარდგინება ალპომისა „დიმიტრი ყიფიანი — ცხოვრება და მოღვაწეობა“

საქართველოს ეროვნულ ხეს სარწყავად წმინდა მოწამე-ობრივი სისხლი ჭირდება — აკაკის ეს სიტყვები რეალობაზე დამყარებული განაჩენი იყო. „ამგვარ მსხვერპლს უჩვეულო არ არის ჩვენი ქვეყანა“. ერთი უმანერ მსხვერპლთაგანი დი-მიტრი ყიფიანი გახლდათ. მტრის ურჩ რაინდს, თავდადე-ბულს, ქვეყნის მოყვარეს უწოდებს დიდი პოეტი მას.

თავისი ლვანილისა და მო-ნამეობრივი ალსასარულის გამო ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა დიმიტ-რი ყიფიანი. მისი ნამოლვანა-რის უკვდავსაყოფად, გარ-დაცვალებიდან 120 წლისთა-ვის ალსანიშნავად შეიქმნა და გამოიცა ალბომი „დიმიტრი ყიფიანი — ცხოვრება და მოღვაწეობა“. 2010 წლის 5 იანვარს ალბომის წარდგინე-ბა გაიმართა საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭა-ვაძის სახელობის ეროვ-ნულ ბიბლიოთეკაში.

ალბომი შეიცავს დიმიტ-რი ყიფიანის ფოტო და დოკუ-მენტურ არქივს, მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებთან მი-მოწერას, ოფიციალურ საბუთებს, ლია ბარათებს.

ფოტომატიანე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის კურიესვით გამოიცა. ალბომის გამოცემაში დაეხ-მარა დეველოპერული კომპანია „რედიქსისა“ და საქველმო-ქმედო ფონდის — „ცისკარი“ — ხელმძღვანელი ლაპა პაპაშ-ვილი. იდივის და პროექტის ავტორი — თამარ მიქაელი. რედაქ-ტორი — თამაზ ჯოლოვუა.

ლაპა პაპაშვილმა განაცხადა, რომ მოხარულია საქართ-ველოს სიძეველეთსაცავებში არსებული მდიდარი ფოტომასა-ლის მოძიებით და მისი ალბომის სახით გამოცემით. აქვე დასძინა ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „დიმიტრი ყიფიანი იყო ცუროთმოძღვარი და ჩვენ მისი კალატოზები.“

თამარ მიქაელი დიმიტრი ყიფიანის შთამომავალია (მექე-სე თაობა). მან მადლობა გადაუხადა ქველმოქმედებისთვის ლაპა პაპაშვილს და თამაზ ჯოლოვუას დიდი წვლილი აღნიშ-ნა ალბომის გამოცემაში.

თამაზ ჯოლოვუამ ისაუბრა დიმიტრი ყიფიანის ცხოვრე-ბასა და მოღვაწეობაზე. დიმიტრი ყიფიანი ფიქრობდა, რომ გასაჭირო მყოფი ერისთვის საჭიროა ათ წელინადში ერთი მსხვერპლი მაინც შეენიროს ერს. დიმიტრი ყიფიანმა შესწირა ყველაფერი, რაც მთავარია, შესწირა სიცოცხლე. არ უნდოდა შენყალება, რადგან შეწყალებას დამნაშავეები ითხოვენ, სამ-

შობლოს სიყვარული კი არ შეიძლება დანაშაულად ჩაითვა-ლოსო. — დამიტრი ყიფიანის ამ სიტყვებით დაასრულა ბა-ტონმა თამაზიმა საუბარი.

როსტომ ჩხეიძემ გაიხსენა სტავროპოლში გადასახლება-ში მიმავალი დიმიტრი ყიფიანის მიერ აკაკისთვის ხალისიანად ნათქვამი: პატიმრობით დავიწყე ცხოვრება და პატიმრობით-

ვე ვამთავრებო. არ ნანობდა, უკან დასახევი გზა რომ არ დაიტოვა, — აღნიშნა ბატონ-მა როსტომმა. თუმცა დიმიტ-რი ყიფიანი თავისი ბუნებით არ ყოფილა მეამბოხე, ბეჯითი ჩინოვნიკი უფრო იყო, მაგრამ ცხოვრებამ მოიტანა ისე, რომ მსხვერპლად შეენირა სამშობ-ლოს. მის გარეშე არ წყდებო-და საქართველოში არც ერთი მნიშვნელოვანი საქმე, ქვეყ-ნისთვის ყველა სასიკეთო წა-მოწყება მის სახელს უკავშირ-დება. ეს ფოტოალბომი არის ნიმუში იმისა, როგორ თანა-ბარზომიერად არის განლაგ-ბული მასალა. ეს წიგნი სხვე-ბისთვისაც გზამკვლევად გამოიდგება. უიტმენს საკუთარ პოე-ტურ კრებულზე უთქვამს: ეს არ არის წიგნი, ხელი ახლეთ და კაცს შეეხბით, ამ სიტყვებს ბატონმა როსტომმა დაამატა, რომ ამ წიგნით შეგვიძლია შევეხოთ ეპოქას, ეროვნულ ძარღვს...

აკაკი წერეთელის „განთიადი“ და გალაკტიონ ტაბიძის ლექსები წაკითხეს მსახობებმა მურმან ჯინორიამ და ზა-ალ ჩიქებავამ.

ლონისძიებას ესწრებოდა სრულიად საქართველოს კათო-ლიკოს-პატრიარქი, რომელმაც დიმიტრი ყიფიანის შენირული ზვარაკი უწოდა. ილია მეორის თქმით, ქართველი ადამიანი განსაკუთრებული გრძნობით ხვდება სიკვდლს. დიმიტრი ყიფიანი ასრულებს ვახტანგ გორგასლის ანდერძს — ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილს. დიმიტრი ყიფიანი ქრისტესთვის და სამშობლოსთვის ეძიებდა სიკვდილს, ბრძა-ნა უწმინდესმა.

ლონისძიების შემდეგ პატრიარქმა მამა დავითზე დიმიტ-რი ყიფიანის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა და საზოგადო მოღვაწეთა საფლავები აკურთხა. ყველა ლირ-სეული მამული შვილის საერთო გულისპასუხად ისმოდა აკა-კის სიტყვები: „დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ, შენს მი-ნას მიმაბარე, ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემთ სამშობლო მხარეო“.



დიმიტრი ყიფიანის სახლი ქვეშეთი

როსტომ ჩხეიძე

ცხოვრების კომპოზიციური ჩარჩო

□

მონაშის ცხოვრება — ფოტორომანად

აკაკი წერეთელს სჩვე-
ვია ორიოდე სტრიქონით
პორტრეტის მოხაზვა, რად-
განაც ყოველთვის ძალზე
ტევადი და ღრმაა ის ორი
სტრიქონი, მახვილგონიე-
რებით გაბრნებინებული. და
ავტობიოგრაფიულ რომან-
ში „ჩემი თავგადასავალი“
ერთი ასეთი შთამაგონებე-
ლი პასაჟითაც წარმოდგება
დიმიტრი ყიფიანის მონუ-
მენტური სახება.

ვიდრე მას გადასახლე-
ბაში გაგზავნიდნენ საქარ-
თველის ეგზარხოსისათვის
მკაცრი, საპროტესტო წე-
რილის მიწერისათვის, რამ-
დენიმე დღით ადრე აკაკი
წერეთელი მოინახულებდა
ქვიშეთში და გააოცებდა
მისი მხიარული გამზეტყველება.

თანაც სიცილით რომ მოაყვირებდა:

— ერთი იმ თავით და მეტობით პატიმრობით და-
ვიწყე ცხოვრება და პატიმრობითვე ვათავებ!...

აკაკის დანა კირს არ უხსნის.

ის სიცილს განაგრძობს. ეტყობა, იმ ნამს მოაფიქრდა თა-
ვისი ბიოგრაფიის ეს უცნაური ჩარჩო და გახალისებაც ამას
გამოუწვევია — რა ზუსტად მივაგენიო!..

თითქოს წარმოუდგენელი უნდა ყოფილიყო იმ ბუნების
კაცისაგა, როგორიც დიმიტრი ყიფიანი გახლდათ, მეამბო-
ხური გზნება თუ პორტრეტისტული შემართება, ისეთი საქმი-
ანობა, რაც ცხე-გადასახლების კარამდე მიიყვანდა; ბეჯითი,
კანობმორჩილი ჩინოვნიკი — ესეც მისი გარეგნული იერი და
ცხოვრების წესი, იმდენად კანონმორჩილი, რომ როდესაც მის
გარშემო ყველა ძრახვადა რუსეთის ხელისუფლებას, 1783
წლის ტრაქტატის პირობები სრულიად არ გაითვალისწინა და,
ნაცვლად სამხედრო მოქავშირებისა, რასაც მხურვალედ
გვპირდებოდა, დაგვიპყრო და სახელმწიფობრიობა გაგვი-
უქმაო, დიმიტრი არ ასდევდა ამ განწყობილებას: დაარღვია
ალთქმა თუ არ დაარღვია, ამჟამად რუსეთის იმპერიის საზღ-

ვრებში ვიმყოფებით და მოვალენი ვართ მისი ხელისუფლება
ვალიაროთ, მითუმეტეს, თუ რაიმე დანამაული ხდება, ეს სულ
უზნეო ჩინოვნიკთა ბრალია, თორემ იმპერატორი მამასავით
მოგვეპყრობოდა, მისი გარემოცვა რომ არ იყოს ჩვენსა და
მათ შორის ასე უშნოდ და საბედისწეროდ ჩახერგილიო.

და ისე უპირისპირდებოდა მთელი ცხოვრება იმ უზნეო ჩი-
ნოვნიკებსა და მათ მიერ დანერგილ ახალ წესსა და მორალს,
ეჭვი არ შეპარვია, რომ იმპერატორისათვის დიდად საამო და
სასარგებლო საქმეს სჩადიოდა, და მის დახმარებას გულწრ-
ფელად ლამობდა სახელმწიფო პოლიტიკის ხორცესხმაში.

არადა, ბედისწერამ განაჩინა ასე, რომ ეს კანონმორჩილი
კაცი, პედანტი ჩინოვნიკი პატიმრობით დაიწყებდა ცხოვრე-
ბის ასპარეზზე გამოსვლას და პატიმრობითვე ამოათავებდა
თავდადებული გარჯით აღსავსე სიცოცხლეს.

თან წინასარვე იცის, კი არ გრძნობს, სწორედაც დაუეჭ-
ვებლად იცის, უკან დაბრუნება რომ არ ელირსება.

ვათავებო (და არა: ვაგრძელებო), — ამიტომაც განუცხადებ-
და სტუმარს და სიცილით
გაემართებოდა ეშაფოტისა
თუ გილიოტინისაკენ.

მოგეხსენებათ, მწერალ-
თა, მოღვაწეთა ბიოგრაფია
მეტ-ნაკლებად ეჯაჭვება სა-
ხელმწიფოებრივ ცხოვრებას.
იმ ქვენებში უფრო ნაკლე-
ბად, სადაც სახელმწიფოებ-
რივი ცხოვრება შედარებით
მოწერიგებულია და არავი-
თარი საფრთხე არ ემუქრება
მის არსებობას. ჩვენისთანა
მცირერიცხვანი და მწარუ-
ბედში მყოფი ერისთვის კი —
იმუამად სახელმწიფო საერ-
თოდ რომ არ გააჩნდა და ოც-
ნებაშილა ეძიებდა — აუცი-
ლებელი ხდება მოღვაწეთა
ბიოგრაფია თითქმის კვალ-
დაცალ მოპყევეს ან წინაც უს-
წრებდეს ქვეყანაში მომხდარ

მნიშვნელოვან თუ სულაც გარდადტები მოვლენებს.

დიმიტრი ყიფიანი ამ „თითქმისის“ თქმაც კი არ ეგების,
რადგანაც უიმისილ არცერთი მნიშვნელოვანი და გარდამტების
საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ კულტურულ-საგანმანათ-
ლებლო მოყლენა არ მოხდარა, მეტიც — არ წამოწებულა.

ბედისწერას დაედგინა ამნაირად, თვით ლვთისაგან განჩინე-
ბულიყო, რომ დიმიტრი ყიფიანის წამოენტი ყველა სასიცოცხლო
ეროვნული საქმე, ილია ჭავჭავაძეს კი დაეგვირგვინებინა, და ასე
განესაზღვრა იმ საუკუნის სულისევებისა ამ თრ პიროვნებას.

ყველა, ვინც გაეცნობა დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა
და ლვანლისადმი მიძღვნილ ალბომს, დარწმუნდება, რომ ამ
კაცის ბიოგრაფია ზუსტად ისაა, რაც საქართველოს ბიოგრა-
ფია. ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებათ, რომ XIX საუკუნის სა-
ქართველოს ისტორიას, თვითმყოფადის გადარჩენისათვის
ბრძოლას მიადევნებთ თვალს იმთავიდან ამთავამდე.

საერთოდ კი —

როგორც ბიოგრაფიულ რომანს ესაჭიროება ზოგადი პო-
ლიტიკურ-საზოგადოებრივ-კულტურული ფონი, ისე ამ ყა-
დის ალბომს, რომელსაც შეიძლება „რომანი სურათებადაც“
კი ენოდოს (მსგავსად გამოთქმისა: „რომანი ლექსად“), თუკი

ამ ლირსებით წარმოდგება, როგორიც ეს გამოცემაა. არადა, ზოგადი ფრინის გამოკვეთა საკმაოდ საფრთხილოა, რაკილა ჩათრევა იცის და შესაძლოა იოლად ვეღარ გამოეხსნა. არადა, როგორც მისი არარსებობაა ნაკლი ალბომისათვის, ისე გადამეტებულად მოხმობა, რამაც მოსალოდნელია გააბუნდოვანოს მთავარი სიუჟეტური ხაზიც და განშტოებანიც.

ამ მხრივ ალბომი „დიმიტრი ყიფიანი“ სწორედ სანიმუშოა, ისეა აგებული მისი არქიტექტონიკა, ისე ოსტატურად, ზუსტად და თანაზომიერად, თავისთავადი ღირებულების გარდა, თარგად გამოადგებათ სურათებად გამლილი რომანების შემდგენელთ. ასეთი აგებულება კი უმთავრესად მაინც დამსახურებაა თამაზ ჯოლოგუასი, დიმიტრი ყიფიანის ლიტერატურული მექანიზმის საუკეთესო მცოდნისა და თვალსაჩინო მოამაგის.

ილია ჭავჭავაძის ფრთიანი ფრაზა რომ მოვიშევლიო (რომელიც, სხვათა შორის, ძალიან მოსწონს ამ ალბომის სულის-ჩამდგმელს ლაშა პაპაშვილს და ხშირადაც იმეორებს), ბატონი თამაზი გახლდათ არქიტექტორი, ჩვენ კი მისი კალატოზები.

ცალკე უნდა ვახსენოთ თამარ მიქაძის დამსახურება, პროექტის ხელმძღვანელისა და დიმიტრი ყიფიანის შთამომავლის, ვინც რეალობად აქცია ექვსი თაობის უცნება – ყველაზე შესაფერის უამს გახსნილიყო ერისათვის წამებული მოღვაწის არქივი და დაფარულ მარგალიტებს მზის სინათლე ეხილათ.

და უკეთესი უამიც რა უნდა იყოს, როდესაც საქართველოს ეკლესიამ დიმიტრი ყიფიანს წმინდათა დასმი მიუჩინა ადგილი.

* * *

არაერთ შესანიშნავ თუ დიდებულ წიგნს ვიცნობთ, მათ შორის კი არსებობენ თავისებურად გამორჩეული თხზულებანი და გამოცემანი, იმგვარნი, უოლტ უიტმენი როგორც იხსენიებდა თავის პოეტურ კრებულს „ბალაზის ფოთლები“:

– მეგობარო, ეს არ არის წიგნი, ხელი ახლე და კაცს შეეხები! ამ თვალსაზრისით არც ეს ალბომი – „დიმიტრი ყიფიანი“ – არის წიგნი.

ხელი ახლეთ და:

კაცს შეეხებით.

ეპოქის სულს შეეხებით.

ეროვნულ ძარღვას შეეხებით.

* * *

ერთი იმ თავით და მეორე ამ თავითო, – ბედისწერას შეჯახებიდა დიმიტრი ყიფიანი ანტიკური გმირივით და სიცილით ამხნევებდა თანამედროვეთაც და შთამომავალთაც.

იმ სიცილს გვიტოვებდა ანდერძად, ეროვნული ლირსების შენარჩუნებას გვინერგავდა, გილიოტინისათვის მზერის თამაზად გასწორებას შთაგვაგონებდა...

და ალბომის ფურცლებიდან თითქოს კვლავაც უიტმენის სტრიქონით გვეხმიანება: არაფერია საშიძარი, თვით გამოვცადეო!..

1 ესპრეს-ინტერვიუ

მარიამ წიკლაური

„30საც ახალ კალაკოტში გადაჰყავს“

— თქვენი აზრით რა არის უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობა?

— უძლურება! სულიერადაც, ფიზიკურადაც!

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— ბევრჯერ მინატრია უზამითორ ქეყუანა, ხმელთაშუაზღვის რომელიმე კუნძული, მაგრამ ახლა შევიცარიის მთიანი სოფლის მსგავსი რომ იყოს აქ ჩვენს მთებში, უარს არ ვიტყოდი.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— ვეჭვობ ადამიანს ამაზე პერნდეს პასუხი. მიშელ უებებისაა: „ბედნიერების ნუ გეშინიათ, ის არ არსებობს“. სულ მახსოვეს ეს ფრაზა, მაგრამ არ ვეთანხმები. სამწერარი ისაა, რომ ბედნიერება არ არის ადამიანის ხანგრძლივი მდგომარეობა.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟი?

— პატარა უფლისწერული, თოლია ჯორნათანი, იგი, დიდი კანუდოსელები, ამ პერსონაჟების უკან ხომ მიინც მათი შექმნელი მწერლები დაგანან, ამიტომ მე ავტორები მიყვარ.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟი?

— საანტერესო და გასაოცარი პერსონაჟი მართლაც ბევრია: განსაკუთრებული ისინი ვის ბედისწერასა და ლვანლები რეალური და რელიგიურ-მისტიკური ერთმანეთში იკვეთება და ვისაც ახალ კალაპოტში გადაჰყავს ერისა თუ კაცობრიობის აზროვნება.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— შეგნებულად არ დავასახელებს, ახლა გრანდებს, არც ფიროსმანს, არც ვან გოგს და ა.შ. უბრალოდ ბედნიერი ვიქნებიდი, სახლში მევიდოს ან ელენე ახვლედიანის ერთი რომელიმე „ზამთარი“ ან ლევან ხარანაულის ერთი რომელიმე პორტრეტი.

— თქვენი საყვარელი კომპიონიტორი?

— მუსიკა საოცრებაა და მის შემქმნელთა შორის მაინც გამოვარჩევდი ბასს თავისი კოსმიური და უსაზღვრო ხმიანობით. მაგრამ შემრცხვება მოცარტის, შოპენის და ბევრისა, რომელიც თავს ადამიანებად გვაგრძნობინებენ სწორედ ამ დაუსაბამო კოსმოსში.

— რომელ თვისებას აფსახვთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— დიმიტრიგელოვანობას – ნიჭა და გონიერებას, ზნეკეთილობას, ხელმარჯვეობას, თადარიგიანობას, განათლებას და ა.შ. ათას რამეს, თუ აღმოვაჩენ, კიდევ ვაფასებ!

— რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— გამჭვირვალე ქალი მიყვარს, გარეგნულად და შინაგანად ერთნაირად პარმოხიული და ლამაზი, ფაქიზი, სუფთა.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბვლელი?

— ამ სათნოებას ერთად ღვთისმოშიშობა ჰქვია. ასეთი ადამიანი მერე ყველანაირად კარგია.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— მიყვარს მარტოობა, ფიქრი, კითხვა, ბუნების ჭვრეტა, წერა, მაგრამ მათ საქმიანობას ვერ დაარქმევ. მიყვარს მიწასთან ურთიერთობა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ რომ ყოფილიყავით?

— არ ვიცი, არ მიფიქრია. ალბათ არცერთი.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— მორჩილებასა და თავისუფლებას შორის ემოციური ბორიალი.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ურთიერთობის, ურთიერთგაზიარების უნარს, ერთ-მანეთთან თანაარსებობის სიხა-რულს.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— რომ ჩემი მთავარი ნაკლის გამოსწორება არ შემიძლია! და რომ ვერაფრით გავიზარდე შიგნიდან და დღემდე ვარ „უპერსპექტივო“.

— თქვენი ნარმოდგენა ბედ-ნიერებაზე?

— თუ ეს ბედნიერებას აინტერესებს, პირდაპირ მივახლიდი, რომ უფრო ხშირად მესტუმროს, ასე არ შეიძლება.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— კუპრის ქების ძირზე რომ მივიხრავები და ჩამძახებენ: შენი ბრალია!!!

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— იღლიანი, ლალი, ლამაზი, ჭკვიანი, სულ შეყვარებული, სულ ბედნიერი, სულ ლექსიანი.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ფორთოხლის და ზაფრანის მანათობელი ნარინჯის-ფერი ჩამიდგა ახლა თვალებში.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— მე მინდვრის ყველა ყვავილი აღმაფრთოვანებს: განსაკუთრებით გვირილები, ყაყაჩობი, ღილილები, ფურისულები, ყველა ერთად.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— მტრედები, თოლიები, წეროები. ისე კი მათ სიყვარულზე არასდროს მიფიქრია.

— თქვენი საყვარელი მზერალი?

— მხოლოდ ერთის დასახელება უსამართლობა იქნებოდა, ყველასაც ვერ ჩამოთვლი. ვაჟა-ფშაველა და ოთარ ჭილაძე კი აუცილებლად უნდა დავასახელო.

— თქვენი საყვარელი პოეტი?

— ბევრია, ბევრი! ყველა დროისა და აღმსარებლობის გენიოსები! დიდება მათ სულებს! ქალებიც, კაცებიც, მთლიანობაში კი შეშლილი და საყვარელი ბავშვები, სასუფევლის დაკარგული კარის ძებნაში, ხრამისპირზე რომ უღამდებათ.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალი?

— ასეთი კითხვა პროზის პერსონაჟებისკენ გახედებს: მარიამ-გვირილა, ანა-მარია, გერდა, მაგრამ პოეტმა ქალებმა რა ქნან, ვინც ყველაზე უსახელო და ახლობელი გმირები შეგვიქმნეს?

— საყვარელი გმირი რეალურ ცხოვრებაში?

— პიროვნებები, რომლებიც ემსახურებიან ღმერთსა და ადამიანებს! ბერ, გლეხი, მკურნალი, პედაგოგი, ჯარისკაცი, ხელოვანი — ისინი ყველანი გმირები არიან, რადგან ქმნიან სამშობლოს! განსაკუთრებული გმირია: ჩვენი პატრიარქი!

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— თამარი ხომ გმირია, ქეთევანიც, უანა დ'არკიც, მაგრამ მე ემილი დიკინსონიც გმირი მგონია, გაბრიელა მისტრალიც, მარინა ცვეტავაც და სხვებიც...

— საყვარელი სახელი?

— ნინო და ანანო — ჩემს შვილებს ჰქვიათ ასე.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— შეურაცხყოფას, ტყუილს, მლიქნელობას, უსამართლობას, მაგრამ განსაკუთრებით ხეპრეობას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზლი დაიმსახურა?

— ყველა, ვისმა მანიაკალურმა აზროვნებამაც შეიწირა ადამიანები და კულტურები.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ლირისი მეტ-ნაკლები აღტაცებისა?

— დიდგორის ბრძოლაზე რომ არაფერი ვთქვათ, ბონაპარტის ფრაზა გამახსენდა ეგვიპტეში — „ვირები და მეცნიერები შუაში“ ანუ ბრძოლა, რომელსაც მშვიდობა არ ავიწყდება!

— რეფორმა, რომელსაც განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— მე პირადად „მარადიული რეფორმირების“ ხანაში მომინია ცხოვრებამ და მაინც მიჭირს პასუხი. „პირადი რეფორმაც“ მქონდა — როცა დავოკჯახდი.

— ნიჭი რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— მუსიკა! და ასევე საკუთარი თავისადმი პატივისცემის ნიჭი.

— როგორი გინდოდათ რომ მომკვდარიყავით?

— არანაირად. მაგრამ ვინატრებდი ყველა კარგად მყავდეს ირგვლივ და არ ვიყო ამ სიკვდილის ნატრული.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— ნაკლები საშფოთო რომ მქონდეს შვილებზეც, ქვეყანაზეც, გლობალურ დათბობაზეც და ეკონომიკურ კრიზისზეც, გაცილებით აჯობებდა.

— ქმედებანი, რომელიც თქვენს შემწინეულობას იმსახურებს?

— ყველა ადამიანური ქმედება იმსახურებს შემწინეულობას, მაგრამ არაადამიანური უკვე მაპნეეს.

— თქვენი დევიზი?

— დევიზი არა, მაგრამ კიდევ ერთხელ და უთვალავჯერ ვიტყოდი: დიდება უფალს!

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— „ჩემი მარიამი“.



მარიამ წიკლაური

ლაშა გიორგაძე

ატირებული ჰენრი მილენი

„ო, ჩემო ტანია, ნეტავ ახლა სად არის ის შენი თბილი ქვა-ბული, ის ფაშფაშა და მძიმე საკართულები, ის ფაფუკი და ხორცსახეს ბაყვები? ჩემს მამალში სიგრძით ექვსდუიმანი ძვალია და, ჩემო ტანია, მე გავაუთოებ ყველა ნაკეცს შენს ქვაბულში, თესლით რომ გასიებულა. მე შენ მიგაბრძანებ შინ, შენს სილვესტროთან, პატარა მუცლის ტყივილითა და ამობრუნებული საშვილოსნოთი. აუჭ, შენი სილვესტრი! დიახ, მან იცის ცეცხლის დანობება, მაგრამ მე ვიცი, როგორ ავახურო ქვაბული. მე ვტყორცნი მხურვალე ისრებს შენს წიაღში, ჩემო ტანია, მე შენს საკერცხებს გავავარვარებ. შენი სილვესტრი, ცოტა არ იყოს, ეჭვიანობს, ხო? რაღაცას გრძნობს, არა? იგი გრძნობს ჩემი დიდი მამლის ნაკვალევს. ოდნავ მანიც ხომ გავაფურთოვე ნაპირები, გავაუთოვე ნაკეციბი. ჩემს მერე შენ შეგიძლია დაუწყვილდე ულავებს, ბუღებს, ვერძებს, მამალ იხვებს, სენბერნარებს. შენ შეგიძლია შეიჩროთ შენს უკანალში – გომბეშოება, დამბურია, ხელი-ები. კუჭში ისე გახვალ, თითქოს არფაზე უკრავდე ანდა ციტრა გაგეჭიმოს შენი ჭიპის განწვრივ. მე გწერივ შენ, ჩემო ტანია, ისე გწერავ, რომ სამუდამოდ დაწერილა დამირჩები. და თუკი შენ უფროთხი საჯაოროდ ნერაბას, მაშინ განმარტოებით დაგნერავ. შენი ქვაბულიდა თმის რამდენიმე ლერს ამოვგლევ და ნიკაპზე მივაკრავ ბორისს...“

ზემოთ დამონმებული ტექსტი გახლავთ ნაწყვეტი დიდებული ამერიკელი მწერლის ჰენრი მილერის სახელგანთქმული რომანიდან, „ეირჩიბის ტროპიკი“ რომ ჰენრი შელამაზებულია სათანადო ევფემიზმებით. საქმე ისაა, რომ ინგლისური დედანი ყველაფერს თავისი სახელით, უცერემონიოდ, მოიხსენიებს, რაც ჩვენში, ჩვენდა საბედნიეროდ, ჯერვერობით არაა მიღებული, ხოლო მრავალნერტილებით შენილდვა თხრობის მდინარებას დაარღვევდა და ამიტომაც ისევ ევფემიზმებს მიენიჭა უპირატესობა).

რა ვუწოდოთ ამ საზიზღარ ტექსტს – პორნოგრაფია თუ ეროტიკული მწერლობის უბადლო და სამაგალითო ნიმუში?

„კირჩიბის ტროპიკი“ კარგახანს არ იძეჭდებოდა მაღალი ზნეობით შემკულ შეერთებულ შტატებში და არც არის გასაკირი. საბჭოთა კავშირში რომ გაჩენილიყო, უარესი დღე დაადგებოდა – სასტიკად აიკრძალებოდა და, სულ ცოტა, უვალო პატიმრობას მიუსჯიდნენ!

ახლა ისიც ვიკითხოთ, ზემოთ მოტანილი ტექსტის ავტორი შეიძლება აატიროს თუ არა რაიმე გულისამაჩუქურებელმა ამბავმა, ვთქვათ, პროფესიონალი მეძავი ქალის ტრაგედიამ?

თქვენ ნარმოიდგინეთ, რომ შეიძლება! დიახ, ბევრი რამ ხდება, პორაცია, ზეცად და ქვეყნად... – როგორც ბრძანებდა უილიამ შექსპირი.

1972 წლის 7 თებერვალს ზემოხსენებულმა ჰენრი მილერმა ფედერიკ ფელინის და ჯულიეტა მაზინას გაუგ-

ზავნა წერილი, რომელიც შემდგომში იტალიურმა გაზეთმა „მესაჯერომ“ გამოაქვეყნა.

ჰენრი მილერი სწერდა სახელმოხვეჭილ წყვილს: „ჩემო ძვირფასო და კეთილო მეგობრები, ფედერიკი და ჯულიეტა, ნუხელის ჩემს ცხოვრებაში მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა. ბოლო სამი დღის მანძილზე მეორეჯერ ვნახე დაუვინებარი ფილმი, რომელსაც ჰენრი „კაბირიას ლამეები“. ფილმი რომ მთავრდებოდა, კინაღამ გრძნობა დავგარგე მთელი ჩემი მეგობრების თვალნინ, ვტიროდი და ვსლუკუნებდი, რაც მხოლოდ ორჯერ მომსვლია ჩემს სიცოცხლეში: ერთხელ, როდესაც მომიკვდა მამა და მეორედ, როდესაც დავგარებ ქალი, რომელსაც ვაღმერთებდი. ჰოდა, მთელი ათი წუთი ვეღარ ვიკავებდი ცრემლებს. არასოდეს გამომიცდია სიამესთან ერთად – ესოდენ საშინელი ემოციები. ვგრძნობ უჩვეულო შეგებას, როგორც ეს ხდება ხოლმე შეუავებელი ცრემლების შემდევ. ახლა მინდა მაღლობა მოგახსენოთ მთელი სულითა და გულით. ღმერთმა გაკურთხოთ თქვენ, ჯულიეტა! ამქვეყნად არ მოიძებნება მსახიობი, ვეღალაზე დიდი მსახიობიც კი, ვინც ასე ამაღლევებდა, როგორც თქვენ შესძელით თქვენს ფილმში, ამ ფილმს კიდევ და კიდევ ვნახავ. რაოდენ დიდებულ შემოქმედებით თანაზიარობას აცხადებს იგი! ინგლისური ტიტრებიც კი კარგად არის გაკეთებული. ფილმი კინოდარბაზში არ მინახავს. მხოლოდ შინ ვუყურებდი. ნამოღებული ასლი სამი დღით დავიტოვე. მაშინვე ტირილი მინდება, როცა მაგნიდება წუხანდელი ლამე“.

ფედერიკ ფელინის „კაბირიას ლამეები“ არანაკლებ წინააღმდეგობას წააწყდა, ვადრე ჰენრი მილერის „კირჩიბის ტროპიკი“ (გამოიცა პარიზში 1934 წელს და შეერთებულ შტატებში – 1961 წელს).

დიახ, 11 (თერმეტმა!) პროდიუსერმა უარი სტყიცა ფელინის, დაეფინანსებინთ „კაბირიას ლამეები“. ერთ-ერთი მათგანი, სახელდობრ, გოფრედო ლომბარდო უქბნებოდა რეჟისორს: „ეს სახიფათო ფილმია... შენ ერთი სურათი დადგი უსაქმურებზე, მეორე – ბინდურ მანანწალებზე, მესამე – თაღლითებზე, მერე გინდოდა ფილმის გადაღება გიუჟებზე, ახლა კი აპირებ ფილმს მეძავებზე. გამიგონია?!“

მაგრამ ფელინიმ არავის ათხოვა ყური, რაღაცნაირად მოაგვარა ფინანსური პრობლემაც და 1957 წლის მარტში ფილმის გადაღება დაამთავრა. კანის კინოფესტივალზე „კაბირიას ლამეებს“ წარმატება ხდდა წილად, ჯულიეტა მაზინას კი – პრემია, როგორც ქალის როლის საუკეთესო შემსრულებელს.

ფელინის ფილმს მერე „ოსკარის“ ორი პრემია მიენიჭა (ერთი, როგორც წლის საუკეთესო უცხოურ ფილმს და მეორე – მაზინას, ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის).

მაგრამ პრემიები – პრემიებად და ამ ფილმის გამოჩენას იტალიის ეკრანებზე წინ უსწრებდა რთული და დაძაბული ბრძოლა. მიუხედავად ფელინის მზარდი ავტორიტეტისა საერთაშორისო მასშტაბით (მისი „გზა“ უკვე დაჯილდოებული იყო დიდად პრესტიული ოსკარით), კლერიკალურმა ცენზურამ გზა გადაულობა „კაბირიას ლამეებს“ – როგორა ბედავს რეჟისორი იმის ჩვენებას, რომ კათოლიკური ეკლესიის სატახტო ქალაქში პროსტიტუცია ჰყვავისო՞!

მაშინ ფელინიმ გამოქომაგება სთხოვა გენუის ეპისკოპოსას, კარდინალ სირის და მისმა მხარდაჭერამ მწვანე შუქი აუნთო „კაბირიას ლამეებს“.

ცნობილმა ფრანგმა კინომცოდნემ ქორქ სადულმა ჯულიეტა მაზინას მიერ ბრწყინვალედ ხორცშესხმულ კაბირიას უნიდა, არც მეტი, არც ნაკლები, თანამედროვე დონკი-ხოტი, რომელსაც გარშემო მყოფ ადამიანთა უმრავლესობის მიმართ ისეთივე იდეალისტური ნდობა მოეპოვება და მოყვასისადმი ისეთსავე ილუზიებს აგებს.

„კაბირიას დამეები“ საფულს მოსწონებია არა მარტო მისი ესთეტიკური ლირებებისა და მხატვრული ოსტატობის გამო, არამედ მისი ადამიანურობის, ღრმა და გულწრფელი ჰუმანურობის გამო.

სადულის აზრით, ფილმის ბოლო კადრები გენიალურია, რადგანაც ისინი მოიცავენ ცხოვრების ცველა ჭირსა და ლხინს; მათში კაბირიას უკიდურესი დამტკირება და ვარამი შეზავებულია უდიდეს რწმენასთან, რასაც გამოხატავს ფილმის ფინალში სხვისი მხიარულებით გახარებული ქალის ალალი ლიმილი, ჯულიეტა მაზინამ რომ ააკაშეაშა ერანზე.

გამოჩენილი იტალიელი მწერალი ალბერტო მორავია შენიშვნავდა, რომ კაბირია, დოსტოევსკის სინია მარმელადოვასა და ვიქტორ პიუგოს ფანტინას შთამომავალი, მართალია, მისდევს პირველ უძველეს პროფესიას, მაინც ვერ ახერხებს სულიერადაც იყოს მეძავი, როგორიც თავისი იერითაა. მართალია, კაბირია დღენიადაგ ვაჭრობს თავისი სხეულით და ნებდება ნებისმიერ კლინტს, ვინც ფულს გადაუხდის, მაინც ოცნებობს ნორმალურ ცხოვრებაზე იმ კაცთან, ვინც მას შეიყვარებდა.

მისი ოცნება ის ანკესია, რომელზეც წამოაგებენ ხოლმე სხვადასხვა ჯურის ვაჟბატონები, რათა აცდუნონ და გააცურონ კაბირია. ატყუებენ: პოპულარული კინომსახიობი, თავის გასართობად ერთი ლამით რომ გადაისვრის ქუჩის ქალს არანახული ფუფუნების სამყაროში; ჰიპნოტიზიორი, რომელიც თავისი პროფესიული ოსტატობით მონუსხავს და აიძულებს ალსარების წარმოთქმას ესტრადიდან მაყურებელთა წინაშე, რომლებიც ულმობლად დასცინიან სულიერ სტრიპტიზში ჩავარდნილ ქალს; დასასრულ, მას უნამუსოდ ეპყრობა მიჯნურის ნიღბით მოვლენილი არამზადა, რათა რის ვაივაგლახით შეგროვილი ფული წართვას.

და კაბირია ევედრება მასარცველს, მომკალი, სიცოცხლე აღარ მინდაო; განა იმიტომ ენატრება სიკვდილი, რომ გაატყავეს, უკანასკნელი გროშები დასცინცლეს, უსახლკაროდ დატოვეს, არა და არა, ამას როდი ჩივის, იმედგაცრუებასა და ილუზიების დაკარგვას მისტირის.

და მისი ტრაგედია, ჯულიეტა მაზინას წყალობით, ცრემლებსა ჰევრის ჰენრი მილერს, ერთი შეხედვით, აღვირახსნილ ცინიკოსად რომ გამოიყურება თავისი რომანის ფურცლებზე („კირჩხიბის ტროპიკი“ აშკარად ავტობიოგრაფიული ნაწარმოებია).

ახლა ორიოდე სიტყვა ჰენრი მილერის რომანის ერთობ კოლორიტულ თავგადასავალზე.

როგორც გადმოგვცემენ, 1944 წლის ზაფხულში, როდე-საც დასავლეთის მოკავშირეთა ჯარებმა აიღეს პარიზი, ამერიკელმა ჯარისკაცებმა არა მარტო იქაურ ლამაზმანებს გაუსინჯეს გემი, არამედ წიგნის მაღაზიებიდან უკლებლივ დაიტაცეს „კირჩხიბის ტროპიკს“ ინგლისურებოვანი გამოცემის ცველა ეგზიმპლარი, ჩაიტანეს სამშობლოში და „მოკვეთილი“ მწერლის პოპულარობის კოცონი ააგიზგიზეს.

მაღალი ზენობის სადარაჯოზე ფხიზლად მდგომ ამერიკელთა უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის მჭევრ-

მეტყველი ფაქტი, რომ ოცდაშვიდი წლის მანძილზე აკონსერვებდნენ ჰენრი მილერის საუკეთესო რომანს, ხოლო იმ სამახსოვრო 1961 წელსაც არ შეეპუენ ე.ნ. სექსუალურ რევოლუციას, შტატებში რომ ბობიქრობდა, და „კირჩხიბის ტროპიკის“ ამერიკელ გამოცემელთა წინააღმდეგ, სხვადასხვა შტატებში, 60 სასამართლო სარჩელი იქნა აღძრული.

უაღრესი კდემაბალისილებით დამშვენებულ ქვეყანაში, მწერალი რა სათქმელია, თვით პრეზიდენტს არ დაინდობენ, თუკი სახელს გაუტეხს სამშობლოს. და ერთხელაც, ამერიკული დემოკრატის წმიდათაწმიდა სავანეს – თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტს, მისი ახალგაზრდა პატრონისა და ქორფა შეგირდის უწყინარი ცელქობის გამო, ავყია უურნალისტებმა „ორალური კაბინეტი“ შეარქვეს.

პურიტანიზმის უმწინველო ადეპტებს ოცდაშვიდი წელია „კეთროვნად“ ჰყავდათ შერაცხული ის მწერალი, ვისი წიგნებიდანაც, ისევე როგორც ჰემინგუეისა და ფოლკნერის, ვულფისა და ფიცჯერალდის წიგნებიდან, სწავლობდნენ თავის ხელობას ახალგაზრდა ამერიკელი მწერლები, როგორც გვარნმუნებს მათი ბაირახტარი ნორმან მეილერი. მისივე მტკიცებით, XX საუკუნის არც ერთ ამერიკელ მწერალს, ეგებ ჰემინგუეის გარდა, არ მოუხდენია ასეთი გავლენა ამერიკულ და არა მარტო ამერიკულ ლიტერატურაზე.

ამერიკელი კრიტიკოსი კარლ შაპირი „კირჩხიბის ტროპიკის“ ჰეველი ამერიკული გამოცემის წინასიტყვაობაში კიდევ ერთ დითორამბს უძღვნის იმ კაცს, ვისაც, მისივე სიტყვით, პატივი არ ჰექონდა თავისი მაშულში და თავისი ენაზე: „მე ჰენრი მილერს ვუწოდებ უდიდეს მწერალს ცოცხალ მწერალთა შორის, რადგანაც ვთექრობ, რომ ის უდიდესია. მას არ ვუწოდებ პოეტს, ვინადან ლექსი არასოდეს დაუწერია და, ვგონებ, არც ეჭაშნიკება პიგზია, მაგრამ ყველაფერი, რასაც ის წერს, ესაა – ლექსი, ამ სიტყვის უფართოესი და საუკეთესო მნიშვნელობით“.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ განა გასაკვირია, რომ ატირებულმა კაბირიამ ლამის ბინძურ მწერლად შერაცხულ ჰენრი მილერსაც მოჰვევარა თვალებში ცრემლი?



ჯულიეტა მაზინა

შეგირდის უწყინარი ცელქობის გამო, ავყია უურნალისტებმა „ორალური კაბინეტი“ შეარქვეს.

პურიტანიზმის უმწინველო ადეპტებს ოცდაშვიდი წელია „კეთროვნად“ ჰყავდათ შერაცხული ის მწერალი, ვისი წიგნებიდანაც, ისევე როგორც ჰემინგუეისა და ფოლკნერის, ვულფისა და ფიცჯერალდის წიგნებიდან, სწავლობდნენ თავის ხელობას ახალგაზრდა ამერიკელი მწერლები, როგორც გვარნმუნებს მათი ბაირახტარი ნორმან მეილერი. მისივე მტკიცებით, XX საუკუნის არც ერთ ამერიკელ მწერალს, ეგებ ჰემინგუეის გარდა, არ მოუხდენია ასეთი გავლენა ამერიკულ და არა მარტო ამერიკულ ლიტერატურაზე.

ამერიკელი კრიტიკოსი კარლ შაპირი „კირჩხიბის ტროპიკის“ ჰეველი ამერიკული გამოცემის წინასიტყვაობაში კიდევ ერთ დითორამბს უძღვნის იმ კაცს, ვისაც, მისივე სიტყვით, პატივი არ ჰექონდა თავისი მაშულში და თავისი ენაზე: „მე ჰენრი მილერს ვუწოდებ უდიდეს მწერალს ცოცხალ მწერალთა შორის, რადგანაც ვთექრობ, რომ ის უდიდესია. მას არ ვუწოდებ პოეტს, ვინადან ლექსი არასოდეს დაუწერია და, ვგონებ, არც ეჭაშნიკება პიგზია, მაგრამ ყველაფერი, რასაც ის წერს, ესაა – ლექსი, ამ სიტყვის უფართოესი და საუკეთესო მნიშვნელობით“.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ განა გასაკვირია, რომ ატირებულმა კაბირიამ ლამის ბინძურ მწერლად შერაცხულ ჰენრი მილერსაც მოჰვევარა თვალებში ცრემლი?

რუსულან ნიშნიანიძე

პოეტური ალგორითმები

□

გრიგოლ ფერაძის პოეზიიდან

უცხოეთში მყოფს, როდესაც
სევდა, ნისლი, ბურუსი
გულს დამიბურავს,
არვინ მყავს ახლოს:
ვისაც გავენდო, ვინც გამიდევნის
სულიდან ურვას...

ხმადაბლა, ეგებ, ჩურჩულითაც ნა-
თქვამი, ტკივილით ნათქვამი სიტყვე-
ბია.

ემიგრაციაში ხშირად იწერება მსგავ-
სი, მაგრამ ამჯერად ავტორია სრული-
ად გამორჩეული. გულწრფელი, მარ-
თალი (როგორც სწვევია) და უსაშვე-
ლოდ გულახდილი:

მსურს დაბრუნება. აქ დავიღალე, როგორც მოხუცი
ნლებთა სიმძიმით.
ქუჩამ გამცვითა, ღრიალმა, ძრნოლამ და სიყვარული
ჭუჭყში ჩავაგდე.
ჩემო მშობელო, მოვილტვი შენსკენ, უშენოდ ყოფნა
დღეს მე აქ მიძიმის.
მომეცი ხელი, რომ ფეხზე დავდგე!

თვითონ ყველაზე უკეთ იცის, რას ნიშნავს მისი პერ-
სონაჟის მუდარა: „მომეცი ხელი!“ აკი ათეულობით მართ-
ლმორწმუნებს თავადვე აღმოუჩენს შემწეობას, მხარში
ამოუდგება; თვითვე გაამხნევებს არა მხოლოდ სულიე-
რად. არა! ეს მისი ცხოვრების წესია — ხელს კი არა, სი-
ცოცხლეს დათმობს, როგორც კი ამას ჩათვლის საჭიროდ.
დათმობს ისე, რომ არც დაფიქრდება, არც დაეჭვდება. ამ-
ჟამად კი ყველაზე უკეთ მოეხსენება, რასაც მისი სულიე-
რი შეილები განიცდიან:

„ჩემი მრევლი ედარება იმ ვენახს, რომელშიაც უკვე 10
წელინადია არც უმარგლიათ და ვაზთა შორის უბარნიათ,
არც უსხლიათ, არც გოგირდი და შაბიამანი შეუსხიათ ვა-
ზებისთვის, რომ მეტი ნაყოფი გამოელოთ, არც ჭიგოები
შეუყენებიათ ვაზებისთვის, რომ არ დაცემულიყვნენ. იმ
ვენახს, რომელსაც ღობე შემოაცვდა და შემოეგლიჯა და
რომელსაც ყოველი: მოყვარეა იგი თუ მტერი, შინაურია
თუ გარეული ცხოველი თავისუფლად ყოველ კუთხიდან
ესტუმრება...“



... ლოცვა! ლოცვა არის არა მხოლოდ ღობე და კარები
ამ ვენახის — არა მხოლოდ წამალი, რომელიც სპობს ვა-
ზებზედ ფილოქსერას; არა მხოლოდ ის მაკრატელი, რო-
მელიც აჭრის ამ ვაზებს ზედმეტ ყლორტებს, არა მხო-
ლოდ ის ბარი, რომელიც უვლის ვაზის ძირს, არა მხოლოდ
ის ჭიგო, რომელსაც გარს ევლება ვაზი.

ლოცვა არის ქვეყანა...

„უფალო, გვასწავლე ჩვენ ლოცვა“.

ამ სიტყვებს პარიზის წმ. ნინოს ქართულ ეკლესიაში
მამა გრიგოლ ფერაძე წარმოთქვამს. ეს ფრაგმენტია მისი
ქადაგებიდან. ადვილი წარმოსადგენია, როგორ მოისმენ-

და მას ქართველობა: არა მხოლოდ
სარწმუნოებრივი განცდით და განზო-
გადებით, არამედ მხატვრული აზროვ-
ნებით და სახეებით სავსე სწორედაც
უჩვეულო და ღრმა ქადაგებას. ლოცვა
— ქვეყანა; ვაზის ქვეყანა?! მჭევრ-
მეტყველების რანგი და ფორმა ბევრ-
ნილად განაპირობებს, რომ ზემოხსე-
ნებული სტრიქონებიც სხვა თვალით
ზავიკითხოთ.

ლირიკული პოემა „რომელნი ქერუ-
ბიმთა“ პარიზში გამოქვეყნდა.
გრიგოლ ფერაძემ ჩათვალა, რომ ის მის
მკითხველს უნდა წაეკითხა (ლიტერა-
ტურული ტექსტი დაცულია ბ-ნი გუ-
რამ შარაძის კერძო კოლექციაში). ეს
არა სასულელორ თემაზე დაწერილი

ნაწარმოები, მაგრამ მასში საინტერესო რელიგიური კო-
დები იყითხება. ავტორი „ქრისტიანული კულტურის“ წარ-
მომადგენელია. ლიტერატურული ტექსტი კი იმითაცაა
უჩვეულო და, შესაბამისად, საინტერესო, რომ გარკვეუ-
ლი ფრაგმენტები არაერთი ინტერპრეტაციის შესაძლებ-
ლობას იძლევა. ვფიქრობ, სასულიერო პირის მხრიდან
ეგებ ეს გარკვეული რისკიც კი იყო, არც უამისობაა.

მე დღეს არვის არ ვეკამათები,
არცა მჭირია რომ ვიკამათო.

არ ვარ პარტიის ნერი მართები
საპის ბურთისთვის კამათი ვმართო.

ისე სდგას მაღლა ეს ჩემი სიტყვა
თქვენ ნაცოდვარზედ, ნათქვამ, ნაფიქრზედ...

ეს პოეტური ჟესტია; გამომწვევი და გარკვეული ირო-
ნის დამტევიც.

ის, რომ გრიგოლ ფერაძე ლექსებს წერდა, ფართო
მკითხველისთვის იყო ცნობილი, ვინაიდან იბეჭდებოდა
ემიგრანტულ გამოცემებში: „ჯვარი ვაზისა“ და „ქართ-
ლოსი“. ორივე კრებულს სრულად განსხვავებული მკით-
ხველი ჰყავდა.

„რომელნი ქერუბიმთა“ 1929 წელს დაწერა, ღვინო-
ბისთვეს, ქალაქ ბონში. ეს პოეტს თავადვე მიუწერია ნა-
წარმოების ბოლოს. თუმცა სათაურის ქვემოთ, ფრჩი-
ლებში მიუთითებია: ხილვა.

როგორც აღვნიშნე, მონტაჟი სხვადასხვა ამბავსა თუ ემოციას დაალაგებს ერთმანეთის გვერდით. იქნება ეს წმინდა რელიგიური ხასიათის ასპექტები თუ არანაკლებ საინტერესო ე.წ. თხრობითობა — სიუჟეტის ლიტერატურულობა. რამდენიმე პოეტური ალგორითმი...

I. ეპოქა — თითოეულ ავტორთან სხვადასხვაგვარად განიხილება: ლექსები, რომლებშიც იგი დაიხატება — ეს ერთი; ლექსები, რომლებშიც ადიდებენ ამა თუ იმ ხელისუფლებას — ესეც ეპოქის ნიშანია... რა სივრცეა სასულიერო პირისთვის „დაუსაბამო დრო“. რა რჩება მარადიულ სახელად და საფიქრადაც; ერთი ფრაგმენტი გრიგოლ ფერაძის ზემოხსენებული პოემიდან:

კოტეს ჰანგებსაც მე ვერ ნავბაძამ
ნაცარ-ექექია ჩვენ გვიხსნის, ვიტყვი,
იგია ჩვენი ცხოვრების ბოძი,
მოიგერიებს მტერს თავის რისხვით.
ნაცარ-ექექის არაფერი მწამს
და არც არასოდეს რამ მენამება
იმისი თვალი და ყური მინას
არცა შორდება, არც ენამება.
სიმინდის ზევით თუ კიდევ არის
რამე ქვეყანა რამე სამყარო
მისთვის ერთია. იყოს მაძლარი!
მასზედ იმედი როგორ ვამყარო!.

აშეარად, პოლემიკა შემოთავაზებული! ავტორი კონკრეტულ პიროვნებასა და კონკრეტულ სტრიქონებს გულისხმობს. „კოტე“ — პოეტი კოტე მაყაშვილია, რომელმაც ნაცარექექიას პერსონაჟის ერთ-ერთი განსხვავებული ინტერპრეტაცია მოგვცა. ზღაპრის გმირის ახლებური გააზრება და მასზე ოპტიმიზმის აგება გრიგოლ ფერაძემ გაუგებრად მიიჩნია. მისთვის მიუღებელია ნაცარექექიას „მხსნელის“, ან „ცხოვრების დედაბოის“ რანგში დანახვა; მისი „არაფერი მწამსო“ კი განაცხადა, მაგრამ განმარტება მაინც ჩათვალა საჭიროდ: მისი აზრით, ნაცარექექიას მსოფლგანცდა მინიერ ზრასვებს არ სცილდება, ამქვეწიურ განცდებს. ფერაძისათვის ნარმოუდენელია, რომელი მტერი შეიძლება მოიგერიოს იმან, ვისთვისაც „ნამება“ უცხოა. როგორ შეიძლება „გამძლარი“ კაცის ირგვლივ იმედები დაამყარო?!

კოტე მაყაშვილის პოეტური ტექსტი 20-იან წლებში დაიბეჭდა. როგორც ჩანს, იმთავითვე ძალიან პოპულარულ ლექსს გრიგოლ ფერაძეც იცნობდა. ავტორის (კ. მაყაშვილის) სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება ქართული ზღაპრის პერსონაჟის მიმართ და მისით აღტაცება თვალშისაცემია:

ოჳ, ნაცარექექიავ, შენა!
სალამი მშობლიურ გმირს!
ამესნა ბედკრული ენა
ღიმილი მომდის პირს,
დავწვები ლოგინში წყნარად
ძილითა შევიქცევ თავს,
ქაჯებო, დევებო, ფარად
მე ნაცარექექია მყავს.

საკითხის ისტორიიდან გამომდინარე, უნდა აღვნიშნო, რომ ამ პერსონაჟს XX საუკუნის 80-იან წლებში კიდევ ერთხელ მოუპრუნდა ლიტერატურული საზოგადოება.

გურამ ასათიანი („სათავეებთან“) ნაცარექექიას კირილე მიმინაშვილთან, ყვარყვარე თუთაბერთან და ბათა ქექიასთან ერთად ქართული ხასიათის ამ ყაიდის გამოვლინებად მიიჩნევდა: „საზარმაციას და ბაქიობის გარეშე ვის რა ჯანდაბად უნდა თქვენი ნაცარექექია? მისი ბაქიობაც ხომ ჩვეულებრივი არაა. ის ყველაზე დიდ დუშმანს — ბაყბაყ-დევს უნდა მოერიოს, თორემ პატარ-პატარებთან დაჭიდებაც ეთავისულება“.

ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ დაეთანხმა აკაკი ბაქრაძე, რომლისთვისაც დამჯერებელი არ აღმოჩნდა ეს „ლიტერატურული ნათესაობა“ და თავისი დებულება ამგვარად განავითარა: „საქართველოს მთელი მისი გრძელი ისტორიის მანძილზე არასოდეს ჰქონია ურთიერთობა მის ტოლ სახელმწიფოსთან. იგი ყოველთვის მსოფლიო გოლიათებს ედგა პირისპირ... ამ უთანასწორო ბრძოლაში რა უშველიდა საქართველოს თუ არა ჭუა, გამჭრიახობა, მოქნილობა და ეშმაკობა. ქართველმა ხალხმაც ნაცარექექიას სახით ამგვარი იდეალი შექმნა. მტრის მოსატყუებლად ზარმაციას და ბაქიას ნიღაბი აიფარა. თუ ეს არ დავინახეთ ნაცარექექიაში, მაშინ მას ცალმხრივად ნარმოვიდენ და ნიღაბს შინაარსად მივიჩნევთ“. მსჯელობისას აკ. ბაქრაძემ ამგვარი ფრაზაც მოიხმო: „ისტორიული ცხოვრების მოდელი“. ამ კონტექსტში იგი მითუფრო საყურადღებო მგონია, რადგანაც მთელი ამ ვრცელი წერილის გაცნობისას ერთგანაა მხოლოდ ამგვარი მზაობა: „ჩვენ ოპტიმიზმის მეტი საფუძველი გვაქვს. ამის უპირველეს საბუთად, როგორც უნდა გაუკეირდეს მეტობელს, ქართული ზღაპრების გმირი ნაცარექექია მიმაჩნია“.

ფართო პოლემიკის მიუხედავად, ზვიად გამსახურდიას წერილში პირველად იყო ნახსენები კოტე მაყაშვილის სახელი, ასევე, გრიგოლ ფერაძეც, ოღონდ სხვა კონტექსტში. მეცნიერმა სხვა მასშტაბები მოიაზრა: „ნაცარექექია ქართველი ოდისევსია, იგი ახერხებს ციკლოპის მოტყუებას და დამარცხებას. ოღონდ კარგი იქნებოდა, თუ მის შესახებ მსჯელობას განვავითარებთ და მასში მხოლოდ პოლიტიკურ მებრძოლსა და დიპლომატს კი არ დავინახავთ, არამედ სულიერ პლანში მებრძოლს უნივერსალურ ბოროტებასთან. იგი მედიტატორია და მოაზროვნე“. გამსახურდიამ პარალელური მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორში მოიძია და, აქედან გამომდინარე, დაასკვნა, რომ ნაცარექექიაში ოდენ ქართული ხასიათის ძებნა ზუსტი არ იქნებოდა. თვალსაწირიც სხვა სივრცეში გაშალა და თანამოაზრეც დაასახელა: „ალბათ, ამიტომაც დაუკავშირა მდვდელმა გრიგოლ ფერაძემ ნაცარექექია წმინდა გიორგის სახეს“.

და ისევ გრიგოლ ფერაძე. ლირიკული პოემის დაწერამდე ერთი წლით ადრე, 1928 წელს იმავე ქალაქში (ბონი) დაიწერა „წერილები ჩვენი ნარსული ცხოვრებიდან“. მოგვიანებით, ის საფრანგეთში დაიბეჭდა. კერძოდ, 1932 წელს უკრანებში „ჯვარი ვაზისა“ — სათაურით: „წმ. გორგი ქართველი ერთი შემოქმედებაში“, სადაც ავტორი სრულ მოულოდნელობას სთავაზობდა მეტობელს (თუ მრევლს): „ჩვენში შეიქმნა საკუთარ ჩვენი გიორგი; გიორ-

გი — ნაყოფი ჩვენი ეროვნული ლიტერატურის] შემოქმედების; ჩვენი ეროვნული ლიტერატურის შემოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს გმირთა-განი არის ნაცარ-ქექია და სწორედ ამ უკანასკნელის თვისებებს ვხედავთ წმ. გიორგიზე გადატანილთ".

აქვე განიხილავდა ივანე ჯავახიშვილის მიერ დამოწმებულ ხალხურ გადმოცემას წმ. გიორგის, ელიასა და ღმერთისადმი შერქინების თაობაზე, რომელმც წმ. გიორგი ხერხით სჯობნის ამ უკანასკნელთ. გრ. ფერაძე განმარტავს: „ის ხედავს... რომ ღმერთი თვითონ უსამართლოდ ან თავის გუნების და უინის მიხედვით იქცევა; იცის აგრეთვე, რომ იგი ღმერთი არაა, მაინც ეშინია მას აშკარა ბრძოლა გაუმართოს. წმ. გიორგი რომ ყოფილიყო, ამისთანა ღმერთს ხმლით თავს ნაგდებინებდა. ამ ჩვენი ხალხური წმ. გიორგის ე.ი. ნაცარ-ქექიას დევიზია: „ხერხი სჯობია ღონეს“-ი: დარბის, ატყუებს ღმერთს, დააქვს ამბები, აფრთხილებს გლეხს, აძლებს მას დარიგებებს და სხვა.“ მევლევარი შედარებასაც შეეცდება: „ხალხურ ნაცარ-ქექიასთან შედარებით, ჩვენ მხოლოდ ერთი პროგრესი გვაქვს ქრისტიანული გავლენის ქვეშ. იმ დროს, როს ხალხურ ზლაპ-რებში ნაცარ-ქექია თავისი საკუთარი, უკეთ, თავისი ძმისა და რძლის გამორჩენაზედ სცდილობს, აქ უკვე ეს ნაცარ-ქექია — გიორგი — ეთიურად მაღლა სდგას და ფიქრობს უკვე საწყალი ხალხის კეთილდღეობაზედ.“

სწავლული ცდილობს, ქართველის ხასიათს ჩაუკეირდეს და სერიოზული დაფიქრების შემდეგ დაასკვინის: „ნაცარ-ქექია არაა ჩვენი ხალხის იდეალი, არამედ რეალობაა ჩვენი ცხოვრების და ერის ნაწილის სიმბოლო: — ზარმაცი, გაუბედავი, ზრდილი, სუსტი და ულონო, მაგრამ თუ გაჭირვება თავზედ დაადგა და უკანასკნელი კრიტიკული წუთი მოვიდა, იგი შემძლებელია, მთებიც კი გადაატრიალოს“. ეს სულიერებაზე ზუსტი და ფრთხილი დაკვირვების შედეგად გაჩენილი დამოკიდებულებაა. რელიგიური კონტექსტის გარდა, გრიგოლ ფერაძე ერთ ძალიან საინტერესო ლიტერატურულ პარალელს და დასკვნას შესთავაზებს



მკითხველს: „რუსთველის: სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი — სადაც გმირი მხოლოდ სომართლის, სიყვარულის გულისათვის კვდება და მეორე მხრივ, მისი ღვიძლი ძმა, უკეთ, იგივე მეორე სახით, ნაცარ-ქექია — მხდალი, ორჭოფი, მატყუარა — ორთავე ემსახურებიან ერთ საქმეს“. ეროვნული — „ვეზხისტყაოსნის“ სივრცე და კონტექსტი?! „ლვიძლი ძმა“ — ეს გრიგოლ ფერაძის არც უნებლივ ნათქვამია და არც შემთხვევითი წყვილი... (აქვე უთუოდ აღვნიშნავ ერთ გამორჩეულ წიგნს, რომლის გარკვეული ნაწილი სხორცედ ნაცარ-ქექიას „ლიტერატურულ ისტორიას“ აანალიზებს ეროვნული მწერლობის სივრცეში. „ნაცარ-ქექია — სამყაროს შუაგულში“ ასეა დასათაურებული ქვეთავი, სადაც პოეტური ტექსტები თუ ლიტერატურათმცოდნეთა მოსაზრებებია გაანალიზებული; როგორ იცვლის იერს პერსონაჟი სხვადასხვა მოცემულობაში. უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა, რამდენი ავტორიცაა, იმდენივეა პოზიცია და, შესაბამისად, აზრიც; განსხვავებული, არცთუ იშვიათად, ურთიერთგამომრიცხავიც და წიგნის ავტორს არცერთი არ გამორჩება. ეს მხოლოდ ლიტერატურული მრავალფეროვნება არ გახსავთ... ბ-ნი როსტოკი ჩხეიძის წიგნს ასე ჰქვია: „ქება სიზარმაციისა“.)

ქართული ზღაპრის პერსონაჟის მხატვრული თუ იდეოლოგიური ინტერპრეტაციის ყველა ვერსია საინტერესო. ნაცარ-ქექია არაერთი ე.წ. „დიდი განზოგადების“ შესაძლებლობას იძლევა. კიდევ ერთი ძალიან საინტერესო პარალელი: უწევულო კონტექსტი, რომელიც სრულიად მოულოდნელ შთაბეჭდილებას ახდენს. ცნობილი ქართველი ემიგრანტი, აქტიური მოქალაქე და, ამასთან, დაკვირვებული მკვლევარი კარლო ინასარიძე 70-იან წლებში გერმანიაში, კერძოდ, მიუნხენში ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან წიგნს („ფილმის მეტყველება“) შესთავაზებს მკითხველს. „დამაჯერებელია, რაც შესაძლებელია“ — არისტოტელეს სიტყვებს დაიმოწმებს და თავის, მთავარ სათქმელს სწორედ ამ გამონათქვამიდან გააგრძელებს: „დამაჯერებელი კი არის ის, რაც არის შესაძლებელი, ესე იგი შესაძლებელი „ისევ-შექმნილ,“

მხატვრულ სინამდვილეში. ამიტომ ზღაპარიც, რომელ-შიც „არარეალური“ და „რეალური“ მოქმედნი პირნი — ქაჯები, დევები, სატანა თუ მეფე, დედოფალი, პრინცი, პრინცესა, წითელქუდა, ნაცარქექია და სხვანი — მოქმე-დებენ, თავისი არსით „რეალური“, „რეალისტურია“.

აი, სწორედ აქ დასჭირდება კონკრეტული მაგალითი; იოლად მოძიებას: „ვთქვათ, ნაცარქექია ისევ „რეალისტურად“ ებრძვის ამქეყნიერ უსამართლობას, ძალადო-ბას, როგორც ვთქვათ, ნაცარქექიას „ფილმური ძმა“ — ჩარლი ჩაპლინი, მიუხედავად იმისა, რომ პირველი „ზღაპ-რული“, ხოლო მეორე „რეალური“ სახე, სახეობაა.“

როგორი პარალელებია?! ნაცარქექია — წმინდა გი-ორგი — რუსთაველის გმირების „ლვიიძონ ძმა“ — ოდი-სევსი — ჩარლი ჩაპლინი; სააზროვნო მასშტაბები?!

II. ალგორითმი. კიდევ ერთი ფრაგმენტი ნაწარმოები-დან:

რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია —

სთქვა ერთხელ შოთამ და ჩემთვის გაგება ამის ძნე-ლია, მაგრამ მეორე სიბნელე მე მესმის კარგად მელნევა, რომელიც სინათლეს ებრძვის, სინათლეს კი ვერ ენევა.

რას ნიშნავს ჩვენი ნათარგმნი — „და ბნელი მას ვერ ენია“?

ნუ თუ იმიტომ, რომ ვიღაც სიბნელეს უხვად ეწვია..

როგორც აღვნიშნე, პოემაში უამრავი შრე იკითხება და თითოეული მათგანი გამორჩეულ გააზრებას ითხოვს. აქ არაა ერთი გაბმული სიუჟეტი, ერთიანი თხრობის დი-ნამიკა. ყოველ თემას თავისი რაკურსი აქვს და საკუთარი სამზერი. ამ კონკრეტულ შემთხვევებში სტრიქონს სქოლი-ოს ნომერი აქვს დართული, მითითებულია იოანეს სახა-რება. როგორ განვმარტოთ?! ჩვენც შეგვიძლია, რამდენი-მე ვერსია დაგვუშვათ: ერთი — ინტერტექსტუალური ვა-რიაცია: ავტორის თხრობაში მოხმობილია სხვა ნინარმო-ები და მისი გადააზრებისთვის კიდევ დამატებითი ტექს-ტი; მეორე — ციტატური აზროვნების ნიმუში ე.წ. პარა-ლელური ტექსტები: ორი ბრჭყალებში ჩასმული ციტატა კომენტარით.

მესამეც — გამძაფრებული შეკითხვა. ფრაზა: „ჩემთ-ვის გაგება ამის ძნელია“ სრულიადაც არ გულისხმობს აფ-ტორს, არამედ პოემის ლირიკულ ჰერსონაჟს, რომელსაც (გარეგნულად ერთმანეთის) მსგავსი სიტყვები განსხვა-ვებული აზრისაგან ძნელად გაურჩევია. გადავშალოთ სა-სარება: იოანე 1, 5: „და ნათელი ბნელში ნათობს, და ბნელ-მა იგი ვერ მოიცავა“. ეს უკვე სხვა, რელიგიური სივრცეა, სერიოზული განსჯის და დაფიქრების არეალი. რაც შეე-ხება ზემოდასახელებულ სტრიქონს: „რაღაა იგი სინათ-ლე...“ მისი საინტერესო ლიტერატურული განმარტება ვიკორ ნოზაძეს ეკუთვნის, ამჯერად სწორედ მას დავი-მოწმებ (დაიწერა სანტიაგო დე ჩილეში).

მეცნიერი აჯამებს თავის დაკვირვებებს და დაასკვ-ნის: „ნათელის შესახებ მიმოხილვამ გვიჩვენა, რომ ნათე-ლი ყველა რელიგიაში, ფილოსოფიაში თუ პოეზიაში პირ-ველყოფილია და ადამიანი ამ ორ დებულებას დადებითად და უარყოფითად აფასებდა: ნათელი — კარგი, ბნელი, წყვდიადი — ცუდი. ეს შეგრძნობა ყველა ერის კაცისათ-

ვის საერთოა. ამიტომ ვტბნშიც სინათლე სასურველია და სანატრელი. სწორედ ამ შეხედულებებს გამოთქვამს როს-ტევან მეფე — რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნე-ლია“.

მეცნიერი იმ საშიშროებასაც ხედავდა, რომ ამ სტროფს შესაძლებელია, შეცდომაშიც კი შეეყვანა არა-ერთი მკითხველი... დაშვებულიყო ვარაუდი დუალისტუ-რი აზრის შესახებ, ე.ი. ორი მონინააღმდეგე პრინციპი: ნა-თელის და წყვდიადის დაპირისპირების თაობაზე ამიტო-მაც ვიკტორ ნოზაძე კატეგორიულად განაცხადებს: „ეს იქნებოდა შეცდომა, რადგან ამ ლექსს არავითარი რელი-გიური მნიშვნელობა არა აქვს“. იმ მიზნით, რომ არ დარ-ჩეს მცირედი გაუგებრობაც კი, იგი მიმოიხილავს ნათე-ლის დატვირთვას მანიქერიშმი, გნოსტიკურ თხზულებებ-ში და კიდევ ერთხელ დაუბრუნდება „ვეფხისტყაოსანს“: „ვტბნში სინათლე და ბნელი მხოლოდ პოეტურად გამოყე-ნებული არიან სიცოცხლისა და სიკვდილის დასახასია-თებლად... სინათლე აღნიშნულ ლექსში გამოხატავს სიყ-მაწვილესა და სიცოცხლეს, ხოლო ბნელი არის სიბერისა და სიკვდილის წარმომადგენელი. ამ ლექსით გამოთქმუ-ლია ცხოვრების ნაკლები ჩივილი: რაღაა იგი ახალგაზრ-დობა, რაღაა იგი სიცოცხლე ყმანვილური, რომელს მოს-დეეს ჭირი სიბერისა, ხვალინდელი სიკვდილი!“

პოეტური ალგორითმი — ყოველი ნაკვეთი, ლიტერა-ტურული ფრაზა,

სარწმუნობრივი მინიშნება, ორაზროვანი გააზრება ახსნას (კონკრეტული აზრის ამოცნობას), შეჯერებას გუ-ლისხმობს. ტექსტი, ქვეტექსტი ან ინტერტექსტი — სხვა თვალსაწირია ნავარაუდევი. აქ არაა ოდენ მსუბუქი სათ-ქმელის ემოციური გარითმვის მცდელობა. ესც სრული-ად ბუნებრივია: აკი მისი ავტორი — მეცნიერია, მოაზ-როვნე, სასულიერო პირი... საქართველოს მართლმადი-დებელმა ეკლესიამ (1995 წლის 19 IX) არქიმანდრიტი გრი-გორი ფერაძე წმინდანად შერაცხა. ამ ჩამონათვალს კიდევ ერთი შტრიხი დაემატება — პოეტი.

III. და საღამორომ მოგვევლება — მზე რომ განდევნის ყველა მახილველს აცნურების ფრთხები მე შემებმება და შენსკენ ვინევ. მე შენთან ვარ იქ. არ შეუდრკები მაშინ მახვილებს და გადავკოცნი სამშობლო მინებს.

დამეთანხმებით, ეს ბუნების სურათი არაა; პეიზაჟი მხოლოდ ფონია; სულიერი მზაობაა, რომ მზეც (ალბათ, ნათელი=ღვთაებრივი) შეეშველება; და პოეტს ზმინის პი-რის ნიშნები არ შეეშვება: შენ — „არ შეუდრკები“, მე — „გადავკოცნი“... და მომდევნობა, სრულიად მოულილელი, რიტორიკული, ამასთან, დაფიქრებული კითხვა:

სადაა ნეტავ, ჩემი სამშობლო...

ან ამგვარი:

სადაა ნეტავ, ჩვენი ბეთლემი...

ეს ახალი, სხვა მასშტაბის და რანგის შრეებია... მათზე სხვა დროს და ალბათ, უკვე სხვა წერილში...

გურამ მეგრელიშვილი

ბიჭები

□

პრელუდია და ფუგა
საკუთარ თემაზე

ლევანი, ირაკლი, რომა და სოსო და ნიკა,
დათო და კოსტა

პრელუდია

კონტროლიორი ქალი ბევრს კიოდა, მაგრამ ბიჭები მანც გადაახტენენ. ის დიდთავა პოლიციელი დაბატურილი უყურებდა, თუმცა ხმა არ ამოულია. „ვზროსლებმა“ რომ ცემეს, იმიტომაა დაშინებულიო, დაასკვნეს. ლევანმა კი ისიც არ იქმარა უყულოდ რომ გაიარა და საკუთარი უპირატესობის თუ ზიზღის დასადასტურებლად ქალის მხარეს გადაპურდეს.

ქალი უარესად განინმატდა, შეხედეთ, ხალხო, რა თავ-ხედიაო, დაიყვირა და დიდთავა პოლიციელს ამრეზით გახედა. პოლიციელმა იგრძნო, რაღაც რომ უნდა ექნა. მთელი ხალხი მას უყურებდა და რაღაც უნდა ექნა, მაგრამ ის დინჯად დაიძრა, ისე დაიძრა, ბიჭებს ესკალატორზე შედგომა რომ მოესწრო და მერელა იყითხა ომაზიანად: რა ხდება, რა ბაზარია აქ.

ერთმა მოწმებ მანც, ყოველი შემთხვევისათვის, განუმარტა მომხდარი, მაგრამ დიდთავა თითქმის არ უსმენდა და მთელი გულისყური კონტროლიორისაკენ ჰქონდა მიპყრობილი, რომელიც ჩუმად, მაგრამ სწრაფად და გამწყრალად ესაიდუმლებოდა ვიღაც მგზავრს: ეგაც არის რა... მიღიცა! რისთვის დგას, კაცმა არ იცის, ლამის სახეში შემაფურთხეს და ხმა არ ამოიღო. არადა, გავატარო უფასოდ და მე მომსხნიან სამსახურიდან, მაგას კი არა...

დიდთავა იბლვირებოდა. ხმას არ იღებდა, მაგრამ ზედვე ეტყობოდა, — რაღაც გასამართლებელი საბუთი ჰქონდა მოფიქრებული.

— იმ დღეს კი სულაც ცემეს ეგ საცოდავი! — არ ისვენებდა კონტროლიორი, — ორმა კაცმა ისე ამოიღო, ფეხ-ქვეშ...

— მართლა, რა არის, შე კაცო, ქალს რამის თავზე... იმას უქნეს! რილასთვის დგახარ აქ, იმასავით... — საკუთარი აზრი გამოთქვა დიდჩანთებიანმა კაცმაც.

პოლიციელი საბოლოოდ გაბრაზდა. კბილები დააღრწიალა და: გადი... გადი ეხლა... გადი, გადი აქედანა, თორებ!.. გადი!

და თავადვე გავიდა.

ბიჭები კი ხარხარით ჩავიდნენ ბაქანზე და მერამდენედ იხსენებდნენ, როგორ გადააპურჭა ლევანმა ქალის ფეხებთან.

— ბიჭო, ზედ რომ დაცემოდა, რალას შევებოდი მერე?

— ნეტა შენც დარდობ, რა!

— არა, ის დიდთავა რას ჰგავდა, არა?

— ეგ ხომ იცი, ვინ ცემა?

— მართალია ეგ?

— მართალია რომელია!

— ნახეთ, რა კარგი ქალია!

— აბა?

— აგე, სარკესთან!

— სადა?

— რა სადა, სარკე სადაა?

— ის სუსლიკაც მაგასთანაა?

— ნახე, როგორ გოშიასავით ელაქუცება.

— ქმარია ნეტავ?

— რა ქმარი, ვერა ხედავ, მხრებამდე ძლიერ წვდება!

— ალბათ საყვარელია, ან ვინმე!

— ნახე, რა ჯანმრთელი ქალია!

— ზოგს რა ბედი აქვა!

— ვანომ რაო გუშინ?

— მაგან ხომ ტვინი შეჭამა.

— რაო, რაო?

— რა რაო, ზამთარში ვარკეთილში ვიგარჯიშებთო.

— სადა?

— ვარკეთილში.

— ეგ ხომ არ გაგიუდა?

— ეხლა ვარკეთილელები მაცემინე კიდევ რა...

— უაზე დავდგეთ ყველა და...

— რომა, შენც ჩვენთან ხარ, ბიჭო?

— კანებნა, რაზე მეკითხები მაგას?

— იუდა ხარ!

— სამ სამ თყ იუდა! თყ იუდა!

— ხელი ბიჭო! ე, ხელი-მეთქი, ნუ გამითამამდი, ბიჭო, თორემ ჩაგაფეთე!

— რა რა! მართალს გეუბნება, ბიჭო, ენა ნუ დაიგრძე-ლე, გაიგო?!

— კაი, რა გაჩეუბებთ, ნახე, ის ქალი აქეთ იყურება!

— დათო, შენ ნუ ხარ მშვიდობის მტრედი, რა!

— რა შუაშია?..

— მოდით, იმათთან ნავინიოთ, გინდათ?

— მაიცა რა, მოვიდა!

ბიჭები მატარებელში შევიდნენ. ისე შევიდნენ, თითქოს საკუთარ სამფლობელოში არიანო.

— სოსო, რა მოწყენილი ხარ, შეყვარებული ხომ არ ხარ?

— მაგას თავის თავის მეტი არავინ უყვარს!

— არა, ბიჭო, ნუხელის მუცელი მტკიოდა და...

— ორსულად ხარ?

— თავში არ გორტყა, ბიჭო!

— კაი, რას ავარდი!

— ავარდნა რა შუაშია, მოვინამლე და ცუდად ვიყავი,

ორსულად კიდევ ბებიაშენია!



— ხომ იცი, დალუპული მყავს..
 — რა ვიცი აბა? (პაუზა) რაო, რა თქვა ვანომო?
 — ვარკეთილში უნდა ვივარჯიშოთ, დეკემბრიდან.
 — მართლა? ვაა! მანდ, ხომ იცი, ვინები ვარჯიშობენ?
 — არა!
 — ჩვენ რომ გავიცანით, იმ დღეს, ხელბურთელი გოგო-ები!
 — კაი, მართლა?
 — ისე მანც მოახერხოს მაგ გუჯმანამ, ჩვენი ვარჯიში იმათსას დაემთხვეს!

კოსტამ მარჯვენა კუთხეში გოგო შენიშნა და ბიჭები იქეთ გაახედა.

— გინდათ მივიდე და გავიცნო?
 — მაიცა, ბიჭო, ვინმესთან არ იყვეს!
 — იყვეს რა!
 — მიდი, მიდი!
 — რომელმე წამომყევით!
 — მაიცა, მეზარება!
 — რა გეზარება, ჩავა და ნახავ! (პაუზა)
 — ირა, შენ წამო!
 — წამო! არა, მოიცა! ორი წუთი მოიცა! თმები აჩეჩილი ხო არ მაქვს?
 — ნეტა შენ, რა!

ირაკლიმ სარკეში ჩაიხედა და გოგოსენ წავიდნენ, მაგრამ მთლად ახლოს მისვლა ვერ გაბედეს და შორიახლოს გაჩერდნენ.

— ნახე რა სახეები აქვთ! — გაიცინა ლევანმა და სხვებმაც გაიცინეს.

გოგომ შენიშნა, როგორ უყურებდნენ ბიჭები, ტუჩამრეზილმა ზურგი შეაქცია და გაჩერებაზე ჩავიდა.

კოსტა და ირაკლი მობრუნდნენ. თავდაცვის მიზნით აგდებული სახე ეჭირათ, მაგრამ მათვის ხმა არავის გაუცია.

მერე ვიღაც აყლაყუდა პოლიციელი შემოვიდა. ბიჭებმა ლაპარაკი შეწყვიტეს და აქეთ-იქით ყურება დაიწყეს. სოსომ ერთი ახედა ფორმიანს, ჩანთა აიღო მუხლებიდან და: დაბრძანდითო, შესთავაზა. პოლიციელმა მხარზე დაადო, კი არ დაადო, დააჭირა ხელი და: იჯექიო, უთხრა, მაგრამ სოსომ გაუძალიანდა და მარჯვენივ გაინია. პოლიციელი დაიბნა, თუმცა საბოლოოდ მანც დაჯდა და გაზეთში ჩარგო თავი. ბიჭები და სხვა მგზავრები სოსომ მიშტერებოდნენ. სოსომ დაბნავ დაბნეული ჩანდა და: რა? — ჰკითხა ლევანს. ლევანმა თავი გააქნია — არაფერიო, — და მეორე მხარეს გადაინაცვლა.

ვაგზლის მოედანზე ჩამოვიდნენ და უხმოდ განაგრძეს გზა.

ლევანი

რას უშლიდა, მაგრამ მანც ჩატეხაო, ის ნათურა. იმ ზობელ ქალს კიდევ დაუნახავს და ყვირილი აუტეხავს. ლევანს უთქვამს, თუ ხმას არ ჩაიგდებ, კარგბთან მოგიშარდავო. ქალს ფანჯარა დაუხურავს, თუმცა საღამოს ნაზისან მივარდნილა და: შენი უზრდელი შვილი ან გააჩერე ან მილიციაში წავათრევინებ და გამოსასწორებელში რომ გაგიგზავნიან, მერე ნახეო. ნაზის იქით გაულანდავს ქალი,

შენ შენ თავს მიხედეო, პატიოსნად რომ მოგაქვს თავი, სინამდვილეში კიდევ სანტეხნიკი გყავს საყვარლადო. განა არ ვიცი, ორმოცდათი წლის ქალმა ორი თვის წინათ აბორტი რომ გაიკეთეო. ქმარი არ გყავს და არაფერი და რა, სულინმიდამ ჩაგისახაო? ქალი გამშრალა, ტირილი დაუწყია და გამოტრალებულა. ამ დროისთვის უკვე მოშარდული ყოფილა მის კართან და სულ მთლად გადარეულაო. ჩასულა პირველი სართულის მეზობელთან, ამომყევი, ნახე იმ თავხედმა ბიჭმა რა გააკეთაო. შეზობელი წამოყოლა, ცხვირზე ხელმოჭრილს ზიზლით დაუთვალიერებია წახევრად გამშრალი კარი, კარის წინ მდგარი გუბურა და შინ შეყოლია, მაგრამ მერე უთქვამს ქალისთვის, რომ უჩივლო, როგორ დაამტკიცებ, რომ მაგის გაეთებულია?

ქალს უპასუხია, ხომ დამემუქრაო?! დაგემუქრა, დაგემუქრა, მაგრამ იქნებ სულაც ვიღაც გამელელმა ქნაო? გამვლელი მეტესე სართულზე ამოვიდოდაო? უკითხავს დაზარალებულს. იქნებ ამოვიდა... ან სულაც ზედა სართულიდან მოდიოდა სტუმარი და იმან.. მოკლედ, ვერ დაამტკიცებ, თუ ანალიზი არ აიღე და ექსპერტი არ მოიყვანეო თანაცო, ეგო, ნასვამი კაცის მოშარდულს უფრო გავს, ვიდრე თოთხმეტი წლის ბიჭისასო, თან კიდევო მაგას გამოუშვებენ და უარესს გიზამსო. მოკლედ, ქალსაც უფიქრია, უფიქრია და გადაუფიქრები პოლიციაში ჩივილი, მაგრამ მეზობლებში უთქვამს, თუ რამე არ ვიღონეთ, მაგისგან კარგს არაფერს უნდა ველოდეთო, დღეს მე მიქნა ასე, ხვალე თქვენ გიზამთ და ზეგ კაცსაც მოკლავს და ბინასაც გატებავსო. მეზობლებს მოუსმენიათ, რავი, ჰო, შენც მართალი ხარო, ცალყანად უთქვამთ და მეტი აღარაფერი და ამაზე ნაწყენ დარჩინილა ქალი. ნაზის თავის მხრივ უჭორავია, მე განა ჩემს შვილს ვიცავ, განა არ ვიცი რა გაოხრებულიც მყავს, მარა რაღა სულ მაგასთან მოსდის კონფლიქტი, რაღა თქვენთან არ აშავებს რამესო.

მეზობლებთან მართლა მამა-აბრამის ბატყანივით ისაწყლებდა თურმე თავს ლევანი. ვიცით, რა მავნეცაა, მაგრამ ისე თავაზიანად გვესაუბრება ხოლმე, მეტი რომ არ შეიძლებაო, უთქვამთ მეზობლებს. იმ ამბავზე კიდევ უფიქრიათ, კიდევ კარგად იქცევა ეგ ბავშვი, თავისი მშობლების ხელშიო. ის მამამისი ხომ ლოთი და ლოთია და დედა საერთოდ გიჟი ჰყავსო. გახსოვსო, უთქვამს ერთ მეზობელს მეორესთვის, ხუთი წლის ლევანი ბატყარებზე რომ მიაბა და ეგრე რომ დატოვა დილიდან-საღამოდეო? და ეგ და მამამისი რომ გააგდო ერთი კვირა სახლიდან და ნათესავთან რო ეძინათ და რაღაც რო მოუპარავს იქ ლევანის და რო გამოუგდიათ იქედანაც და ერთი ლამე ქუჩაში რო გაათენეს, ის თუ გახსოვსო, უკითხავს მეორეს მესამესთვის და განჩენიც გამოუტანიათ: სულ ნაზია დამნაშავეო, — მაგრამ მერე ირაკლის მამიდას უთქვამს, ჩემი მეგობრის ბიძის მეზობლად ცხოვრობდნენ ადრე გურამას მშობლები და ისეთი კარგი ოჯახი ჰქონდათ თავიდან, ისეთი კარგი, საღაპარაკოდ იყორ, მაგრამ მერე გურამა გალოთებულა და სახლში მტვრევა დაუწყიაო. ვიღაცებს აპყოლია და თამაშიც დაუწყიაო. ნაზი რო გაყოლია, ცოტა მომჯდარა, მარა მერე ისევ აუშვია და არც მთლად ნაზის ბრალია, ერთი კარგი დღე არ უნახავს მაგის ხელში და კიდე კარგ ჭუაზეაო.

გურამა რაზე გალოთებულა და მაგის გოგო რომ მოდის ხოლმე პირველი ცოლიდან, ის გოგო პირველი ცოლისგან კი არა, საყვარლისგან ჰყოლია და ის ქალი მომკვდარა და

იმიტომ გალოთებულაო. ნაზი სოფლელი ყოფილა, გურა-მას დეიდას გაურიგებიაო. სოფლელი ეძახე შენ და კი დაი-მონა ქმარიო, შერით უთქვაშ ლამარას. ეგეთ დამონებას რა ვუთხარი, სახლში ვერაფერი შეირჩინა და შეიძინა მაგ საცოდავმა იმ გათახსრებულის ხელშიო, უპასუხია ირაკლის მამიდას. დიდი გაოხრებული ვინმეა, ერთხელ მეც კი შემომთავაზა მაგ უნამუსომო, გამოტეხილა მერე. მერე მი-გეცა, შე კაი ადამიანო, შენც გაიხარებდი და ისიცო, გაუცი-ნიათ ქალებს. მიცემა რომ მინდოდეს, რა, მაგაზე უკეთეს კაცს ვეღარ ვნახავდიო, სწერია ირაკლის მამიდას და ამით დაუმთავრებათ საუბარი.

ლევანს კიდევ ბიჭებში უთქვამს: ახლა უარესს ვუზამო.

— მოვიდეს მერე მაგის საცვარელი და მომჭამოს ფეხე-ბი! — გაიცინა და გადააბურჯყა.

— ჩვენთან ამბობდა, პოლიციაში უნდა დაგრეეო და გა-მოსასწორებულში წაგაყვანინო, — თქვა დათომ.

— ფეხებსაც ვერ მომჭამ, გაიგე?! — დაუღრიალა ქა-ლის ფანჯრებს ლევანმა და გინებაც ზედ მიაყოლა.

— შეეშვი რა, ბიჭო, ვის გადაეკიდე, პატარა ხომ არა ხარ?! — ისეთი ტრინით უთხრა ნიკამ, უფრო წააქეზა, თუ რა იყო, უარესად ააყვირა ლევანი.

— რა წაიღე ბოლო-ბოლო ტრინი, მოკეტე რა! — გაბ-რაზდა სოსო და ხელი ჰერა მსუბუქად.

ლევანი გაჩერდა, უცბად ჩანყნარდა და აპა რა, როდემ-დე უნდა ვუთმინოო, ისე წყნარად თქვა, ვერც იფიქრებ-დიო, თუ ერთი წუთის წინათ ასე იჭაჭებოდა.

სოსო ხელკავი გამოსდო, გვერდით გაიყვნა, რაღაცე-ები ელაპარაკა და როცა ბიჭებთან დაბრუნდნენ, ვითომიც აქ არაფერიაო, დათოს დეიდის ქმრის მანქანაზე დაიწყეს ლაპარაკი.

დათო ისე ამაყად იდგა, თითქოს იმ მანქანს დღე-დღე-ზე ჩუქნიდნენ... მერე ბურთი ჩამოუტანია რომას და ფეხ-ბურთი უთამაშიათ. ლევანს ფეხის ტკივილი მოუმიზეზებია და წასულა და სწორედ მაგ დღეს მოუკლავს თურმე თინას და გაუს შავი ძალი. ნემსი ჩაუდია ძეხვში და რომ უჭამია იმ საცოდავ ძალს, უგრევე მომკევდარაო. თინას დაუნა-ხავს, როგორ აჭმევდაო ძეხვს ძალს და ქმრისთვის უთქ-ვამს, რომელიც საცემად გამოკიდებია ლევანს. იმას კიდევ უგინებია კაცისთვის და გაქცეულაო. ვაჟა გურამასთან მი-სულა, ესე და ესე გააკეთა შენმა შვილმა და სანამ მე შემო-მაკევდა, შენ ცემე, თორემ მაგრად ვარ გამნარებული, ხომ იცი, როგორ შვილივით მიყვარდა ეგ ძალიო. გურამას და-უძანია ლევანისთვის და ხელი შემოუკრავს.

პირდაპირ ბიჭებში შემოარტყაო, ყვებოდა მერე ნიკა სახლში. ისეთი ხმა ჰქონდა, ლამის შევხტით.

ლევანს ყვირილი დაუწყია და მამისევნ განეულა.

— მამისევნ გაინია, აზრზე ხარ? — უკვირდა ირაკლის, ვინც ვერ შეესწრო იმასთან.

— მერე?

— რაღა მერე, გურამას ფერი წაუვიდა. რო ჩაავლო ყუ-რებში ხელი, სულ აქეთ-იქეთ ატრიალა, მერე ძირს დაიგდო და წინები ურტყა, ძლივს გამოგლივა ვაჟამ ხელიდან.

— რა დაცენტრილების ოჯახია, რა!

— აბა, ბიჭო!

ლევანს კიდევ თურმე სულაც არ სძულდა ძალები. უბ-რალდ, იმ შავ ძალზე მოხდა ეგრევე, თორემ ყველამ იცოდა, ფეხმოტეხილი, თეთრი სპანიელის და რაღაცის

ნაჯვარი, როგორ აიყვანა სახლში, აბანავა, აჭამა და ლო-გინშიც იწვენდაო. ხანდახან ისეც ხდებოდა, გამოეკიდებო-და რომელიმე ძუკნას, ჭიტლაყს ამოსცხებდა და მერე ან-კავნკავებულს იჭერდა და გულში იხუტებდაო. მოკლედ, სულაც ვერ იტყოდა კაცი, სძულდა თუ უყვარდა ლევანს ძალებით.

დათოს ბებია, ლამარა კი ნაღდად ეჯავრებოდაო. და დათოს ხათრით კი არ იკავებდა თავს გინებისაგან, არამედ იმიტომ, რომ ეშინოდაო. თურმე სულ ერიდებოდა, არც პა-სუსს სცემდა და არც გამარჯობას უებნებოდა. ლამარა ალ-ბათ ხვდებოდაო და ჯიბრზე თუ რა იყო, ხან ხელს გადახ-ვევდა, ხან თმაზე მოეფერებოდაო. ერთხელ კიდევ თურმე (მერე სამასხარაოდ ჰქონით ეს ამბავი ბიჭებს) ლევანი რა-დაცაზე ისე დამფრთხალა, გვერდით ოთახში გასვლისაც ექიმიოდაო. არა, მშიშარა ისედაც იყო, მაგრამ მაშინ ძალი-ან შეშინებულაო (რაღაცაზე, მგონი ძილში რაღაც დაეცა, თუ რაღაცა!) და ლამარა ამდგარა და ასგრამიანი, გამოყვა-ნილი ჭიქით შარდი შეუტანიაო. სხვისი კი არა, თავისი, ბებ-რული შარდი, თბილ-თბილი და უთქვამს, დალი და შიშე-ბიც გაგიქრებაო.

— თან მავნე და რაღაც კი არ გეგონოს, მთელი კვირაა დიეტაზე ვარ, სუ დაწმენდილ-დასუფთავებულია, შენ ბედ-ზე... დაემისხა რა!

ლევანს გვერდით გაუყვანია დედამისი და: წაეთრიოს ეგ... ქალი, თორე ვაგინებო, უთქვამს.

ირკლის მამიდას კიდევ, იქნებ საკუთარი დავალევი-ნონთ, მაინც სხვისი შარდის... ფუჟ, დალევა როგორიაო, აუმრეზია ტუჩები და ლამის ცუდად გამხდარა.

— თავისი შარდი რა შუაშია, აქ მთავარია დიეტის შემ-დეგი შარდი, თორემ ეგრე ყველა შარდავს და მაშინ წამლე-ბი აღარ იქნებოდა საჭირო! რას იპრაზები, ბიჭო, მე რა, რამე კი არ მჭირს, თვითონ ესვამ ყოველ დილით სამ-ოთხ სუფრის კოგზს და შენ რა ქალაჩუნა ვინმე გამომიხვედი?!

მოკლედ, ზოგი ამბობდა, ბოლოს მაინც დაალევინაო, ზოგმა თქვა, არაო, ზოგის თქმით კი, უბრალოდ პირში ჩაუ-გუბებია, ვითომ დავლიერ, და მერე სამზარეულოს ნიუარა-ში გადმოუპურჭებიაო, მარაო, ერთი ყლუპი მაინც ჩაეყ-ლაპებოდა, არ არსებობსო.

უბისი ბიჭები ძალიან დასცინოდნენ, რაღა ამ ბეხრები-სას სვამ, დილაბით გამოგვიარე და ერთ კაი ათლიტრიან ნარევი გაგატანით ხოლმე.

ბოლოსდაბოლოს, იმდენი ულაზლანდარავებიათ, ლე-ვანი გაბრაზებულა და დაუგინია: ვინც მაგაზე კიდევ ხმა ამოილოს, იმის ასე და ისეო. ბიჭები კი გაჩერებულან, მაგ-რამ სოსოს და კოტეს უცემიათ, უცემიათ რა, წაურტყამთ, ძმობაში ეგეთი რამე რატომ თქვო, და ამაზე მორჩენილა ლაპარაკი.

თავისი უფროსი და, თუ წახევარდა, კიდევ შინიდან ვა-უგდია ერთხელ. კი არ გაუგდია, უფრო სწორად, სახლში არ შეუშვია. ისედაც სულ გაბრაზებული ელაპარაკებოდა თურმე და იმ გოგოსაც გურამასთვის უთქვამს, ეგ შენი შვილი ან გააჩერე, ან რაღაც უქენიო. ყველაფერ ამას ისიც დამატებია, რომ მეზობელები ქალს (სანტექნიკის საყვარელს) ნაზისთვის უთქვამს, შენი ბიჭი რაღაც ცუდად კიდევს შენს გერს ძუმუებზე ხელს და მიხედეო. წაზის მაგრად უცემია ლევანი, სულ რკინის ჯობით, და მაშინ უთქვამს კოტეს ლე-ვანისთვის, დედაშენი რა დამპალი ქალიაო. სულაც არ

სურდა ცუდად გაეგოო, მაგრამ ლევანის გაურტყამს, ვიზე ამბობ, ბიჭო, მაგასო, და უჩხუბიათ. ისე, უბაში ყველას-თან ნაჩეუბარი ყოფილა ლევანი, ზოგთან რატომ, ზოგთან რატომ და ალბათ ამიტომ თუ იყო, რომ ოდნავ, სულ ოდნავ გარიყული ყოფილაო. თუმცა, თვითონვე გულჩათხრობილი ბავშვი იყოო. მწარე და გესლანი ენა კი ჰქონდა, მაგრამ ცუდი გულის მაინც არ ეთქმოდაო.

ვერ და ვერ რომ მოთოვეს მშობლებმა, ოდნავ შეეშვნენო და ისიც ცოტა გამოსწორდაო. მთლად არა, მაგრამ ცოტა გამოსწორდაო, ყოველ შემთხვევაში, პოკერს აღარ თა-მაშობდა და ვალებს ალარ იღებდაო.

მაგრამ ის შიშები ვერაფრით გადაიგდოო და არც შე-ლოცვამ უშეველა და არც შარდის სმამო. და იმ დღეს პირ-დაპირ სადარბაზში, ჩამუხტული ხმამაღლა ტიროდაო და მეზობლებს შესცოდებით და ნაზისოვის უთქვამთ, ექიმ-თან წაიყვანე, იქნებ რა სჭიროს. ნაზის კიდევ: სად მაქეს მა-გის ექიმთან წასაცყანი ფული, მამა-შვილის ხელში სული შიმშილით რომ არ მხდება, არ გიკვირთო. რაც მაგან პო-კერში წააგო და ვალები დაგვადო, ხომ უუმკურნალებდიო, მაგრამ ეხლა ეგდოს ეგრე და ღამე ჩაისველოს ხოლმე ამხე-ლა ბიჭმა და უბანშიც რომ გაუგებენ და დასცინებენ, მერე წახოს.

და სანამ გაუგებდნენ და დასცინებდნენ, თვითონ დას-ცინოდა ყველას — შენ ასეთი ხარ, შენ ისეთი. ბიჭები გეს-ლას ეძახდნენ და ერიდებოდნენ მაგის ყბაში ჩავარდნასო.

როცა ერთად მიდიან სადმე კიდევ, ისე გამომწვევად იქ-ცევა, ერთი-ორჯერ მაგის გულისოვის კინალმ სხვებმაც შარი აიკიდესო. ან იმ დღეს რა ყოფილა, მეტროში, იმდენი ხალხის თვალწინ, კონტროლიორი ქალის ფეხებთან რომ გადააშურტყა, — ლამის დაუჭერიათ ეგეც და ბიჭებიც. კი-დევ კარგი, ვერ მიუსწრია იმ ვილაცა დიდთავა პოლიცი-ელს, თორემ მაგ საცოდავებს კი წაარტყამდნენ ერთი-ორს და იქნებ პოკერის ვალი მონაგონი ყოფილიყოო!?

მერე ლევანი ყვებოდაო: — მთელი ხალხი მე მიყურებდა გაოცებული, ეს ვინ არის, რაებს ბედავსო. ბიჭები კიდევ, მაგრად დაშინდნენ, ისე დაშინდნენ, ერთმანეთს ასწრებდ-ნენ ესკალატორზე შედგომას და სულ სირბილით ჩავიდნენ კიბეებზეო. მერე კიდევ, სოსოს ვილაც ძალისოვის ადგი-ლი დაუთმია. ლევანის თქმით, შეეშინდა და იმიტომ დაუთ-მოო: მაგან იფიქრა, მე რომ იმ ქალს ვაგინე, ვაიმე დაგვიჭე-რენო, და იმიტომ ადგაო. ისეთი სასაცილო შესახედაობა ჰქონდაო, ისეთი დამტორთხალი და დაბნებული, შეგეცოდე-ბოდაო. და ბიჭებიც მიმხვდარან, რომ სოსოს შეეშინდა და არაფერი უთქვამთ. მერე კი ალბათ სულაც დაავინუდებო-დათო.

ირაკლი

ქუქუ მოდის, ქუქუ! — დაიყვირა სოსომ და ყველანი აყ-ვნენ: ძუუუ... ძუუუ! ირაკლი სწრაფად მიუახლოვდა მათ და ყველაზე ახლოს მდგომს მხრით მიეჯახა, მაგრამ სხვები არ გაჩერებულან, ისევ ისე ხარხარებდნენ და დასცინოდნენ. ჰა, ბიჭო, ჯიბე გახვრეტილი გაქეს? — ჰკითხა სოსომ და ხელები გაუკავა: მოდი, მოდი, ამოუტრიალეთ, წახეთ! და-ვიგინები, გახვრეტილი ექნება!

— წადი რა!

— რა ამლვრეული თვალები გაქეს, რა არის, თავს იკ-ლავ? — არ ეშვებოდა სოსო.

— ვის ეუბნები, ბიჭო, ძალებს მაინც არ ვუთმობ ად-გილი! — გაფიცხდა ირაკლი და ბრაზიანად გადააპურტყა.

სოსო უცბად შეიცვალა, მუხლი მიარტყა და გაჩუმება მოუნდომა, მაგრამ ახლა ირაკლის მიეცა სამაცევეროს გა-დახდის საშუალება და უარესად დაიქოქა: ჰა, აგვ ბიჭო, უბ-ნის ინსპექტორი მოდის, მიდი, ხალიჩები დაუგე!

ბიჭები ახლა ირაკლის აყვნენ და იმ ამბის გაფორმება დაინტეს, თუ როგორ დაუთმო სოსომ პოლიციელს მეტრო-ში ადგილი. სოსო არ ბრაზიბდა იცინოდა და ერთსა და იმა-ვეს იმეორებდა — ეგრე არ იყო, ეგრე არ იყოო. ირაკლი ხმას აღარ იღებდა ქვეშიდან ასცექეროდა სოსოს აკვირდე-ბოდა და ფიქრობდა.

როგორც კი ლიფი გაიხადა, ტელეფონმაც დარეკა. ქალმა აიღო და ამისგან ზურგით დადგა. ზურგიდანაც მსუ-ქანი ჩანდა, თირკმელებთან ხორცი მოფომფლოვებული და ნაკეცებანი იყო. კარგად ვერ ხედავდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ძუძუებს შორის, ჩალრმავებულ ადგილას ისრესდა ქა-ლი. მერე მობრუნდა, იცინოდა, ისე იცინოდა ჩამონეული მერდი უთახთახებდა, ამან უფრო გააღიზიანა ირაკლი და ჭოგრიტი მარცხენა ხელში გადაიტანა.

როცა ეზოში ხვდებოდა ქალს, თვალს არიდებდა და ისე ესალმებოდა და მეტი არაერო. თუმც არა, ერთხელ, ორი ნლის წინათ, ზევიდან დაუძახა, ფული გადაუგდო და პური ამოატანინა.

ირაკლიმ წუნუნით აუტანა პური და როცა ქალმა კარე-ბი გაულო, სწორედ მაშინ დაუნახა პირველად მოშიშვლე-ბული მერდი. ქალს ხალთი ეცვა, ნაუცბათევად შეეკრა და სანახევროდ უჩანდა ორივე ძუძუ და მათ ხორის დაკი-დებული ზოდიაქს რომელილაცა ნიშანი. ირაკლიმ უკვე იციდა მაშინ, რომ ქალთან ვილაც სანტექნიკოსი დადიოდა, მაგრამ ამაზე მხოლოდ სხვა ბიჭებივით იცინოდა და ჭორა-ობდა, იმ დღიდან კი უკვე სხვანაირად დაინტე ფიქრი. ქალი სულ მცირე სამჯერ დიდი იყო, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა ირაკლის, ლამღამბით მასზე ეფიქრა. ის სანტექნიკოსი, ჭუჭყიანშარვლიანი, მარადგაუპარსავი კაცი სტულდა და გულში იმდენად ეცოდებოდა ქალი, ერთხელ წერილიც კი დაუერერა, რომელშიც სთხოვდა, ოლონდ მაგ სუნიანს და-შორდი და რაზეც გინდა გაგეეგზავნები ხოლმე და ვისთანაც გინდა იმასთან იცხოვრეო. თუმცა ეს წერილი საბოლოოდ მაინც დახია. არა, კი გაურჭო ქალის კარებს, მაგრამ მერე თავადვე ამოაძრო, დახია და გადაყარა. მაშინ, როცა პური აუტან და ქალმა გაულო, ბინიდან ისეთი სუნი გამოვარდა, რომლის მაგვარი მანამდე არსად გაეგო. ეს იყო წინდების, საჭმლის და რაღაცა მესამის ნარევა. მოუხედავად იმისა, რომ სუნი აშეარა დაიმეტ და აუტანელი იყო, მაინც ესია-მოვნა. იმ მესამის სუნი თითქმის წელიწადნახევარი გაურკ-ვეველი დარჩა ირაკლისთვის, სანამ ერთ მშვენიერ დღეს, საპირფარეშოში არ იპოვა. იპოვა და მას შემდეგ, ჭოგრიტ-მომარჯვებული ისე ხშირად შეიგრძნობდა ხოლმე ამ სუნს, სიარული უჭირდა. და თუმცა დათოს მოძღვარს უთქვამს, ჩუეკნობა ზურგის ტვინს ათხელებს და ვონებრივიად აჩ-ლუნგებს ადამიანს, ამას სულაც არ შეუშლია ხელი, კარ-გად დაემახსოვრებინა დახრილი რუსულის მასწავლებლის ულიფო მკერდი და მერე ოთხჯერ გაეხსენებინა. როცა ეს

პირველად ნიკას გაანდო, ბიჭმა მოუსმინა და თვითონაც გამოუტყდა, რომ ერთ საერთო ნაცნობ გოგოს ისიც „იხსენებდა“ ხოლმე, მაგრამ ორი დღის მერე, უკვე უბანში გამოსულს „ძუძუს“ ძახილით დახვდნენ ბიჭები. მერეც, როცა უნდოდათ გაებრაზებინათ, გაახედებდნენ ვინმე გამვლელ ქალისკენ და: ჰა, მიდი, ირა, მასალა აიღე, მასალაო, – დასცინოდნენ.

ირაკლი ბიჭებზე მეტად თავის თავზე ბრაზობდა. ჯერ ერთი, რამ მათქმევინაო, მერე კი მართლა ამდენჯერ ამის კეთება უკვე ავადმყოფობააო, თუმცა მობნელდებოდა თუ არა, ის ქალი იხდიდა და ირაკლიც სურვილს წინ ვერ უდებოდა.

კოსტა დასცინოდა, წაგიყვანი ქალთან, მაგრამ შემოგავდება, შე საცოდავოო. შენ წამიყვანე და არ მოველავო, ვითომ ხუმრობდა ესეც. წაგიყვან, ერთი ათი ლარი ისესხე, ათსაც მე ვიშვი და ერთ პუტანას ვიცნობ, დაგაგუებულსო, პირდებოდა კოსტა. ორი თვით უმცროსი იყო ირაკლიზე, მაგრამ უკვე სამი წელი გადიოდა, რაც „სისხლი გაუმყარდა.“

რანაირად ხდება და, გემოს რომ გაუგებ, თითქს არა-ფერიაო, მარა მაინც რაღაცნაირად გრძნობ, როგორ გიმყარდება ძარღვებში სისხლი, ძღლებიც გიმაგრდება თითქს და, საერთოდ, ტყუილად არ ჰქვია დავაუკაცება, ერთ წელში იცვლებიო, ამბობდა კოსტა.

მერე, როცა მართლა წაიყვანა იმ პუტანკასთან, შინდაბრუნებული სარკეში ტანს ითვალიერებდა, შევიცვალე თუ ისევ ისეთი დავრჩიონ. და, თუმცა მთელ უბანში ყვებოდა კოსტა, როგორ გამოაგდო ქსლმა ირაკლი გარეთ, მაგას რა გააძლობსო, და თავიდან როგორ გააშაყირა და ძმრიანი წინდები როგორ ჩააცვა. მაინც უზომობ მადლობელი იყო მისი და სულაც არ სწინდა, სამასხროდ რომ გაუხდა საქმე.

ახლა უკვე ადრინდელივით კი არ ელდაბუცებოდა კლასელ გოგოებს და ვითომ შემთხვევით კი აღარ ავლებდა ძუძუებზე ხელს, ან მეტროშიც, გაჭედილ ვაგონში კი აღარ ეხახუნ-ეწებებოდა ქალებს სერიოზული, უფრო სწორად (ვითომ) შეწუბებული სახით, არამედ გამოცდილი თვალით ჩა(ე)ყურებოდა ნათესავი ქალის მოლივებულ მკერდში და ნაგროვები ფულით გაკვალულ (პუტანკა) მინდოოზე ნაყრდებოდა.

— იმას მაინც, იმას... მაგის ჯინი მჭირსო, — ამბობდა ხოლმე ბიჭებში სანტექნიკოსის საყვარელზე, და ისინიც თუმცა „ჩუკუნას“ ეძახდნენ კიდევ, მაინც ანგარძებანეულად ეკითხებოდნენ — რა ნახე მაგ ბებერში ესეთი, რო ვერ ეშვებიო.

უბანში სამნი იყვნენ ქალთან ნამყოფი, კოსტა, სოსო და თვითონ. ყველაზე ადრე სოსო „დავაუკაცდა“, თუმცა ეს მხოლოდ მოგვიანებით გაიგეს, როცა მეზობელი, გათხოვილი ქალის ბინიდან რაღაც წამით გამორჩდა წელს ზევით შიშველი ბიჭი. თავიდან ბევრს იფიცებოდა სოსო, ავეჯს ვა-ნევინებდიო, მაგრამ ვინდა დაუჯერებდა, და ასე გაირკვა, რომ უკვე ცოდნია „მისამართის მიგნება“ სოსოს. მერე კოსტა წაიყვანა ბიძამისმა თავისი საყვარლის დაქალთან თუ დასთან და ლამის თორმეტ საათზე მობრუნებული ბიჭი გა-ხარებული უყვებოდა თვალების ფშვნეტით გამოსულ, ნამდინარე სოსოს, რამდენჯერ მოასწრო ორ საათში. მერე, როცა ირაკლი თვითონ წაიყვანა, ბიჭებში ამბობდა, ეს ისეთია, სანამ იმ ქალთან შევიდა, ერთი-ორჯერ ნაღდად ჩა-მოკრავდაო.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ცოტა დაწყნარდა, მაგრამ სინამდვილეში უფრო გაუმდაფრდა სურვილი ირაკლის. ტოტალიზატორში არ ვაგებ იმდენ ფულს, რასაც ეგ პუტანკებში ხარჯავსო, იცინოდა ნიკა და მართალიც იყო: ხან სკოლის ფონდის ფულს იმიზეზებდა, ხან ექსკურსიებს, ხან დაბადებს დღეებს და ხანაც წიგნებს, რომ ფული დაეტყუა მამისთვის და „იმ ქალთან“ წასულიყო. მამაც ფულს დაუკავებდა? — ოღონდ მაგან ქალებში იაროს და მთხოვოს, რამდენიც უნდაო, ფიქრობდა. ხვდებოდა, აბა რა, რას გამოაპარებდა თხუთმეტი წლის ბიჭი ამხელა კაცს, თუმცა, სანამ სჯეროდა, ვატყუებო, ასე აგრძელებდა, მერე კი...

დაგაუქაცდა, მაგრამ თვალთვალსა და მიყურადებას ვერ გადაეჩვია და ერთი თვისება გამოიერეთა — ქვეშ-ქვეშა იყო. ბიჭებიც ეუბნებიდნენ ამას და თავისიანებიც. „იმ ქალის“ აზრით: შენი ზოდიაქოს ბრალია, ეგეთი რომ ხარ, მაგ თვეში დაბადებულები ხახევარზე მეტი შენნაირი გველაძუები არიანო. ამიტომ თუ იყო, რომ, ჯერ ერთი, ასეთ პატარას ვერაფერს გამოაპარებდი, მეორეც, მოატყუებდი და ისეთს გიზამდა — გაგამნარებდა. არ გეჩიუბებოდა, მაგრამ ისე შემპარავად მიიტანდა ენას, ან ისე გააღვივებდა შუდლს, პასუხს ვერ მოთხოვდი. ერთხელ კი ისე აჩხუბა სოსო და ლევანი, ლამის ერთმანეთი დაახოცინა, ბოლოს კი ისევ თვითონ გაშველა, შეარიგა და მადლობელიც დატოვა; მაგრამ სოსო პირში ეუბნებოდა ამის მერეც, მაგარი ახვარი ბიჭი ხარ და არ იმჩნევო. და ძუძუს დაძახებასაც მარტო ისა და კოსტა უბედავდნენ. ამიტომ ესეც სულ იმის ცდაში იყო, რამე ხინჯი გაეგო სოსოზე, რომ უბანში ეთქვა და ბიჭები აელაპარაკებინა. და იმ დღეს, მეტროში ადგილი რომ დაუთმო იმ პოლიციელს, ამაზე კარგი ხომ რაღა უნდა ყოფილიყო. მაგრამ სოსო არ აჲყვა და სხვების სიცილზე თვითონაც გაიცინა. მარტო იმას იძახდა, ეგრე არ იყო, ეგრე არ იყო. ირაკლის ხმა არ ამოულია მაშინ, ქვეშიდან შეაცექერდა, აკვირდებოდა და თავისთვის ფიქრობდა.

ბიჭებმა კი თქვეს, ეგ დაცენტრილია და იმიტომ დაუთმო ადგილი, ან სულაც წაეკაიფებოდაო. მაგრამ ირაკლის არ სჯეროდა, რომ ასე მარტივად იყო საქმე.

ნაღდად „ნასედეკაო“, სჯიდა თავისთვის. კაკრას, იმ დღეს რომ ბაზრობაზე დაიჭირა იმ ძალმა, ხო ეგრევე გამოუშვა და ნაღდად შეეკრა და იმიტომაც დაუთმო ადგილი, ფიქრობდა დაბლვერილი, ქვეშიდან აკვირდებოდა სოსოს და ნიკას ისრესდა.

რომა

— Сколько раз говорила-зубнуюю пасту выдавите сини! не помните что-ли?

— ნეტა რა მნიშვნელობა აქვს? — ჩაიბურტყუნა რომამ და ხელების დასაბანად შევიდა.

— Раз говорю значит-имеет!

რომა აღარ შეეპასუხა, ხელები დაიპანა და ფანჯრიდან ყურება დაიწყო.

— Ну, сядь! Вместе покушаем, а то, мне надоела каждую минуту мыть посуду.

რომამ ჩქარ-ჩქარა შეჭამა, წამოხტა და კედების ჩაცმა დაიწყო.

— Ома поды подными 4 хлеба!

— ოოო, ფეხბურთის სათამაშოდ მივდივარ რა, დედა!

— **Подными и потом хорошо?**

რომამ ბურტყუნით გაიხურა კარი, ჯაჯლანით ჩაიარა კიბეები, სწრაფად იყიდა პური და სახლში აპრუნდა. ეგრე- ვე დაყარა მაგიდაზე და გამოტრიალდა.

დედამ კიდევ რაღაც უთხრა, მაგრამ რომას აღარ გაუ- გია ბოლო სიტყვები, კარი გაიჯახუ- ნა და წავიდა.

მამის დაუინებით, ქართულ სკო- ლაში დადიოდა, მაგრამ ეს სულაც არ უშლიდათ ბიჭებს ხელს, დაეცი- ნათ, შე რუსო. არადა, რუსი არ იყო, მამა უკრაინელი კაპენეკო ჰყავ- და, დედაც ნახევრად უკრაინელი, ნახევრად პოლონელი. მამა თბილის- ში დაბადებულ-გაზრდილი გახლ- დათ, დედა — კიეველი. როცა კაცი სამხედრო განანილებით კიევში მოხვდა, კარგად წაუვიდა საქმე და ცოლი სამხედრო ვალდებულების მოხდამდე ორი თვით ადრე მოიყვა- ნა. როცა საქართველოში ჩამოვიდ- ნენ, ხალხს პირი ლია რჩებოდა ლე- ნას სილამაზით.

ქალი ძნელად შეეგუა აქაურ ყო- ფას, სულ სხვა წესები, სულ სხვა აზ- როვნება. ქართული კი ვერ (თუ არ) ისწავლა და ოჯახშიც რუსულად ან უკრაინულად ლაპარაკობდნენ. როი ბავშვის გაჩენის მიუხედავად, ისე- თივე მომხიბულელი დარჩა კი არა და უფრო ეშეიანიც გახდა და როცა სკოლაში მოდიოდა რომასთან, ბიჭი გრძნობდა, როგორი თვალებით უყურებდნენ უფროსელასელები და მუდამ ეზოში მდგარი ფიზიულტუ- რის მასწავლებელი ქალს. რომა ცდილობდა დედის გვერდით არ გა- ევლო, რადგან მათეენ მომართული ასეთი მზერის ეშინოდა.

— უთხარი, ნუ იქრასკება! — ეუბნებოდა მამას, კაცი კი თავისი წა- მოარტყამდა და ტელევიზორს უყუ- რებდა ხოლმე.

გაბაზზებული, რაკი დედაჩემს უყურებენ, მეც სხვისას შევხედავო, გაიფიქრებდა და სხვა მშობლებს აკვირდებო- და, მაგრამ სინგტერესო შესახედავი იქ არავინ იყო, ერთმა- ნეთზე უშნო, დედის ასაკის და „ოჯახის ქალის“ შესახედა- ობის ქალების გარდა.

არადა, იცოდა, რომ მისი არყოფნისას, კლასელი ბიჭები დედამისზე რამეს იტყოდნენ. და ამიტომ თუ იყო, კარგად რომ ცდილობდა ესწავლა, რადგან თუ კარგად ისწავლიდა, მშობელს აღარ დაიბარებდნენ (ყოველ შემთხვევაში, კრე- ბამდე მაინც!) და ბიჭებსაც სალაპარაკო აღარ ექნებოდათ.

შარმან ლენა ექსკურსიაზეც წაჟყვარომას და რაც ყვე- ლაზე საშინელი იყო: მოკლეზე მოკლე შორტები, ამოდებუ- ლი მაისური და ბოტასები ჩაიცვა, მოკლედ, თვითონაც

სკოლის მოსწავლეს დაემსგავსა. რომამ, გაიგო თუ არა, დედაჩემიც მოდისო, ვირზე შეჯდა და აღარ მინდა წასვლა, გადავიფიქრეო, აიჩემა, მაგრამ ლენამ თავისი გაიტანა და ვითომჩაძინებული რომა დილის შვიდ საათზე წამოაგდო ზეზე.

კლასელი ბიჭები, სხვა დროს რომ უკან სხდებოდნენ ხოლმე, დამრიგებლის თვალს დავვე- მალებითო, ახლა წინა სკამებზე გა- მოჭიმულყვნენ და მძღოლის გვერ- დით მჯდარ ლენას (წელი უჩანდა და თეთრი საცვალის პატარა წანი- ლი) უყურებდნენ. რომა ჯინაზე უკან წავიდა, იქნებ სხვებიც წამყვ- ნენ, მაგრამ ამაოდ, — აქეთობისა- საც და იქედანაც, გოგოებში ჯდო- მამ მოუწია.

რანაირად უნდა ეთქვა დედისთ- ვის, დედა, გასწორდი, ტრუსიკი და წელი გოჩანსო, თორემ ეტყოდა და „იმ დამბლების თვალსაც“ არიდებდა.

ცალკე მძღოლი ეკურკურებოდა ქალს, რომელიც მხიარულად პასუ- ხობდა ყოველ კიოხვას და მთელი გზა კისკისებდა. მერე, როცა მამამ ვითომხეუმრობით ჰკითხა, როგორ იქცეოდა დედა, ხომ არავინ ეარში- ყებოდაო, რომამ სმწარ-სიძრაზით ჩაიცინა და ხმა ველარ ამოილო ყელ- ში ბურთმოწოლობამ. ექსკურსიაზე კი რომას გარდა ვოგოებიც იბოლმე- ბოდნენ, რადგან ექსკურსია იმტო- მაა კარგი, რომ თავისუფლად შეიძ- ლება მოფარებულ ადგილას ყუ- რადღება მიიპყრო. ახლა კი მთელი ეს ყურადღება „ვიღაც მშობელს“ მიჰყონდა. ქალმა ერთი თქვა, ჰერ- ბარიუმისთვის მინდა ყვავილებიო, რომ მოშიებული თხებივით შეცვი- დნენ მინდორში ბიჭები და იმდენი ყვავილი მოიტანეს, ორ ძროხას მთე- ლი ზამთარი შეინახავდა.

— ბიჭო, ჰერბლაიუმი რა არის? — ჰკითხა მაშინ ერთმა კლასელმა რომას. ამან კი ისეთი აგდებით თქვა, ერთი უაზრო ცანკა- რული რაღაც ბოთლიაო, ეგონა, ეგაა და ყველა ხელს ჩაიქ- ნევს ყვავილების კრეფვაზე.

გოგოების გარდა კი სხვა მშობლებიც ჩურჩულებდნენ რაღაც-რაღაც ცეცხლს ლენაზე, კარგი ტანი აქვსო, რა ლამა- ზად გამოიყურებაო, ეგრე რომ მეც ყუვლიდე თავსო, ვინ იტყვის, რომ ორი შვილი ჰყავს, გასათხოვარი ვოგოსავით არისო და ა.შ. მაგრამ ყველას ტექსტი მაინც ერთი შენიშვ- ნით მთავრდებოდა: მარა ამდენი წელია აქ ცხოვრობს და ქართული უნდა იცოდეს, კი, კი, ნამდვილად უნდა იცოდეს; უნდა იცოდეს კი არა, ნამდვილად უნდა იცოდესო...

მაგრამ როცა ბაზალეთის ტბაზე საცურაო კოსტუმით იბანავა ლენამ, ყველაფერს წერტილი დაესვა. მშობელთა წანილი არც ჩასულა წყალში, ჩრდილიდან უყურებდა თა-



მხატვარი მალხაზ იაშვილი

ვის შვილს, ნაწილმა უბრალოდ ფეხი ჩაპყო, ნაწილმა კი (უფრო გაბედულმა) იპანავა, მაგრამ კაბით. ხოლო როცა ლენამ შორტები და მაისური გაიხადა და ასე გაიარა მთელი ოცი მეტრი ავტობუსიდან ტბამდე, აქ ყველანი აღმფოთდნენ. თვით შედარებით მდუმარე ბიოლოგის მასნავლებელმაც კი ველარ დამალა გაბრაზება და ფორმა რომ მოეძებნა ამ გაბრაზებისათვის, ასე გამოთქვა: ამას აქ რუსეთი ხომ არა ჰგონია, ნეტა, ჰა?

რომა კი სუნილად იდგა ავტობუსთან და დედამისზე მოჭორავე ქალებს უგდებდა ყურს. და ის ექსურსიაც ჩაშხამდა და მერე ურეკმი გატარებული ათი დღეც.

ერთხელ, ბავშვობაში, ვიღაც თანატოლმა უთხრა, რა ლამაზი დედა გყავს, ნეტავი მეც ეგეთი მყავდესო, და რომასაც გაუხსარდა მაშინ. ახლა კი უყურებდა დედამისს და: ნეტა მალე დაბერდე, ნეტა მალე დაუშნოვდეო, — ფიქრიმდა.

მაგრამ მთავარი პრობლება, რაც რომას აწუხებდა, არაქართველობა იყო. რაც თავი ახსოვდა, იქედან მოყოლებული, სულ იმას გრძნობდა, რომ ისეთივე არაა, როგორც ყველა. უბანში იყო, სკოლაში თუ ფეხბურთზე, ყველგან ოდნავ უკან დგებოდა. არა იმიტომ, რომ პირველობა არ უყვარდა, უბრალოდ, ის „რუსი“ იყო!

როცა ეზოში ჩავიდა, ბიჭები ბურთს ბერავდნენ. ეგრევე გაანაილეს რომა ერთ-ერთ გუნდში და თამაში დაიწყეს. თამაშის მერე მსოფლიო ჩემპიონატზე ჩამოაგდეს საუბარი.

— აა, გამოაგდეს რუსეთი, ბიჭო? — ჰკითხა ლევანმა.

— მერე მე რა?

— რა რა? ახლა არა თქვა, არ ვბალეშიკობდიო, რა?!

— რატომ უნდა მებალეშიკა?

— იმიტომ, რომ რუსი ხარ!

— წადი რა!

— რა რა? თორე ეხლა საქართველო-რუსეთის შესარჩევზე რუსეთს არ უბალეშიკებ?

— რატომ უნდა ვუბალეშიკო? ჯერ ერთი, რუსი არა ვარ, უკრაინელი ვარ, მეორეც — რუსები მეჯავრებიან!

— რა მნიშვნელობა აქვს, რუსი ხარ თუ უკრაინელი?

— როგორ რა მნიშვნელობა აქვს? რო გითხრა, სომეხი და ქართველი ერთიანი, გესიამოვნება?

— ვერ მტეყვი!

— რატომ ვერ გეტყვი?

— იმიტომ, რომ არანაირად არ ვვავარ სომეხს.

— აბა, ერთი რუსს ჰკითხე, თუ გარჩევთ ერთმანეთისაგან.

— რუსების დედაც!..

აქ კოსტა ჩაება საუბარში და: ალიონასთან ალარ ჩადისარო, ჰკითხა.

— ფეხებზე არა მკიდია ალიონა? — გაცხარდა რომა და განითლდა.

— აა! ეე! რას განითლდი, ბიჭო?! მერე რა, რო რუსია, სამაგიეროდ, რა ნაშაა! — უკბინა კოსტამ და გაიღრიჭა.

— მერე მე რა? — უარესად განითლდა რომა და თვალი გააპარა გოგოს ფანჯრებისკენ.

სინამდვილეში კიდევ მოსწონდა, მოსწონდა კი არა — უყვარდა, რაც გადმოვიდა, მას მერე უყვარდა, მაგრამ ვერავისთან ამბობდა.

თავდაპირველად გოგოს ორი წლით უმცროსი ძმა სცემა, მაგრამ მერე, შერიგების ნიშნად, ბიჭმა და გააცნო და მას მერე, უბანში ჩამოსვლას უკლო რომამ. მთელი დღე ფანჯრიდან იყურებოდა, თუ ალიონა გამოიხედავდა, გა-

დასძახებდა, ამოდიო, და თვითონვე ჩადიოდა. გოგოს სახლში არ შეჰყავდა, მაგრამ სადარბაზოში ან საერთო აივანზე ისხდნენ და ლაპარაკობდნენ. ერთხელ ბიჭებმა ქვევიდან დაინახეს და ყვირილი ატეხეს. რომას საშინლად შერცვა მაშინ და თავისი გამართლების მიზნით ისლა მოიგონა, კი არ მომწონს — ვეჩალიჩებიო. ბიჭებმა უარესად დასციონეს — სად შენ და სად ჩალიჩი, ნეტა რამის თავი მაინც გქონდესო. ამან სულ გაამზარა რომა და იმ დღიდან მოყოლებული, თუკი ჩავიდოდა ალიონასთან, ისე ჯდებოდა აივანზე, დაბლიდნ რომ არ დაენახათ. ეს თვითონ ეგონა ასე — დაბლიდან ვერ მხედავენო, თორემ ბიჭების თვალს რა გამოეპარებოდა?!

ალიონა კი, თავის მხრივ, ბიჭებზე ელაპარაკებოდა. ნახევარზე მეტს აძაგებდა, უზრდელები და ვირები არიანო, ამბობდა, მაგრამ რომა მაინც ხვდებოდა, რომ ამ სიძულვილს მიღმა ერთი ვინმესადმი სიმპათიები იმალებოდა. ეს ერთი ვინმე სოსო იყო და ერთხელ, როცა გოგო გამოტყდა, მართლა მომწონს, დასამალი რა არისო, სიმწრით ჩაიცინა და ვითომ სხვათაშორის მოუყვა სოსოს და ნესის სიყვარულის შესახებ. ალიონა მშვიდად შეხვდა ამ ამბავს: მერე რა, ყურადღებას არც აქამდე მაქცევდა და არც ანი მაქვს იმედი, უბრალოდ მომწონსო, თქვა და სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი, მაგრამ ეს სრულიად საკმარისი აღმიჩნდა იმისთვის, რომ რომა გოგოსთან ალარ ჩასულიყო. მერე კი, როგორდაც გადაიტანა ერთკვირანი მძიმე დანოლა ბიჭებისაგან: აა, ნახე შენი სისხლის გოგო და იმიტომ ალარ ჩამოდიოდი, და ყველაფერი ძეველებურად წავიდა.

— უუ, რას მივაჯდებოდა! — კბილები არც დაუცილებია ერთმანეთისთვის, ისე თქვა ირაკლიმ და მთელი ტანით გააკეთა იმის იმიტირება, თუ როგორ მიაჯდებოდა.

— რა ძუძუ აქვს, ჰა? — თქვა კოსტამ და მანაც გაიხედა ალიონას ფანჯრებისაკენ.

— რუსებს ვაფშე მაგარი ქალები ჰყავთ, არა! — დაუდასტურა სოსომ, პაუზა გააკეთა და — რომა, ლენა დეიდაც რუსია, არა?

რომა გაბრაზდა, მიუხვდა ქვეტექსტს, მაგრამ ვერაფრით მოედავებოდა და ძლივას ამოთქვა: არა, უკრაინელი... და პოლონელიც!

— ისე, პოლონელებსაც და უკრაინელებსაც ლამაზი ქალები ჰყავთ, ლამაზი ხალხია! — ისეთი ტონით თქვა სოსომ, თითქოს რომას მხარე დაიჭირაო, მაგრამ ამ სიტყვებმა მაინც უხერხელი სიჩუმე ჩამოაგდო ბიჭებში, ნიკამ კი სულაც ჩაიფრუტუნა.

— რა ვიცა, რომა კი მაიმუნსა ჰკითხა და... — გაიცინა დათომ და გვერდით გაბურჭვა.

რომას თავში ნამოარტყა, მაგრამ ამ სიტყვებისთვის მაინც კმაყოფილი იყო. ეს სიტყვები რომ არა, ის ერთი ნამი, ზედმეტი ნამი, კიდევ იდგებოდა სიჩუმე. რომელიც რომას ამიტორებდა. მაგრამ დათომ რომაც იხსნა, სოსოც და ბიჭებიც.

თავის მხრივ, სოსომაც წაუმატა დათოს და: შენ ხომყევხარ რა ანგელოზიო, უთხრა სიცილით.

და ისე უცბათ შეიცვალა საუბრის თემა, ვერავინ შეამწნია. რომა უკვე გრძნობამორეული ენაძლევებოდა ლევანს, ნახე თუ იტალია არ გახდეს ჩემპიონიო, რომ ლენამ დაიძახა ზევიდან:

— Рома поднимись!

ყველაზე ბოლოს რომამ ახედა საკუთარ ფანჯრებს.

სოსო

ა) — რით ვერ გადახერხა ამ დეგენერატმაო, ისე ხმა-მალლა ჩამჩურჩულა კოსტამ, გვერდით მსხდომებმაც ჩვენ გამოგვხედეს. მე ფრუტუნი დავიწყე და სიცილი რომ შემე-კავებინა, თითები ლამის დავიჭამე. ის „ბაბოჩკიანი“ მევიო-ლინე კი ისე მონდომებით უკრავდა, ნამით შეგეცოდებოდა კიდეც. დაკვრას რომ მორჩა, ბებერი ქალი მომიბრუნდა და: შენ იქ ხომ არ გონია თავიო, — მკითხა. სად იქ, ქალბატო-ნო-მეთქი? შევებრუნე კითხვა. სად იქ კი არა, ეს კონსერ-ვატორია და არა რაღაც ისაო, ამისხა და ისევ ამყად მიტრიალდა, ველარაფერი ვუპასუხე. კოსტამ თვალით მა-ნიშნა, რა უნდაო, და: რა ვიცი, ვერ არის ეს ხალხი-მეთქი, ხმამალლა ვუპასუხე. ქალმა ისე დაიჭირა თავი, ვითომ ვერ გავიგეო და მე ჯინაზე უფრო ავხმაურდი, სკამზე წრიალი დავიწყე და ახლა იმ გოგოს დავუწყე დაცინვა, კლავიშებზე რომ დაარბენინებდა თითებს და საცოდავად იყლავენებო-და. ის ქალი ზედაც არ მიყურებდა, თვალმოუშორებლივ მიტტერებოდა ერთ წერტილს და უსმენდა. უცხათ, შვილიშ-ვილი, ჩემზე ოთხი-ხუთი წლით პატარა გოგო მიუბრუნდა და ჰქითხა: ბებო, რას უკრავს? — ქალმა წარბეპით ანიშნა ჩემსკენ და ტუჩმობრეცილმა უჩურჩულა: მაგას აქვს პროგრამა და არ ვიცო. გოგომ გადმომხედა, მერე პროგ-რამას დახედა და მიტრიალდა.

როცა დარბაზში შემოვედით, სადაც მე დავჯექი, იქ იდო ეს პროგრამა. ყოველი შემთხვევისათვის მაინც ავიღე და სანამ ის ქალბატონი გამიბრაზდებოდა, ერთი-ორჯერ ვათხოვე კიდეც. ახლა კი, რაკი ასე ვთქვათ, კამათი მოგვი-ვიდა, სიამაყით ალარ მთხოვდა.

მე ერთი-ორი წამით დავაკვირდი ქალს და სწორედ მაშინ გამიელვა პირველად მაგ აზრმა, თითქმის ისე, როგორც მა-შინ — მეტროში. ჰოდა, მხარზე დავუკაუნე. ნეტავ გენახათ, რომ მობრუნდა, რა სახე ჰქონდა, — ისე მიყურებდა, ლამის გადავიფიქრე, მაგრამ იმიტომ ალარ გადავიფიქრე, რომ ასე-თი გამოხედვის თავიდან ასაცილებლად და თავის გასამარ-თლებლად უუთხარი: ინებეთ, აი, წაიკითხეთ.

ჯერ ვერ მიმიხვდა, დაიბანა. მერე შვილიშვილს გადახე-და, ისევ მე გადმომხედა და გაბრნებინებული სახით გამო-მართვა. ისე ეჭირა ის ფურცელი, თითქს რამე ძვირფასი ყოფილიყოს. მერე რაღაცნაირად აცმუკდა, მომიტრიალდა და: მოგნონს მაგისი დაკრულიო, მკითხა.

— რა ვიცი, აბა, რავი! ჴო რა, ალბათ, ჴო, კი! — ავბლუ-ყუნდი მეც და ვიგრძენი, რომ გავწითლდი.

— ჴო, ცუდად არ უკრავს, მაგრამ მესამე კურსელია და... ისე მოცარტს უფრო მსუბუქად და ოდნავ სევდიანად რომ უკრავდეს, აჯობებდა, არა?

მე მხრები ავიჩეჩე და შემრცხევა, რომ მოცარტი მხო-ლოდ გამეგონა და სხვა მხრივ წარმოდგენა არ მქონდაა მაგ კაცზე.

ქალმა დამიბრუნა პროგრამა და, გმადლობო, ოდნავ დამიკრა თავი. მე ვერ ვუთხარი, დაიტოვეთ-მეთქი, რადგან შემრცხევა, რომ გამომჟღავნდებოდა ჩემი მუსიკალური უვიცობა.

აქედან მოყოლებული ისე ვიჯექი და ვუსმენდი, ლამის მართლა მომწონდა.

ბოლოს როგორც იქნა გამოვიდა კოსტას დეიდაშვილი და „მთვარის სონატა“ დაუკრა. ეგ მუსიკა მაგრად მომწონს

რა, ჩემმა ბიძაშვილმა იცის ცოტა და მეც მასწავლა და-საწყისი და მაგრად მევასება. კოსტასაც მოსწონდა, მაგ-რამ თურმე მაგანაც არ იცოდა, რომ ეგ მუსიკა კიდევ გრძელდება მერე, პირველი ნაწილის მერე და პატარა შეს-ვენებასავით რომ არის, პიანისტი კლავიშებს რომ წმინ-დავს, მაშინ ტაშის კვრა ატეხა და ბრავო დაიძახა. მაგრად შეირცხვინა თავი რა. ყველამ მაგას შეხედა და ისე განით-ლდა, ბოლოს, როცა მართლა უნდა დაეკრა ტაში, მგონი აღარც უკრავდა.

როდესაც კონცერტი დამთავრდა, ის ბებერი ქალი მო-მიბრუნდა, მაჯაზე მომენდა ხელი და: კარგი ბიჭი ყოფილ-ხარ, ბოლმიანი არა ყოფილხარ, რომ წყენა გულში არ ჩაი-დეო, მითხრა. რაღაცნაირი სიამოვნებით ამევსო სხეული და როცა იქედან წამოვედით, არ მინანია, რომ ტყუილად გავაცდინე დრო იმ ჯაგა-ჯუგის მოსმენაში.

ბ) ჩემს სიცოცხლეს ვფიცავ, თუ ეგრე ყოფილიყოს. ძროხას მამამისმა უსუნოს, თუ კარგია. რა, დებილი ეგ რომ მეთქვა, თუ რა არის? აი, ზუსტად გეტყვი როგორც იყო ყველაფერი: თავოს დაბადების დღიდან რო გამოვიყ-ვანე, სკერეში დაგხსედით. იცი, რომელი დღე იყო? შუ-ადლეს მაგარა სეტყვა და მერე მაგარა წვიმა რომ წამოვი-და. ეს ბოლო დღეები იყო, იმ ცხვირსახოცის შემდეგ სულ... ისეთი არაფერი, გრძელი ამბავია... ნუ, რა და რა-ლაც გაჭუჭყიანებულივით ცხვირსახოცი ჰქონდა, და... მოკლედ, ისედაც რაღაცნაირად ვიყავი რა, თან დაშორება მინდოდა, თან არა, იმიტომ, რომ მიყვარდა, ახლაც მიყ-ვარს, მაგრამ შერიგების შანსი არაა, მე არ მევასება ეგეთი რაღაცები, ცოლი რომ წავა და მერე რომ მოვა და... რა შუაშია ეგ?! ცოლი არ იყო, მაგრამ შეყვარებული ხო იყო? ჰოდა, რას ვამბობდი? თავიდან ამომივარდა... ხო, ჰოდა, იცი, როგორი სუნი იდგა? რაღაცნაირად სოფელი გამახ-სენდა. მიწის სუნზე, ვაფშემც, საერთოდ ვგიუდები. ის დღე კიდევ ისედაც რაღაცნაირი იყო, თან წესი მოგერა და... რა შუაშია ეგ? ცოლი არ იყო, მაგრამ შეყვარებული ხო იყო? ჰოდა, რას ვამბობდი? თავიდან ამომივარდა... ხო, ჰოდა, იცი, როგორი სუნი იდგა? რაღაცნაირად სოფელი გამახ-სენდა. მიწის სუნზე, ვაფშემც, საერთოდ ვგიუდები. ის დღე კიდევ ისედაც რაღაცნაირი იყო, თან წესი მოგერა და... რა შემოდებომის და-საწყისში, წევის დროს მოკლებულავებიანით რამე მოფა-რებულში შეყუუშულხარ? კანი რომ გებურძგლება, რომ გცივა, კი მთლად არ გცივა, მაგრამ გცივა რა! და ამ დროს სახელოებში რომ შეიკეცავ ხელებს და მელავებით ტანს ითბობ, აი ამაზე მაგარი იყო. თმაზე თივის... არა, თივის კი არა, ბზის სუნი უდიოდა (დაბანვის ნინ ზეთს ისმევს და იმიტომ) და კერჩა მომინდა. არც თვითონ უკითხავს, რა-ტომ ხარ ჩემზე გაბრაზებულიო, და მეც რა უნდა ამბესნა და... კონახურის კანჯეტის გემო აქვს ნესის ტუჩებს. ცხოვერებაში სულ პირველად მე ვაკოცე და ტირილი და-ინყო. იმისთვისაც ხომ მიკოცნია, რამდენჯერ, მაგრამ წე-სის ტუჩებს სხვანაირი გემო აქვს. თან პირველად სულ სხვა იყო მაინც, რაღაცნირად... ფუჳ, მეზიზღება ხოლმე, ეგეთ რაღაცს რომ ვიხსენებ, მაგრამ მართლა მომერია ცრემლი და რაღაც ლაპარა დაუუწყე. მოკლედ, მერე იყო რა, ლაპარა კეში, მოდი ტაქსს მოვაჯდეთ, სადმე ქალაქგა-რეთ გავიდეთ, ნახირი რო ჩამოვილის დაველოდოთ და ძროხის სუნი გავიგონთ-მეთქი. ჯერ თქვა, კაი რა, მეშინა, რქა არ გვატაკოსო, მერე — უკე საღამოა, რას მოვასწ-რებთ და სახლში მეჩეუბებიანი. მაგრამ რომ ჩავაჯინდი, რატო იცი ეგეთი გომიტური რაღაცნების მონდომება, რად მინდა მყრალი ძროხის სუნი, რას აიკვიატეო, მითხრა. აი,

ეს წინადადება თქვა თუ არა, უცბათ ის ცხვირსახოცი გა-
მახსენდა და რაღაცნაირად აქ ამომასხა. იცი, რანაირი სა-
ხე ჰქონდა, როცა ხელით მოვიშორე? განა ან ინანა, ან რა-
მე?! — რაღაცნაირი გაპრანჭული იყურებოდა. ჯერ ხომ
შტერია ისედაც და უფრო დაშტერებული მიყურებდა. ხმა
არ გავეცი, მაგრამ იმ წუთას რამე რომ მეთქვა, კარგს ვე-
რაფერს ვეტყოლდა.

თუმცა საბოლოოდ მაინც ყუთხარი, რაღაცა რომ იყიდა
და ხუთ თეთრზე ლოდინი დაუწყო გამყიდვებს, ვედარ მო-
ვითმინე და შიგ მაღაზიაში დაუწყო ყვირილი. როცა გარეთ
გამოვედით და წუწუნი და რაღაცები დაიწყო, საერთოდ
აღარ დამენახო-მეთქი, ყუთხარი. რატომ და: აი, ეგ სამი
პრიშიკი, შუბლზე რომ გაქსა, ნერვებზე მშლის-მეთქი. ეგ
იყო და ეგ, მეტი აღარც გვილაპარაკია. ჰოდა, ეტყობა, მა-
გან გაბრაზებულ გულზე დამაბრალა, ესე თქვა, ძროხას
ვუსუნოთ. კიდევ ვამბობ, ჯერ ერთი, ეგრე არ მითქვამს
და მეორეც, რა ცუდი სუნი აქს ძროხას?

გ) ისეთი სახით შემომხედა ყველამ, ვინანე, რატომ ავ-
დექი-მეთქი, მაგრამ რაკი ავდექი, ხომ აღარ გადავიფიქ-
რებდი?! ის ძალიც გაჯიუტდა რა და მთელმა ხალხმა ჩვენ
დაგვიწყო ყურება. ლევანა ისე ჩამაშტერდა, ვითომ რაღაცა
ისეთი გავაკეთი! რაღაცნაირად საცოდავი ძალი იყო,
ეგეთმა როგორ უნდა დაგიჭიროს, აზრზე არა ვარ, ეგ სამსა-
ხურშიც რაღაცნაირი დაჩაგრული იქნებოდა. ჰოდა, რო-
გორც მაშინ კონსერვატორიაში, ისე ავდექი — უბრლოდ,
მაინტერესებდა, რას იზამდა და ავდექი. მერეც, ის პოლი-
ციელი გამახსენდა, მე რომ დამიჭირო, ირაკლა და დათო
უცბათ დაითესნენ, ცუილივით გაიპარნენ და მარტო მე შევ-
რჩი. როგორ და ის კეპკა მოვტეხე თუ არა, ჩამავლეს და გან-
ყოფილებაში შემთარიეს. იმ პატარამ გარეთაც ჩამარტყა
ერთი-ორი და შიგნითაც დამიმატა. ამის მერე შემოვიდა ის
მაღალი. მე ვთქვი, ეხლა კი მორჩა-მეთქი და დამარტყინეთ-
თქო, დავიწყე ვენენა. იმ მაღალმა: ტრაკი დააყენე, სანამ ჩა-
გაფეთეო, — და მეც გავრუმდი. რატომ მოიპარეო. რომ
მეითხა, მაგრად მინდოდა-მეთქი. გაიცინა და: წიგნებს
კითხულობ? მკითხა. ვკითხულობ და ლექსებსაც ვწერ-
მეთქი, ვუთხარი. გაიცინა და ახლა რას კითხულობ? კოს-
ტერს, რემარკს და გამსახურდიას-მეთქი. ეგ როგორო? რო-
გორ და ხან ერთს, ხან მეორეს, ხან მესამეს და თანაც, სამი-
ვეს ერთდროულად-მეთქი. გაეცინა და: აბა, დავაი, დაახვიე
და მეორედ აღარ გაბედო ეგეთი რამე, თორემ მაგრად მოგ-
ხვდება და მაგრაც დაგრეხევაო, — მითხრა და გამომიშვა.
როგორ ავედო სახლამდე, აღარ მახსოვეს. ხატოან ვილოცე
და: მე თუ რამე მოვიპარო ამის მერე, დავბრმავდე-მეთქი,
დავიფიცე. ყველას ვფიცავარ, ეგეთი რამე თუ გამეგოს სა-
ერთოდ, დავშტერდი რა. უპანში არც მომიყოლია ეგ ამბავი,
— რა აზრი ჰქონდა, ვინ დამიჯერებდა? მამაჩემის კლასელი
აღმოჩნდა და იმიტომ გამომიშვა-მეთქი, ეგრე ვთქვი. რა
მოხდა მაინც მაშინ, დღესაც ვერ მოვდივარ აზრზე.

ნიკა

— შემდეგ იესოს მოჰყავს მაგალითები: „დველ ტანისა-
მოს არავინ დაადებს ახალ ქსოვილის საკერებელს, ვინაი-
დან ახლად დაკერებული მოიხევა სამოსელისაგან და ნახვ-

რეტი უარესი გახდება. არც ახალ ღვინოს ჩამოასხამენ
ძველ ტიკებში, თორემ ტიკები დასკდება, ღვინოც დაიღვ-
რება და ტიკებიც დაიღუპება: არამედ, ახალ ღვინოს ახალ
ტიკებში ასხამენ“.

— რა საერთო აქვს ამ მაგალითს მარხვასთან? იესო დაეხ-
მარა ითანე ნათლისმცემლის მონაფებს იმის გაგებაში, რომ
არავის უნდა ჰქონოდა მისი მონაფებიდან იმის მოლოდინი,
რომ დაუცავდნენ იუდეიზმის ისეთ ძველ წესებს, როგორიცაა
ტრადიციული მარხვა. იესო არ მოსულა იმ მოძველებული
თაყვანისცემის სისტემების აღსადგენად, რომლებიც გასაუქ-
მებლადა გამზიადებული. ქრისტიანობას არ უნდა გადმოელო
მაშინდელი იუდაიზმის ტრადიციები ადამიანის გამოგონილ
წეს-ჩვეულებებთან ერთად. მაშასადამე, ჩემო ნიკა, ძმაო, ვინ
მარხულობს, რა მიზეზით და სწორია თუ არა ეს?

— რა ვიცი, ისე... აუფ ისა, ერთი წუთით...

— რა გჭირს, ბიჭო, ნუ ჩქარობ, ნუ ნერვიულობ...

— დამაცადე, ქალო! ვერ გავიგე, აღარც მოვიფიქ...

— დაწყნარდი, ძმაო! თუ გინდა, თავიდან წავიკითხოთ და...

— არა, არა... ისა, გაიმეორეთ რა კითხვა...

— ვინ მარხულობს და სწორია თუ არა ეს?

— ისა! იესო ქრისტემ ორმოცი დღე იმარხულა უდაბ...

— მოიცა, მოიცა, ეგ რა შუაშია?! ვერ გაიგე, რა თქვა
იესომ? „დადგება დღე როცა ნეფე წაერთმევათ და მაშინ
იმარხულებენ“. მიხვდი, რას ნიშნავს ეს?

— კი, დიახ! ე.ი. რაც ქრისტე მოკვდა იმის მერე უნდა
ვიმარხულოთ!

— ნიკა, შვილო, რა უცნაურად იქცევი? ყურადღებით
მოუსმინე!

— არა უშავს, დაო! ნელ-ნელა გაიგებს, მისმინე, ძმაო:
ვიდრე იესო მონაფებთან იყო, მათ არ უნდა ემარხულათ.
როცა იგი ჯვარს აცევს, მონაფები დარდობდნენ და მარ-
ხულობდნენ, მაგრამ აღდგომასა და ზეცად ამაღლების
შემდეგ მათ (ანუ ჩვენ) აღარ აქვთ მარხვისა და დარდის
უფლება, გაიგე?

— კი, დიახ, მგონი!

— კარგი, შენ გადაიღალე მგონი; მოდი ხვალისთვის გა-
დავდოთ. ხვალ სამ საათზე ამოვალ და აბა, შენ იცი, რაც
დაგავალე, მომზადებული დამახვედრე.

— კარგი.

— აბა, ნახვამდის! ჰო, მართლა, თქვენს კორპუსთან მი-
ნეეს ხოლმე ხსირად სვლა და სულ ეზოში გხედავ, ბიჭებ-
თან. ხომ არ აჯობებდა, სანამ ქეშმარიტ რელიგიას შეის-
წავლი, ცოტა მოერიდო მათთან ყოფნას? მე წაგიყვან ჩვენ
სულიერ და-ძმებთან და გაგაცნობ, მათთან იმეგობრე!
კარგი, ძმაო.

— ...

— აბა, კარგად. იეროვა გფარავდეთ!

— ქალო, ვერ გაიგე? არ მინდა არაა, ეგ თქვენი იეღოვა, არა!

— ნუ იქცევი ურნებულოსავით. ამხელა კაცი შენი გუ-
ლისთვის მოდის, ძმასავით გელაპარაკება და შენ კიდე...
ვირივით იქცევა!

— დედა, რა ვქნა? ვერ გაიგე, არ მინდა არ შემიძლია
სწავლა და...

— ჰოდა, რო ჩაიხარშები მაგ ურნებულოებთან ერთად გე-
ენაში და რომ ვერ გადარჩები ჩვენსავით, მერე ნახე შენ მე-
რე, ველარც დედა გიშველის და ველარც მამა?

— რავა ხარ, ნიკუშ?!

— გაუმარჯოს.

(პაუზა)

— ის იელოველი თქვენთან იყო?

— ვინ იელოველი?

— აი, ის მაღალი!

— ჰო! რა არის?

— არა არაფერი, ისე...

— დადებული გქონდა ტოტალიზატორში?

— არა! შენ რას შვრება?

— რავი, შევეშვი, ალარ ვთამაშობ ხოლმე.

— არა, მაგას არ გეუბნები, შენც ხომ არ გიქადაგებს.

— არა!

— აბა, რაღას უშვებ სახლში?!

— ო, რავი აბა!

(პაუზა).

— წიგნები დატოვა?

— ვინა?

— აი, იმან იალოველმა.

— ჰო, რავი, კი!

— გადაყარე, ტო.

— რა პონტია?

— რათ გონდა, აბა?

— ეგდოს რა, წიგნია, ნაჩუქარია, ხომ არ მიყიდია?!

(პაუზა)

— მაგათ ჯვარი-რამე, სანთელი არა ჯერათ, არა?

— ჰო.

— უ, მაგათი!

(პაუზა)

— ისე, რომ დაუფიქრდე, სახარებაში სად წერია სანთელი დაბათეთო?

— ეხლა, ეგრე არ ვიცი, მარა, ეკლესიაში უსანთლოდ შესვლა რა პონტია?

— ეგენი იმას კი არ ამბობენ, მაინცდამაინც არ დაანთოო, პროსტა, ღმერთი არა გთხოვსო, რა! ხატი კიდე კერძია!

— ბიჭო, არ უსმინო მაგათ და დედაშენსაც უთხარი, ნუ დაუჯერებს, თორე...

— რავი აბა! დაუჯერებს რა, ხო იცი, ძმა მოუკვდა და ეხლა...

— ზდრასტი!

— სოსოს გაუმარჯოს!

— რა ხდება?

— აი, იალოველებზე ვლაპარაკობდით.

— რაო, მერე?

— რა რაო?

— რას ლაპარაკობდით?

— არა, ნიკა მიხსნიდა რა, ხატი, სული, ჯვარი და ეგეთი რაღაცები არა სწამთო.

— ჰო! ეგენი მაგრად რეკავენ რა! ბიძაჩემი ამბობს, ეგენი საერთოდ სექტაც არ არი, პოლიტიკური გაერთიანება არისო.

— არა, ტო! სად პოლიტიკა, სად ეგენი?!

— ეგრე გეგონის!

— ისე, რასაც მე ვუსმენ ხოლმე. ცუდს არაფერს ლაპარაკობენ და თანაც იცავენ ყველაფერს.

— კარგი რა. რას იცავენ. რამდენს ვიცნობ რომ ბოზობდა, მერე იელოველი გახდა და ჩუმჩუმად ისევ აგრძელებს და ვითომ პატიოსანია....

— ეგ რა შუაშია? თანაც ეგრე ძმაო ქრისტიანებიც ბოზობენ.

— არა, ეგ მართლა რა შუაშია?

— არა, პროსტა! რამდენი ეკლესიაში შედის, პირჯვარს ინერს, გამოდის და პუტანვობს.

— ბიჭო, ჯერ ერთი, ეკლესიაში ვინც შედის, ყველა ნამდვილი ქრისტიანი კი არაა, არა, სოსოა

— ეგრეა!

— თანაც აბა ეკლესიამაც თქვას: შერჩევით ვიღებ – ყველა იალოველივით – მრევლისო, თუ იქაც იქნება ვინმე ბოზი. თანაც ის ბოზი სადმე ხომ უზდა შედორდეს და ინანიებდეს.

— ეგც, და ნიკა, რომ დაუფიქრდეს კაცი, რა საჭიროა ღმერთს სახელი ჰქონდეს?

— როგორ რა საჭიროა?

— ჰო, რა საჭიროა? ღმერთი ხომ ერთია და რაღად უნდა სახელი? ან გვარი?

— ეპ! ეგ რა შუაშია ტო? ეხლა შენ რომ სოსო არ გერქვას, ხალხში რომ იდგე, მამაშენი როგორ დაგიძახებდა?

— ეგ სხვას, ბიჭო. ჩემნაირი ტონანახევარია ღმერთი კი

— ერთი.

— მწუ! კაი რა! შენ ვერ ერკვევი და რაღაც უაზრობას მიმტკიცებ.

— უაზრობა რატომ? თანაც სული არ სწამთ, ტო!

— მარტო სული? — სამებაც! ქრისტე ღმერთი არ იყოო!

— ბიჭო, ეხლა ქრისტეზე არ ვიცი, არ მიკითხია, მარა, სამი ღმერთი რანაირადღა იქნება ერთი?

— როგორ რანაირად?

— ზდრასტი, დათო! რანაირად და ჭრელად!

— რანაირად ჭრელად?

— როგორ აგიხსნა?!

(პაუზა)

— ფეხბურთზე დადეთ?

— აი, ვთქვათ ცუდი მაგალითია მაგრამ,* ვთქვათ, ზალის ავეჯი აიღე, რა!

— მერე?

— ჰოდა, მოკლედ, ამ ზალის ავეჯში ხო შედის სტენკა, დივან-კრესლო და მაგიდა?

— ჰო, მერე?

— რა მერე?! სტენკა ხომ სტენკაა, დივან-კრესლო — დივან-კრესლო, მაგიდა კედევ მაგიდა, მაგრამ სამივე ერთად ხომ ზალის ავეჯია, ჰა?

— ეგ რა შუაშია? აუ, ეგ რა მაგარი სისულელე მოთხარე ეხლა!

— სულელი შენა ხარ, დაუნი ხარ, ვერ გაიგე!

— ეგ რა მაგარი მაგალითი მოიყვანე, რა!

— ნადი რა, შე იელოველო!

— ვინაა იელოველი?

— ვინა და შენ! უკვე გისხამენ სისხლს, აგე, როგორ იცავ მაგათ და მაგათნაირად ლაპარაკობ!

— იელოველების დედაც, ბიჭო... უპრალოდ, ძმაო. ვისაც რა უნდა, იმას იწამებს.

* აյ სოსო თავისი სიტყვებით ცდილობს გადმოსცეს პიძამისის აზრი, თუ რანაირად შეიძლება სამი პირი იყოს ერთი (პიძამისის თქმით, რიცხვი ერთი არ უდრის რიცხვ სამს, მაგრამ რაკი ღმერთი უსასრულობაა, ერთი უსასრულობა შეიძლება უდრიდეს სამ უსასრულობას).

— კარგი რა..
 — ჰოდა რა გინდა?
 — არაფერი, იელოველების დედაც!
 — კაი, დაწყნარდით პიჭებო, თორემ მამა ბასილი მოდის!
 — დათო, ერთხელ მაგრად დაგაგდებ!
 — რა მოხდა, გავიხუმრე?
 — რო დაგიგდებ, მერე ნახავ, რაც მოხდა!
 — მამა ბასილა, თორე... ეგეც იალოველების ძმაკაცია, რა, ოლონდ ვითომ...
 (პაუზა)
 — ბიჭო, სოსო, ადგილს აღარ უთმობ ხოლმე ძალლებს?!
 — ძაღლი და ვირი რა შეუაშია, ვისაც მინდა, იმას და-
 ვუთმობ!
 — არა, რა ვიცი... უბრალოდ, ვიფიქრე... ისა, გახსოვს,
 მამაშენი რო გუცნებოდა, ჰუმანიტარული საგნები კარგად
 ისწავლე და მერე იურიდიულზე ჩააბარეო?
 — მერე?
 — არაფერი, სწავლობ-მეთქი?
 — შენი საქმე არაა! მარა, ჩემდა თავად, ჯერ ძალლად
 გამხდომის დედაც, მერე კიდევ ყველა იელოველის დედაც.
 — აბა, რატო წამოუხტები ხოლმე ძალლებს მეტროში?
 — რო აგისხნა, მაინც ვერ გაიგებ, ჩემო ნიკა და საერ-
 თოდაც, მაგარი ქვეშ-ქვეშა და ახვარი ბიჭი ხარ, ვინც არ
 გიცნობს!
 — შენ რო ვინმეზე მაგას იტყვი, რა!
 — კაი, მორჩით რა! ხვალ, ხვიჩას უბნელებს ფეხბურთი
 უნდა ვეთამშოთ. ნიკა ითამაშებ?
 — რომელ საათზე?
 — ესე სამისთვის.
 — სამზე?.. კი (პაუზა) არა, არა, ტო... გამახსენდა ნათე-
 სავთან მივდივარ!

* * *

— ბიჭო, ლამარასთან ათას ლარად დაწვებოდი?
 — ფუუ! არა ტო, გიუი ხო არა ხარ?
 — ათას ხუთასად?
 — არა, ბიჭო, მაზოხისტი კი არა ვარ!
 — ათას რვასასად?
 — ნენ!
 — და ორიათას შვიდასად?
 — ლარად?
 — არა დოლარად?
 — ორიათას შვიდას დოლარად?
 — ჰო!
 — ე.ი. ეგ რამდენია? 5454 ლარი, არა? კაროჩე, ორიათა-
 სიც დაამატე და კი!
 — და ვაჟას გამყიდველთან?
 — ფუუკ! უახპპ! ვარწყევ ეხლა!
 — არც ათად?
 — არა, მოვკვდები მერე!
 — კაროჩე, ოცი ათასი რომ მოგცენ, ნიკა, კაცურად
 თქვი, არც მაშინ?
 — მაშინ მაგრა უნდა დავთვრე და თვალები უნდა დავ-
 ხუჭო.
 — კაი რა, იმ ბებერ ლამარას აღარ ჯობია?
 — ის სუფთა მაინც არის, ბიჭო. თან ამას რა პირი აქვს. ფუჺ!
 — გაიგე, დათო, ზრდასტი! გაიგე? ეხლა ვბაზრობდით

და ნიკა თანახმაა ბებიაშენთან რვა ათასად ასე ვთქვათ,
 თანაიცხოვროს.

— ნიკამ უსუნოს ბებიაჩემს, თუ კაია!
 — ბებიაშენსაც უსუნე და იმის დასაც, შე მშვიდობის
 მტრედო!
 — ჴა, თორე მამა ბასილა იხვეწება?
 — წატი, შე კუსა, შენი! რა? გაგიტყდა? კიდევ ქალიშვი-
 ლია ბებიაშენი?
 — ეგრე არ მითქვამს-მეთქი რა, ბიჭო!
 — ჴაა, ქალიშვილია ლამარა?
 — შენ შენ თავს მიხედე!
 — კუსა, კუსა რას გარბიხარ ბიჭო!

დათო

სულაც არ უნდოდა იმ ბებრული ფეხსაცმლის ჩაცმა და
 მერე ქართლში, ვიდაც შორეულ ნათესავთან დასასვენებ-
 ლად ნასვლა. წასვლამდე ერთ თვედა რჩებოდა და იმედი
 ჰქონდა, გადავაგიქრებინებო, თუ თვითონვე არ გადაი-
 ფიქრებდა გადავაგიქრებინებას. იმ ბებრულ ფეხსაცმლით
 კიდევ, ბიჭებს რომ არ დაცინათ, ჩაცმის დღესვე ფეხბურ-
 თი თამაში. ფეხსაცმელი გადაექლითა და თუმცა შინ მის-
 ვლისთანავე ისე დაწყებ, ვერავის რომ ვერ შეემჩნია, ლამ-
 რამ მაინც შენიშვნა და ჯერ მაგრად წაუთაქა, მერე ლეცცია
 ჩაუტარა, თუ როგორ უნდა მოუფრთხილდეს ფეხსაცმელს,
 თუ არ უნდა რომ ზოგიერთივით გადაბრეცილი და ვიღა-
 ცის გამონაცვალი „ტუფლით“ იაროს. დათომაც და ბებია-
 მისმაც მშვენივრად იცოდნენ ამ ზოგიერთებში ვინც იგუ-
 ლისხმებოდა, მაგრამ ლამარამ მაინც აღნიშნა, თუ რაოდენ
 ბედნიერია დათო, ლევანისთანა მშობლები რომ არ ჰყავს.
 დათომ კიდევ გაიფიქრა, ოლონდ დედა მყოლოდა და ნაზი-
 ზე უარესსა ავიტანდი კი არა, ერთხელაც არ დავიწუნებ-
 დიო. მართალია ლამარა უყვარდა, მისი გამზრდელი იყო და
 უყვარდა მაგრამ დედა სულ სხვაა.

„დედა ასეთივე უცხო, მორეული და სანუკეარია, რო-
 გორც მონაზვისთვის იესო ქრისტე!“ — ეს მამას სიტყვე-
 ბი იყო, დედების დღეგრძელობისას წარმოთქმული, მაგრამ
 დათოც დაახლოებით იგივეს იტყოდა ალბათ, როცა გაიზ-
 რდებოდა და საამისო ჭკუა მიეცემოდა. საერთოდაც უდე-
 დობამ ის კვალი დააჩინია ბიჭს, რომ ყველა ქალი უყვარდა
 მიუხედავად ასაკისა და გარეგნობისა. ძმაკაცებთან როცა
 ადიოდა, ისეთი შურით უყურებდა, თუ როგორ ამზადებდა
 საჭმელს დედა, სხვისი დედა, ცრემლი ერეოდა, მაგრამ
 ატიორებული დათო არათუ სხვას, თვითონ დათოსაც არ ახ-
 სოვდა. მოკლედ, უაზროდ უყვარდა ქალები და ალბათ
 ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ ქალებს ყოველთვის უყ-
 ვარდათ იგი. დაწყებული სკოლის ყველაზე მკაცრი მასწავ-
 ლებლებით და დამთავრებული ყველაზე ლამაზი გოგოე-
 ბით უბანში. თუმცა უმთავრესი მიზეზი ალბათ მაინც ის
 გახლდათ, რომ კაბანები, როგორც მათ დათო ეძახდა,
 ქვეცნობიერად გრძნობდნენ იმ დიდ სიყვარულს რომელ-
 საც ბიჭი მათდამი განიცდიდა.

უბნელები კი დასცინოდნენ, მაგრამ ქალაჩუნა ხარ, იმი-
 ტომაც გიგებენ ასე ქალები და იმიტომაც ზიხარ მათთან
 ხშირადო. მაგრამ დათოს არასოდეს სწყინდა ეს დაცინვა
 (ან სწყინდა და ისე იქცეოდა, თითქოს არ სწყინდა) და ძვე-

ლებურად ისე კოხტად ჩამოსკუპდებოდა ხოლმე მეზობლის ქალებთან, არავინ აგრძნობინებდა, ზედმეტი ხარ. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ ბიჭებთან არ მეგობრობდა, პირიქით, ყველას მეგობარი ის იყო!

უბანში, კუსასთან ერთად, მშვიდობის მტრედს ეძახდნენ. კაცმა არ იცის, კუსას რატომ, მაგრამ მშვიდობის მტრედი რომ მასზე ზედგამოქრილი იყო, ამას ლაპარაკი არ უნდა. თვითონ ხომ ყველთვის ყველაფერს თმობდა, ან ხუმრობაში გადაჰქონდა და სხვებს შორის ატეხილ ჩეუბშიც ისე ჩაერეოდა, ორივე მხარე დათოზე გადატეხდა ჯოხის. გულით აკეთებდა ამას თუ შიშით, კაცმა არ იცის, ოღონდ ერთი რამ ცხადი გახლდათ: დათოს არასოდეს არავინ დაუჩაგრავს და არც ჩეუბი წამოუწყის.

და მაინც, ყველაზე ეშმაკს, გაქერიტოლსა და სატანას დათოს ეძახდნენ. ის კი მხოლოდ გაიკრიტებოდა და მტრი არაფერი. არც ის ეთავილებოდა, თავისზე დიდი ვინძმე სადმე თუ გააგზავნიდა, მაგრამ გუნებაზე თუ არ იყო (რაც თითქმის არ ხდებოდა და ათ წუთს გრძელდებოდა), ხმასაც არ გაგცემდა. და მიუხედავად ყველაფრისას, საშინელი გულაცრუება იცოდა. თუ ერთი აიყრიდა ვინძმეზე გულს, მორჩია, წარმოუდგენელი იყო მასთან ეკონტაქტია. არც ეჩხებებოდა, არც ემე-გობრებოდა, მაგრამ ყველთვის მოერიდებოდა.

ერთი თვისება, ყველაზე მეტად სახასიათო მისთვის, გახლდათ ის, რომ არასოდეს თავს ჯგუფს არ მიაკუთვნებდა. საზოგადოდ ადამიანს მეტ-ნაკლებად ახასიათებს მსგავსი რამ, მაგრამ დათოსგან ეს ცოტა არ იყოს მოულოდნელიც კი იყო. თუ დათო სიცილით მოყვებოდა, როგორ უზოდა მათ კლასს სასწავლო ნაწილმა იდიოტების ხროვა, იგი უკვე დასაწყისშივე გულისხმობდა, რომ ამ იდიოტებში თვითონ არ იგულისხმებოდა სწორედ ამ გამორჩეულად ყოფნისას სურვილმა თუ ათქმევინა უბანში, ბებიაჩემი ჯერაც ქალიშვილია. ბიჭები დაწყდნენ სიცილით და მთელი წელი ეს ჰქონდათ სალაპარაკო და საქმარისი იყო ლამარა დაენახათ, იმნამსვე ფხუკუნს იწყებდნენ, მაგრამ დათო სხვებივით კი არ იქაჩებოდა, გულამოსკევნით კისკისებდა, რადგან მი ის ბებიას არაფერი აკლდებოდა ამით.

თუმცა იყო ერთი რამ, რაც ყველასაგან გამორჩეულად არ აგრძნობინებდა თავს! ეს ერთი რაღაც იყო პატარა შიში, რომელსაც არც სახელი ჰქონდა და ვერც დანამდვილებით იტყოდი, საფუძვლიანი იყო თუ არა, თუმცა ეს შიში რომ მაინც არსებობდა და ძალზედ იშვიათად, მაგრამ მაინც წამოჟყოფდა ხოლმე თავს ხელიკივით, — ეს ნაღდი იყო. ამ შიშზე (უფრო სწორი იქნებოდა ითქვას, გაურკვეველ განწყობასა თუ რემინისცენციაზე) არავისთან უსაუბრია, ოღონდ არა იმიტომ, რომ ჩაკეტილი იყო და გამხელის ეშინოდა, არამედ არავის თვლიდა ამის ლირსად! ასე თუ ისე, დათო ცხოვრობდა თავის პატარა შიშ-განწყობას კი სრულიად უცდათ და სხვათაშორის წამოუტივივდა ერთხელ, როცა ნათესავის ლეკვის თამაშს წააწყდა: ერთ-ერთი მეორეს უენიდან შეახტა და ისეთი რიტმული მოძრაობები ჩაატარა, ნამდვილად ხვადს რომ ეკადრებოდა. მეორე გაყუჩებული იყო, სანამ პატრონმა ორივეს წიხლი არ ამოსცხო და ქართლურად არ შეაგინა. იმ წუთას დათოს ტვინში წამოტივტივდა ათი წლისწინანდელი სცენა, როცა ექვსი წლის ბიჭებიც ეგრე ერთობოდნენ მათი კორპუსის სარდაფში, დათოს ნათლად ახსოვდა, ვინ აქტიურობდა და ვინ პასიუ-

რობდა მაშინ. ისიც ახსოვდა, თვითონაც რომ იყო იქ, მაგრამ ამის მეტი არაფერი. ველარ იხსენებდა, მონანილეობდა ამ პირველშობილ სექსუალურ თამაშში თუ არა, მითუმეტეს, მაშინ იქ იყო ერთი-ორი ისეთიც, ვინც მასავით უბრალოდ უყურებდა. ამიტომ თუ იყო, რომ როცა კი ენა მოუპრუნდებოდა ხოლმე, იმათთვის დაეცნა, ვინც მაშინ, ბავშობაში “სარდაფობანას” თამაშობდა, იმავ წუთს თავს იკავებდა, ვაითუ მეც მათნაირი აღმოვჩნდე და რაღა მეშველებაო.

ასე იყო თუ ისე, ეს ამბები აღარავის ახსოვდა, ან ახსოვდათ და ისვევე ივიწყებდნენ როგორც იმას, თუ როგორ ეთამაშებოდა მოელი სამი წელი ირაკლის დას კოსტა „ექმობანას.“

მოელედ, ეს შიშ-განწყიბა ისეთივე უსიამოვნო, როგორც დილით, ზენარზე დამჩრეული ღოლუციების კვალი, ან სულაც თავისი, ჯიშად გამოყოლილი ქოსა ტანი. ქოსა ტანი რა, მას კიდევ ეშველებოდა ალბათ, მითუმეტეს, რომ უკვე მეორე წელი იყო, ჩუმად იპარსავდა მთელ სხეულს. და რა იცოდნენ ბიჭებმა, როცა ზღვაზე საბანაოდ არ დაიდიოდა ერთხანს, თავისი მოტიტვებული სხეულის გამოჩენის ეშინოდა და არა წყლის, როგორც ეს ირაკლიმ დაბრალა. ასე იყო თუ ისე, დათო მაინც მშვიდად ცხოვრობდა ამ თავის პატარა საიდუმლობთან ერთად და თუკი ათასში ერთხელ ფიქრი მაინც გაექცეოდა ამ ბელ კუთხისეკენ (როგორც ნათესავის რაღაცის ასალებად დახრილი ცოლის მკერდისეკენ), ისევე შეკრთხებოდა და წითლდებოდა, როგორც როცა ბიჭები დასცონდნენ: ფსლიკის სუნი გიდის პირიდნო. ეს დაცინვა ლევანმა მოიგონა, როდესაც ლამარას შეშინებული ბიჭისობის შარდი შეუტანის, დალიე და გაგივლის. თვითონ მე მთელი სიცოცხლე შარდს ვიკლებ ბანაობისას და აბა, ვინმე მითხრას: ცუდი კანი გაქვსო, უთქამს ქალს და მას მერე სულ ამაზე დასცონდნენ. დათოს თვითონაც სძულდა ლამარას ეს ახირება, მაგრამ მას არავინ არაფერს ეკითხებოდა. არავინ არაფერი ჰქითხა მაშინაც, როცა ზუსტად ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირით ადრე ტელევიზორი გაუყიდეს სახლიდან. გაყიდეს კი არა, გაუყიდად და კერძოდ ლამარამ. როცა დათო და მამამისი შინ მივიღენ, და ტელევიზორის დასადგამზე ყვავილების ქოთანი და ორი ლარნაკი დაინახეს სხვა რომ ველარაფერი მოიფიქტეს, გვერდით თაბაში გავიღენ, ალბათ იქ გაიტანა, მამამ კი ისიც თქვა: შე კაი ქალო, მარტოს რო არ გაგეთრია, ალარ მოვიდოდით? მაგრამ ტელევიზორი არც გვერდით თაბაში იყო, არც საბაზანობში, არც შემოსასვლელში და არც საკუჭნაოში და მამამ იკითხა:

— ქალო, სადაა ტელევიზორი?

ლამარამ მშვიდად მაგრამ წარბებანეულმა უპასუხა: გავყიდე!

— როგორ თუ გაყიდე?

— ა როგორ და მოვიდა არი ჯანიანი კაცი, გაიტანეს, ფული მაგიდაზე დადეს და ეგრე!

— შენ ხომ არ გაგიუდი, ქალო?

— მე გავგიუდი? არა, მე გავგიუდი, არა? ბავშვი გველუპება, დილა-სალამოს ან ეზომშია, ან ტელევიზორის წინ, სწავლა მაგას აღარ აინტერესებს და წიგნის კითხვა და მე გავგიუდი?

— კაი და, მე რაღა ვქნა?

— რა უნდა ქნა, დავსხდეთ და ვისაუბროთ ან რადიოს ვუსმინოთ რა...

— და შარდი ვივლოთ თავზე, არა?

— უ, შე უმადურო შენა! შენ დალუპე ჩემი შვილი, შენ და ეხლა ამ საზიზლარი პროგრამებით შეიტყოლი გინდა, არა, გადამირიო? ვერ მოესწორები... სანამ მე ცოცხალი ვარ!

მამამ ხელი ჩაიქნია, რაც გინებით გამოხატა, წავიდა, დათვრა და მოვიდა, ოლონდ შეგუებული. ბებიამ კი ამასობაში ლექცია ჩატარა იმის შესახებ, როგორ უნდა შეიცვალოს დათო, თუ უნდა რომ მეცხრე კლასში არ დატოვონ და ა.შ.

მერე მისაბაძი და არასამეგობრო ბიჭები დაუსახელა და შეეცადა დაესაბუთებინა საკუთარი მოთხოვნა. მაგრამ დათომ, თავს მხრივ, დაუმტკიცა, რომ მის მიერ დასახელებული მისაბაძი სოსო სულაც არ იყო მთლად მისაბაძი, რადგან სწორედ ამასწინათ, კერძოდ კი გუშინნინისწინისწინ, მემწვანილ-მერძევე გაიოზა გააჩრა, რალაცეები ეკაიფა და მთელი ბიჭები აცინა. მართალია ის კაციც იცინდა, მაგრამ ეს უფრო ნაძალადევი სიცილი იყო, ვიღრე სიცილის სიცილი. და ვაფშემც, ეგ სოსო მაგარი პათხალიმი ვინჩე არის, იმ დღეს, მეტროში ვიღაც პოლიციელს ადგილი დაუთმოო, დაასკვნა ბიჭმა, გარეთ გავარდა და ამიტომაც აღარც გაუგონია როგორ ჩაილაპარაკა თავისთვის ლამარამ:

— სწორედ მაგიტომაც მომწონს ყველაზე ძალიან!

პრისტა

...და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, შენ მუდამ დაძაბული ხარ, ვინმემ ზედმეტი რამე არ გაკადროს, და რა არის ეს ზედმეტი? სიტყვა, მოძრაობა თუ უბრალოდ გამოხედვა? ჯანდაბას, რაც გინდა ის იყოს, ოლონდ ერთი რამ ნაღდია — შენ არ შეგიძლია უამისოდ. არ შეგიძლია, თუ არ გედავებიან, არ შეგიძლია, თუ არ არსებობ. მაგრამ როგორი ხარ მაშინ, როცა არსებობ? ანთებული, მომართული და მუდამ მზად იმისთვის, რათა მიონინალმდევე გათელო, ბოლომდე გააცამტვერო და მერელა, თუკი შენ ჩატვლი საჭიროდ, თუკი შენ გსურს, ნამოაყენო ფეხზე და უბრალოდ ხელი გადახვიო.

შენ ძალიან პატარა ხარ იმისათვის, რომ იცოდე ვის ჰგავხარ, მაგრამ რომ იცოდე ვის ჰგავხარ, გაიცინებდი და იტყოდი — დიახ, ეს მე ვარ!

მარტო შენ შეგიძლია ჩაუყო პოლიციელს ჯიბეში ხელი მხოლოდ იმიტომ, რომ დასჯის შიში დასძლიო, ან როცა დაგსჯიან, არ გატყდე! არ გატყდე, რადგან შენთვის ხომ ეს უმთავრესია! ამაყობ იმით, რომ შეგიძლია ნებისმიერი ცემა აიტანო პოლიციაში, მაგრამ არავის „ჩაუშვე“. ყველა-ფერზე ნახვალ ამ ქვეყანად, მაგრამ ძმაკაცებს არ უდალატებ და რა იცი, რომ ამ შენ ბავშვურ გულუბრყვილობას ისევე იყენებს ზოგი, როგორც შენ ქურთუუს.

არა, შენ არც ისეთი გულუბრყვილო ხარ, რომ გამოგიყენობ, უბრალოდ ეს შენი პრინციპია და მორჩა. იგივე პრინციპა, რომ გაიძულებს ნამის უსწრაფესად შეიძულო ადამიანი, რომელიც გიყვარდა. იქნებ სიყვარული არ შეგიძლია? არა, შეგიძლია! გსურს ფეხქვეშ გაეგო მას, იბრძოლო მისთვის, თუნდაც ამისთვის მთელი ქვეყანა გადაიკი-

დო. მაგრამ რატომ გიყვარს ასე ძალიან წართმევა, როცა არც გაცემა გძულს? არა, მე არ გეუბნები მხოლოდ მაგ წართმევაზე! შენ არ იყავი, ვახოს შეყვარებული რომ წართვი და მერე მიატოვე მხოლოდ იმიტომ, რომ ბიჭებისთვის დაგემტკიცებინა, ქალზე ძლიერი ვარო! შენ გძულს ქალები, იმიტომ, რომ ასე ძლიერ გიყვარს ისინი! მუდამ იმას ამტკიცებ, რომ შეგიძლია შენი სურვილის მიხედვით გააღმერთო ან დასცე ქალი, თუმცა რა იცი ჯერ, რა არის ქალი, შენ ხომ... ოო, კარგი, კარგი, ნუ ბრაზდები, ვიცი ეს შენი სუსტი წერტილია. მართლი ხარ, შენს ასაკთან უკვე გაქვს გამოცდილება, მაგრამ, ნუ გეწყინება და, ეგ საკმარისი არ არის.

ეგც შენი ერთი თვისება! ჩაგერთო, არა, თავდაცვის მექანიზმი და იგინები უკვე. ყოველთვის ასე იცი, ყოველთვის რაღაცას ინახავ სხვის შესახებ და ისეთ დროს ამბობ, როცა ყველაზე უფრო მტკიცებული იქნება იმ სხვისთვის ამის მოსმენა, და მეც რომ გითხრა რამე მსგავსი? რა და რამე ეგეთი?! მეც ხომ ვიცი შენზე რაღაც-რაღაცები. კარგი, კარგი, დაწყარდი, დაწყარდი, დაჯვექი და ვისაუბროთ. იცი, რა მახსენდება?! ერთხელ მომიყევი, თუ როგორ მოგცა დათოს ბებიამ ოცი ლარი და გთხოვა, დათო ქალებში წაიყვანეო, გახსოვა? მერე და რატომ მოჰყევი ეგ უბანში, ხომ იცოდი, რომ ეწყინებოდა. ოო, რა ჯიუტი და თავნება ხარ, რატომ იმართლებ თავს? არა? და არც იმის შიში გაქვს, რომ ყველაფერი შენ დაგბრალდება? რა და ყველაფერი! პო, კარგი, მაგას მოვეშვათ!

და ირაკლის დაზე რას მეტყვი? პო, რას მეტყვი? კარგი ახლა, ნუ თამაშობ, მაინც ყველაფერი ვიცი. რა ვიცი? მისმინე, მაშინ რატომ უმაღავ ირაკლის, როგორ ეწევა მისი და საბავშო ბალის სარდაფში სიგარეტს, ხომ შენი ძმაკაცია, რატომ უმაღავ. როგორ არ გიფიქრია, როცა სწორედაც რომ გიფიქრია, მაგრამ არ ეუბნები. ეტყვი? არ ეტყვი, ვერ ეტყვი, იმიტომ, რომ... არა, ვინ გეუბნება, რომ გეშინია თუმცა, კი ვეშინია, ოღონდ ირაკლისა კი არა, მისი დის, უფრო სწორად, იმის, რომ შეგიძლება შეგიძლებოს. რა შუაშია და, იმ შუაშია, რომ... მოიცა, აბა, რატომ ეჭვიანობ, როცა იმ... ან, ეხლა არ მითხრა, ლევანის სტუმართან უბრალოდ ვიწინუბეო. დასავით გიყვარს? მე არ ვიცი, ვისავით გიყვარს, მაგრამ კარგად მახსოვს, როგორ ეთამაშებოდი ბავშვობაში ექიმობანას და... არაფერი არ მინდა, უბრალოდ მინდა აღიარო, ერთხელ მაინც აღიარო, რომ მართალი არა ხარ. არა, ეგ არაფერ შუაშია, ბასებს არავინ გთხოვს, უბრალოდ...

არა, კარგი თვისებები როგორ არა გაქვს. გაქვს, მაგალითად, ჭორაობა არ გიყვარს ბევრი სხვასავით, თუმცა ყველაფერი ცვალებადია, დამიჯვერე. ვნახოთ, რამდენ ხანს შეინახავ საიდუმლოდ იმას, რომ სოსო ლექსებს წერს ჩუმჩუმად. მე ვიცოდი, რომ შენ იცოდი, რომ მეც ვიცოდი, მაგრამ მთავარი ეგ არაა. მთავარია, რომც გაბრაზდე, ძალიანაც რომც გაბრაზდე, არაფრისდიდებით არ გათქა ეს საიდუმლო, არაფრისდიდებით, გამიგე?

ვნახოთ!

ვნახოთ!

ორშაბათს, 22 თებერვალს
არტ კაფე „ქარავანში“
გაიმართება შეხვედრა
ზურაბ ქარუმიძესთან
დასაწყისი 19 საათზე
ფურცელაძის 10



ამ ლექსებს რეკლამა არ სჭირდება.

თამარ ერისთავი, ჩვენთვის ძვირფასი და საყვარელი ეს სახელი, სამარკო ნიშანია ლექსებისთვის, საერთოდ ხარისხოვანი ღიტერატურისთვის.

თანამედროვე ქართულ პოეზიაში მან უკვე დაიმკვიდრა ადგილი, რადგან მისი ლექსი არის სიტყვათწყობის ისეთი ტიპი, როგორიც ყოველთვის შეძლებს პოეზიის პრესტიჟის დაცვას თვით ყველაზე გემოვნებიანი მკითხველის წინაშეც.

ნატიფი განცდა, ღრმა წარმოსახვა, დახვეწილი აზრი. რითმა — მოქნილი, მუღერი, ჭკვიანი; რიტმი — პარმონიული, მწყობრი, ზომიერი; კომპოზიცია — მთლიანი, შეკრული, სრულყოფილი.

ეს არის თამარ ერისთავის პოეზია, ყოველთვის სანდო და საინტერესო, უტყუარი და მისანდობელი, რადგან ვიცით, რომ მასთან „ლექსი, როგორც სიყვარული უკითხავად მიდის“.

აյ არის ქრესტომათიული ლირიკა, შერწყმული ორიგინალურ გემოვნებასთან; ინდივიდუალური და ზოგადის სინთეზი, დაკავშირდული სულის დალექტიკასთან; სიკეთისა და პუმანიზმის სულისკვეთება, ნილნაყარი პარმონიასთან.

თამარ ერისთავი

ღვერთსაც მისცვლება ლოცვები

შენ რომ სალამურს უკრავდი,
გულის კარზახით, ისე და,
ცხრა მთას გადაღმა, მინდორში
თურმე ვიღაცა გისმენდა;

შენ შენთვის სტვირში ტიროდი,
როცა წევიმდა და ბენელოდა,
და იმ შენი ხმით ნატირალს
თურმე ვიღაცა ელოდა;

წამოვა წვიმა შხაპუნა,
აპიპინდება მდელო და,
ყურს მოგვაპყრობებ ვარსკვლავნი
ზეციურ სამფლობელოდან.

მოივლის ცათა სფეროებს
ცა-მინის სადლეგრძელო და,
ლმერთსაც მისწვდება ლოცვები
ჩვენი ბერმუხის ჩეროდან.

* * *

გაუგემურდა ცხოვრება.
დამიმეგობრდა სევდა,
როგორ მეგონა, ტეივილი
თუ ძუ ვეფხვივით მდევდა;

არ დამციალებ ვარსკვლავო,
ალარ მინათებ მზევ და,
რას ვიფიქრებდი დრო-ჟამი
თუ ერთი დაკვრით მძლევდა.

სამყაროს მოხილვის საოცრება

გზა-კვალი ვერ ვნახე ზეამსკვლელი,
თუმც ზეცას ფასკუნჯივით ვუარეო,
ო, რა საშიშია სიშავე ცისა,
უმზეოდ, უვარსკვლავოდ, უმთვარეოდ!

სად გადაიკარგნენ ვარსკვლავები,
სიბნელე მათ როგორ მორევა?
იქნება თვალები დამთხარეს და
ჩემს ირგვლივ ცის დიდი მორევა?

უთვალოდ რა უნდა დავინახო,
რა უნდა შევიმეცნო უთვალოდ?
სამყარო შენ მიერ მოვლენილი
როგორ მოვიხილო, უფალო!

უთვალოდ წყვდიადია ეს ქვეყანა,
ზეცაში სინათლე მზედ ანთია,
უთვალოდ სიზმარია ეს სამყარო —
ცხოვრება კაცისა მზის ლანდია;

თვალები, თვალები გავახილოთ,
ეს განძი, უფლისგან ნაჩუქარი,
თვალების გახელის სასწაული —
ცა-მინა, მზის სხივით ნაშუქარი.

ო, ეს მოწყალება ღვთაებრივი —
როცა უთვალებოდ წყვდიადია,
სამყაროს მოხილვის საოცრება,
უფალო, რაოდენ დიადია!

რა არის ლექსი, საიდან მოძის

რა არის ლექსი —
საიდან მოძის,
ჰანგია ზეცის,
მინის თუ კბოდის;

სად ამოიფრქვა
ან გაჩნდა როდის —
სულია აზრის,
ოცნებისა,
მადლის თუ ცოდვის?!

იქნებ ბრჭყალია
პრომეთეს ორბის,
მიჯაჭვულ ტიტანს
გულ-ღვიძლს რომ კორტნის,

პოეზია

ან იქნებ ბული
უდაბნოს მიწის,
მზის სამხურვალით
ქვებიც რომ ინვის!

ან ყინულეთის
ზმანება ავი,
მთიდან მომსკდარი
ნამქერის ზვავი?!

იქნებ ცა-მიწის
სიზმარი არის –
სიყვარულია
მზისა და მთვარის,

სისხლის წვეთია –
ნაჟური გულის,
დიდი რუსთველის
რითმებში რგული;

ანდა სიტყვაა
უხილავ ღმერთის,
დაუსაბამო სიგრცეს რომ
ერთვის?!

იქნებ ქარია
გაშლილი აფრით,
სულთა საუფლოს
ნისლში რომ დაქრის –

არც მიწისაა იგი
და არც ცის,
როგორ ბობოქრობს
ის სულში კაცის?!

როგორ მოსკდება
ნიაღვარად,
სიმღერად,
გლოვად,
რა სასოებით,
რა ზეიმით,
როდესაც მოვა,

რა აღმაფრენა
იწყება მაშინ,
როცა ოცნება
მწირ ყოფას წაშლის

და შეერწყმება
განგებას უფლის,
ო, მაშინ, მაშინ
არაფერს უფრთხის

სიტყვა, ქუხილზე
მჭექარე უფრო,
სამყაროში რომ
დაფრინავს უფრთოდ,

და აზრი კაცის, მონარნარე
ზენარ ჰანგებად,
გაინავარდებს,
ცისქვეშეთში
არ იკარგება.

ვიდრე მიწაზე კაცი დადის,
ტირის, იცინის,
ვიდრემდე ზეცა
თავს დაგვყურებს
ვარსკვლავთ ციმციმით,

და განთიადის მომლოცველი
ვიდრე მზე არი –
კაცის სევდის და სიხარულის
თანაზიარი.

იქნება ლექსიც –
ჯადოსნური სიტყვის მესავი,
აზრი ღვთიური,
მოელვარე,
ბნელში მკვესავი.

ლექსი, როგორც სიყვარული უკითხავად მოდის

ნუ იძიებ, რა მიზეზით,
საიდან და როდის,
ლექსი, როგორც სიყვარული
უკითხავად მოდის.

უფლის დიდი წყალობაა,
როგორც ფრენა ორბის,
ცაზე მეხის ჭექას მოჰვავს
ელვისამებრ მორბის;

მოგიხელთებს, სიტყვად გაქცევს,
დარდისა და ნალვის,
სიხარულით გაგალალებს,
სიმღერებად დაგლვრის,
ჯოჯოხეთის გზას გიჩვენებს
სამოთხეზე გავლით,
ბეწვის ხიდზე გაგატარებს
მჭევრი სიტყვის დავლით.

სიტყვა აზრის სიცხადეა –
ნატვრის თვალის კენჭი,
მისი დიდი თაყვანება
განა მარტო მე მჭირს,

მე ვინა ვარ, ცეცხლფარეში,
მოდარაჯე ნავლის,
დიდ პოეტებს მუხლს მოვუყრი
ავლილსა თუ ჩავლილს;

მე გზისპირა ყვავილიც ვარ
გამოუცნობ ჯიშის,
ბევრჯერ დაზარალებული
უსულგულო ქიშით;

მაგრამ ურჩად ფესვგადგმული
დედაენის გულში,
ქართულ სიტყვის მოთაყვანე
არც დღესა და გუშინ;

ნუ იძიებ, რა მიზეზით,
საიდან და როდის,
ლექსი, როგორც სიყვარული
უკითხად მოდის.

რა ელის თეთრ ღრუბლის ფთილას

მთას ასცილდა ღრუბლის ფთილა,
თეთრი, როგორც თოვლის ფიფქი,
შევხედე და ცაში ფრთხილად
ავადევნე ჩემი ფიქრი;

რა მოელის ღრუბლის ფთილას,
თუკი ქარი ისე მიჰქრის
რომ განამქრევს მის სითეთრეს
მოუხელთებ საზღვრებს იქით;

მზაკვარია ეს სამყარო,
ემტერება ფრთათეთრ ფთილას –
შავ ღრუბელში არ გარიოს,
იყოს ფრთხილად, იყოს ფრთხილად!

ვის ელირსა მიწიერსა
გარდასახვა ფრთათეთრ ფიფქად,
ან განქრევა სიშავისა
უფლის გარდა ქვეყნად ვინ თქვა...

იმ დიდი ოილის ღროიდელი პავვოგის მოგონება

მუხა იდგა ჩვენს ეზოში –
ხუთასი წლის ბებერი,
და ნებისად შრიალებდა
ნიავ-ქარის შებერვით;

ტოტზე ეჯდა ფარშევანგი
დილაბით კიოდა;
ხუთასი წლის ხმა მოჰქონდა
ციურ საიქიოდან.

შარავანდად მთვარე ადგა,
როგორც ოქროს გვირგვინი,
წინ სამყაროს სივრცე ედო –
რუსთაველის წიგნივით.

შორით თეთრად ჩანდა მთაზე
ეკლესის კედელი,
სასოებით მუხლს უყრიდა
სათნოების მძებნელი.

ადიოდნენ ცად ლოცვები,
კაცთა სულის მარგები,
ტრიალებდა დროის ჩარხი
მამა-ღმერთის განგებით.

მერე მოსკდა ნიალვარი –
ცა-და-მიწის მომრევი,
და ქვეყანას გადაევლო
სისხლის მღვრიე მორევი;

ჩამოინგრა, ჩამოიქცა
ეკლესის კედელი,
დაიტანა კირით ხუროც,
ბედის ოქრომჭედელიც;

დარჩა ველი ტრიამელი
და ობოლი ბალდები,
არვინ იყო მწყლობელი
და არც კუბოს ნამღები;

მიწა ბერწი, მოუხვნელი,
გულ-ფილტვ-გამოფატრული,
კაცი გუდამშიერი და
ლუკმა პურის ნატრული...

ასე ბრუნავს ეს ქვეყანა –
ყოველივეს ნარმხოცი,
რამდენს უძლებს კაცთა მოდგმა
და ადამის ძვალ-ხორცი.



ნატურალიზმი

ალექსი ფანგანი



დალილა ბედიანიძის ეს ლირიკული რკალი გამოცდილებით მოწეული პოეზიის ჭირნახულია: „მთელი სიცოცხლე შევალი სინათლის შოვნას, წვეთ-წვეთობით ვაგროვებდი შავი დღისათვის“. ასე დაადო პოეტმა სინათლეს პურის ფასი და მისი გამოზოგვა ისწავლა.

ჭირნახულის ფერადოვნება, სიტყბო და სურნელი აილებს მკითხველისათვის იმ მრუმე ფიქრების შემოტევას, რომელიც ამ ლექსებში უკვე გლოვის ესთეთიკად აღიქმება.

ისე როგორც თოვლმა და წვიმამ, წერის პროცესმაც უკვე დაკარგა სტიქის ენერგია და მედიტაციური ჭვრეტით მიღებული აღმოჩენებით დაიწყო წვენ გაოცება: „სიჩუმეში მესმის ლექსის ფეხისხმა...“ ანდა „წუხელ მესაზმრა, რომ ლვინო წყობდა, დაბარბაცებდნენ მთვრალი ხეები... წუხელ მესიზმრა შემთვრალი მინა, ვით მამაჩემი იყო ცოცხალი“.

ამ პოეტური რკალის ნაკითხვის შემდეგ ჩნდება განცდა, რომ წლებმა კი არ გააფერმკრთალა ფალილა ბედიანიძის გულუბრყვილო, ნაივურად ფერადოვანი სამყარო, უბრალოდ მშობლიური „სხორი გზებით“ სიარული რომ ასავლა, აწვალა, ტანჯა, გაწვრთნა და ნანატრი სიმშვიდის სიბრძნე შესძინა.

დალილა ბედიანიძე

* * *

ცრემლების ლოკოინები მოცოცავენ ჩემს სახეზე
და ფიქრის ნიუარებს მიითრევენ
და ჩემი სახე ტირილის ნაოჭებში იხლართება,
როგორც აბლაბუდში,
რომელიც დარდმა – დიდმა ობობამ მოქსოვა.
ცრემლების ლოკოინები ხაზავენ ჩემს სახეზე იმ გზებს,
რომელთაც ჩემი სული მიჰყვებ-მოჰყვება
და სულში ციგა, როგორც შემოდგომის წვიმისას.
მე დავტირი საკუთარ თავს,
რადგან ვიცი, რომ მოკვდავი ვარ
და რომ მოკვდები, მაშინ ვეღარ დავიტირებ.
მე დავტირი უპატრონო მიცვალებულებს
და ომში უგზო-უკვლილ დაკარგულებს დავტირი,
მაგრამ მაინც მაქვს იმედი,
რომ ისინი დაბრუნდებიან,
როგორც იმის იმედი მაქვს, რომ
მეც დაგვარუნდები ამქვეყნაზე სიკვდილის შემდეგ
და ჩემი სული არ მოკვდება ჩემთან ერთად.
ცრემლების ლოკოინები მოცოცავენ ჩემს სახეზე.
გულამოსკვნილი ვეკითინებ და
დარდი – დიდი ობობა ხარბად ისრუტავს ჩემს სისხლს,
რომელიც

ცრემლებს ერევა.

რატომ შემქმენი ღმერთო, მოკვდავად?
არ მეთმობა წუთისოფელი.
შემაშრე ცრემლი უფალო და მომეც იმედი,
რომ სული ჩემი არ განქარდება
და ცრემლების ლოკოინები მზეზე დადნებიან
და სარკეში თავს გაფულიმებ ნიშნად მათზე გამარჯვებისა.

ნაცესურები

სველ ქვიშაზე – ღმერთის ნაფეხურები.
ღმერთი წავიდა, წავიდა და მზეს შეუერთდა
და მზე ზღვის გალმა დგას, როგორც ნიშანსვეტი
მარადისობის,
სველ ქვიშაზე – ადამიანთა ნაფეხურები...
ადამიანებით სასე ზღვა –
რამდენი წვეთი წყალიც ზღვაშია,

იმდენია ადამიანი

და ყველა ზღვაში შედის ბოლოს
და ტოვებს ქვიშაზე ნაფეხურებს,
რომელიც ერთმანეთს არ ჰგვანან,
როგორც წყლის ორი წვეთი
და რომელიც გვიჩვენებენ გზას ზღვისაკენ –
მარადიული სამკვიდროსკენ და უფლისაკენ.
აყვავებულ ველზე ღმერთის ნაფეხურები –
პეპლები დამსხდარან.
მათი ფრთები ანგელზების ფრთებსა ჰგავს
და სიცოცხლეს გამოასხივებს
და როდესაც პეპლები მზისკენ გაფრინდებიან,
ღმერთიც წავა ჩემიგან, წავა მზისაკენ ფეხაკრეფით,
რათა ჩემიგან დაისვენოს
და რამდენჯერაც პეპლას დავინახავ, იმდენჯერ
პირჯვარს გადავიწერ
მისი სინმინდის და სილამაზის წინაშე
და გამახსენდება ღმერთის ნაფეხურები.

* * *

ჯიბეში ვიდებ მზეს, როგორც ოქროს ლარიანს და
ჯიბე ისე მიმძიმდება, რომ ხელს ვაშველებ
და გამოჟონილი მზის ნათელით მისველდება ხელი.
ჯიბეში ვიყრი ვარსკვლავებს, როგორც ხურდას
და ჩემს ჯიბეში ისე ბენდა,
როგორც ღრუბლების უბეში და
ცაზე მივაბიჯებ, რათა სინათლე გადავზიდო
სხვა პლანეტაზე, საიდანაც შველას მთხოვენ
უცხოპლანეტელები, რომელთაც გაუთავდათ მზე და ვარსკვლავები
და ნათელი უნდა ვასესხო,
სანამ ხათელს მოპოვებდნენ.
ჩემს ჯიბეში რა არ ეტევა, როგორც გულში,
რომელიც ლამის არის საგულედან ამომიფრინდეს
სიხარულით,
რომ მზე ვიშოვე და ვარსკვლავები ვიშოვე და
შემიძლია, უცხოპლანეტელებსაც ვუწილადო.
მთელი სიცოცხლე შევალი სინათლის შოვნას,
წვეთ-წვეთობით ვაგროვებდი შავი დღისათვის
და ეს დღეც დადგა და მდიდარი მგონია თავი,
რადგან ჯიბეში მიდევს მზე – ოქროს ლარიანი
და ვარსკვლავების ბრჭყვიალა ხურდა.

ლიტერატურული ციტაციები

წუხელ მესიზმრა, რომ ღვინო წვიმდა
და ბარბაცებდნენ მთვრალი ხეები
და წვიმა იყო ისეთი წმინდა,
რომ ქედს უხრიდნენ სასახლეები.
წუხელ მესიზმრა, ვიყავი მთვრალი,
ვეცეკვებოდი მზესა და მთვარეს,
დარდი არ მქონდა შორეულ ხვალის,
სიკედილს რომ ნიშნავს სანდახან მწარეს.
წუხელ მესიზმრა შემთვრალი მინა,
ვით მამაჩემი იყო ცოცხალი.
რა ბედნიერი ვიყავი იმ წამს,
რა კურთხეული – იმ წვიმის წყალი.
წუხელ მესიზმრა, რომ ღვინო წვიმდა
დაუსრულები და სასწაული
და ჭრელი, როგორც თუშური წინდა,
ბალნარი იყო შემოკაული.
გამომელვიძა... სველი მაქვს თვალი
და ნამთვრალები ვჩურჩულებ ლოცვას.
წავიდა წვიმა, აღარ ვარ მთვრალი,
სახსოვრად წვეთი ღვინისა მომცა.

პიკადილი

ო, როგორ მინდა, რომ ვნახო პიკადილი.
მე პიკადილზე ვვოცნებობ ყოველ დილით.
მე მესიზმრება ო, პიკადილი ლამით
და ეს სიზმარი არ მტოვებს თუნდაც წამით.
აღტაცებული ვარ სიზმრის პიკადილით,
სულს ეფინება, როგორც ნოტრდამის ჩრდილი
და თუმცა ვიცი, რომ ვერასოდეს ვნახავ,
სულმა იხილა და სულმა შეინახა.
ო, ერთხელ მაინც მანახა პიკადილი
და ამიხდინა ოცნება ჩემი წილი!
რაც შეიძლება, ნეტავ გაგრძელდეს ძილი,
რომ ახარებდეს თვალს დიდხანს პიკადილი.
ცხადში თუ სიზმრად არ მტოვებს მასზე ფიქრი,
პიკადილს ველტვი, პიკადილისკენ მივერი.
ო, როგორ მინდა, რომ ვნახო პიკადილი!
ოცნებას ვიწყებ ამ ნატვრით ყოველ დილით.

შავი თოვლი

ო, რა შავად თოვს!
მგლოვიარე თოვლს შავები აცვია
და ისე ცვივიან ფიფქები, როგორც რეკვიემის ბგერები.
შავ თოვლს შავი მუსიკა უხდება.
წელს უკანასკნელად თოვს და
თოვლი გლოვობს გარდაცვლილ ზამთარს
და შავად ეფინება მინასა და სახლების სახურავებს.
თოვლის შავი ყვავილები იფურჩენებიან
და ჩემს სულშიაც ჩამოწვა სევდის შავი ზვავი –
წინასწარ ვგლოვობ, რომ უნდა მოვკვდე.

შავი ფიქრები ჭილყვავებივით მესევიან
და შავი ფიფქები სულს ავსებენ და
მცვივა შავი ცრემლები –
თავს დავტირი, რადგან ისე გულწრფელად
ვერვინ მიგლოვებს,
როგორც მე დავტირი საკუთარ თავს და
ისე არავის ვეყვარებოდი,
როგორც ჩვენ გვიყვარს საკუთარი თავი.
შავი თოვლი და შავი ღამე ერთმანეთს ერწყმის
და სიმავეში დანთებულა ჩემი წილი ქალაქი.
შავად იმოსებიან ხეები, რომელნიც დგანან,
როგორც პანაშვიდზე.

ზამთარიც გარდაიცვალა.
გარდაიცვალა კიდევ ერთი წელინადი
და არ ვიცი, მოვესწრები თუ არა
გაისად შავ თოვლს.

აჯანყება

ავჯანყდი.
ჩემს ირგვლივ მორჩილად მორბენალი დღეების
წრე გავგლიჯე და
უსასრულობაში გადავეშვი.
აღარ მინდა ყოველდღე გაღვიძება და დაძინება,
რაღაც სხვა, მესამე მინდა.
აღარ მინდა სიცოცხლე და სიკვდილი,
როგორც უთქვამთ, რაღაც სხვა, მესამე მინდა.
აღარ მინდა შიმშილი და სიმაძლე,
რაღაც სხვა, მესამე მინდა.
აღარ მინდა სიძულვილი და სიყვარული,
რაღაც სხვა, მესამე მინდა.
ავჯანყდი.
დავანგრიე ჩემი მშვიდი სამყარო,
მაგრამ ნანგრევებში მოვყევი და
სული ამტკივდა – აღარც ეს ტკივილი მინდა,
აღარც უტკივილობა
და უცდილობ, ჩემს ბედს შევებრძოლო,
რომელიც მაინც მიმორჩილებს,
მაინც თავისეკენ მიმერევება
და მე აჯანყებული, მოუთვინიერებელი
ვახსენებ ღმერთს და
ლოცვებით შევთხოვ, გამიყვანოს ჩემი ადამიანობიდან
და რაღაც უფრო მეტად მაქციოს აჯანყებული
და დამავწენოს ერთფეროვნება,
როგორც მტერი და ვიყო ვილაც მესამე
ადამიანსა და უფალს შორის.

მშრალი ციტაცია

დიდი ხნის უნახავი წვიმა მესტუმრა
შეა ქუჩაში, მოულოდნელად.
გადამკოცნა და მეც გადავკოცნე
და მომიყვა თავისი მოუცლელობის ამბებს
და მეც მოვუყევი ჩემი მოუცლელობის ამბები,

თან ხეს შევეფარე
და იქიდან ვკიდებ ხელს ხელში.
საოცარია, წვიმას ხელი მშრალი აქვს და
თვითონაც მშრალია,
როგორც ლერწამი წყალში მდგარი.
კარგად გსაუბრობთ წვიმის ენაზე.
ის წვეთებს მესვრის, მე – სიტყვებს და
კარგად ვერთობით.
დიდად გავიხარეთ ერთმანეთის ნახვით,
მერე კი ჩემი სტუმარი წვიმა
შინ წავიდა და
მეც შინ წავედი.

ძილისპირული დედას

დამის კარი ღიაა და
ყვავილები ჩანან.
ნანა, დედა, დაიძინე!
ნანა, დედა, ნანა!
შენს დახუჭულ თვალებს ვხედავ,
ნამნამების ყანას.
ნანა, დედა, დაიძინე!
ნანა, დედა, ნანა!
მთვარის შუქი მიწას სერავს,
როგორც ბასრი დანა.
ჭრილობებით მიწა მღერის –
ნანა, დედა, ნანა!
როგორც შენ მე მაძინებდი
ბავშვობის ტებილ ხანად,
გამიბავშვდი და გაძინებ,
ნანა, დედა, ნანა!
დამეს ერთვის შენი ძილი,
გიმდერ, გძინავს სანამ.
შორს სიბერე და სიკვდილი!
ნანა, დედა, ნანა!

* * *

მე უშენოდ ვერ ვიქნები ლამაზი,
მე უშენოდ ვერ ვიქნები კარგი.
წმინდა, როგორც ზიარება-ნამაზი
გრძნობა მმსჭვალავს – სიყვარულის ხარკი.
ვარ უშენოდ, როგორც თევზი – ჰერში,
როგორც ზეცანართმეული ჩიტი.
ვეღარ დავფრენ და უფსკრულში დავეშვი
და გამინდა ფეხევეშ ბერვის ხიდი.
მოდი ჩემთან, მოდი, გამალამაზე,
დამამშვენე, როგორც მთვარემ – ზეცა!
ცეცხლის ჩიტი ზის ჩანავლულ წალამზე,
ზის ჩემს სულში, ფრთებს შემოიკეცავს.
მე უშენოდ ვერ ვიქნები ლამაზი,
მე უშენოდ ვერ ვიქნები კარგი.
სიყვარულით მიპასუხე სალამზე
და სიყვარულს მოუხადე ხარკი!

* * *

ყველამ დამივიწყა.
მე ამოვფრინდი ჩემი სხეულიდან
და ცის გზას შევუდექი.
მეც დავივიწყე ჩემი სხეული,
რომელიც თურმე ისე მამძიმებდა,
რომ ფრენა არ შემებლო –
მიწისეკნ მქაჩავდა და მიწა იზიდავდა,
როგორც ქარით მოწყვეტილ ფოთოლს.
ყველამ დამივიწყა.
მე მოვწყდი მიწას, დავივიწყე მიწის გზები
და ცას მივუკაუნე წითელი ნისკარტით,
რომელიც მხოლოდ მტრედებსა აქვთ
და მივიღე მტრედის სახე,
რომელსაც ცასა და მიწას შორის ამბები დააქვს.
დრო მოვა და ყველა გამისენებს,
როცა ჩემი სიყვარული მოაკლდებათ.
სად წავიდაო – მომძებნან კიდევაც
და მაშინ ციდან დაგბრუნდები სულად ქცეული,
დაგბრუნდები ახლობლების სიზმრებში და
შევახსენებ, რომ მახსოვს ყველა,
რომ მიყვარს ყველა იმ სიყვარულით,
რომლითაც ქრისტემ, ჯვარზე გაკრულმა
აზიარა სიკვდილმისჯილი ავაზაკი
და ჩემი შენდობა ჩემს შემდეგ წასულებს
გზას გაუკვალავს სასუფევლისკენ,
სადაც ყველას ყველა ახსოვს
და აღარ სწყინთ, თუ დედამიწაზე ყველამ დაივიწყა.

ყოველ დილით

ყოველ დილით ცხრა საათზე
ვდგავარ სტარტზე გაზქურასთან
და ყავას ვიდულებ, რომ სამსახურში წასვლის წინ
ყავის დალევა მოვასწრო.
ყავისფერი მზე ამოდის ჩემს ცაზე და
გინდაც არ ჩანდეს, მაინც მფენს ყავისფერ შუქს
და ცხელი ყავის ფინჯანში ბრნყინავს
და მამხნევებს ახალი დღისთვის.
არ მბეზრდება, ამ მზეს უყურო
და როდესაც სიკვდილზე ვფიქრობ,
იმასაც ვფიქრობ, რომ ყავისფერი იქნება ჩემი საიქიოს მზე
და როდესაც საქართველოს დავტოვებ,
თან გამყვება ჩემი მშვიდი და ბედნიერი დღეების
მოსაგონებლად,
იმ დღეების მოსაგონებლად,
როცა დილის ცხრა საათზე ვდგავარ სტარტზე და
მშვიდად ვიდულებ თურქულ ყავას.
დალამდება და ჩემს ცაზე ყავისფერი მთვარე ამოვა,
ნიშნად იმისა, რომ ციდან ვიღაცა მხედავს
ყავისფერი მთვარის თვალით,
როგორც ციკლოპი
და სამუშაო დღის ბოლოს დაღლილს თვალის ჩაკვრით
მამხნევებს მთვარე,
რომელიც წერტილად უზის დღეს და

კიდევ ჩნდება ვარსკვლავების მრავალწერტილი,
ნიშნად იმისა, რომ ჯერ გრძელდება ჩემი სიცოცხლე სააქაოში
და ხვალ დილით ამოუცნობი სიზმრების შემდეგ
პოსტზე ვიდგები ჩემს გაზტურასთან
და ახლად მოდულებული ყავის ფინჯნიდან
ჩემი ყავისფერი მზე შემომცინებს,
როგორც ყავისფერი სიზმრის გაგრძელება.

ფილია

ფილია ერთმანეთს დაჭერობანას ეთამაშებიან.
ქარმა გაგლიჯა ღრუბლის ბალიში
და ბუმბულებივით ირევიან ფილია.
ვუყურებ და ბავშვობა მაგონდება,
როცა პირველად ვნახე თოვა,
როცა მამა (კოცხალი იყო და მეუბნებოდა:
„ნახე შეილო, თოვს!“
რამდენჯერაც გათოვდება,
იმდენჯერ მამა მომაგონდება
და ფილია რეკვიემის ბეგერებივით მეფინებიან
და სახეს ცრემლით მისველებენ.
დამდნარი ფილივით გაქრა მამა.
ჩვენ ყველანი ფილია ვადნებით მინას,
ჩვენ ყველანი მშობელ ზეცას ვემშვიდობებით.
ფილია ერთმანეთს დაჭერობანას ეთამაშებიან,
ბავშვი ფილია, ონვარი ფილია
და თან ჭავანან ჭალარა მოხუცებს
და მეჩვენება, რომ სანამ მინაზე დაეცემიან,
მანამ ჭალარავდებიან სიკვდილის შიშით
და მანამდე თეთრები კი არა,
ისამნისფერები არიან.
მამა, თოვს, მამა! შენს საფლავს ათოვს
და თითო ფილი თითო მოგონებაა,
რომელიც შენთან მაახლოვებს
და ღრუბლის ბალიშზე უდევს თავი მთვარეს
და ესიზმრება, რომ ფილია მიწიდან ადიან ცაში,
როგორც ჩვენი ფილიება.

* * *

სალამოა.
ჩემი დაღლილი ავტობუსი როგორ ქოშინებს,
ფინიშს – ბოლო გაჩერებას უახლოვდება.
ჩემს გარდა ამ ავტობუსში არავინ ზის და
სიცარიელე ისე მეუფლება,
როგორც ზღვას – ლამე,
როცა არავინ ჩანს სანაპიროზე.
ლამპიონები ახელენ თვალებს,
ახელენ თვალებს, რათა კარგად დაგვინახონ
მე და ჩემი ავტობუსი და
რათა მშვიდობით მივალნიოთ გაღმა ნაპირს –
ფინიშსა და ბოლო გაჩერებას.
ქუჩა ზღვასავით აღელვებულია
და მანქანები აქოჩილი ტალღებივით მიქრი-მოქრიან.
ჩემი დაღლილი ავტობუსიც ამ ზღვის ტალღაა,
დაღლილი ტალღა, რომელსაც ძილი ერევა და

თვლემით, ბარბაცით მიდის ფინიშთან.
სადაცაა გაჩერდება და ჩამოვალ,
მაგრამ არ ვიცი, ახლა სად ვარ, ახლა რა ვქნა,
აქ, გაღმა მხარეს მე ჯერ კიდევ არავის ვიცნობ.
ლამპიონები ასხია ბოძებს, ვით მწიფე მსხლები
და მათ ნათელში ვხედავ ჩემს სახლს,
რომელიც ამხელა გზის შემდეგ
გაუცხოვებული, ჩაბნელებული დგას და
გაველურებულ ძალს ჰგავს,
მე კი მისკენ მივდივარ, რომ ისევ მოვიშინაურო,
ისევ გავანათო ხვალამდე,
სანამ ისევ ავტობუსში ჩავჯდებოდე.

* * *

ათი წლით წინ რომ ვიყურები, რა შორია.
ათი წლით უკან რომ ვიყურები, რა ახლოა.
მე ვარ ხიდი გუშინდელსა და ხვალინდელს შორის
და ჩემი დრო იზომება დღით დღევანდელით,
რომელიც ცისარტყელად გადაჭიმულა
ჩემს წილ ზეცაზე
და გაქრება, როცა მე უკვე აღარ ვიქნები
და ცისარტყელა მოასწავებს, რომ
დღეისათვის ბედნიერი ვარ,
რომ ყველაფერი კარგად არის.
როგორც წუთები, მოცვივიან წვიმის წვეთები,
მაგრამ ეს წვიმა კი არ მასველებს,
მირეკლავს მხოლოდ.
თვითეულ წვეთში ჩანს ჩემი სახე,
რომელიც ყოველ წუთში იცვლება,
რადგან იცვლება სამყარო ირგვლივ ყოველ წუთში.
ის, რაც ჩაიღის, აღარასოდეს ამოივლის
და წვიმის წვეთები ჩემი წილბებია.
ათი წლის წინ რამაც ჩაიარა,
ათი წლის შემდეგ მოგონებადლა შემომრჩება და
დღე დღევანდელიც მოგონებად გადაიქცევა,
როცა მინას დააკვდება, ვით წვიმის წვეთი,
რომელშიც სამყაროა ჩატეული
და რომელიც მარადიულად ცვალებადი ჩემი სახეა.

* * *

სიჩუმეში მესმის ლექსის ფეხისხმა,
მხოლოდ მე მესმის
და აღარ მესმის სხვა ხმები და
ლექსის ფეხისხმა ჰგავს ზღვის შრიალს,
რომელმაც მედუზები გამორიყა,
როგორც სიტყვები
და სანაპიროს ქვიშას ლექსი წააწერა,
რომლის მკითხველიც მხოლოდ მე ვარ.
მე ზღვის ენაზე ვლაპარაკობ.
სიჩუმეში მესმის ლექსის ფეხისხმა და
ჩემი სული თოლიებს შორის ზღვას დასთამაშებს.
მე ვარ ზღვისა და ვარ ლექსისა,
მე ამქვეყნისა არა ვარ და ჩემი დღეები ჰგვანან
ზღვის ტალღებს,
ხან წყნარსა და ხანაც – ბობოქარს

და მარილიან კლდოვან ნაპირებს
და როგორც ზღვაში კენჭები, ჩემში არ ილევა სიტყვები,
ლილინთ რომ მკარნახობენ ლექსის სტრიქონებს.
სიჩუმეში მესმის ლექსის ფეხისხმა,
რომელიც ჰგავს დედაჩემს ფეხისხმას,
როცა ცდილობს, ხელი არ შემიშალოს წერაში
და დედაჩემი არის ზღვა, რომელიც მიმოქცევა
ჩემსა და ლექსს შორის
და მშობს, როგორც აფროდიტეს ქაფიდან და
მაგზავნის ადამიანებთან,
რათა მათ სიყვარული ვასწავლო.

გედიერი დღეები

ბედნიერ დღეებს კალენდარზე წითლად შემოვხაზავ
და კალენდარს ჯიბეში ვინახავ,
რომ როცა ცხოვრება გამიჭირდება,
ამოვილო და დაგხედონ და ვიიქრო – მეც მიცხოვრია
და ბედნიერი დღეები ანათებენ კალენდარს,
როგორც ჩემს ჯიბეში დამწყვდეული მზეები,
რომელნიც მე მემორიჩილებიან
და რაც ხდება ჩემს ჯიბეში,
იგივე ხდება უფლის ჯიბეში,
სადაც მზეა დამწყვდეული
და უფლის ნებით ბედნიერ დღეებს მოგვივლენს ხოლმე.
და ღრუბლიანი დღეების მიღმა
ის არსებობს – დღე ბედნიერი.
ბედნიერ დღეებს ჯიბის კალენდარზე წითლად შემოვხაზავ
და ჰგავს შეუნიშნის თამაშს მათი ნათება –
სან მწვანედ, ხან წითლად ინთებიან

და ჩვენს ცხოვრებას აწესრიგებენ,
რომ კატასტროფები და საცობები აგვაშორონ.
და ბედნიერი დღეები ჩემს ჯიბეში ფრთხიალებენ,
როგორც დამწყვდეული ჩიტები,
როგორც დამწყვდეული მზეები და ბედნიერება მორჩილია,
გახედნილია
და ამისათვის უფალო, გმადლობთ!

ციიდის მრავალნერტილი

დარჩება წვიმის მრავალნერტილი,
როდესაც წავალთ და მივიძინებთ,
ვითარცა მძივი ჩამოწყვეტილი,
სევდისაგან სველი, სევდისგან მძიმე.
დარჩება წვიმის მრავალნერტილი,
როცა გაწყდება სიცოცხლის ძაფი
და ზეცა, დარღით ცრემლდანრეტილი
ყველას დაგვიტევს, ვინც მას ვესწრაფვით.
დარჩება წვიმის მრავალნერტილი
საფლავის ბორცვზე ნამად ასხმული.
და ბალახი კი თმაგაწენილი
ზაფხულს დახვედება თავშენახული.
დარჩება წვიმის მრავალნერტილი,
ვით გადამფრენი წეროთა გუნდი
და გაგვედება ცა მოწმენდილი,
მზე იურთხიალებს, ვით მტრედის ხუნდი.
დარჩება წვიმის მრავალნერტილი
და ჩვენს სიცოცხლეს განაგრძობს წვიმა.
როგორც ვარსკვლავი ცას მოწყვეტილი,
ჩვენ ზეცის მიღმა გზას გხაზავთ სიმად.

ვაისფოლე

თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას თუ რაიმე აკლია, ეს არის დასაბუთებას ხელოვნება.

დარწმუნდით!

თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას თუ რაიმე აკლია, ეს არის დასაბუთებას ხელოვნება. აზრის ლოგოტერად და-
საბუთება. ჩვენში ემიციცური ანალიზის ნაირსახეობები ბატონობს და ამას ისე მივეჩივეთ, ზოგჯერ გვავინდება კიდეც, რომ ამ ქვეყ-
ნად რაციონალური კრიტიკის სახეობაც არსებობს. რას ვიზამთ, ეს ასევე და ვითარება კარგ ხნის არც შეიცვლება. დაახ, შეგუებული ვართ და ხმას არ ვიღეთ, მაგრამ საკმარისა გამოქვეყნდეს რიმე ისეთი, რაც გულსა და გონებას შექრავს, რომ მაშინვე გეცვლება განწყობილება და სხვაგვარად იწყებ მსჯელობას. „არც ისე ცუდად ყოფილა საქმე, იქნებ გვეშელონს“, — ფიქრობ შენოვს და გიხა-
რია, რომ ქვეყნიში კიდეც არიან მთაროვენ, ჭევიანი, განათლე-
ბული ადამიანები, რომელებმაც იციან, რას წერინ და როგორ წერინ.

ერთი სიტყვით, ზურაბ ხასაიას წერილზე მოგახსენებთ. „ჩვენი მწერლობის“ ა.ნ. მე-3 ნომერიში დაიბეჭდა მისი „აკუტაგავას ტრაგე-
დია“. ყველთვის სიამოვნებით ვითხულობ მის სტატიებს, რადგან ვიცი, რომ კალამი უჭრის და, რაც მთავარია, კარგად ფლობს ინტე-
ლექტურული ანალიზის წესებს. რამდენადაც ვიცი, პროფესიონალი ფი-
ლოსიფიკა, მაგრამ მინაგანი წყობით, ხასათით აშკარად ლიტერა-
ტორია, უფრო სწორად, პოეტი, რომლისთვისაც პრობლემას არ წარ-

მოადგენს ურთულესი ფილოსოფიური საკითხების ლიტერატურის სფეროში შემოტანა. პოეტის ვასტანება და აუცილებელი პოეტების სინ-
ტერეს კლასიფიკაციას გვთავაზობს ზურაბ ხასაია, ეკრძოდ, პოე-
ტებს ყოფს თუ კატეგორიად: პოეტ-მახსილებლებად (მაგალითად, რუსთაველი, ავაკი წერეთელი) და პოეტ-მახსილებლებად (დავით გუ-
რამიშვილი, ილია ჭავჭავაძე). მისი აზრით, პოეტ-მახსილებლები იყო
აკუტაგვა, რომლის სკეპტიკიზმი ისე შორს წავიდა, რომ სამყროს წარმმართველ ძალად ბოროტება აღიარა და გახდა „ჯოჯოხეთის პოე-
ტი“.

შესანიშნავია განხილვა აკუტაგავას ცნობილი მოთხოვნისა „ურთურ ტყები“. აյ არის მტკიცება, რომ არ არსებობს ერთი, საყო-
ველთან სინამდვილე, არსებობს იმდენი სინამდვილე, რამდენიც ადამიანია. სინამდვილე არის მრავალი და სათავისო. შესაძლოა აღ-
იარებული ჭეშმარიტება, მაგრამ ისე კარგად, ისეთი დიალექტიური გატაცებით ასაბუთებს ამ ყველივეს, ასე გგონია, ლექსს კითხუ-
ლობ.

ინტელექტუალურ გამბედაობად მიმაჩინა მარქსის, ნიცესა და ფრითიდის მსოფლმხედველობათა ერთ რაკურსში მოქცევა და
მისი გამოცხადება ადამიანის უარმყოფელ თეორიად.

თვალისაჩინოდ არის გაანალიზებული ნაპილიზმის გზა, დოს-
ტოევსკის, კაფუას, კამიუსა და აკუტაგავას მრნამსის მეშვეობით.

ყველაფერზე საუბარი შეუძლებელია და არც არის საჭირო. უბრალოდ მინდა მკითხველ თანამომმებებს ვუთხრა, ვისაც არ წა-
უკითხავს ზურაბ ხასაიას ეს კრიტიკული ეტიუდი, წაიკითხოს და
დარწმუნდეს, რომ კრიტიკა არსებობს ქართულ ლიტერატურაში,
ჩვენში, აქ და ახლა.

პაატა ჩხეიძე

ტ. ს. ელიოტი და პ. ს. ლუისი

ტომას სტერნზ ელიოტი (1888-1965) და კლაივ სტეიპლ ლუისი (1898-1963) თანამედროვენი იყვნენ და კონსერვატულ ნიადაგზე მდგარნი იღვნილნენ ადამიანისა და ზნეობის გადა-სარჩენად. ბევრი რომ ჰქონდათ საერ-თო; გაინგლოსელებული უცხოელები იყვნენ, ელიოტი — ამერიკელი, ლუისი კი — ირლანდიელი; ორივენი ანგლოკა-თოლიკებად მოიცნენ, ელიოტი — 1927 წელს, ლუისი — 1929 წელს; ორი-ვეს ჰყავდა მეორე ცოლი და მათ მნიშვ-ნელოვანი როლი შეასრულეს ქმრების ცხოვრებაში; ორივე სამოქალაქო პირი იყო და ორივენი მგზნებარედ იცავდნენ ინგლისის ორთოდოქსულ რელიგიას.

და რაკი ერთმანეთს იცნობდნენ, საკარაულოა, რომ ახლო მეგობრებიც უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ მათი ურ-თიერთობა საკმაოდ წინააღმდეგობრი-ვი იყო; ხშირად იმომშებდნენ ერთმანე-თის მოსაზრებებს თავაანთ წერილებსა თუ წიგნებში, მაგრამ კამათობდნენ კი-დეც, და თუ რას ფიქრობდნენ სინამდ-ვილეში ერთმანეთზე, შეიძლება გავი-გოთ ოქსფორდში, ბოდლეის ბიბლიო-თეკასა და პრინსტონის უნივერსიტე-ტის ბიბლიოთეკაში დაცული მიმოწერიდან, ერთმანეთსა თუ საერთო მეგობარ, პოლ ელმერ მორთან.

ელიოტსა და ლუისს საერთო მტრები ჰყავდათ, რომელ-თაც ირივე ერთ ბანაკში გამაგრებულად ეგულებოდათ და ორივეს ერთი ერესი ედებოდა ბრალად — ქრისტიანობა! ქრისტიანობა მემარცხენე ინტელექტუალებში დიდ ცოდ-ვად ითვლებოდა და გაღინდინებასა და შემსაც კი იწვევდა ინტელექტუალი „ერეტიკოსთას“ რაოდენობის ზრდა, რო-მელთა რიცხვში, გარდა ელიოტისა და ლუისისა, შედიოდ-ნენ იდენტი, სეიერის, გრემ გრინი და სხვები. ამიტომ გასაკ-ვირი არ უნდა იყოს, რომ ელიოტსა და ლუისს საჯაროდ ერ-თმანეთისთვის კიბლი იშვათად გაუკრავთ.

ამბობენ, ელიოტი და ლუისი ხსიათითა და ტემპერამენ-ტით იმდენად განსხვავდებოდნენ, რომ დაახლოვებას ვერაფ-რით შეძლებდნენ. იშვიათად თუ შეხვდებოდნენ ერთმანეთს და ცივი თავაზიანობით იქცეოდნენ, თუმცა ხანდახან თავაზი-ანობაში გესლსაც ურევდნენ; ერთხელ ელიოტს უთქვამს: მის-ტერ ლუის, თურქე უფრო ხნიერი კაცი ყოფილხართ, ვიდრე ფოტოსურათებზე ჩანსართო, — ლუისი აღშფოთებუ-ლა, თუმცა საზოგადოდ სულაც არ ანალვლებდა თუ როგორ გამოიყენდნენ. ჯონ მილტონის „დაკარგული სამოთხის“ წი-ნასიტყვაობაში, ლუისმა ზოგადად, მაგრამ მძაფრად გაკრი-

ტიკა ელიოტი; გამოხდა ხანი და ელიოტმა დაწერა, „დაკარგუ-ლი სამოთხის“ წინასიტყვაობა ლუისის საუკეთესო ნაშრო-მიაო, და ეს ლუისის ქებად, რა თქმა უნდა, ეერ ჩაითვლება.

ერთხელ ოქსფორდში ყოფილისას პოლ ელმერ მორი ლუ-ისაც შეხვედრია და ელიოტსაც, ოღონდ ცალ-ცალკე. ელი-ოტთან ერთად სადილობისას სიტყვა ჩამოვარდნილა ლუი-სის გაკათოლიკებაზე და იმაზეც თუ რა უცნაურად იქცეო-და იყო მაშინ, როცა მარტოდმარტო მთელ დროს ეკლესიაში ატარებდა. ელიოტს ჩაუცინია და უთქვამს: თუ გინდა ვინ-მეს დაემალო ოქსფორდში, საუკეთესო ადგილი კოლეჯის სამლოცველოა.

ლუისისა და ელიოტის ქიშპის მიზეზად პოეზიას ასახელე-ბენ. ლუისმა სახელი გაითქა როგორც სამეცნიერო პროზისა და საბავშვო წიგნების ავტორმა, როგორც ლიტერატურის ის-ტორიკოსმა და ქრისტიანიზმს დამც-ველმა; არადა, მთელი სულითა და გუ-ლით სურდა პოტი ყოფილიყო; წერდა ლექსებს, მაგრამ მისი პოეზია უმიერდოდ მოძველებული ჩანდა მოდერნიზმის ეპოქაში.

ელიოტის ლექსებს დიდად შეუც-ბუნებია ტრადიციული პოეზიისა და ლექსათანწყობის თაყვანისამცემელი ლუისი; არა, კი არ შეშურდა, მაგრამ ვერც ასეთი პოეზია მიიღო და ვერც ელიოტის პოეტური ნიჭიერება ირწ-მუნა. ეს იყო ორი პოეტური სამყა-როს შეჯახება; ტრადიციულისა მო-დერნულთან, დადგენილი ფორმებისა და კონვენციური სიმბოლოებისა ახალ ხატებთან და სუბიექტურ ასო-ციაციებთან, რაც ლუისის აზრით, მხოლოდ გადაგვარებას ამტკიცებდა.

თავიდან ლუისს სერიოზულად არც კი მიუღია ელიოტის პოეზია, თა-ვის მეგობრებთან ერთად ხალისობდა თურმე და პაროდიებს თხზავდნენ ელიოტის ლექსებსა და „კრიტერიონის“ სხვა პუბლიკაციებზე, პაროდიებს უაზ-როს, მაგრამ ერთგვარად ჭუჭყის სურნელით გამსჭვა-ლუს. ამ „ჭუჭყზე“ წერდა ლუისი თავის წიგნში „პიროვნუ-ლი ერესი“ (1939):

„ჩვენი საუკუნის „ჭუჭყიან ოციან წლებში“ შეიქმნა ლექ-სები, რომლებიც წარმატებით აღძრავდენ განწყობილებას მოწყენილობისა და მოყირჭებისა, რასაც მხოლოდ მცირედი ადგილი უჭირავს მოწყესრიგებული და ზრდასრული კაცის ცხოვრებაში... და თუ [გადმოცემული განწყობილება] სწო-რად ასახავს ამ პოეტთა პიროვნებას, მაშინ პოეტები მასი-საგან განსხვავდებიან, თუკი საერთოდ განსხვავდებიან, მხოლოდ ნაკლოვანებით.“

ელიოტის ლექსები დიდად ლუისის დარჩა ლუისის მეგობრების წრეში თავშექცევის საგნდ. მათ მიერ დაფუძნებულ „ინკლინ-გების“ (ნართაულების) კლუბში ლუისი ხშირად კითხულობდა ელიოტის ლექსებს, განმარტავდა და ნალექს უწიდებდა. გარ-და ამისა, შემთხვევას არ უშევდა ხელიდან, რომ ირბად არ გაეკრიტიკებინა ელიოტის მთხაზრებაში; ელიოტი 1927 წლი-დან ბრიტანეთის მოქალაქე იყო, მაგრამ ლუისი მაინც „თანა-მედროვე ამერიკელ კრიტიკოსს“ უწიდებდა; ერთხელ, როცა სტუდენტმა აღფორთოვანებით მოიხსენია ნაწყვეტი ელიოტის



ტომას სტერნზ ელიოტი

“ბერნი მიწიდან”, ლუის თავი ვერ შეუკავებია და: დანტესა-გან აქვს ნასესხებიო, — უთქვამს.

ლუისისათვის, ლიტერატურული კრიტიკა ლიტერატურის ისტორიას ნიშნავდა. ტოლკეინთან ერთად იყო თავგამო-დებით იცავდა ოქსფორდის ინბლისური ლიტერატურის კუ-რიკულუმს, ანგლო-საქსონებიდან რომ ინყებოდა და რომან-ტიკოსებთან მთავრდებოდა. კრიტიკოსის მიზანი იყო ჩანვ-დომოდა ნაწარმოების უცხო წყაროს, მის კონტექსტს და ამო-ეცნო აცტორის თრიგვინალური ჩანაფიქრი. ამგარად, თანა-მედროვე მეითხველს შეაძლებინებდნენ ჩანვდომოდნენ ძველ ტექსტებს და თავისი აზრი ჰქონდათ მათზე. ეს იყო მეთოდი, რასაც ლუისი და მისი მეგობრები “საკუუნებიდან მომქრო-ლავ ზღვის ნიაცს” უწიდებდნენ: რომ დაგვიბერავს და ცოდ-ნას შეგვმატებს, პროვინციალიზმს დაგვაძლევინებს და მარტობას გა-დაგვატანინებსო; დიადი ლიტერატუ-რის კითხვა ათასობით ადამიანად ყოფ-ნას შეგვაძლებინებს და მაინც იმად დავრჩებით, რაც ვართო; შინაგანი გამ-დიდრება და საკუთარი “მე-ს” დაკარგ-ვა უძველესი პარადოქსია, და ვინც და-კარგავს, სწორედ ის გადაარჩენს საკუ-თარ თავსო.

კემპრიჯში გადასულ ლუისა სრუ-ლიად სხვა ვითარება დახვდა. იქ ლი-ტერატურულ ტექსტს მორჩილად კი არ იღებდნენ, არამედ განსჯიდნენ; ტრადიციის ნაკლებობის გამო ახალ ტრადიციას ჰქმიდნენ და ახალი კა-ნონით უკუაგდებდნენ მრავალ ავ-ტორს, ვისაც ლუისი პატივს სცემდა. გარდა ამისა, ამ სკოლაში პოეზიას ანიჭებდნენ იმ ფუნქციას, რაც ადრე რელიგიას ეკავა; ეს კი აღაშფოთებდა ლუისს. ამ სკოლაში ლიტერატურა ელიტურ დარგად იყო მიჩნეული. მაგალითად, ელიოტს სკეროდა, რომ მხოლოდ პოეტებს შეეძლოთ სწორად განს-ჯა და საუბარი პოეზიაზე.

ელიოტი და ლუისი პრინციპულ ლიტერატურულ საკითხებ-ზე დავობდნენ. ელიოტი შესპირის სამარტინის „ჰამლეტს“ დრამატურგი-ულ მარცხად მიჩნევდა. ლუისი გაოცებული იყო, თუ ეს მარ-ცხია, ნარმატება რაღა უნდა იყოს. ელიოტი აკრიტიკებდა მილტონს, „ცუდ ეაცად“ მოხსენიებდა და მავნე გავლენის შემო-ტანაში ადამშაულებდა; ლუისი თავგამოდებით იცავდა მილ-ტონს და კმაყოფილება უგრძენია, როცა მოგვიანებით გამოქ-ვეყნებულ წერილში, ელიოტმა მილტონი ენისა და ფორმის უდიდეს ისტატად მოიხსენია. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული ჯონ დონის მივიწყებული პოეზია მეტად პოპუ-ლარული გახდა და ეს მთლიანად ელიოტის დამსახურება იყო; ლუისი დონს მეორეხარისხოვან პოეტად მიიჩნევდა და ამტკი-ცებდა, ფონის ნაწალები ინტელექტი და აბურდული ხატები პოპულარული იმიტომ გახდა, რომ მოდერნისტების ესთეტიკას მოერგოთ. ლუისი რომანად იცავდა ელიოტისაგან, ვინც დრადენს უფრო მაღლა აყენებდა.

როცა უთანხმოება დაიძაბა და ლუისმა საჯაროდ გაილაშ-ქრა ელიოტის ნინააღმდეგ “დაკარგული სამოთხის” ნინა-სიტყვაობაში, ეტყობა, ორივემ იფიქრა, მეტისმეტი არ მოგვი-

ვიდესო, და ერთმანეთს შეხვდენენ მოწმეების გარეშე; რო-გორც ირკვევა, ჯერ ლუისმა მისწერა მობოდიშების ნერილი, მერე ელიოტმა გამოთქვა საუბრის სურვილი და შეხვედრაც დათქვეს: მისტერ ელიოტმა მთხოვა აღარ დამეწერა მის ლი-ტერატურულ შეხვედრებებზე და, კეთილი, მეც დავთანხმ-დიო, ბლოკნოტში ჩანაწერია შინ დაპრუნებულ ლუისის.

არაად, არც ერთ პუბლიკაციას თუ საჯარო გამოსვლაში ლუისა არ განუკითხავს ელიოტის მსოფლმხედველობა და ფი-ლოსოფია, მხოლოდ მის პოეზიასა და კრიტიკულ წერილებს იწუნებდა. მაგრამ პოლ ელმერ მორისადმი მიწერილ ბარათებ-ში ეჭვი შექვერნდა ელიოტის გულწრფელობაში, მის ანგლო-კა-თოლიკობასა, კლასიცისტობასა და ჰუმანისტობაში, რაც მო-რის გაოცებას მარტო იმიტომ კი არ იწვევდა, რომ ელიოტს გე-

ნიალურ შემოქმედად მიიჩნევდა, არა-მედ იმიტომაც, რომ სწორედ ლუისისა-გან არ მოელოდა ასეთ სუბიექტივიზმს. ლუისი ხომ არა მარტო გემოვნებას უწუნებდა ელიოტს, ნახევრად პოეტე-ბის, მარლოს, ჯონსონისა და ვესტსტერის თაყვანისმცემელია და (დანტეს გარდა) დიდსა და კეთილშობილ პოეტებს არ აფასებსო, არამედ იმაზეც ბრაზობდა, ამ ამერიკიდან ჩამოსულმა მარტოხელა კაცმა, გაქანებული ომის დროს, ასეთი სამსახური როგორ იშოვა ინგლისის ბან-კში და ცხოვრებაც როგორ აიწყო. მის მეგობრებზეც (ვოქვათ, პაუზაზე) ეჭვი-ანობდა და, ნართაულად, ფაშისტები-სადმი თანაგრძობაზე მიუთითებდა.

ნიგბი — “პილიგრიმის რეგრესი” — ლუისა დაბატული აქვს კონფლიქტი მთავარ გმირ ჯონსა და ვინმე მისტერ ნეოანგულარს შორის. ნეოანგულარი ყალბი ადამიანია, ვისაც ქრისტიანობა საკუთარი პერსონის უკეთ წარმოსაჩე-ნად და განსაღილებლად სჭირდება; რელიგია მისთვის მხო-ლოდ პატივსაცემი ესთეტური ტრადიციაა, რასაც გულწრ-ფელად კი არ მიეახლება, მოსაჩერებლად, კოსტა სამოსივით მიორგებს. ლუისის თვითონ უთქვამს ახლობელისათვის, ნეო-ანგულარში ელიოტს ველულისებმობობ.

გამოდის, რომ თუმცა ირიგეს ქრისტიანი მოაზროვნის რე-პეტაციი ჰქონდა, თავგამოდებით იცავდნენ რწმენასა და რე-ლიგისა და სადაციც არაფერო უნდა გასჩენოდათ, გარდა პო-ზისა და ლიტერატურის ცალკეული საკითხებისა, მათ შორის არსებული განხეთქილების უფსკრული გაცილებით ღრმა იყო, ვიდრე თვითონ სურდათ ეჩვენებინათ. ლუისი მთელი კა-რიერის მნიშვნელზე იძრმიდა სუბიექტივიზმს ანუ “პროვონუ-ლი ერესის” წინააღმდეგ. 1931 წელს მან ამ საკითხის გამო და-წერილი ნაშრომი გაუგზავნა ელიოტს, “კრიტერიონში” გამო-საქვეყნებლად; გავიდა ხანი, მაგრამ სტატია არ დაიბეჭდა; ლუისმა წერილი მისწერა ელიოტს, სადაც თავის პოზიციას გა-ნუმარტავდა და თანაც შეასენებდა, შენც ხომ ამ პოზიციაზე დგახარი; რა თქმა უნდა, ამ პოზიციაზე იდგა, ელიოტს “ტრა-დიცია და პიროვნული ნიჭიერება” ხომ საუკეთესო დასაბუთე-ბაა იმისა, რომ ლექს დამოკიდებული არ არის იმ ფინიკურ პროცესზე, რაც პიროვნების გონებაბაში ხდება, და რომ პოეტმა უნდა დათრგუნოს თავისი პიროვნება. მიუხედავად ამისა, ელიოტმა მაინც უკან დაუბრუნა ხელნახერი ლუისმა;



კლაივ სტეინბლ ლუისი

უცხოთის ცხოვრებიდან

მოგვიანებით მაინც გამოაქვეყნა თავისი ნაშრომი და გაირკვა, რომ მასში, ირიბად, ელიოტსაც აკრიტიკებდა შექსპირის შესახებ გამოთქმული აზრების გამო.

ელიოტი რომანტიზმის მოწინააღმდეგ იყო; იგი ირვინგ ბებიტის მონაფე გახსლდათ და იზიარებდა ბებიტის მოსაზრებას „კლასიცისტსა“ და „ემოციურ სენტიმენტალისტს“ შორის არსებული განსხვავების შესახებ; ელიოტი განასხვავებდა „ტრადიციას“ და „პიროვნულობას“, „წესრიგსა“ და „რომანტიულ წრმოსახვას“ და, თავის თანამიზრებთან ერთად, გამიჯვა „ახალი კლასიციზმი“ და „ფუმფულა რომანტიზმი“ ანუ რუსიზმი.

კლასიციზმში ელიოტი, გრძელ ლიტერატურულ-ესთეტიკური პრინციპებისა, გულისხმობდა კონსერვატულ, პოლიტიკურსა და საეკლესიო პოზიციას, მონარქიზმსა და კათოლიკიზმს. იგი მიიჩნევდა რომ ადამიანს არ შეუძლია თავი დააღწიოს პირველქმნილ ცოდვას, ამაოცხადა და სუმტურებს და ამიტომაც საჭიროა რაღაც ზეადამიანური დამოიდევრა, ის, რაც პიროვნების გარეთა. ზეადამიანური ძალა ერთადერთია, რაც განკურნავს ადამიანურ სწეულებას. ამ დოგმას მისდევდა ელიოტი მოქცევის შემდეგ მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ლუისი ხედავდა რომანტიზმის ნაკლოვანებებს და შეუთავსებლობას საკუთარ მსოფლმხედველობასთან, კერძოდ, სუბიექტივიზმის შეხამს, რაც უხვად იყო რომანტიზმში, მაგრამ მაინც არ უპირისპირდებოდა რადიკალურად, რადგან მასში უზღვავ სიხარულსა და ბედნიერებისაკენ უსაზღვრო სწრაფვას ჭვრებდა. მისთვის მისაღები იყო პიროვნული სიხარული, აღძრული მშვინიერების მიერ, აღფრთოვანება ბუნებით, სიყვარულით, მუსიკით და სკევდა წარსულის გამო; არ შემიძლია აღტაცება დავმალო ზაფხულის მინურულს მზის ამოსვლის ხილვისას, ზღვის ტალღების ხმაურის მოსმენისას ანდა კოლრივის „კუბლა ხანის“ კითხვისასო, წერდა იგი.

რომანტიზმი ლუისს რწმენისაკენ მიმავალ გზად ესახებოდა; ელიოტისათვის კი რწმენა რომანტიზმის შედეგი კი არა, რომანტიზმის დამანგრეველი ძალა იყო. რომანტიკული სიხარული შთააგონებდა ლუისს, დამორჩილებოდა მას, რაც ადამიანს გარეთა — ლერთის, ტრადიციას, ზნეობრივ წესრიგს, ლიტერატურას; ამ მორჩილებას უნდა მოეტანა მიუუკრძოლობა და გათავისუფლება თავეკრძა ფუსფუსისაგან, რაც ლუისის აზრით, იყო არსი ზეცური ცხოვრებისა. ამ მოსაზრებას ელიოტი, რა თქმა უნდა, არ ეთანხმებოდა.

უთანხმოებანი უთანხმოებად დარჩა, მაგრამ სიცოცხლის ბოლოს მანაც შერიგებულა ეს ორი დიდი შემოქმედი. 1958 წელს კენტერბერის არქიეპისკოპოსმა, ჯეფრი ფიშერმა, ფსალმუნის განმახლებელი სარედაქციო კომისია შექმნა და ელიოტი და ლუისიც მიიწვია. მომდევნო ორიოდე წელი ელიოტი და ლუისი განცნეცებული ხვდებოდნენ ერთმნეთს და მუშაობდნენ ფსალმუნის რედაქციაზე; შეხვედრები მეგობრიბაში გადაზრდილა.

ხომ იცით, ელიოტის არც პოეზია მომწონდა დიდად და არც პროზა, მაგრამ იმ შეხვედრებმა შემაყვარა ეს კაციო, უთქამის ლუისს ახლობლებისათვის. ელიოტისადმი მინერილი წერილების დასაწყისიც კი შეუცვლია იმ დროისათვის და ბარათებს ინცებდა, არა, „ძვირფასო სერ“, არამედ, „ჩემო ძვირფასო ელიოტ“. ისიც უნდა ითქვას, რომ იმხანად ისინი არა მარტო კომისიის სხდომაზე ხვდებოდნენ ერთმანეთს, არამედ საჯახახო სადილებზეც.

1961 წელს გარდაიცვალა ლუისმა ცოლი. ლუისმა მცირე წიგნაე დაწერა და ხელმოუწერლად, ფსევდონიმით გაუზავნა ფეხებრის გამომცემლობას. ფეხებრ და ფეხებრის დირქტორი მაშინ ელიოტი გახლდათ; მას უცვნია ლუისის ხელნაწერი და დაუყოვნებლივ დაუბეჭდავს. ამბობენ, ამ წიგნაში ყველაზე უფრო მეტად მოჩანს ლუისის პიროვნული განცდებით.

რეპორტაჟი

ეკა ბუჯიაშვილი

დიურერის რაიონის საჭურვალი

მასთან შეხვედრა უცხო არ არის ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ლიტერატურული სალონის სტუმართათვის. პირველი იგი სალონში შეუა საუკუნების ეპოდული პოეზიის თარგმნებით წარსდგა, მეორედ – დასავლური ლირიკისა და დრამატული თხზულებების ნიმუშებით, ამჯერად კი მან უსრნალ „ჩენი მენერლობას“ სალონში შეკრებილ საზოგადოებას ორიგინალური შემოქმედება გააცნო – კლასიკური სონეტის ფორმით ნაჭერი ლექსები, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე ასაიდუმლობდა და, საბოლოოდ, ამ საიდუმლოსაც ახადა ფარდა.

– ასეთი ვირტუოზი ლექსების იშვიათია არამარტო ჩენენს სინამდვილეში. თუკი დღეს ვინებს შეეძლო სონეტი შექმნა, მათ შორის უპირველესად ჯემალ აჯიაშვილს, თუმცა მხელოდ ამით არ შემოვიფარგლებით – იგი დღეს წაგვიკოთხავს შეუა საუკუნების ეპრაულ პოეზიასაც, რითაც პირველად გამოჩენდა ლიტერატურულ ასპარეზზე, დასავლური ლირიკის ნიმუშებსაც და ამონარიდებსაც დრამატული თხზულებები-

დან, რომელიც შესანიშნავად გააცოცხლა სცენაზე რეჟისორმა მედეა კუჭუხიძემ – საზოგადოებას კარგად ახსოვს მონძალი ჩიკამაცუს „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბალეთა კუნძულზე“ და კარლო გოტოს „ლურჯი ურჩხული“ (ვერც კი იტყვა, რომელი რომელს სჯობს).

გარდა ამისა, ბატონი ჯემალი დიპლომატიური საბიულიდანაც ისაუბრებს, ისრაელში ხუთწლიანი კონსულობის შთაბეჭიდებებზეც გვიამდობს და ქვეყანაზეც, სადაც მეტად საინტერესო პროცესები მიმდინარეობს. სწორედ ამ ყველაფრის გამო შემთხვევა ხელიდან არ გავუშვით და საქართველოში მცირე ხნით ჩამოსული ბატონი ჯემალი „ჩენი მენერლობის“ სალონში მოვინვიეთო, – თქვა შეკრებაზე როსტომ ჩხეიძემ.

გულივარის საათი, პოეტის დრო და ერთი უცნაური რომელი მოვალეობა

– მართლაც იშვიათად მიწევს ჩამოსვლა, რაც ძალიან მანუსებს.

რა თქმა უნდა, იქაც არის ქართული გარემო, არიან ჩევენი თანამემამულებიც, მაგრამ... პირმინდადად ლიტერატურული და შემოქმედებითი თვალსაზრისით, გარკვეულ უპარეზი სივრცეში ვამყოფები, ამიტომ თქვენთან ყოფნა ჩემთვის დიდი ბენდირება და სიხარულიაო, – აღნიშნა ბა-

ტონმა ჯემალმა შეხვედრის დაწყებამდე, ვიდრე თავისი სამყაროს კარს გაგვილებდა და ორიგინალური თუ თარგმნილი ნიმუშებით პოეტურ სივრცეებს გვაზიარებდა.

ბედნიერება და სიხარულა მასთან შეხვედრა მკითხველისთვისაც. ამიტომაც თქვა ქალბატონმა ინესა მერაბიშვილმა:

— როცა ხედავ, როგორი მადანი მოვდინება ქართული ენისა, კიდევ ერთხელ გიპყრობს აღფრთოვანება და ამიტომაც არის ყოველი შეხვედრა ბატონ ჯემალთან, მის შემოქმედებასთან ასეთი შთამბეჭდავი.

არ შემიძლია არ აღვნიშნო მისი, როგორც გამორჩეული მთარგმნელის ღვანლი. ხელოვნების დარგებს შორის ყველაზე პოპულარული მსოფლიოში

მაინც ლიტერატურა მგონია და ის,

საერთაშორისო თვალსაზრისით,

სწორედ თარგმანზე დგას. ლიტერატურა ერთადერთია, რაც ენის

საზღვრებშია მოქცეული და მისი

რეალიზმა მსოფლიო ასარჩევზე

მთარგმნელზეა დამოკიდებული.

ჯემალ აჯიაშვილის შემოქმედება

სწორედ ამ მისიას ემსახურება და

ძალიან ნარმატებულადაც, თუმცა

კიდევ უფრო მეტს ველით თქვენები

და იმედი მაქს, რომ ბაირონის

სკოლაშიც გვეწვევით, ჩვენი სტუ

დენტები ხომ დიდი ინტერესით

ელიან თქვენთან შეხვედრასო,

— თქვა ქალბატონმა ინესამ და არც

თუ შემთხვევით. — ჯემალ აჯიაშვილის შემოქმედებამ ხომ სხვადასხვა

დროს ბევრი ახალგაზრდის ბედი

განსაზღვრა და მთარგმნელითი

გზა აარჩევინა მათ. ამის დასტური

იყო ქალბატონი ნინო ციმაკურიძის რეპლიკაცი:

— ბატონო ჯემალ, რომ არა თქვენი, დალი ფანჯიერის და დავით ნერედიანის თარგმანები, ჩვენ, მაშინდელი მოსნავლები, არც უცხო ენას ავირჩევდით პროფესიად და არც თარგმანის თეორიას გაფიხდიდით ცისფერ ოცნებად. დიდი მადლობა მინდა გითხრათ ამისათვისო.

* * *

„გულივერის მოგზაურობაში“ მთავარ გმირს ლილიპუტები რომ შეიძყორდენ და ჯიბიდან ნივთებს ამოულაგებენ, საათს ვერაფერს გაუგებენ და თავიანთ მეფეს მოახსენებენ: ვერ დაგადგინეთ რა არის, მაგრამ ჩჩენი აზრით, მათი ღმერთი უნდა იყოს, რადგან სულ მას უყურებსო.

ჯონათან სვიფტის ამ ნანარმოებს შეხვედრაზე ქალბატონი მედეა კუჭუხიძე გაიხსენებს და აღნიშნავს:

— მე პოეზიის დიდი თაყვანისმცემელი ვარ, მაგრამ სიტყვა, რომელიც უნდა ნარმოითქვას სცენიდან, სულ სხვა რამაა... და აი, ჯემალისეულ თარგმანში სიტყვა აღმოჩნდა ისეთი ქმედითი, რომ მსახიობები ამბობდნენ: თვითონ სიტყვები გვათამშებენო.

ხშირად მიფიქრია: ასეთ საშინელ დროში ადამიანი ამგვარ სულიერებას რომ შეინარჩუნებს, გასაოცარი რამ მგონია. ამიტომაც არ მიკვირს, რომ არანაირი პრგამატიზმი მას

არ გააჩნია. ეს არის ადამიანი, რომელსაც დროის შეგრძნებაც კი არ აქვს — ხუთის სავალის გამო, შესაძლოა, მთელი დღე გალოდინოს და როცა მოვა, ვერც კი გააცნობიეროს, რომ დაიგვიანა... მაგრამ მე ეს არ მიკვირს. ჯონათან სვიფტის გულივერიც ამიტომ გამახსენდა. და რაკი მას დროის შეგრძნება არა აქვს და არ არის მისი ტყვე, ეს ჩემთვის უბრალოდ კიდევ ერთი დასტურია მიმისა, რომ ჯემალ აჯიაშვილი გამორჩეული ადამიანია, — თქვა ქალბატონმა მედეამ.

ჯემალ აჯიაშვილი:

— ჩვენ ყველანი ვართ დროის ტყვეობაში...

იცით, არსებობს ხასიათური სიბრძნე, რომლის მიხედვითაც თითოეულ ჩვენგანს აქვს თავისი შინაგანი დრო თუნდაც მხოლოდ ერთხელ, თუნდაც მხოლოდ მისთვის რომ ჩამორჩეს ზარებს... და ჩვენ სწორედ მას უნდა ვიყოთ მიყურადებულნი.

* * *

ეს იყო წლების წინათ.

შუა საუკუნეების ებრაული პოეზიის თარგმანები გამოქვეყნდა და მკითხველი გაოცებული იყო მთარგმნელის ვირტუოზული პოეტური ტექნიკითა და, რაც მთავარია, ენით. უამრავი კითხვა გაჩნდა მაშინ. მოგეხსენებათ, ენათმეცნიერებს უყვართ ტერმინები, თუმცა ალბათ როცა დიდ პოეზიაზე ვსაუბრობთ, ტერმინები და ჩარჩოები განზე რჩება. ასეთ დროს შეგიძლიათ უბრალოდ შეხვდეთ პოეტს და ალაპარაკოთ თავის შემოქმედებით ლაბორატორიაზე, დამოკიდებულებაზე სიტყვასთან, ენასთან, იმ სივრცეებთან, რომელიც ჩვეულებრივ მოკვდავთათვის თვალშეუდგამია.

ასეც მოიქცენებ.

სწორედ ასეთ შეკრებას — ჯემალ აჯიაშვილთან შეხვედრას გაიხსენებს ბატონი გიორგი გოგოლევილი და ბატონი ჯემალის პასუხსაც კითხვაზე ენის შესახებ — იმზე, თუ როგორ ჩნდება ახალი ფორმები: რალაც სიტყვა გამოვა ორთქლმავალივით და დაანარჩენი უკან მოჰყვებიანო.


— მაშინ ბატონ კორნელი დანელიას ვთხოვეთ აზრის გამოთქმა — მას, ვინც ბრწყინვალედ იცოდა ბიძლიაც, ქართული ენაც და საოცარი პორტური ალლოც ჰქონდა. ეს წერილი გამოქვეყნდა კიდევ და მაშინ საოცარ კარგად არის ახსილი, თუ როგორ შეიძლება იყოს, რადგან სულ მას უყურებსო.

ვფიქრობ, სწორედ ეს არის ნამდვილი პოეზია, ნიმუში იმისა, როგორ დავინახოთ სიტყვასთან ურთიერთობაში და, საერთოდ, პოეზიაში.

ეს არის ის, რაც მეცნიერებმა უნდა ვისწავლოთ პოეტისაგან, — თქვა ბატონმა გიორგიმი.

ჯემალ აჯიაშვილმა კი:

— იყო დრო, როცა საქმაოდ დიდი ხნის მანძილზე და ძალიან ბევრს ვმუშაობდი სიტყვაზე. ვმოგზაურობდი მთელ სა-



ჯემალ აჯიაშვილი

ქართველოში, ვაგროვებდი და ვინწერდი ჩემთვის საინტერესო მასალას. მერე ეს ჩვევაში გადაიზარდა. ახლა კი... როცა ვწერ, ამაზე აღარ ვფიქრობ, სიტყვა თავისით მოდის. საერთოდ, მეტად ხელოვნური მგონია სიტყვების დაყოფა კატეგორიებად: ეს ძველია, ის ახალია და ა.შ. ზოგჯერ ყველაზე ქმედითი სიტყვა შეიძლება ისე უსუსურად ჩასვა კონტექსტში, რომ ყველაზე შეუფერებელი მოგეჩვნოს ან პირუკუ - თითქოსდა არქაული სიტყვა ისე გამოიყენო, რომ ძალიან ქმედითი გახდეს. ასე რომ, ენათმეცნიერების მიერ გავლებულ სადემარკაციო ხაზებისა და ბარიერების დიდად არ მწამს.

მოგვაინებით სწორედ ამის შესახებ დასძენს ბატონი გივი შავანაზარი:

- ის, რაც ასე ლაღად ისმინება ჯემალ აჯიაშვილის შემოქმედებაში, ძალზე დიდი შრომისა და პასუხისმგებლობის შედეგას. საოცარი რუდუნებით მუშაობს ყოველ სიტყვაზე და კიდევაც ქმნის ქართული სიტყვის ზემდებარება. იცით როგორ? ამ დიდ სამყაროში, ქართული სიტყვის წიაღი რომ ჰქვია, ყველაფერი გადაჩერეკილი აქვს. მისი ვერსიფიკაციული სიახლეებიც შემთხვევითი არ არის, რადგან ის, რასაც იგი აკეთებს, დიდი სიყვარულითა და ნიჭით არის შესრულებული.

ასეთივე ზემდება შემნის იგი თავის ინიგინალურ პოეზიაში და როცა ქალბატონმა **თამილა ნონორიამ** იკითხა: არის თუ არა თარგმნილი თვითონ ჯემალ აჯიაშვილის შემოქმედება? - განსაკუთრებით კი ივრითული თარგმანებით დაინტერესდა, მან უპასუხა:

- ესეისტიკა ქალბატონმა დიანა ჭელიძემ თარგმნა რუსულად. რაც შეეხება პოეზიას... იცით, საერთოდ რაღაცნა-რად მეშინა ჩემი პოეზიის თარგმნის და თავს ვიყავებ. ჯერ ჯერობით არცერთი ნიმუში არ არის თარგმნილიო.

„ჯიგის“ სამშობლო, ჰაგები ნილოსის ნააირებიდან და...

ლია სტურუა:

- მახსოვრის იერუსალიმში რომ ჩავედი, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ბიბლიის ხორცზე დავდიოდი. ეს განცდა კიდევ ერთხელ მაშინ გამიჩნდა, ჯემალ აჯიაშვილის თარგმანებს რომ ვკითხულობდი - ივრითიდან გადმოქართულებულ ნიმუშებს შუა საუკუნეების ესპანეთში მცხოვრები ებრაელი პოეტების შემოქმედებიდან. ესპანეთი მაშინ იყო ნამდვილი სიმბიოზი ევროპული, არაბული და სპარსული კულტურებისა. ამიტომ იმდროინდელ პოეზიასაც რაღაცნარი უცხო და უჩემულო სურნელი ჰქონდა.

სიტყვასთან ურთიერთობა მართლაც სინტერესო რამა. ამას ვერ ახსნა. მოდის რაღაც სიტყვა, მის გვერდით სხვას აყენებ და მათ ან უყვართ ერთმანეთი, ან - არა. პოეტის ალლოც სწორედ მაშინ ფასობს, როცა იცის როგორი სიტყვები უნდა ამოუყენოს გვერდით ერთმანეთს. ბატონი ჯემალიც უნინარესად პოეტია, რადგან რაც ვინდა კარგად იცოდე ენა, პოეტური ალლოს გარეშე ასეთ პოეზიას ვერ შექმნი.

და კიდევ: სულ მაკვირვებს ბატონი ჯემალის პოეტური დიაპაზონი. ნარმოიდგინეთ ის თარგმნის ებრაული პოეზიის ნიმუშებს და მათთან ერთად არქაულდება მისი ენაც, თარგმნის ასევე მიქელანჯელოს, პეტრარკას, ბუონაროტის... და ამ მარმარილოს სონეტების გვერდით, უცებ, მაიაკოვსკი, როგორიც თითქოს აბსოლუტურად განსხვავებუ-

ლია, და ამასაც ისეთივე ნარმატებით ართმევს თავს, როგორც სხვა დანარჩენს.

ებრაელები ბიბლიას უწოდებენ „ჯიბის სამშობლოს“, რომელიც მუდმივად თან სდევთ. და აი, ბატონ ჯემალს აქვს ის თავისი ისტორიული სამშობლოც, „ჯიბის სამშობლოც“, სამშობლო - პოეზია და სამშობლო - საქართველო, როგორიც დიდ ნარმატებებს უსურვებს მას.

გურამ ბათიაშვილი:

- მინდა ერთი შთაბეჭდილება გაგიზიაროთ: წლების წინათ იერუსალიმში მაჩუქეს შუა საუკუნეების ებრაული პოეზიის რუსული თარგმანები. დიდი ინტერესით გავეცანი, რადგან ამ პოეზიას ჯემალ აჯიაშვილის თარგმანებით ვიცნობდი. მართალი გითხრათ, განხიბლული დავრჩი. არა, ვერ ვიტყვი, რომ ცუდი იყო, პოეტური ხელოვნების თვალსაზრისით, შესაძლოა, ძალზე საინტერესოც ჩანდა, მაგრამ საერთო არაფერი ჰქონდა იმ შუა საუკუნეების ებრაულ პოეზიასთან, რომელსაც ვიცნობდი.

ჯემალ აჯიაშვილის თარგმანები აბსოლუტურად ქართულ წიაღის დაბადებული, ქართული ლექსის ტრადიციებზე შექმნილი. ბატონ ჯემალი ქართული სიტყვის ისეთ მადანს ქმნის, რომ მისი პოეზია სულ სხვაგვარად ნარმოჩნდება. საერთოდ მგონია, რომ პოეტი თვითონ ქმნის თავის ენას. ის არის კანონმდებელი საკუთარი ენისა და ეს ბატონმა ჯემალმა არაერთხელ დაადასტურა სწორედ შუა საუკუნის ებრაული პოეზიის თარგმანებით. მინდა კიდევ ერთხელ გამოხატა ჩემი აღვაროვანება მისი შემოქმედებით.

ჯემალ აჯიაშვილი:

- ჩემი მიზანი სწორედ იმ სიმბიოზის შექმნა იყო, რაზეც ქალბატონმა ლიამ ისაუბრა და თანაც იმ ქართულ წიადაგზე, რის შესახებაც ბატონმა გურამმა გაამახვილა ყურადღება. თუმცა დაკვირვებული მკითხველი კარგად მიხვდება თუ რა მოდის ბიბლიური პირველწყაროებიდან, იცნობს აღმისავლურ სურნელსაც, ასეთი სახასიათო რომ იყო იმდროინდელი ესპანეთისთვის. ნათქვამიც აქვთ იქაურ ლიტერატურის მეტრებს, რომ ამ ყველაფერში არის ბიბლიური ნაკადი, ნილოსის ნაპირებიდან დაძრული კეთილხმოვანი ჰანგები... და საკუთრივ ესპანური ხალხური სიმღერების სითბო და უშეულობა. ეს ყველაფერი ერთად თუ არ გადმოეცი, ვერ დააგემოვნებ იმას, რასაც შუა საუკუნეების ებრაული პოეზია ჰქვია.

* * *

ჯემალ აჯიაშვილის მიერ „პირველ სხივში“ გამოქვეყნებულ თარგმანებს გაიხსენებს ბატონი ემზარ კვიტაშვილი და თავის გამოხმაურებასაც მაშინ მისთვის უცნობი ავტორის შემოქმედებაზე. ეს გამოხმაურება პირველი აღმოჩნდება ახალგაზრდა მთარგმნელის ლიტერატურულ ბიოგრაფიაში. წლების შემდეგ კი ბატონი ემზარი უკვე სახელმწიფო პოეტის ინიგინალურ შემოქმედებაზე გაამახვილებს ყურადღებას და იტყვის:

- ვალერიან გაფრინდაშვილი სონეტს ადარებდა დიურერის რაინდას. მიმდევა საჭურველი აქვს, თუ ღონიერი არ ხარ, მუხლი თუ არ გაქვს მაგარი, წელში გაგწყვეტს და ქვეშს.

დღეს ბერი ცდილობს იტვირთოს ეს სიმძიმე, ეძალება სონეტს და ამ საჭურველებევეშ ექცევა, გვირგვინიც ზედ აქვს დამხობილი. ჩემი აზრით, რამდენიმე პირველია, ამის დაძლევა რომ ძალუძს, მათ შორისაა ჯემალ აჯიაშვილი.

პიპლიური მისამირივი, ჩვენი საგანძურო და ქართული ფესტივალი

ისრაელი საინტერესო ქვეყნაა თავისი ბედითაც, – გვიამბობს ბატონი ჯემალი, – როდესაც სოლომონის ტაძარი დაინგრა, ეს ხალხი მთელი დედამიწის ზურგზე გაიფანტა, ორიათასწლოვანი „ჯაბის სამშობლოთ“ ქეყნიერების ყველა კუთხე მოიარა. თითქოს მისია ჰქონდა ამ ერს, რომ გაფანტულს ერთდღერთიანობა ექადაგა და ერთ მშვენიერ დღესაც, თითქოს ბიბლიური წინასწარმეტყველების კვალდაკვალ ესმათ ხახილი: „და გამოგრეფთ ოქვენ ყველა ქეყნიდან, მოგიყანთ და დაგამევიდრებთ ოქვენს სავანეში“.

...და დაიძრა ებრაელი ხალხი მსოფლიოს 109 ქვეყნიდან. თითოეულმა იმ ერის კულტურა და ტრადიციები წამოიღო, რომელმაც შეიფარა ათასწლეულების მანძილზე და ახლა მიმდინარეობს საოცარი პროცესი ამ კულტურათა შეჯერებისა, სინთეზისა, სიმბიოზისა... თითქოს ერთგვარი დუღილის პროცესი მიმდინარეობს, რომლის შედეგადაც ხდება ფორმირება სრულიად ახალი გრანდიოზული კულტურისა. თუკი ეკონომიკა ერთი ნახტომით შეიძლება განვითარდეს, კულტურა ისეთი რამაზა, რის შექმნასაც თაობები სჭირდება. სახელმწიფოს მესვეურთა გონებამასვილობა კი იმაში ჩნდს, რომ ყველას აძლევს გასაქნას. ამიტომაც, დღესდღობით, იქ ისეთი საინტერესო რამეები ხდება, ისეთი დანაშრევებია... გავა წლები და ჩვენ ამ ყველაფრის გასაცარ შედეგს ვნახავთ.

* * *

ბუნებრივია ეს ქვეყანა ჩემთვის საინტერესოა ქართული სიძველეების თვალსაზრისითაც. ისეთი განძი, როგორიც ჩვენ იქ გვაქს ჯვრის მონასტრის სინმინდეების სახით, არსად მოგვეპოვება. თვითონ ჯვრის მონასტრი, თავისი არსით, ბიბლიურ არქეტიპობამდე მიდის და საოცარ ლეგენდასაც ინახავს იმ ხის შესახებ, რომლისგანც საბოლოოდ 1 საუკუნეში გამოთალეს ჯვრი და ზედ მაცხოვარ მიამსჭვალეს.

ჯვრის მონასტრში, საკურთხევლის უკან დღესაც გიჩვენებენ ადგილს, სადაც იზრდებოდა ეს ხე – უდიდესი სინმინდე კაცობრიობისა. სწორედ ამიტომ ჯვრის მონასტრი, გოლგოთის შემდეგ, ყველაზე დიდ სინმინდე და თვლება იერუსალიმში.

1987 წელს, ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვის შემდეგ, პატრიარქმა წმინდა ილია მართლის ხატი იერუსალიმში, ჯვრის მონასტრში, ზუსტად იმ ადგილას დაბარძნა, სადაც ეს ხე იზრდებოდა. ილია მართალმაც ხომ თავისი ცხოვრებით მაცხოვრის ეკლიანი გზა გაიმეორა.

რაც შეეხება ჯვრის მონასტრის დაბრუნების საკითხს: ამაზე საზოგადოებას არაა დევეკატური ინფორმაცია აქვს. საქმე ისაა, რომ წმინდა ადგილების სამოცდათი პროცენტი იქ ტერიტორიულად დეუთვინის იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოს, რომლის იურისდიქციაც არ ექვემდებარება არც საბერინეთისას და არც იერუსალიმისას – ის აბსოლუტურად დამოუკიდებელია. ჯვრის მონასტრი სწორედ ასეთ ტერიტორიაზეა. მონასტრიდან დაახლოებით ასი მეტრის მანძილზე არის ისრაელის საკანონმდებლო ორგანო ქრისტი, რომლის ტერიტორიაც ისრაელს იჯარით აქვს აღებული ბერძნული საპატრიარქოსგან. ასე რომ, ჯვრის მონასტრის გამო ატეხილ დაგაში, რაკი ის ბერძნული საპატრიარქოს კუთვნილ ტერიტორიაზეა, ისრაე-

ლის სახელმწიფო, ცოტა არ იყოს, ფრთხილობს. ჩემი აზრით, ეს საკითხი მანიც კომპლექსურად უნდა მოგვარდეს. პირველი და მთავარი სიტყვა იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოსი. შემდეგ აქ უნდა ჩაერთოს ისრაელის სახელმწიფო და ორდანია. ეს ყველაფერი ასეთი საერთო ძალისხმევით უნდა გადაწყდეს, რაც გრძელი და ხანგრძლივი პროცესი მგონია, თუმცა ამაზე მუშაობენ მეცნიერება და ალბათ მალე რამე გზასაც გამონახავენ.

* * *

ყველას გვაწუხებს რუსთაველის ფრესკის ამბავი.

ეს ვანდალური ფაქტი 2004 წელს მოხდა. რუსთაველის ფრესკის აღდგენა საკუთარი ძალებით იქაურ ბერძნებს, რომლებიც, ჩანს, დიდი ცოდნით და გემოვნებით არ გამოიჩინებან და საცალალო შედეგიც დახვდათ ქართველ მეცნიერებს. მათი პროტესტის შემდეგ დაიწყო ფრესკის აღდგენის პროცესი, რომელშიც მეც ჩავერთე მოკრძალებულად.

რესტავრაცია მიმდინარეობდა იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს და ისრაელის სიძველეთა დაცვის დეპარტამენტის ერთობლივი ძალისხმევით. მე მაქვს დოკუმენტური მასალა იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობდნენ ფრესკაზე, რა თქმა უნდა, ველარასოდეს იქნება ის, რაც იყო, მაგრამ რაც არის, მაქსიმალურად მიახლოებულა ორიგინალთან და დაცულია.

თვითონ ეს ისტორია – ბერძნული საპატრიარქოს ასეთი დამოკიდებულებისა ჯვრის მონასტრის მიმართ – დიდი ხნის დაწყებულია. ყველას გახსოვთ ირაკლი აბაშიძის, გიორგი წერეთლისა და აკაკი შანიძის მოგზაურობა (როცა რუსთაველის ფრესკა აღმოჩინეს) და პალესტინის დღიურებში აღწერილი დამოკიდებულებაც, რომელსაც ბერძენი ბერძები ამ ქართული სიძველების მიმართ ამჟღავნებდნენ. უკვე წლებია მიზანმიმართულად მიმდინარეობს ქართული კვალის მიჩქმალვის პროცესი ჯვრის მონასტერში. იყო ასეთი – მამა სერაფიმე, რომელიც ყოველთვის არარეზულებრივად დებულობდა ქართულ დელეგაციის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მისი ხელშეწყობით იქ ბევრი რამ დაიკარგა. დღესდღობით ეს პროცესი კონტროლს ექვემდებარება.

მინდა ერთი ფაქტი გავიხსენ:

იყო ასეთი ძალზე საინტერესო კაცი – რაფი ბარლავი (ბალუაშვილი), რომლის წინაპრებიც ქუთასიდან წავიდნენ მე-19 საუკუნის ბოლოს, ისრაელში დაბადებული და გაზრდილი ვაჟაკაცი, რომელიც თავისი ბიოგრაფიით ამ ქვეყნის ისტორიასაც ატარებდა – იყო მეომარი (იერუსალიმის ალყის დღეებში გმირობა გამოუჩენია), პატრიოტი თავისი ხალხისა და სამშობლოსი, მეგობარი ისრაელის დღევანდელი პრეზიდენტის შიმონ პერესისა. და აი, ბერძენი ბერძები აქედან ჩასულ მეცნიერთა დელეგაციის ხელს რომ უშლიდნენ მუშაობაში, ამ კაცმა ისინი სატრაპეზოში მიიჩნია, ქართული ლევით გაუმასპინძლდა, მერე ქართველ მეცნიერებს ანიშნა: საქმეს მიხედეთო... საშუალება მისცა მთელი ლამე ემუშავათ და საინტერესო ცნობები შეეგროვებინათ. ამის გამო დილით გამოფხიზლებულმა ბერძენმა უჩივლეს და რაფი ბარლავი დაიჭირეს, მაგრამ შიმონ პერესმა იხსნა და გამოაშვებინა.

მას ასევე ახლო ურთიერთობა პერნდა საქართველოს პატრიარქთან უწმინდესთან და უნეტარესთან ილია II-

სთან. აფხაზეთის ომის დროს ერთი თვითმფრინავი მედიკამენტები ჩამოიტანა და გვერდით დაუდგა ქართველობას.

რაფი ბარლავი 1993 წელს გარდაიცვალა. ამ ორიოდე წლის წინათ მისი სახელობის ქუჩაც გაიხსნა იერუსალიმში. ქალაქის მერმა კი გახსნის ცერემონიალზე ასეთი რამ თქვა:

— ეს არის კაცი, რომელიც შეზრდილია ისრაელის სინამდვილესთან, მაგრამ არასოდეს ავიწყდებოდა თავისი ძირებით.

ისრაელში შექმნილი ქართული ორგანიზაციების უმეტესობის მესაძირკვლე სწორედ რაფი ბარლავი გახლდათ და ძალიან მინდოდა საქართველოშიც სკოდნოდათ მის შესახებ.

საერთოდ, იქ მცხოვრები ჩვენი თანამემამულების წარმატებული ნაწილი ცდილობს იყოს სრულფასოვანი მოქალაქე ისრაელისაც და... საქართველოსიც (თავისი სულიერი მოთხოვნილებებით). არიან ისეთებიც, რომლებიც გა-

რეგნულად თითქოს კიდეც შეეთვისნენ იქაურობას, მაგრამ რეალურად 70-იანი წლების თბილისში ჩარჩნენ... და ვისაც გენატრებათ ის დრო, ვისაც სიჭაბუკეში დაბრუნება გსურთ, ჩადით და ნახეთ... დიდი სიამოვნება გელით.

P.S.

რაც შეეხება არქიტექტორისა და პოეტის შოთა ბოსტაშვილის სიტყვას – ბიბლიური აღუზიების ფონზე საინტერესოდ რომ მიმოიხილა ჯემალ აჯიაშვილის შემოქმედება და მისი პოეტური არქიტექტორიკისა თუ უჩვეულო სიტყვათქმანადობის თავისებურებები სრულიად სხვა განზომილებაში განიხილა, ერთგვარი პორტრეტიც კი შექმნა პოეტისა – თავისთავად დამოუკიდებელი წერილია, ფრაგმენტებად დაშლისტვის რომ დაგვენანა და ამტომაც შურნალი „ჩვენი მწერლობა“ ცალკე სტატიის სახით, სრული ვერსიით გამოაქვეყნებს.

გამოხაურება

პანია მედალიონთა მომხიპლავი სამყარო


□

მაკა ჯოხაძის ესთატიკური რკალი

ლიტერატურული ესეებისა და წერილების წიგნში, რომელსაც მაკა ჯოხაძემ საერთო სახელწოდებად შეურჩია, „სამოთხე უსიყვარულოდ“, ერთ-ერთი საუკეთესო ესეის სათაური, ცალკე რკალადა გამოყოფილი „პანია მედალიონები“, რომელიც – მნერლის აღიარებით – სპონტანურად იქმნებოდა, გზადაგზა, უურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში, ტრადიციონურებულ ლიტერატურულ თავყრილობებზე, პოეტებთან, ბელეტრისტებთან, მხატვრებთან, მუსიკებთან, მთარგმნელებთან, რეჟისორებთან, მსახიობებთან, მეცნიერებთან შეხვედრისას.

ეს გახლდათ საჯარო გამოსვლების, წარდგენების, შთაბეჭდილებათა და დაკვირვებულის შედეგი, გულის კარნახით გაჩენილი სურვილები, რაც შეიძლება მოკლედ გამოხეატა არსებითი, რასაც თვითეულის პიროვნებასა თუ შემოქმედებაში ხედავდა.

მის გამოსვლებსაც კასეტაზე იწერდნენ, შიფრავდნენ და – რეპორტაჟის გამოქვეყნებამდე – რედაქციული ჩასწორებებისათვის გადასცემდნენ. რედაქციული ჩარევა ხან შედარებით უმნიშვნელო გახლდათ, ხანაც საკმაოდ მკვეთრი – ლამის ხელახლა იწერებოდა. თუმც ამ შემთხვევაში მწერლის ცდილობდა ტექსტისათვის შეენარჩუნებინა ზეპირმეტყველების თავისებური ხიბლი (თორემ მოხსენებას წინასწარვე ამზადებდა და ამ წიგნშიც შეტა-



ნილი „დემონები და მფარველი ანგელოზები“, ირმა რატიანის მიერ თარგმნილ ასი უძველესი იაპონური ლექსის კრებულზე, ერთ ასეთ ლიტერატურულ თავყრილობაზე წაკითხული).

ამას გარდა, ცალკეულ პოეტურსა თუ ბელეტრისტულ პუბლიკაციებს „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე დაურთავდა ხოლმე მინაწერებსა თუ პირველ შთაბეჭდილებას. ამ ყოველივეს სარედაციო მნიშვნელობა ჰქონდა, თითქოსდა მხოლოდ იმნამიერი და დამოუკიდებლად ვერც იარსებებდნენ – თანდართულ ნიმუშთა გარეშე. მითუმეტეს, იმთავითვე მცირე ადგილი გაქვს მოჩენილი, გინდა-არ გინდა მკაცრად შემოსაზღვრულ სივრცეში უნდა ჩაეტიო.

გამონაკლისი შემთხვევა პირველი შთაბეჭდილების სერიაშიც აღმოჩნდებოდა: ოთარ ჩხეიძის ნოველის – „ოდოჟლერი“ – კრიტიკულ-ესთეტიკური ანალიზი, რაც საგრძნობლად გასცდებოდა შემოქარგლულ სივრცეს, სულაც სტატიად გარდაისახებოდა და ამ წიგნშიც, ცხადია, წერილადაა შეტანილი და არა „პანია მედალიონების“ რკალში.

როგორც მინაწერებია მიჯაჭული პუბლიკაციის მთლიან კონტექსტს, ასევე საჯარო გამოსვლებიც, რომლის აღქმაც მკითხველის მიერ სხვათ სიტყვების ერთობლიობაში ხდება – ვიღაცას ეხმაურები, სახელდებით თუ

გამოხატვება

დაუსახელებლად, ან ეკამათები, ან ეთანხმები, ან ავსებ, ან აზუსტებ...

ასე რომ, თითქოს ზედმეტია მათი ხელახლი განმეორება – კონტექსტს მოწყვეტილად. და არც მაკა ჯოხაძე მოანდომებდა მათ შეტანას წიგნში, რომ არა ის იდუმალი განცდა, რომ ეს ჩანაწერები პანია, ძვირფას მედალიონებად შემორჩენოდა ხსოვნას.

თვალს რომ გადაავლებდა, ისიც მოეჩერენ ბოლა, მართალია უკიდურესად დანურული, მაგრამ მაინც პორტრეტებიაო. და ასე ამოირჩეოდა უამრავი მასალიდან საჭაშნიკო ნიმუშები. თუ გაამართლებდა ეს ცდა, შემდგომ უკვე ი იზრუნებდა ყველას თავმოსაყრდლად, ამასობაში ახალი ჩანაწერებიც შეემატებოდა და სულაც ცალკე წიგნად ნარმოდებოდა, და თუ მაინც დამაინც ვერ გამართლებდა, არც არაფერი დაშავდებოდა საჭაშნიკო სურათით, გარეთა ფონს ხომ შეუვსებდა „უსიყვარულო სამოთხეს“.

„პანია მედალიონებში“ ვითომ შიდა რკალებიც უნდა გამოყოფილიყო და თემატურად დალაგბულიყო?

ასეც შეიძლებოდა, რასაკვირველია, მაგრამ მაკა ჯოხაძე ქრონოლოგიურ პრინციპს ამჯობინებდა – რა თანმიმდევრობითაც დაინტერა, ერთიან ქარგაშიც დაე ასე მოქცეულიყო, ის კი არა, ერთსა და იმავე პიროვნების (ჯანსულ ჩარკვიანი, ვახტანგ ჯავახაძე, ლელა სამნიშვილი...) სხვადასხვა დროის პოეტურ პუბლიკაციებზე მიღევნებული სტრიქონებიც არ არის გვერდ-გვერდ დაბეჭდილი.

მთლიანდება კი ეს ყოველივე?

დაღავებულობისა და ეკლექტიზმის შთაბეჭდილებას ხომ არ ტოვებს?

ბოლოსდაბოლოს, ჭაშნიკად იქნებ ურიკო არც იყოს და ესვების ამ კრებულს კიდეც უხდებოდეს, მაგრამ ცალკე წიგნად ალარ ლირდეს მისი შევსება-გამოცემა.

არადა... სწორედ რომ ლირს.

ამ მოკლე-მოკლე ჩანიშვნებს, იმიტომ, რომ მართლაც „დაწესებილ“ პორტრეტებად წარმოდგებიან, დამოუკიდებელი სუნთქვაც მოეპოვებათ და ერთიანობაში გადაიშლებიან მოზაიკურ სურათად, თავისი მრავალფეროვანი წახნაგითა და გამონათებით.

თანაც, ამ მცირე კრიტიკულ-ესთეტიკურ ეტიუდებს ის ხიბლი და დანიშნულება აქვთ, რასაც ვრცელი ანალიზი ვერ შეცვლის.

ნატეხებისაგან აგებული, გარეგნულად დეფორმირებული, მაგრამ სინამდვილეში შინაგანი პარმონიით აღვისილი და ამიტომ თავისებური სამყარო.

ზუსტად მიგნებული დეტალები, როგორც ამ მცირე ჩანაწერთა საყრდენი, კიდევ უფრო თვალსაჩინოდ (ცნაურდება შემორკალურ სარიცელზე).

ვთქათ, აგვისტოს ომის თემაზე შექმნილ ნუნუ ჯანელიძის ლექსების ციკლში:

– ახალი რაკურსით წარმოჩინდა ქართველი ქალის ფენომენი, მისი მენტალობა, მრისხანებისა და ამტანობის ხარისხი, გლოვისა და განცდის ღრმა უნარი, სითბოს, სიყვარულის უშრეტი მარაგი, ლვთისნიერება და მხნეობა.

ან:

– „მე ხომ გულით ვიხედები...“ – ეს სიტყვები თითქოს ქეთევან შენგელას პოეტური სამყაროს ფორმულირებისათვის დაინტერა.

ანდა:

– ვისაც რეზო ესაძესთან რამდენიმე წუთი მაინც გაუტარებია, მას იგი რაღაც შორეული და ამავლეროულად ხალიან ახლობელ მელოდიასავით დაამახსოვრდება. ამ უცნაური კაცის ფიქრიც კი ღიღინებს თითქოს, როგორც ქვეწონბიერი მადლიერება ყოველივესი, რაც ღმერთმა ჩვენთვის შექმნა და დაგვახვედრა.

ან კიდევ:

– თითქმის ყველა სპექტაკლი და ფილმი მაქეს ნანახი ნინელი ჭანკვეტაძის მონანილებით და ყოველთვის გაოცებული ვიყავი ამ მრავალფეროვნებითა და გარდასახვის საოცარი უნარით... მარტო ტალანტი არ ემარა, ასე მხოლოდ ძლიერი და ნამდვილი პიროვნებები კითხულობენ დიდ ლიტერატურას და თეატრის ერთი შეხედვით ეცემერულ სამყაროში ხელშესახებად აგებენ და ქმნიან დაუკინარ როლებს.

ან ესეც:

– ცირა ყურაშვილის ბიბლიური ალუზიები... განუწვეტლივ სულის თავისუფლებას ელტვის. მუდმივ მზადყოფნაშია, ყოფიერების აუტანელი სიმძიმე ხელოვნების ესთეტიკურ საბურველში გახვიოს და შრომის კულტად აქციოს.

ანდა ესეც, ლიანა ელიავას ფილმზე „ფერმა მთაში“:

– ეს არის ნამდვილი კინოენით შექმნილი მოძრავი ფერწერა. ჰიმნი ადამიანად ყოფნაზე, სიყვარულზე, შრომაზე, ბუნებაზე, წარმავლობაზე და მარადიულზე.

და კიდევ ეს:

– ნონა კუპრეიშვილი – ნებისმიერი არეულობისა და ექსტრემალური სიტუაციების განეიტრალება შეუძლია ამ უცნაურ ქალს. მისი სულისკვეთება და პროფესიონალიზმი თვით უაღრესად ფერქებად გარემოშიც კი მოულოდნელ სულიერ კომფორტს ქმნის, რადგან ამ საყველოთა გაშიგლების ეპიქაში გულისყურით მარადიულ ღირებულებზეა ორიენტირებულ.

ესეც იყოს:

– მაკა ლდოკონენის ხალისიანობით იშვიათად ყვებიან ამბებს...

და ბარემ ესეც:

– სულისმოთების შეგრძნებას ემზარ კვიტაიშვილის ლექსი გამუდმებით ტოვებს. რაგინდა პათეტიკურადაც უნდა უდერდეს, სწორედ ეს გახლავთ ხელოვანის გამარჯვება... ტკივილებითა და ჭირვარამით სავსე ადამიანურ არსებობას დაგლაბაკების, რღვევის, დაცემის უფლებას არ აძლევს და ამ ბრძოლით ლირსებას აღუდგნს.

დასანანი იქნებოდა „პანია მედალიონების“ გარეშე „სამოთხე უსიყვარულოდ“; და დაბეჯითებით გრძნობ, რომ დასანანი იქნება ისიც, თუკი მნერალი ჭაშნივად შეგროვებულს იმყოფინებს და უფრო სრულად არ წარმოადგენს ვითომდა სახელდახელო ჩანაწერებში ჩაბუდებულ სივრცეს, ქართული კრიტიკულ-ესთეტიკური აზროვნების ამ მიმზიდველ ხვეულს.

დალხინებული რომ იყოს ჩვენი სამწერლო და კრიტიკული ცხოვრება, მაშინაც არ გაიმეტებოდა ეს ნატეხები, თორემ ახლა ხომ...

საპა სულხანიშვილი

იოსებ ჭუმბურიძე

ერთია ქვეყანაზედა!

სამშობლო და ჟაზმარიტება

სამშობლო უფრო მაღლა დგას თუ ჭეშმარიტება? – გასაკვირია, მაგრამ ეს კითხვა ქართულ პრესაში ისევ დაისვა. კიდევ უფრო გასაკვირი ის არის, ამ კითხვით მაინც-დამაინც ედუარდ შევარდნაძეს რომ მიმართეს.

შევარდნაძე რის შევარდნაძეა, შემთხვევით არ ისარგებლოს და „საკითხის ისტორია“ არ გაიხსენოს. არ თქვას, თუ როგორ აცვეს ჯვარს მერაბ მამარდაშვილი, რომელმაც ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დააყენა.

თვითონაც, რა თქმა უნდა, მამარდაშვილს ეთანხმება.

ცხადია, იმაზე არაფერს ამბობს, თუ როგორი და რატომ ითქვა, ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგასო. რომ მაშინ ამ ცნებაში, ჰეგელივით, უფალს არ გულისხმობდნენ.

თუნდაც ეგულისხმათ, მაინც უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ ეს ლოზუნგი იმ ქვეყანაში შემოჰქონდათ (ვიყოთ თავაზიანები და არ ვთქვათ, შემოაგდესო), სადაც ეს სტრიქონები დაინტერა და შემდეგ ყველა ჭეშმარიტი პატრიოტის გულის ფიცარზე ამოიტვიფრა:

**როგორც უფალი, სამშობლო,
ერთია ქვეყანაზედა!**

რაფიელ ერისთავი თითქოს გრძნობდა, რომ ოდესმე საქართველოში ეს კითხვა შეგნებულად და ავი განზრახვით დაისმებოდა.

მუხრან მაჭავარიანსაც უთუოდ პოეტურმა გუმანმა უკარნახა ეს გამაოგნებელი ლექსი:

– არ ეწყინება ყოვლადებლიერსო! –

და, ჩვენში წინათ,

ძალიან ხშირად, –

პინას, –

რომელზეც იდგა იესო, –

მამულიანი

ჯაპნიდა

პინა.

.....

არაფერია, მე მგონი, ახლაც, –

ლირი

დადგომის

მამულზე

მაღლა!

ახლახან ტელევიზიით 9 აპრილის ღამის კადრები კიდევ ერთხელ აჩვენეს. სულისშემძვრელი ეპიზოდია: პატრიარქი საფრთხის მოახლოებას გრძნობს და ლიდერებს

მომიტინგეთა ტაძრისკენ წაყვანას ურჩევს. ზვიად გამსახურდია ამბობს, ახლა რომ ამათ დაშლისკენ მოვუწოდოთ, მოღალატეებად გამოგვაცხადებენ. ყველა გარინდებულია, დიადი წამით მოწუსული მერაბ კოსტავაც გადაჭრით ვერაფერს აცხადებს. „საყდრულ მყუდროებას“ ირაკლი წერეთელი დაარღვევს. გამატარეთო, – იტყვის და შეკრებილთ უდრებად დგომისკენ მოუწოდებს.

იმ წუთებში პატრიარქი ჭეშმარიტებას განასახიერებდა, ლიდერები – სამშობლოს.

მაშინ ირაკლი წერეთელმა სამშობლო ჭეშმარიტებაზე მაღლა დააყენა.

წლების შემდეგ, ის ამის გამო ნანობს და არც ნანობს – ვნანობ, იმიტომ, რომ უმანკოთა სისხლი დაიღვარა, არ ვნანობ იმიტომ, რომ იმ გამთვენით ახალი ქვეყანა დაიბადა.

მას შემდეგ, მან არაერთი ტრაგიკული შეცდომა დაუშვა, მაგრამ 9 აპრილის ღამეს სამშობლოს სიყვარულით გულანთებული შეუდარებელი ვაჟები იყო.

დღეს მას არავინ ეკითხება, სამშობლო უფრო მაღლა დგას თუ ჭეშმარიტება.

შევარდნაძეს ეკითხებიან (?!).

სამშობლო და უმცობელობები

„როდემდე შეიძლება რთული ასაკი ჰქონდეს?.. ასაკ-თან ერთად ოდნავ მაინც ხომ უნდა მოემატოს სიბრძნე?“

თუმცა, ბუნებრივია, მასზე გაცხარება, ჯერ ერთი უსამართლობაა და მეორეც – არაჯრის მომტანი. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანგბოთ, ჩემზე უმცროსია (მე 1977 წელს დავიპატე, ის – 1991 წელს) და თან, მინდა თუ არა, მასთან ერთად მიწევს ცხოვრება“.

რაგინდ საკვირველიც იყოს (თუმცა მისგან რაღა უნდა გვიკვირდეს?), აქ „მე“ ლაშა ბულაძეა, „ის“ – საქართველო (?!).

ტექსტი, საიდანაც ეს ფრაგმენტი ამოვნერე, უურნალ „ლიტერატურულ პალიტრაშია“ (2010, №1) გამოქვეყნებული.

უანდა ვერაფრით განვსაზღვრავდი, თვითონ ავტორი რომ არ დამსმარებოდა – მოთხრობას უწოდებს.

ჯანდაბას, ერქვას მოთხრობა. ასეთი ხომ აქამდეც არაერთხელ დაუწერია. ყველაზე გახმაურებული – თამარ მეფეზე.

თამარ მეფის შემდეგ, ლოგიკურია, პირდაპირ საქართველოს რომ მიადგეს.

მოთხრობას „თინეიჯერი“ ჰქვია. თინეიჯერი კი სწორედ საქართველოა. მისი სახელმწიფო ბრიობის სამიათასწოვანი ისტორია ავტორს სასაცილოდაც არ ჰყოფის. საქართველო, თურმე, მასზე უმცროსია, 18 წლისაა (მეცხრამეტეში გადასული).

მოვუსმინოთ (ნავიკითხოთ):

„თინეიჯერი სახელად საქართველო დაიბადა 1991 წელს და თურმე ამ „თინეიჯერს“, როგორც ყველა არცთუ იმდენად ჭკვიანი მშობლების შვილს, მასაც ფაქტობრივად, დაბადებისთანავე შეექმნა პრობლემები: ჯერ მშობლებმა დაალენებს ერთმანეთს თავ-პირი – ისტერიულმა დედამ და იდიოტმა მამამ, მერე უფროსმა ძმებმა ასახიჩერს ერთი-მეორე, ბოლოს კი – ყოფილი სადისტი მამობი-

ლის მეშვეობით – ორმა უმცროსმა დედმამიშვილმა წააძრო ჯერ მარჯვენა, მერე კი მარცხენა ხელი. მძიმე ამბავს ვყვები".

ჭეშმარიტად, მძიმე ამბავს ჰყვება. თვითონაც უგრძვნია.

პრიმიტიულია, მაგრამ გასაგები მაინც არის, თუ ვინ იგულისხმება სადისტ მამობილში და უმცროს დედმამიშვილებში, მაგრამ ისტერიული დედა, იდიოტი მამა და უფროსი ძმები ვინდა არიან და რა ხნისან?

მწერლური უმზობა უფრო შორს ძნელად თუ წავა.

იმდენი მაინც მოეფიქრებინა და დაენერა, 2003 წელს დააბადათ. მაშინ სარკაზმი მაინც გამოვიდოდა. ახლა არც სარკაზმია, არც იუმორი. სიმბოლოებით და სახეებით აზროვნებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

თინერჯერი აღარც ლამა ბუღაძეა. 33 წლისაა და, „როდემდე შეიძლება რთული ასაკი ჰქონდეს? ასაკთან ერთად ოდნავ მაინც ხომ უნდა მოემატოს სიბრძნე?“ (რა კარგი იქნებოდა, ასაკთან ერთად, მწერალს ნიჭიც რომ ემატებოდეს!).

უბედურება ისაა, რომ სიბრძნე, ასაკთან ერთად, არც ლიტერატურული კონკურსის „საბას“ შუურის ემატება, ასეთი უმზო მოთხოვების ავტორს ლაურეატობას რომ ანიჭებს.

ერთიც: მიაქციეთ ყურადღება ფრაზა: „მინდა თუ არა, მასთან ერთად მინევს ცხოვრება“.

საქართველო იგულისხმება (?!)...

სამშობლო და გაზირვება

„კარზე ანი აღარავის მივადგები. მათხოვარი არა ვარ. მე დიდი ხელოვანი ვარ. მე თვითონ თეატრი ვარ. მე წავალ ამერიკაში და წავიდებ ჩემს თეატრს. მე თქვენ დიდ განძს წაგართმევთ“. – განაცხადა 2000 წლის სექტემბერში პანტომიმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ამირან შალიკაშვილმა.

მაშინ მე დავწერ:

„ამირან შალიკაშვილს ვერაფერში გაამტყუნებ, ერთის გარდა – როცა აცხადებს, მე თქვენ დიდ განძს წაგართმევთ. ვის წართმევს? – საკუთარ სამშობლოს? მაგრამ სამშობლო ხომ ყველაზე დიდი განძია, რომელსაც ბატონი ამირანი დაკარგავს?“

გავიდა ათი წელი. პანტომიმის თეატრი დღესაც გაჭირვებას და უბინაობას უჩინვის, მაგრამ მისი სამხატვრო ხელმძღვანელი პრესაში გამოქვეყნებულ ინტერვიუში სულ სხვა რამეს ამბობს:

„ხშირად მეპატიურებოდნენ საზღვარგარეთ, მაგრამ საქართველოს ვერ ვტოვებ... რამდენი წელი ვინვალე, რომ ეს თეატრი შემექმნა – შემექმნა ჩემი სამშობლოსათვის“. აი, რა შეუძლია სამშობლოს სიყვარულს!

რა შეუძლია თვითონ სამშობლოს!

სამშობლო გაჭირვებაზე მაღლა დგას!

სხვათა შორის, არც ამირან შალიკაშვილისთვის უკითხავთ, სამშობლო უფრო მაღლა დგას თუ ჭეშმარიტებაო.

შევარდნაძეს ეკითხებიან (?!).

მიკვირს, ბუღაძესაც რომ არ ეკითხებიან.

ესეათოლოგიური წამი

□

ერეკლე ტატიშვილის სამარათან



– ვისურვებდი, რომ გამქრალიყოს ის ტკივილი, რაც ასე ანუხებდა ერეკლე ტატიშვილს, – იტყვის დადი სწავლულის საფლავთან ბაჩანა ბრეგვაძე, ახალი დროის მთანმინდელი და ერეკლე ტატიშვილის სულიერი ჩამომავალი, ვინც თავდაუზოგავი გარჯით გაიკვლია გზა მსოფლიო კულტურულ სივრცეში და უამრავი საკაციობრი მხატვრულ-ფილოსფიური ძეგლი აქცია ქართული მწერლობის განუყოფელ ნაწილად, ანუ თავის მხრივ აღასრულა „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ მთარგმნელის თავგანნირული მცდელობა – კომუნისტური ჯოჯოხეთის პირობებში გაერლვია დახუფული გარემო და ქართველობა ეზიარებინა დასავლური სულიერი ფასეულობებისათვის.

მთანმინდაზე ერეკლე ტატიშვილის მარადიული დაბინდრება არ ეეჭვებოდა ზეიად გამსახურდიას.

ეს სამარე კი ყოველწლიური თავშესაყრელი გახლდათ ერეკლე ტატიშვილის მონაცემებისათვის, რომელიც ამ ტრადიციას არ ღალატობდნენ 1 თებერვლის დღეს, ვიდრე თანამდინობით გაიკრიფებოდნენ წუთისოფლიდან.

მაინც არ დასრულდებოდა ყოველწლიური რიტუალი, რადგანაც ახლა სხვანი გადაბარებდნენ ამ მოვალეობას, წელს კი პირველად აღსრულებოდა პანაშვიდი დიდი სწავლულის სახელზე სიონის ტაძარში მისი წინამდღვრის, მამა გორგას მიერ, მონაწილეობით კი მონაწილეობდნენ საგანგებოდ შეკრებილიც და იქ უნებურად შემსწრენიც, რომელთაგან არაერთმა იმ წუთას იქნებ სულაც პირველად გაიგო ეს სახელი, საბოლოოდ კი მთელი ეკლესია გადაიიხსო, მგალობელნიც ბლომად შეიკრიბნენ და შთაბეჭდილებაც საოცარი მოახდინეს.

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების წევრთაგან პანშვიდის შემდეგ ზოგი (ნატო ჩემიძე, ნინო მაჭავარიანი, რუსულან შამპელაშვილი, ზვილდ მამულაშვილი...) თავთავის საქმეზე გაეშურა, ზოგმაც (ბაჩანა ბრეგვაძე, პატა და როსტომ ჩემიძეები, დიმიტრი ტატიშვილი – ერეკლეს ძმის შვილთაშვილი) სამარეს აკითხეს ვაკის სასაფლაოზე და ჭიქაც წაუქციოს.

ჭირის სახელდაბელო სუფრას ბაჩანა ბრეგვაძე თამადობდა, ვისაც გამოთხოვებისას ძალდაუტანებლად წამია-გონდა, ერეკლე ტატიშვილის მონაცემის, ნიკო სამადაშვილის სტრიქონები, იმ ნიკო სამადაშვილის, ვინც თავისი მოძღვრის წყალობით ჩამოყალიბდა დიდებულ პოეტად: უსინანულოდ ვტოვებდით ტაძარს უკანასწელელი ქრისტიანები.

თითქოს მართლაც ესქატოლოგიურ განზომილებაში მოვექეცით და, რა გასაკვირია, რომ იმ წუთას ჩვენც უსინანულოდ ვტოვებდით საფლავებაც უკანასკნელი ქრისტიანები.

შარშანდელი წლის ბოლოს გამომცემლობაში „ბაკმი“ დაისტამპა ქეთევან ელაშვილის ესეებისა და ლიტერატურული სტატიების კრებული — „სიტყვით თრობა“ წიგნში შესული 43 წერილიდან უმეტესი ნაწილი ჯერ „ომეგასა“, შემდგომ კი ჩვენი უურნალის ფურცლებზე გამოქვეყნდა და იმთავითვე მიიპყრო მკითხველის ყურადღება. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ერთად შეკრებილმა ამ წერილებმა გაცილებით უფრო მკაფიოდ წარმოაჩინეს მათი ავტორის — როგორც ლიტერატურის მკვლევარისა და ესეისტის — ჭეშმარიტი ლირსებები.

უფრო ვრცლად ამ ლირსებებზეც, ქართული მწერლობის სიღრმისეული ტენდენციების ჩაკვირვებულ და ფაქტიზ თვალმიდევნებაზეც, ახალგამოსული წიგნის თემატიკურ, ისტორიულ და ემოციურ დიაპაზონზეც, მოგვითხრობს მისი რედაქტორის ზაზა აბზიანიძის წინათქმა, რომელიც პროფესიულ დამაჯერებლობით წარუდგენს მკითხველს „სიტყვით თრობა“, როგორც დღევანდელი ქართული ესეისტიკის ლირსებანიშნავ შენაძენს.

ზაზა აბზიანიძე

სიტყვასთან მიახლების ტკრობა

რამდენ რამეს ამბობს სათაური წიგნზე და წიგნი კი — ავტორზე. აქაც ასეა: „სიტყვით თრობა“ ალბათ ერთადერთი სათაურია, რომელიც ქეთევან ელაშვილის ლიტერატურული ესეებისა და წერილების კრებულს მიესადაგებოდა. ამგვარი წიგნის მკითხველისათვის ისიც ცხადია, რომ „თრობა“ აქ თავისი არქეტიკული პლასტიკით წარმოჩნდა — ვითარების სინონიმი საკრალურ სივრცეში შეღწევისა და იქ ოდენ განდობილთათვის განკუთვნილ საიდუმლოთა წვდომის...

სწორედ ამგვარი, ლამის მორჩებულებრივი მონიშნებითა და სიფაქიზით მიეახლა (სხვა სიტყვას ვერ ვპოულობ) ქეთი ელაშვილი ქართული მწერლობის მისთვის საინტერესო სახელებს, ნანარმოებებსა და პრობლემებს (თუ ერთი წამით „სათაურთა პოეტიკიდან“, „სახელთა პოეტიკაზე“ გადავინაცვლებთ, ვიტყვით, რომ „ქეთევან ელაშვილი“ კი ანერია ამ წიგნს, მაგრამ მის უშუალო და ემოციური ინტონაციაში სწორედ ქეთი ელაშვილს ვცხობთ).

ახლა — იმ სახელთა, ნანარმოებთა და პრობლემათა შესახებ, რომელიც ამ წიგნში „დამეზობლდენებ“ და რომელთა ერთობლიობაც მრავლისმეტყველი იქნებოდა არა მხოლოდ ამ კონკრეტული ავტორის, არამედ, საზოგადოდ, ამჟამად ყველაზე აქტიური ლიტერატურული თაობის ინტერესთა არეალის გასათვალისწინებლად, სრულიად არატიპურ სურათთან რომ არ გვქონდეს საქმე.

მაგრამ მოდით, ჯერ თავად ამ „სახელთა ნუსხას“ ჩავსედოთ, ხოლო „არატიპურ სურათს“ კი შემდგომ მივუწუნდეთ.

„სიტყვით თრობა“ ორ ნაწილად იყოფა: პირველი ავტორის ესეისტიკას აერთიანებს „ემოციური დაფიქრების“ სათაურქვეშ; მეორეში („სახის მწერლობა“) უპირატესად კვლევითი ხასიათის წერილებია ქართული მწერ-


ლობის სიმბოლოლოგიურ ასპექტებზე, ეთიკურ პრობლემატიკაზე, სახელდებათა პოეტიკაზე სასულიერო თუ ლიტერატურულ ძეგლებში.

ქეთი ელაშვილი ძველი ქართული მწერლობის მკვლევარია და ვინც კი ადგვნებდა თვალს მის პუბლიკაციებს ბოლო 10 წლის მანძილზე, უთუოდ დაუმატებს — ჩაკვირვებული და ფაქტიზი მკვლევარი. როგორც ქეთი ელაშვილის თანაავტორმა, არ შემიძლია აქვე არ დავუმატო, რომ ქრისტიანული სახისმეტყველების მისმა სიღრმისეულმა ცოდნამ (და ამასთანავე — შეგრძნებამ) განუზომელი დახმარება გაგვინია „სიმბოლოთა ენციკლოპედიის“ ორტომეულზე მუშაობისას.

უთუოდ საპატივებელი „ტენდენციურბის“ გამო, თავდაპირველად „სიტყვით თრობის“ სწორედ სიმბოლოლოგიური ნაწილი მინდა წარმოგიდგინოთ, თუმცა, რიგითობის თვალსაზრისით, ეს წერილები წიგნის მეორე ნაწილი — „სახის მწერლობაში“ განთავსდა: პირველი წერილი ამ მწერლები გახლავთ „სიმბოლოს საკრალური ასპექტი და მისი „რელიგიური ბიოგრაფია“, რომლის ბოლო ფრაზა ცხადყოფს ამ ძალზედ ლაკონური, მაგრამ ამდენადვე ტევადი და სანტერესო გამოკვლევის პათოსს: „...ცხადია, რომ სიმბოლო, როგორც კულტურის უნივერსალური ფერმენტი, სრულიად უნიკალური შესახებ“.

ესეიში „ნისლთამეტყველება ვაჟა-ფშაველასთან“ თვითეს, სათაურში გატანილი კომპოზიტიც კი ერთგვარი მინიშნებაა, როგორ ძრმა და საინტერესო თემებს აგნებს ქეთი ელაშვილი სიმბოლოთა სამყაროსა და ქართული მწერლობის თვითმყოფადი პლასტების გადაკვეთაზე და როგორ ახერხებს თავისი „სიმბოლური თვალსაზიერიდან“ განსხვავებული კუთხით დაგვანახოს ჩვენი მწერლობის კლასიკური

კოლიზიები და პერსონაჟები. სწორედ ასეთია მისი „ორი დღის ბიბლიური სიმბოლიკა“, რომელსაც საფუძვლად დაედო ილიას „სარჩობელაზედ“; ასეთია სიმბოლოლოგის თვალით დანახული ლეთისმობლისა და წმინდაშესანიკის სახე ადრეული პერიოდის ქართულ პაგიოგრაფიში; ფერთა სიმბოლიკა ამავე ძეგლებში ას ხელახლა გადაკითხული სულხან-საბას „ლექსიკონი ქართული“, რომლის უნიკალური ხასიათი კიდევ ერთხელ წარმოაჩინა სიმბოლოლოგიურმა პლასტმა.



„სახის მწერლობაში“ შესული წერილების სათაურთა ჩამოთვლაც კი გაფიქრებინებთ, რომ მათი ავტორი ისე ინტუიტურად აგნებს სხვათათვის „დაგმანულ“ თემებს, როგორც წყლის მაძიებელი განვდილ ცერა თითზე გადებული ლერწის უხილავი მოძრაობით – მიწისქეშა ნაკადს...

ნიმუშად ასეთი მიგნებისა შემიძლია დაგისახელოთ ნატიფი, „ლიტერატურული ტექნიკით“ შესრულებული გამოკედევა – „მარჯვე დროის“ (უამი მარჯუე) ფენომენი“, რომლიდანაც რამდენიმე ნაწყვეტს გაგაცნობთ: „ქართულ პაგიოგრაფიაში, კერძოდ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ გორგი მერჩულეს წმინდანის მიერ „ზედროის“ შეცნობისათვის შემოაქვს საგანგებო სახელდება-აღნიშვნა „მარჯუე უამი“ – „მარჯვე დრო“.

ამ „მარჯვე დროის“ შეცნობის წყალობითაა, რომ წმინდა შემანიკი ვარსექნს დაბრუნებამდე ტოვებს საპიტიახშოს კარს, ოღონდ ის ამას ჩადის „ვითარცა წინას-ნარმეტყუელი“...

ანდა, თუნდაც არაბი ჭაბუკი აბო („აბოს მარტვილობა“), რომელიც სულიერი მეტამორფოზების გზაზე ყოველთვის ზუსტად ჭვრეტდა კონკრეტულ დროს – როდის აღარ უნდა დაეფარა „ჭეშმარიტი ნათელი“ და როდის უნდა გადაჭვეულიყო „სულითა თვისითა მოგზაური“...

ქეთი ელაშვილის წიგნში კიდევ არაერთი, ზუსტად მიგნებული და მაკაფიოდ წარმოჩენილი თემაა: „ხორციელი სიკეთის“ ფენომენი ქართულ სასულიერო ძეგლებში“; „დროულობა“, როგორც ზენობრივი კატეგორია ანუ „ლიტერატურული ნაცნობობა“ ილიასეულ სივრცეში“; „სრულებრივი მხატვრული ტრანსფორმაცია“ (აქ ავტორი ვაჟას „სიმარტივის ნატიფობის“ ფენომენს იკვლევს); დიდი ინტერესით იკათხება იაკობ ცურტაველი-სადმი მიძღვნილი წერილი, ხოლო გამოკვლევა „დიდი ნერსე ერისმთავარი“ იმდენად ორიგინალურია, რომ ვგონებ, მომავალში ნერსე ერისთავის პიროვნებით დაინტერესებული მკვლევარები გვერდს ვერ აუვლიან ამ ნაშრომს.

„სახის მწერლობით“ წარმართულ ლიტერატურულ ინტერესთა კიდევ ერთი გამორჩეული თემაა – სახელდებანი: აქაა „ორმაგი სახელდების ფუნქცია ადრეული პერიოდის პაგიოგრაფიულ ძეგლებში“ და „წმინდა მამათა სახელდება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით“.

როდესაც ავტორის ლიტერატურულ კვლევათა „ნატიფ ტექნიკაზე“ ვლაპარაკობ, ძალაუნებურად მახსენდება ხოლმე, რომ ქეთი ელაშვილმა უნივერსიტეტის ფილოლოგის ფაკულტეტზე შესვლამდე ბიოლოგის ფაკულტეტი დაამთავრა და ეგების იქ შეენილმა ცნობისწადილმა და დახვენილი ექსპერიმენტის სკოლამ იჩინა თავი მის შემდგომ პროფესიაში...

იშვიათ თემათა მიგნება — ერთი მთავარი და განმასხვავებელი ნიშანი ამ წიგნისა, ცხადია, მის პირველ ნაწილშივე წარმოჩნდა (ეს მე დავარღვიე თხრობის მიმდევრობა), იმ ნაწილში, რომელიც ლაკონური ესეებისაგან შესდგება და „ემოციურ დაფიქრებად“ არის სახელდებული. თუ ზემოხსენებულ გამოკვლევათა უმეტესობა ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო გამოცემებში ქვეყნდებოდა, ქეთი ელაშვილის ესეები უურნალ „ომეგასა“ და „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებიდან გვახსოვს. გვახსოვს ლიტერატურული თხრობის მისეული მანერაც – ძალიან

გულწრფელი და უშუალო, ინტონაციის უმნიშვნელო ცვალებადობით ავტორის ემოციურ მიმართებათა ზუსტი მანიშნებელი...

ახლა მკითხველს თავად შეუძლია იგრძნოს ამ ესსეების ხიბლიც და ინტერესთა დიაპაზონიც, რომელიც რამდენიმე საუკუნეს სწვდება: თვითონ განსაჯეთ — ავტორი შეგახსენებს სულან-საბას „სამოთხის კარს“ („ერთი მოვიწყებული ძეგლი“); ნიკოლოზ ბარათაშვილის „საყურებს“ („სპეციალ შრომაში ჩაძირული პოეტის სული“); ვიკორნი ნოზაძის „ვეფხისტყაოსნის“ ფერთამეტყველებას“.

„მიგნებულ“ თემათაგან გამოირჩევა „დაკარგული დროს ფენომენი“ (რომელიც „ზედროულობის“ ფენომენზე მოვითხოვობს) და ერთგვარი ციკლი ესსეებისა, რომელთა ტონალობაც განისაზღვრა წერილით „ეროტიზმის დიაპაზონი ქართულ სიტყვაში“. ამ თემის ვარიაციები გაუდევდა კონსტანტინე გამსახურდას რომანებისა და მიხეილ ჯავახიშვილის „ოქროს კბილის“ ფონზე. სხვათა შორის, მიხეილ ჯავახიშვილის „ეშმაკის ქვა“ და „ეკა“ ავტორის კიდევ ორ, ძალიან საინტერესო ფსიქოლოგიურ ესეს დაედო საფუძვლად.

როდესაც „საუკუნოვანი დიაპაზონი“ ვახსენე, ვგულისხმობდი ქეთი ელაშვილის იმ ესეებს, რომლებიც ორგანულად აგრძელებს მის ემოციურ თხრობას ქართული „ლიტერატურული ლანდშაფტის“

საუკუნოვან ფრაგმენტებზე... ლიტერატურული კლასიკა – აპრობირებული რამაა, არნაირი რისკი სახელების შერჩევაში არ არსებობს. აი, თანამედროვეთა მიმართ გამოჩენილი ინტერესი კი, რაღა თქმა უნდა, ბევრისმთქმელია... საბედნიეროდ, ქეთი ელაშვილმა ორი საუკუნის მიჯნაზე მრავალი მიზანით უმოწყალოდ აღრეულ ლიტერატურულ საზომებს ისევ და ისევ ის, თავისი ჯადოსნური „ვაზის ლერწი“ ამჯობინა ანუ თავის უტყუარ ინტერიციას მიენდო: ანა კალანდაძე, გურამ ასათიანი, ნუგზარ შატაიძე, ნაირა გელაშვილი, მაკა ჯობაძე, ირაკლი ლომოური – აი მისი ესეების ადრესატები...

ვფიქრობ, ამ უანრმა (რომელსაც ქეთი ელაშვილმა „ემოციური დაფიქრება“ დაარქვა) მასთან რაღაც ახალი თვისებები შეიძინა. არ ვიცი, „განმეორებადია“ ეს სტილი, თუ იმდენად ინდივიდუალურია, რომ მხოლოდ და მხოლოდ ერთი ავტორის საუკუთრებად უნდა დარჩეს. ერთი პირობა, მინდოდა განმემარტა, რას ვგულისხმობდი ამ „ახალ თვისებებში“, მაგრამ მერე, „სიტყვით თორობის“ გადაკითხვისას, აღმოვაჩინე, რომ ქეთი ელაშვილს მშვენივრად ჩამოუყალებებია თავისი ესეებისტიკის „კრედო“: „ემოციური დაფიქრების გარეშე ნარმოუდგენელი სიტყვიერი თხრობა ისე შეუმნიველად იჭრება, ფეხს იკიდებს ჩვენში, რომ, შენდა უნებურად, აღმოჩნდები გამომწყვდეული „ლიტერატურულ მარყუჟში“ – საოცარსა და იდუმალში, ტკივილის მომგვრელსა და იმავდროულად

ნეტარში და, ისევ და ისევ, სიტყვას ჩაბლაუჭებული მოძებნი გამოსავალს – მიადგები იმ უნაპირო ნაპირს, რომლის გარეშეც არ არსებობს „სიტყვის ხატი“ – ის დაუცველი, ფეხდაუდგმელი სივრცე, სადაც, ხშირ შემთხვევაში, ავტორსაც კი ერთიანება დიდხანს შეყოვნება და ამიტომაც დანერს თუ არა, გაუნაპირდება...“.

ვეღარაფერს დაუმატებ ამ სიტყვებს.

„გალაკტიონის კვლევის ცენტრი“ განაგრძობს დიდი ქართველი პოეტისადმი მიძღვნილი კრებულების სერიულ გამოცემას. მალე მკითხველი მიიღებს მორიგ კრებულს - „გალაკტიონოლოგია V“, რომლის მასალათა ძირითადი კორპუსი მოიცავს გ. ტაბიძის სიმბოლისტური პერიოდის შემოქმედების ანალიზს. ანონსის სახით გთავაზობთ ფრაგმენტს ცენტრის ხელმძღვანელის თეო-მურაზ დოიაშვილის პოლემიკური წერილიდან.

თეიმურაზ დოიაშვილი

„ენიგმები“ და „მიგნებები“

გალაკტიონ ტაბიძის ნოვატორული მხატვრული აზროვნება, მისი ურთულესი ტროპები იმთავითვე იქცევდა მექლევართა ყურადღებას, მაგრამ პოეტის „ნისლით შემობურვილი“ მეტაფორებისა და სიმბოლოების შეცნობა-შეუცნობლობისა და გაშიფრვის პრობლემა მთელი სიმწვავით მიხეილ კვესელავას „პოეტური ინტეგრალების“ (თბ., 1977) გამოსვლის შემდეგ დაისვა.

გალაკტიონის ლექსები მ. კვესელავამ ტროპული მეტყველების სირთულის მიხედვით სამ ძირითად სახეობად დაყო:

„1. ტრადიციული ლექსები, სადაც პოეტური ფრაზის ლოგიკურ-სემანტიკური წყობა შესუსტებულია.

2. ა ს ოცი ა ცი ური ი ლექსები, სადაც პოეტური ფრაზის ლოგიკურ-სემანტიკური წყობა შესუსტებულია.

3. ინტეგრალური ლექსები, სადაც პოეტური სემანტიკა ან მეტაფორების და სახეების ჩვეულებრივი სტრუქტურა თითქმის მთლიანად დარღვეულია“ (გვ. 199).

თავის ვრცელ გამოკვლევაში, სადაც გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება განხილულია XX საუკუნის პოეზიის გლობალურ კონტექსტში, მ. კვესელავამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მესამე სახეობას — ინტეგრალურ სახე-მეტაფორებსა და ფრაზებს და ისინი სრულიად ახალ მოვლენად მიიჩნია მხატვრულ აზროვნებაში. ინტეგრალური სახეების სიახლე თურმე ისაა, რომ მათი ლოგიკური გააზრება, შინაარსის ამოცნობა არ ხერხდება და არც არის საჭირო, რადგან ასეთი სახეები აზრის გარეშე, შემეცნების გარეშე ახდენენ მეითხველზე ემოციურ, ესთეტიკურ ზემოქმედებას (გვ. 372). ასეთ ამოცნობა, გაუშიფრავ, იდუმალ ინტეგრალებად მან გალაკტიონის ათეულობით ტროპი გამოაცხადა, მათ შორის – „ოცნება, ნახაზი საგანთა უარით“, „ტოტებს ქარისას გადაჰყვა

მარტი“, „მთვარეში შავი შრიალებს ჩალა“ და სხვ. იგი წერდა: „ოიდიპოსიც რომ იყო, ამ პოეტური სფინქსის საიდუმლოებას მაინც ვერ ამოხსნიო“ (გვ. 302-303).


ამრიგად, მ. კვესელავას თვალსაზრისით, გალაკტიონის პოეზიამი არის თვისებრივად ახალი — გაუშიფრავი ინტეგრალური სახეები და სტრიქონები, იგივე „პოეტური სფინქსები“, რომელთა წინაშე უძლური აღმოჩნდებოდა თვით მითოლოგიური იოდიპოსიც, პოეზიის პროფესიონალი მკვლევარი რომ ყოფილიყო.

მოდით, ამ ფონზე ერთ განაცხადს გავეცნოთ, რომელსაც ამბიციის ნაკლებობას ვერ დასნამებ:

„ჩვენი მიზანია, შევავსოთ და დავაზუსტოთ არსებული წარმოდგენება, კერძოდ, გავაანალიზოთ ის, რაც დღეისათვის გალაკტიონთან აუხსნელად და გამოუცნობადა მიჩნეული“. და კიდევ: „ჩვენი ეს მცირე გამოკვლევა სწორედ იმას ემსახურება, რომ მეცნიერულად ავხსნათ და შემეცნებადი გავხადოთ გალაკტიონის არაერთი ენიგმა და გასაიდუმლობული სტრიქონი, რათა ხელი შევუწყიოთ მისი ტექსტის ინტერპრეტაციის შემდგომ განვითარება“ (გვ. 10).

დამონშებული ციტატები ამოღებულია ინესა მერაბიშვილის წიგნიდან „გალაკტიონის ენიგმები“ (თბ., 2003) და მონმობს, რომ მისი ავტორი მზადაა, არამარტი „შეავსოს და დააზუსტოს“ არსებული წარმოდგენება, არამედ „მეცნიერულად ახსნას და შემეცნებადი გახადოს“ გალაკტიონის დღემდე აუხსნელ-გამოუცნობი ენიგმები და სტრიქონები, ე.ი. გააკეთოს ის, რაც მ. კვესელავას შეუძლებლად მიაჩნდა.

მიზანი თავისთავად გაბედულიცაა და საპატიოც, მაგრამ მეცნიერულ გარემომი მოქმედებს ეთიკური წორმა — სანამ კვლევას დაინტებდე, მიმოიხედო, გაარკვიო, შენამდე ხომ არ ყოფილა მსგავსი ცდა, ერთი სიტყვით, დეტალურად შეისწავლო ის, რასაც საკითხის ისტორიას უწოდებენ. უნდა ითქვას, რომ ცალკეულ ავტორთა მიმოხილვით ი. მერაბიშვილი ქმნის კიდევ ამის ილუზიას, — სწორედაც ილუზიას, — რადგან ვითარება ისეა წარმოდგენილი, თითქოს მ. კვესელავას თვალსაზრისს მხოლოდ მომხრები ჰყავდა და პირველი იგი — მერაბიშვილი! — აღუდგა წინ გაბატონებულ შეხედულებას, მხოლოდ მან შეძლო ამოუხსნელის — ე.ნ. ინტეგრალებისა თუ ენიგმების ამოხსნა. ქვემოთ ამ საკითხზე საგანგებოდ შევჩერდები, ახლა კი, ი. მერაბიშვილის წიგნის მიხედვით, მოკლედ გიამბობთ იმას, თუ როგორ ვითარდებოდა მ. კვესელავას



გალაკტიონ ტაბიძე

კვლევების პარალელურად და მასთან დაპირისპირების გარეშე ახალი მეცნიერული მიდგომა, რომელიც, ცხადია, ი. მერაბიშვილის სახელს უკავშირდება.

მ. კვესელავას „პოეტური ინტეგრალები“ 1977 წელს გამოიცა. ამ დროისათვის ი. მერაბიშვილს უკვე მზად ჰქონია უჩვეული შესიტყვებების კვლევისადმი მიძღვნილი საკანდიდატო დისერტაცია, რასაც იგი საგანგებოდ აღნიშნავს: „1977 წელს, ე.ი. როდესაც ჩეგნი საკანდიდატო დისერტაცია უკვე დასრულებული იყო, მ. კვესელავამ გამოაქვეყნა გალაკტიონისადმი მიძღვნილი მონოგრაფია „პოეტური ინტეგრალები“ (გვ. 37). რატომ დასტირდა „გალაკტიონის ენიგმების“ ავტორს ამ ქრონოლოგიური ინფორმაციის ჩართვა? საქმე ისაა, რომ ი. მერაბიშვილი, მართალია, საპირისპირო პოზიციიდან, მაგრამ მაინც იმავე პრობლემას იკვლევს, რომელიც მ. კვესელავამ წამოჭრა. ამასთან, საკვლევი შესიტყვებების კლასიფიკაცია სემანტიკური კავშირების საფუძველზე, რომელსაც იგი გვთავაზობს (გვ. 28-29), განსხვავებული სიტყვიერ-ტერმინოლოგიური გაფორმების მიუხედავად, არსებითად იგივეობრივია მ. კვესელავას ზემოთ დამოწმებული კლასიფიკაციისა. მ. კვესელავას ლოგიურ-სემანტიკურ სახეობას აქ შეესაბამება საერთო სემების მქონე შესიტყვებანი, ასოციაციურს — შესიტყვებები მაკონრდინირებელი სემით, ხოლო ინტეგრალურს, სადაც სემბატიკური კავშირი მთლიანად დარღვეულია, — საერთო და მაკონრდინირებელი სემების არმქონე შესიტყვებანი.

საიდან წამოილი ი. მერაბიშვილმა თეორია, მეთოდიკა და კლასიფიკაციაც, რომელსაც იგი ხაზგასმით საკუთარს უწოდებს, ამას ქვემოთ ვიტყვი, მეთხველი კი, ვფიქრობ, მიხვდა, რომ ი. მერაბიშვილის წიგნი ჩართულ ქრონოლოგიურ პასაჟს ერთადერთი მიზანი აქვს - არავინ დაეჭვდეს მისი მეცნიერული გზის დამოუკიდებლობასა და ერთადერთობაში გალაკტიონის ენიგმების კვლევისას.

წიგნი მეორე ბიოგრაფიულად ძვირფასი ცნობაც არის დამოწმებული: 1997 წელს სადოქტორო დისერტაციაში, სადაც კვლევის მეთოდიკა უფრო დაუხევნავს, გალაკტიონის მაგალითები უხვად ყოფილა განხილული (გვ. 36).

როგორც ვხედავთ, გალაკტიონის ენიგმებთან ი. მერაბიშვილი ერთბაშად არ მისულა - მან გაიარა ოკაზიონალურ შესიტყვებათა მეცნიერული მეთოდით შესწავლისა და მეთოდიკის დახვენის ხანგრძლივი პროცესი. მხოლოდ ამის შემდეგ მიერადა იგი გალაკტიონის პოეტურ ენას და, როგორც ეს დინჯ მეცნიერ-მკვლევარს შეჰქვერის, კიდევ ხანგრძლივი ექვსი წელი შეალია საქმეს, სანამ წიგნს გამოსცემდა. სამაგიეროდ, ნოვატორულმა წიგნმა „გალაკტიონის ენიგმები“ გალაკტიონოლოგია ჩიხიდან გამოიყვანა — „შემეცნებადი“ გახადა ის, რაც მანამდე „გალაკტიონისეული ენიგმების აუსწენელობის მტკიცებით“ მთავრდებოდა ხოლმე! (გვ. 15).

მაშ ასე, გალაკტიონის ინტეგრალებთან, იმავე ენიგმურ სახეებთან მიმართებაში არსებობს ორი, დაპირისპირებული პოზიცია: ძველი — მ. კვესელავასი და მისი მიმდევრებისა და ახალი, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ი. მერაბიშვილი წარმოადგენს. ალბათ გაინტერესებთ, როგორ აფასებს „ახალი“ ძველს ანუ „გალაკტიონის ენიგმების“ ავტორი „პოეტური ინტეგრალების“ ავტორს.

დამოკიდებულება მ. კვესელავასადმი, ერთი შეხედვით, თითქოს აპოლოგეტურია: „გამორჩეული ლიტერატორი“, „ვისაც მშვენივრად ჰქონდა გაცნობიერებული პოეტური მეტყველების სირთულე, სილრმე და თავისებურება“ (გვ. 49), „მისი დამოკიდებულება მხატვრული ტექსტისადმი ისეთივე სიახლის სურნელს აფრქვევდა, როგორსაც, ალბათ, თავად გალაკტიონის ლექსი მის თანამედროვეთათვის“ (გვ. 38); „ეს იყო მხატვრული ტექსტის პროგრესული ლიტერატურული ანალიზი“ (გვ. 38). მთლიანად მონიგრაფიაციაც ამგვარსავე ემფატიკურ ტონალობაშია შეფასებული: „ნაშრომის უდიდეს დამსახურებად მიგვაჩინა ის, რომ აქ ავტორი პირველ ყოვლისა გალაკტიონის პოზიციის ინტეგრალურობას წამოსწევს წინა პლანზე“ (გვ. 37)...

ის, რაც აქამდე ითქვა, მხოლოდ მოლაპაზებული ფასადია, რეალურად კი „პროგრესული ანალიზი“ დიპლომატიური, კომპლიმენტური ფრაზაა, თორემ, როგორც ირკვევა, — „ბატონი მიხეილი არ მსჯელობდა გალაკტიონის ურთულეს ენიგმათა ინტერპრეტაციაზე, რადგან, როგორც ჩანს, არ ფლობდა სათანადო მეთოდს“ (გვ. 39), „კვლევის თანამედროვე ლინგვო-სტილისტურ და ლექსიკო-სემანტიკურ მეთოდებს მოკლებული, ვერ ამტკიცებდა მეცნიერულად იმას, რასაც, ეჭვგარეშეა, გრძნობდა და განიცდიდა კიდეც“ (გვ. 49).

დააკვირდით ბოლო ფრაზას — როგორი ნიმუშია თითლიბაზობისა, რომელსაც იოსებ გრიშაშვილი „ქალაქურ ლექსიკონში“ ცაბიერებად, ფარისევლობად, პირმოთნეობად განმარტავს.

მაინც რას ნიშანავს ეს განცხადება — გრძნობდა, განცდილა და ვერ ამტკიცებდაომ?!

უკვე ითქვა, რომ მ. კვესელავას აზრით, ინტეგრალების გაშიფრვა შეუძლებელია და არც არის საჭირო, რომ ანალიზი, საერთოდ, აქარნყლებს ესთეტიკურ სიამოვნებას. ვითომ გამოადგებოდა ამ თვალსაზრისის მკვლევარს თუნდაც იგივე „ლინგვო-სტილისტურ და ლექსიკო-სემანტიკურ მეთოდები“?! მ. კვესელავა იმას „გრძნობდა და განიცდიდა“, რომ ინტეგრალებს ამოხსნა არა აქვთ, უამისოდაც ახდენენ ემოციურ ზემოქმედებას, ი. მერაბიშვილი კი, ერთი მხრივ, მის კონცეფციას უარყოფს, ხოლო მეორე მხრივ, „გამორჩეული“, მაგრამ „მეთოდსმოკლებული“ მეცნიერის დრამატული სახე სურს დაგვიხატოს.

აი, ასე ყვავის ი. მერაბიშვილის მთელს წიგნში ზემოხსენებული თითლიბაზობა მთელი თავისი სემურ მნიშვნელობათა მრავალფეროვნებით, რაშიც თანდათან უფრო დავრნმუნდებით.

* * *

„გალაკტიონის ენიგმების“ პირველი თავი ასეთი მსჯელიბით იწყება: „გალაკტიონის პოზიციის პირველი შესიტყვებათა თუ ხილვათა გამო განსაკუთრებულ ახსნასა და გაშიფრას საჭიროებს. მიუხედავად ამისა, ქართველმა მკითხველმა იმთავითვე იგრძნო, ალიარა, შეიყვარა და გაითავისა მისი ლექსი. ისმის კითხვა: როგორ მოხდა ეს? გუმანით? გაუცნობიერებლად?

უდავოდ, მაგრამ ამასაც ახსნა სჭირდება...“ (გვ. 15).

მ. კეცელავამ ამ კითხვას თავისებური პასუხი გასცა. მისი აზრით, გაღატიონის ლექსისათვის დამახასიათებელი რიტმულ-მელოდიური დინება ისე იტაცებს მკათხველს, რომ ყურადღებას არ აქცევს სიტყვათა ლოგიკურ შეუსაბამობებს. ეს კი ნიშნავს, რომ სიტყვა კარგავს სემანტიკურ წონას და რიტმულ-მელოდიური ნაკადის შემაგრებელ „შიშველ“ მასალად იქცევა (პოეტური ინტერალები“, გვ. 335-336).

ი. მერაბიშვილს, ცხადია, ასეთი ახსნა ვერ დააგმაყოფილებს და სამართლიანადაც, რადგან ეს და მსგავსი „მეცნიერული ანალიზის ხმირად გალაკტიონისული ენიგმების აუხსნელობის მტკიცებით მთავრდება ხოლმე“ (გვ. 15). ქართველი ხალხიც როდემდე უნდა იყოს გაუცნობიერებელი ვრცნობებისა და სიყვარულის მდგომარეობაში! ამიტომ ი. მერაბიშვილმა პირადად იტვირთა გალაკტიონის უჩვეულო შესიტყვებების ახსნა-გაშიფრის მისია. რატომ? იმიტომ, რომ მას აქვს მეცნიერული მეთოდი, რომელიც ჯადოსნური ლამპარივით გააჩირადნებს გალაკტიონის „პოეტური სფინქსების“ აქამდე გაუხსნელ იდუმალებას.

მეთოდი, რომელსაც ი. მერაბიშვილი მიმართავს, სიტყვის სემანტიკურ თეორიაზე დაფუძნებული სემური (კომპონენტური) ანალიზის მეთოდია. ავტორი შეკვეშულად გადმოსცემს ამ თეორიის შექმნის ისტორიას - ახსენებს მიშელ ბრეალს, ფერდინანდ დე სოსურს, იური ტინიანოვს, იური ლევინს და სექტამურად მოხაზავს ამ უკანასკნელის კონცეფციას (გვ. 16-17).

ი. ლევინმა, როგორც მერაბიშვილი აღნიშნავს, მოადინა ი. ტინიანოვის კონცეფციის მოდერნიზაცია და მის საფუძველზე შექმნა თვალსაზრისია, რომელსაც შეიცავს სპეციალისტთათვის კარგად ცნობილი წერილის - „შინაარსის პლანის ზოგიერთი შტრიხი პოეტურ ტექსტში“ - დამატება: „პოეტურ ტექსტებში თანწყობილ შესიტყვებათა სემანტიკის შესახებ“ (კრედ. „Структурная типология языков“. С., 1966, გვ. 199-212; 213-215). ი. მერაბიშვილი ასახელებს ი. ლევინის სტატიას (გვ. 17), თუმცა „ივინწყებს“ მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან „დამატებას“. იგი ბოლო დროს სამეცნიერო პრაქტიკის გავრცელებულ ხერხს მიმართავს, როდესაც ავტორს ერთი-ორჯერ მოიხსენიებენ, შემდეგ კი მის თეორიას, მეთოდიკას, იდეებს, როგორც საკუთარს, ისე წარმოგვიდგენენ. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ თეორია, მეთოდიკა და კლასიფიკაცია, რომელსაც ი. მერაბიშვილი იყენებს და ეყრდნობა, ი. ლევინის კუთვნილებაა, თუმცა ზოგად გამოთქმას - „ზემოაღნიშნული მეთოდი“ (გვ. 25), შეუმჩნევლად ენაცვლება მოლამუნე ფრაზები: „კვლევის აღნიშნული მეთოდიკა ჩვენ განვავითარეთ შემდგომში“ (გვ. 36), „ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდიკა“ (გვ. 28).

ი. ლევინის მეთოდთან და მეთოდიკასთან ი. მერაბიშვილის დამოკიდებულების საჩვენებლად დიდი გარჯა არ დაგვჭირდება. ი. ლევინი წერს (სიზუსტისათვის ტექსტი მომყავს რუსულად, ხოლო თარგმანი ჩატანილია სქოლიობში):

„В поэтическом тексте происходит распад значения на семы и его трансформация под влиянием контекста... Итак, в поэтическом тексте происходит перестройка

значения: возникает новое ядро и новые второстепенные признаки“ (დასახ. ნაშრომი, გვ. 213).*

ი. მერაბიშვილი ამ მოსაზრებას ოდნავ შეცვლილად იმეორებს: „პოეტურ ტექსტში და განსაკუთრებით უჩვეულო შესიტყვებაში ყოველი ცალკეული სიტყვის მნიშვნელობა იშლება სემებად და კონტექსტის გავლენით ისინი ახლებურად ლაგდებან. ამგვარად, იქმნება ახალი ბირთვი და ახალი მეორებარისხოვან სემები, რომლებიც, შესაბამისად, ქმნიან სიტყვის ახალ მნიშვნელობას“ (გვ. 17-18).

მეცნიერული კეთილსინდისიერების ნორმის შესაბამისად, აქ პირველწყარო - ი. ლევინი უნდა იყოს დამოწმებული, მაგრამ მითითება არსადაა.

იგივე ვითარებაა კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ი. მერაბიშვილი გვაუწყებს, „ ოეაზიონალური შესიტყვებები სამ კლასად დავყვავით“ (გვ. 28). ზემოთ მე მივუთოთ ემ დაყოფის მსგავსებაზე მ. კვეცელავას კლასიფიკაციასთან, მაგრამ, შესაძლოა, „პოეტური ინტეგრალების“ ავტორსაც იგივე პირველწყარო ჰქონდა, რაც ი. მერაბიშვილს - ისევ და ისევ ი. ლევინის დასახელებული გამოკვლევა.

კერ ვნახოთ, როგორაა წარმოდგენილი სამ კლასად დაყოფილი ოკაზიონალური შესიტყვებები ი. მერაბიშვილთან:

1. „პ ი რ ვ ე ლ კ ლ ა ს ს მიეკუთვნება ის შესიტყვებები, რომლის წევრებსაც... საერთო სემა ან სემები გააჩნიათ“; 2. „მ ე ო რ ე კ ლ ა ს ს მიეკუთვნება ის შესიტყვებები, რომლის წევრებსაც... საერთო სემა არ გააჩნიათ...“, მაგრამ აქვთ მაკორდინირებელი სემა და 3. „მ ე ს ა მ ე კ ლ ა ს ს მიეკუთვნება ის შესიტყვებანი... რომლის წევრებსაც... არ გააჩნიათ არც საერთო და არც მაკორდინირებელი სემები“ (გვ. 28-29).

ი. ლევინის ზემოდასახელებულ გამოკვლევაში, კერძოდ, მის დამატებაში მოცუმულია ატოპოკონსტრუქციების (იმავე უჩვეულო, გნებავთ, ოკაზიონალური შესიტყვებების) ამგვარი კლასიფიკაცია: კონსტრუქციები, რომელთა წევრებსაც აქვთ საერთო ნიშნადი ელემენტები; „კონსტრუქციები, რომელთა წევრებსაც არა აქვთ საერთო ელემენტები...“ და „კონსტრუქციები, რომელთა წევრებს შორის გრამატიკული კავშირიც კი არ არსებობს“ (გვ. 214).

ხაზგასმები ორივე ავტორთან მე მეკუთვნის და, ვფიქრობ, იგი გაუადვილებს მკითხველს კლასიფიკაციათა იდენტურობის აღქმას. ოღონდ ეგაა, აქაც პირველწყაროზე მითითება დავინწყებიათ.

არ დავფარავ, ამ ფაქტზე იმიტომ გავამახვილე ყურადღება, რომ სხვა, ანალოგიური, მაგრამ უფრო პიკანტური ამბისთვის შეგამზადოთ, მანამდე კი ვნახოთ, რა კონკრეტულ შედეგებს იძლევა ეს სემური (კომპონენტური) ანალიზის ლევინისეული მეთოდი ი. მერაბიშვილის ხელში.

* „პოეტურ ტექსტში ხდება მნიშვნელობის დაშლა სემებად და მისი ტრანსფორმაცია კონტექსტის გავლენით... ამრიგოვად, პოეტურ ტექსტში ხორციელდება მნიშვნელობის გარდაქმნა-შეცვლა: ჩნდება ახალი ბირთვი და ახალი მეორებარისხოვანი ნიშნები“.

ნანა კუცია

მზე „ცრემლის ნისლის გადაღება“

□

მაკა გოგუაძე, „ერზაცი ისევ ხუმრობს“

კმა არს შენდა მადლი ჩემი, რამეთუ ძალი ჩემი
უძლურებასა შინა სრულ იქმნების

II კორინთელთა 12, 9

მხატვრული ტექსტის საკრალურობა, „საღმრთოს საღ-
მრთოდ გასაგონობა“, ლიტერატურის „სიბრძნის (ლვთის-
მეტყველების) დარგად“ აღქმა ქართული მწერლობის უძ-
ველეს ტვიფარის.

პეტრე იბერი, ეფრემ მცირე, ასურელები, ათონელები, პეტრინი, რუსთველი, ჟამთააღმნერელნი — ქართული სუ-
ლის, ქართული სიტყვის მესაიდუმლენი („მნენი საიდუმ-
ლოთა ღმრთისათა“) ყოფიერების საზრისად უფლის მარა-
დი ნათლის ძიებას — მზის გამოხმობას მოიაზრებენ.

მეოცე საუკუნის უკანასკნელი ათწლეულების ქართულ
პროზას არაერთველი კრიტიკოსი „აბსოლუტის წყურვი-
ლით“ აღქმდილად აღიარებდა [იგორ შტოქმანი, აბსოლუ-
ტის წყურვილი, „ცისქარი“ №10, 1984] და ეს წყურვილი
უარსებითესი ნიშანია მრავალსაუკუნოვანი ქართული
მხატვრული სიტყვის.

ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვა სიტყვა-ლოგოსის ანა-
რეკლია.

მაღალთა თავმდაბლობით დასცდებოდა წმიდა იოანე
დამასკელს, „არცა სიტყვაპოვნიერ ვარ გამოთქმადო“
[გარდამოცემა].

სიტყვა-ლოგოსს იმარხავდა ქართული მხატვრული
სიტყვა ცურტაველის ქამიდან.

მაკა გოგუაძის უაღრესად საგულისხმო რომანიც —
„ერზაცი ისევ ხუმრობს.“

საცნაურია და ტრაგიკული სათაურად გატანილი ფრა-
ზა-კონსტრუქცია, კონსტატირება ფაქტისა, რომ ერზაცი
ისევ ხუმრობს ქვეყანაში, სადაც ჭეშმარიტებას ამდენი ღა-
მისმთეველი ჰყოლია.

ტექსტს ვერ მოჰყვები, ტექსტს უნდა მიჰყვე.

ციტირებით დავწერ ეს ტექსტ.

ოთხმოცინი წლების მიწურულის ტიპური სცენა.

თაობათაშორისი განსჯა მარადიული, „წყევლაკრულ-
ვიანი საკითხავისა“ — „ქართლის ბედისა“ თუ „ქართლის
ჭირისა“ (არიან ბედნიერი ქვეყნები, რომელთაც ეს საფიქ-
რალი არ ეფიქრებათ“ (ო. ჭილაძე)).

განა იგივე არ ეფიქრებათ ქართული მწერლობის უკე-
თეს პერსონაჟებს?! ნიმუშად „დათა თუთაშხიას“ ტრაგი-
კული პასაჟებიც კმარა [ამ საკრალური რომანის მაღალი
გავლენა აშკარაა მაკა გოგუაძის რაფინირებულ ტექსტზე,
თუნდ ტექსტუალურ მოდელად კონტრაპუნქტის არჩევა-
ზე, რომ არაფერი ვთქვათ ჭაბუა ამირეჯიბის მზიურ სილუ-

ეტზე ტექსტის ცრემლოვან-ბურუსოვან მხატვრულ ქსო-
ვილში...

სჯაც არის, თვითგანსჯაც, თვითდასჯაც (მოვიხმობთ
ვრცელ ამონბრიდს)...

„ფრნავაზი გავისხმოთ, სახელოვანი მეფე მროველის
მშენებირ ტექსტიდან... „ვინცა ვინ გამოჩნდეს ქართველთა-
განი ქმნულ-კეთილი და ასაკოვანი, მოკლიან იგი.“ ამას სჩადი-
ოდა აზონი, სჩადიოდნენ და სჩადიან დღესაც მანი მსნი...

ორვეგვერი შიში ჰქონდა, უეჭველია, ფარნავაზს —
ეგზოც და ენდოც — საკუთარი ტყავისაც და ვერშედგომი-
საც. მამასახლისთა გვარიდან იყო, ბოლოს და ბოლოს. ამ
ორმა შიშმა ერთად ფენომენალური რამ გააკეთებინა —
მზე გამოინვია მან ძილში და ჩაიტარა თვითხელდასხმა...

ენერგეტიკის ძლევამოსილება ნახეთ, მაგრამ პი-
როვნული ტრაგიზმის სილრმესაც დაუკვირდით!

მგონი ბორჩესისა: «Литература — это противоядие»
(ან კი რად უნდა ამას ბორჩესი?!)

შხამის სახელი კი „ნარმავლია...“ რაც უფრო მძაფრია
ვერატანა ნარმავლის, მით უფრო ღრმაა ტრაგიზმი და მით
უფრო მძლავრი ფსიქოთერაპიაა საჭირო გადასარჩენად.

ნარმოიდგინეთ, რამდენად ვერ იღებდა ფარნავაზი
ნარმავალს, რომ გადასარჩენად მას მზე დასჭირდა, ნარ-
მოიდგინეთ, რამდენად უჭირდა რუსთაველს, რომ ზეცი-
დან „ვეფხისტყაოსანი“ გამოიხმო!

როცა სისტემაში ვერ ჯდები, კი არ უნდა დაანგრიო, ზემო-
დან უნდა მოექცე მას (სისტემაში პოლიტიკურს არ ვეულისხ-
მობ, მით უმეტეს, ჩვენსა, სუპერკვაზის, უსათუოდ დასანვ-
რევს, არამედ საყოველთაო საზოგადოებრივ იერარქიას)...

ვერ ვეხდავ, რომ თქვენ გამოგენვიოთ მზე... მინდა,
თქვენი პროტესტი იყოს გარეჯის კონგრენიალური, სილრ-
მით შეთანადებული მასთან, თორებ ვამოება, მას კი არა, ცა-
რიელ ტრიტორიას იცავთ.

ქუჩაში გადიხართ და, თუ გადიხართ, მინდა, რომ ეს გას-
ვლა იყოს მზით. რა შეიძლება მოვიზროთ ასეთ მზედ?

პასუხს ისევ იმ ეპოქის ს უ ლ შ ი უნდა მივაკვლიოთ,
რომელმაც შექმნა გარეჯა, ზედაზენი, შიომღვიმე...

თუ თოხი ელემენტი ადამიანის გასრულების გზაც არის
და სიმრგვალეც, გამოდის, თვით მშვენიერებაა ეს თოხი
ელემენტი, „განსწორებითა მდგომნი სიმრგვალესა შინა.“

თუ მ შ ვ ე ნ ი ე რ ი ს კატეგორიით შევძლებთ პრო-
ცესტის გამოხატვას, ... ესე იგი, შევეთანადეთ კიდეც
დიდ ნინაპრებს და დალოცვილი ვიქებით მათგან.

მშენებირ რომელთაგან ურთულესი გზის არჩევაა. ჩვენი
ამოცანაც ურთულესია — ქუჩაში ვაჩვენოთ მაღალსახეობ-
რიობის კლასი. მნაბე, ეს შესაძლებელია მხოლოდ საქართვე-
ლოში „მაკა გოგუაძე“, ერზაცი ისევ ხუმრობს, 2005, გვ. 204-208].

პიროვნებათა, „თვითმფლობელ ნებათა“ [იოანე დამასკული] ქვეყანაა საქართველო.

აქ ყველა თამაშის საკუთარ წესს ირჩევს, ყოფიერების საკუთარ მოდელს ქმნის.

„ერზაცის“ ერთი უკეთეს პერსონაჟთან საკუთარ კოსმოგონიას ბანქოს იღუმალ ფურცლებად დაშიფრავს და „სულისა ტოლს“ (ბარათაშვილისეული სიტყვათშეთანხმება) სახისმეტყველებით შიფრს წერილით განუმარტავს:

«Валетами выступали солице-отроки [Бернлийские] фарфору́л ვარна́бумы́а „მზეჭაბუკები“ — б. კ.] в схватке с чудовищем. Червовий защищался щитом, пиковый пронзил его в сердце копьем, бубновый выкалывал глаз золотым кончиком древка флага, а трефовый отсекал ему голову мечом. Дамы, вместо традиционных цветков и бус, держали сосуды с главными стихиями. У червовой, повелительницы воздуха, в пальцах были зажаты кончики платка, вздутого ветром.

Прополями были Платон, Августин, Данте и Похищенный кем-то у себя [ვატორისეულ ქართულ თარგმანში მითოებულია ბუნართვი].

А тузы представляли этапы человеческого инициационного становления.. Множество хитроумных символических задачек было решено в деталях.

Ах, Да, совсем позабыл шутов бесславных – лысего и усатого».

ახალი კოსმოგონიური მოდელის შექმნა იმიტომ ხდება საჭირო, რომ „სამყარო გაცვდა, ვით ძეველი გროში.“

ბანქოს კოსმოგონიის მხატვრულ სახეთა განმარტებისას, თავად მწერალი აღნიშნავს: „დასტასთან ურთიერთობის პატარა ინსტრუქციას გაგაცნობთ, რადგან ის რომანთან კავშირშია:

ფერთა ნაკითხვის სწორი თანმიმდევრობა: აგური, ჯვარი, ყვავი, გული.

ვალეტები: მ ზ ე ჭ ა ბ უ კ ი ს ხვადასხვა ასაკში. ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე. სახეს იცვლის მისი მტერი, შესაბამისად, იცვლება მისი იარაღიც;

ქალები — ოთხი ელემენტის მცყრობელი (აგურის — წყალი, ჯვრის — მინა, ყვავის — ცეცხლი, გულის — ჰაერი).

მეფეები: აგურის — პლატონი, ჯვრის — ავგუსტინე, ყვავის — დანტე, გულის — მიქელანჯელო;

ტუზები: მ ზ ე ჭ ა ბ უ კ ი ს გ ზა ვიდრე მის განლმრთობამდე:

დაბადება — აგური, ილუზორულთან შეჯახების გამო კვდომა (უკიდურესი დეპრესია) — ჯვარი, ქვესკნელს შთასვლა — ყვავი, მეორედ შობა (კალმით განლმრთობა) — გული.

ინციაციის სწორედ ამ მარადის გზას, ამ მოდელს და-ექვემდებარება რომანის მთავარი გმირის — ლეოს ყოფიერება, ნარმოჩნდება მზეჭაბუკის გზის მაღალი ტრაგიზმი.

სხვაგან, სხვა ინტერვიუში, მწერალი დააკონკრეტებს, რომ „ლიტერატურა უმაღლესთავანი კატეგორიის ფსიქოთერაპია“, ლეო კი თავადა — მხატვრულად ტრანსფორმირებული [„ლეო — ეს მე ვარ“, მწერალ მაკა გოგუაძეს

მარაჟი

ქართული სახელი

ესაუბრება ქურნალისტი ხათუნა მაისაშვილი, გაზეთი „ახალი შვიდი დღე“, 1-7 სექტემბერი, 2006].

ბანქოსაც (რაკი ყოფიერების ერთი მოდელთაგანია) აქვს (თუ ჰყავს) თავისი ერზაცი — „მასხარები — ლენინი, სტალინი (შედრ. ერზაცი ისევ ხ უ მ რ ო ბ ს)“ [„ვრცელ მხოლოდ იმას, რაც ვიცი“, მაია ჯალაშვილს ესაუბრება მაკა გოგუაძე, „ჩვენი მწერლობა“, 30 მარტი, 2007, 26].

ზმნის შერჩევისას მწერალი ინარჩუნებს ნიშნეულ დელიკატურობას — „ხუმრობს“ აქ მართებულად ჩანაცვლდებოდა შემასმენლით „მასხარაობს.“

საცნუარია და ტრაგიკული — ბანქოს დასტაშიც ოთხი ელემენტია — „განსწორებითა მდგომნი სიმრგვალესა შინა“... როგორც ასურელ მამებთან [ბანქო და ასურელები... შეუთავსებლობის შეთავება, ერზაცი ხუმრობს!].

უამრავი რემინისცენცია და ალუზია ჩნდება რომანის პირველივე წაკითხვისას.

ასოციაცია — „ერზაცის“ ვალეტები და „დამები“ — ბლოკის „Servus — Regiae.“

იქვე — გალაკტიონისეული (ბლოკითვე მონაბერი) ალუზია, თუ რემინისცენცია: „მე პაჟი ვიყავ, ის კი — პრინცესა.“

რომანშივე წყვილდება XX საუკუნის (და არა მხოლოდ!) რუსული და ქართული პოეზიის მეუფეთა — ბლოკისა და გალაკტიონისა სახელები.

„ერზაცში“ გაიკლავნება ჭაბუა ამირჯიბისეულისეული გველებაპა, თუთაშა რომ განგმირავს რომანის ინტერმეციოში.

დასამასლორებელი, უაღრესად საინტერესო დეტალი:

„თამაში, მით უმეტეს, ბანქოს პრინციპი [გაცტორისავე განმარტებით] რომანის საყრდენი არ არის (თუმცა ასეთად მისი მიჩნევის ცდუნება დიდია). ბანქოს ამბავი შემთხვევით მოხვდა ტექსტში (ანდროს ჩამონათვალში), ხოლო, რაკი მოხვდა, კიდეც უნდა დამორჩილებოდა მის წესრიგს. ამიტომაც, მასში ნაწარმოების პოეტიკა დაიძიფრა (ისევე, როგორც, მაგალითად, „იაგანანაში“).

ლეო კი ნამდვილად გაბალავთ კომპოზიციის საყრდენი, უფრო ზუსტად, მისი განლმრთობის (მეორედ შობის) ჩავარდის ისტორია.

თხრობა ინერბა ამ ისტორიის შედევებით (საექსპოზიციო ნაწილი), პირველი თავიდან კი იშლება მისი გ ზ ა მ შედევებამდე [„ენერ მხოლოდ იმას, რაც ვიცი“, მაია ჯალაშვილის ტრანსლატორის შემთხვევის მეუფეთა — ჩვენი მწერლობა“, 30 მარტი, 2007, 24].

რომანის არსის ჩვენებული გააზრების წარმოსაჩენად „ვეფხისტყაოსას“ დავესესხებით, „საერო სახარებას“ ქართველთა, თუ სახარების საერო ტრანსკრიფციას (გ. ასათანი):

„მ ზ ე უშენოდ ვერ იქმნების, რადგან შ ე ნ [ლ თ მო] ხარ მისი ნ ი ლ ი.“

რომანის ცენტრალური პერსონაჟის — ლეოს [ენინობით-ალერსობითი ფორმა სახელისა „ლევან“ (ლომი)] ბედისნერა სწორედ „მზის ნილობაა“, მზიურობა [რობაქიძის უსაყვარლესი ცნება], მაგრამ, თუ „ვეფხისტყაოსანის“ „ლომინი“ [მეტაფორა თანაბრად მიემართება „სამთა გმირთა მნათობთა“ (აქაც „მნათობის“ და ლომის მაღალი ჯუფოთობა)] „ლალნი და უკადრნი“, კნინობით-ალერსობით სა-

პრიტიკა

ხელებს ვერასოდეს იგუებენ, ლეო სხვა ეპოქის მცვიდრია, აქედან — სახელიც კნინი [სული, რა თქმა უნდა, არა. მასაც იგივე წადილი თანგაცს, რაც „ვეფხისტყაოსნის“ მაღალ გმირებს — „სჯობს სახელისა მოხვეჭა“ — ლვთაებრივი სახიერების დაბრუნება][საინტერესოა ანალოგიური პასაჟი ოთარ ჭილაძის „ყოველმან ჩემმან მპორნელმან“—ში — გიორგის სახელის კნიზობით „გიორგად“ ტრანსფორმირება].

ლეო მზეჭაბუკია თავისი „შინა-არსით“ [ვიზუალურ-სულიერ-ინტელექტუალური ასპექტებით], მაგრამ „შინა-არსი“ ითხოვს ფონს, სულის ი ნ დ ო ე თ ს, „ნათლის პლანს“, „მისტერიათა საუფლოს“ [ზ. გამსახურდია, ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, 1991], იქნებ ვრინდავანასაც [ტექსტუალურ დონეზე ვრინდავანად საქართველოც გაიცნობიერო იქნებ, ოღონდ — საქართველო (ისევე, როგორც დანარჩენი უნივერსუმი) — კალი-იუგას ბრძლ უამს].

სულის ინდოეთის, „ვეფხისტყაოსნის“ „ინდოეთის“ უამი აშკარად გარდასულა და მხოლოდ დედი ი ს ცნობიერებაში არსებობს (ცნობიერება კი მემკვიდრეობითი ცნება არ არის — ყველა თავადვე ქმნის (იქმნის) საკუთარ ცნობიერებას). ლეომ თ ა ვ ი ს ი თ უნდა მოინატროს (ჯერ) და მოიპოვოს (შემდეგ) თავისი სულის ინდოეთი (ლეოს დედაც — ნატაც მზის წილია — „თვალებში მზე აენთო, მზე აინია“ (28), ამადაც ენყალობება მზიური შეილო).

იქნებ „ვეფხისტყაოსნის“ გმირებივითი ამადაც არის ლეოს ქმედების ლოკალი ასეთი ფართი [„ვეფხისტყაოსნის“ ლოკალი, ეპოქის „გეოგრაფიულ-პოლიტიკური პრიორიტეტებიდნ“ გამომდინარე, ჩანაცვლებულია სხვა სივრცე-ებით — ჰერსონაში რუსეთისა და ამერიკის (თანამედროვეობის „ხატაეთი“, „მულდაზანზარი“, „ზღვათა სამეფო“, „ქაჯეთი“) უნდა მოვლოს, რათა ინდოეთი მოინატროს — მზიურ, „მზის წილ“ გმირთა ბედინერა უცვლელია — ხთონური სამკვიდროდან მზისკენ ინიციაციური სვლა].

თავად მწერლის განმარტებით, აპეკვიატებოდა „სახე ოდესლაც საყვარელი, არცთუ უზადო აქსიოლოგიის წიგნის ტირაჟირების შიშით შეძრული ყმანვილისა, ამ შეძრის უტრირებული სურათებითურთ“ [„ჩვენი მწერლობა, 30. 03. 2007] (როგორც ფოლკერს კედის მოწყვლადობამ შთააგონა „ხმაურისა და მძვინვარების“ ტრაგიკულ-მშვენიერი მხატვრული ქსოვილი).

„არცთუ უზადო აქსიოლოგიის“ წიგნი [პერსონაჟთა თუ საგანთა, ფაქტთა თუ მოვლენათა შეფასებისას წარმოუდგენლად დელიკატურია მაკა გოგუაძე, დელიკატურობა და ტაქტი გემოვნების უპირატესი ნიშანია, ისევე, როგორც თხრობა „სადად, მაქსიმების და ნართაულების გარეშე“] ფრონდის „ფინერნალიზის კურსის შესავალია“ — „რეაბილიტაციის ახლად დაძრულ ტალღაზე გამოსულ წიგნთა შორის — ოქროსფერნარწერანი შავი წიგნი“ (უცნური თანხვდენა მზიური წიგნის — „ვეფხისტყაოსნის“ ერთ უარსებითეს მეტაფორასთან — ნესტანის რიდეც შავია, ოქროსფრით მოვლებული... ვეფხვის ტყავიც...]

სწორედ ამ — „არცთუ უზადო აქსიოლოგიის“ წიგნით ინყება ლეოს „შთაფვლა“ ხთონურ წიაღში — საკუთარ ქვეცნობიერში [„ვისაც მასთან ფრონდი უხსენებია, არც ერთს წაკითხული არ ჰქონდა“ (25) — ესეც ეპოქის ერთი არსებით ნიშანთაგანი — კულტურის ჩანაცვლება ერზაცკულტურით, ტექსტისა — სინოპსისით [მოკლე შინაარსის სიყვარული არ შეიძლება“ (ლ. სტურუა)].

მერე რა, თუ წიგნი „არცთუ უზადო აქსიოლოგიისაა“! წიგნის აქსიოლოგიური არსი მკითხველმა თავად უნდა განსაზღვროს (და არა ცენტრალი — მკითხველის ნაცვლად). „წიგნი ადამიანია“ (25). ამადაც ელოლიავება თექქსმეტი წლის ბიჭი უცხო საკითხავს.

წიგნებს აქვთ უცნაური [აშკარად განპირობებული!] თვისება, სწორედ მაშინ მიეხაბლონ სულს, როდესაც სულს სწორედ ეს წიგნი სტირდება.

„სიზმრების წიგნი“ [ქართულ ზღაპართა სიზმარაც წამოგაგონდება უნებლიერ, ძევლი აღთქმის უპირველესი „მესიზმრეც“ — ისტებ მშვენიერი, ეტლთა და რამლთა წიგნი — ეფრაიმ-ვერდიც — „სიზმრისა უფრო სიზმრის“ — წუთისოფლის არსის განსაზღვრებისას რას არ შეჰელია, შენარცხებია მარად მაძიებელ-მეჭველი სული კაცისა [ძველებართული, ულაბაზესი სახელი სიზმრისა „ძოლისშორისა“ — საბასეული განმარტებით].

ფრონდის ტექსტი, „არცთუ უზადო აქსიოლოგიის“ მიუხედავად, ის წიგნია, ყმანვილის მძინარე სული რომ უნდა გამოაღვიძოს, ან ძილში მზე გამოაწვევინოს, როგორც ფარნავაზს (იხ. ზემოთ).

„მე მძინარე ვარ და ჰლოვიდავს სულსა ჩემსა“ — სულის კაცის ყოფიერების ბიბლიური, უზუსტესი დეფინიცია ყმანვილი ლეოს [სანქოში „მზეჭაბუკად“ დაშიფრული თუ ნაწინასწარმეტყველევი — საკუთარი პაპის მიერვე!] სულიერი მდგომარეობის განმარტებაცაა.

ძველსაც აღთქმაში კონსტატირებული: „სამნი არიან შეუძლებელ გულისხმის-ყოფად და მეოთხეს ვერა ვცნობ: კვალი ირბისა მფრინვალისა ჰაერსა ზედა, და გზა გველისა მცურავისა შემდგომად კლდესა და კვალი ნავისა მცურავისა ზღვასა ზედა და გზა კაცისა სიჭაბუკესა შინა მისა“ [ივავნი 30, 18].

მწერალი სწორედ ამ — „გულისხმის-ყოფად შეუძლებელ“ გზას გაადვენებს თვალს და ერთი ოჯახის საგა გადაიქცევა უგრძესი ეპოქის [მეტაფორულად — კალი-იუგას] მზატერულ ანარეკლად, ტრაგიკულ ტრანსფორმაციად და, ქართული ლიტერატურის უმდიდრესი განძისაცავით ისეც განებირებული, მერამდენედ რჩმუნდები, რომ მხატვრული სიტყვისათვის, ჭეშმარიტად ღირებული, „უზადო აქსიოლოგიის“ ტექსტისათვის არაფერია „გულისხმის-ყოფად შეუძლებელი“...

ფრონდიდან უშორესი გზას გაბრიელ ქიქოძის ხატებამდის, გაბრიელისა, „ავაზაქს რომ სულში ჩაუძვრა და აამრთება, თვითონ [გაბრიელი] ქ ვ ა ბ შ ი დარჩა [ხაზი ჩვენია. აქაც „ვეფხისტყაოსნის“ შუქი გამოსხლტება — 6. ქ.] და წერა დაინწყო.“

ალარ ედო ფოლიანტები, რადგან თ ვ ი თ თ ნ ი ყ თ ნ ი გ ნ ი ს.

მერე ლეოს სიზმრისეული ვიზიონია (მომავალი ბედის-წერის, (უფრო ნებისმიერი არჩევანის) კონსტატირება): „[გაბრიელმა წიგნი] რომ გაასრულა, გამომიჩინა. ვ ე რ ამოვიკითხე [თუნდ ამ ფრაზისთვის დიდი მწერალია მაკა გოგუაძე, დეტალთა ჯადოქარი] (პასტერნაკის პოეზიაში გასხლტება „ნიკ დეთალები“), მერე ადგა, შემოტრიალდა და სულ ახლოს მომიტანა. ამ დროს არ იღლი მეც ა თ ვ ა ლ ე ბ შ ი დ ა დ ა მ ა ბ რ მ ა ვ ა . გ ა მ თ მ ე ლ ვ ი ძ ა“ [302].

ამონარიდში ლამის ყოველი სიტყვა პარადიგმითაა განათებული, ზესთასოფელში დაბრუნების ნადილის განმწმედი ტკივილის დამმარხველი.

თუმც ფრონდიც გ ზ ი ს ნანილია, ინიციაციის ერთი რკა-
ლი (თუ გარსი, თუ საზერეტაგანი), ფრონდით დაბანგული
ლეო გაპრიელის მშვიდმა ხატებამ „უნდა „გამოაღვიძოს.“

ხანძთელის მიერ არსენის დამოწაფების პასაუიც წამო-
გავონდება.

ერზაცდროში წმინდანს დამოწაფებას სიზმრის საფა-
ნელქვეშ თუ წარმოიდგენს ინიციაციის გზაზე შემდგარი
პროზელიტი.

[უცნაური (იქნებ, არც ძალიან?) პარალელი, ლია სტუ-
რუას ნატიფი ნატკრა: „და არა ნერვებანებილ კაფეას, ვარ-
დების შექმე ვკითხულობდე „ვეფხისტყაოსანს“...]

„დამე უცხოეთში უნდა გამეთიაო“, უცნაური დანანე-
ბით დასცდება გალაკტიონსაც]...

უსაზმრია მანძილი სიზმრიდან ცხადამდის, ფრონდი-
დან — გაბრიელ ქიქოძემდის...

არიღლისა (მზის შუქისა) და წიგნის მაღალი ჯუფოთბა
ჯერ კიდევ გელათის აკადემიის კარიბჭეზე ამოეტვიფრა
ქართული სულის არსის მგზნებს.

„პარიბჭის ფასადზე, სულ მაღლა, ძალზე მნიშვნელოვა-
ნი პორელიეფური ნაენდაკარია... გამოსახულება უნდა
წარმოადგენდეს გადაშლილ ნ ი გ ნ ს, რომელშიც ჩახაზუ-
ლია მ ზ ე. წიგნი სიბრძნის წყაროა, სიბრძნე სინათლეა,
მზეა ჭეშმარიტებისა. დიდი ილიაც ხომ ბრძანებდა, ცოდნა
სინათლეა, გონებისა და სულის სინათლე. ეს გააზრება
ძველთაგან მოდის — იოანე პეტრინი თავის „განმარტება-
ში“ ასევე გაიაზრებს მზესა და სიბრძნეს, „განმარტება“ კი
გელათის აკადემიის მთავარი წიგნი იყო. მზიური წაგნიც
გელათის აკადემიის ემბლემა უნდა ყოფილიყო“ [წევაზ სი-
რაძე, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, I].

არც ის უნდა ყოფილიყო შემთხვევითი, რომ სწორედ
გელათში დაასვენეს გაბრიელ ეპისკოპოსის წმინდა ცხედა-
რი და აქვე გამოიეთხოვა ერი თავის უკეთეს შვილს.

არიღლის შეღვრა თვალებში განათების წამია, ალეგორი-
ად ტრანსფორმირებული წამი ინიციაციისა.

ცნების ორგემაგობა („არიღლი — დასასვენებელი სიწმი-
დეთანი“) (სულხან-საბა) და „არიღლი — მზის შუქი, რამეზე
დამდგარი“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი)
ხაზგასმით წარმოაჩენს „უთვალავის ფერითა კაცთათვის
მოცემული“ ყოფიერების ლვთაებრივ მრავალახნაგოვნე-
ბას, რომელშიც ლვთაებრივის შუქი უნდა გარდატყდეს.

ტექსტის ყოველი პერსონაჟი (პერსონაჟთაგან უპირა-
ტესნიც) ლეოსთვის, ლეოს გამო არსებობს (იმავდროუ-
ლად, თითოეული, თვით უმნიშვნელოც კი, აბსოლუტურია,
თვითმკარი, სიტყვის „შინა“, ფარული არსის მგზნები
მწერლის მიერ უზუსტესად, თანამლმობლის ლმობიერე-
ბით ამოხატული).

პერსონაჟთა „გალერეაში იერარქიის ძებნა ნაკლებად
საგულისხმო ამბავია, ამ შემთხვევაში სათაურს უნდა და-
უკვირდეს მკითხველიონ“, წერდა კონსტანტინე გამსახურ-
დია. იქნებ, უცნაურადაც გაისულეროს ამ კონტექსტში ალ-
ნიშნულმა რემინისცენციამ (მით უფრო, სათაურად მწე-
რალს რომანის არც ერთი პერსონაჟის სახელი არ გაუტა-
ნია), მაგრამ სწორედ ლეოა ის პერსონაჟი, რომლის უნატი-
ფესი, რაფინირებული (თუმც ჯერაც „უნდილი“ (საბა —
უმნიფარი) ბუნება გაიცნობიერებს ეპოქის საზარი დეფი-
ნიციის ტრაგიკულ არსს: ერზაცეპოქას, ერზაცეულტურას,
ერზაცურთიერთობებს, ერზაცლირებულებებს /უარესი —

საეჭვო აქსიოლოგიის უზადოდ შერაცხვის ტრაგიკულ რე-
ლატივიზმს — როგორც შექსპირის პამლეტის, ფოლენე-
რის კვერტინ კომპსონის (საგულისხმოა, რომ სწორედ პა-
პის ხატება განსაზღვრავს ამ უდახვეწილესი გმირის სული-
ერ კონსტიტუციის ისევე, როგორც ლეოსას — ანდრო),
ჯონის სტივენ დედალოსის, დოსტოევსკის თავდა მიშეკი-
ნის, ან სულაც გამსახურდიას თარაშ ემხარის ტრაგიკული
სულისძვრაა ეპოქის აქსიოლოგიური ანარეკლი.

რით არა ჰეავს ხელისგულზე დამფურთხებელი ლეო
პამლეტის — ხელისგულზე იორიეის თავის ქალათი? ერზა-
ცი როდი ხუმრობს, ჭეშმარიტება ენამება მასხარაობის სა-
ფანელში გახვეულ ტრაგიკულ პასაუებში [იორიეიც მასხა-
რაა, ღომნდ — „ერზაცის“ ბანქოს მასხარების (ლენინ-
სტალინის) აქსიოლოგიური ანტიპოდი].

განა მარტო კენიელთა უცანური „ტრადიციის“ (იუნგი-
სეული პასაუი) გროტესკული სინქრონია ხელისგულზე და-
ფურთხება?! „ფურთხის“ თავისი საზარი სემანტიკით, რა-
ფინირებულ ქართულ არეალში თავისი უკონტექსტობით
აბსოლუტურად ბუნებრივია ფრაზამი: „ფურთხის ღირსი
ხარ, შენ, საქართველოვ!“ (რით არა ჰეავს უკეთესი ჭირი-
სულის ეს უმდიმესი განაჩენი მაკა გოგუაძის რომანის
უკანასკნელ ფრაზას: „მზეს რა ამოიყვანდა?“)

ერზაცის ბნელში მზეს მონიაზტრებს გირთაგან უკეთესა.

მისი „უკეთესობა“, სულიერება გენეტიკურადა განპირო-
ბებულ — უდახვეწილესი ოვაბის პირმშო (მერე რა, თუ მამა
ვაიშაა. აკი პაპა ბრაპანი, მაშასადამე — დედაც (ბებიაც,
სხვათა შორის, თუმც ნატას ჩანანერებში რუსუდანიც ვაიშად
წარმოჩნდება (უთვალავი სხვა წინაპარიც, რომელთა სილუ-
ეტ-კონტურები უდახვეწილესი სისადაფით მოისაზება).

„თავის სულიერი წყობისათვის აბსოლუტურად მისა-
ლება“ მოაზროვნის, პიორტ სუვრინსკისადამში რუსულად მი-
ნერილი წერილის ფრაგმენტის ავტორისეულ ქართულ
თარგმანს დავიმოწმებთ — ანდროს (და, მაშასადამე, ლეო-
სიც) სულიერების უნატიფესად (თუ უნატიფესი სულიერე-
ბის) წარმომჩენს.

გადასახლებიდან დაბრუნებული ანდროს განცდების
„სილრე, ხარისხი, ნიუანსი“ (110) კონსტატირდება ორიოდ
აბზაცში, ეპოქის ტრაგიზმის უზუსტესად რომ აირეელავს:

„გურიაში დასახლებას ვფიქრობდი, ვიყიდი-მეთქი
მშობლიურ სოფელში პატარა ქოხმას, ვწვდები ზოგიერთ
პასტორალურ სიამეს, ასევე მწყუროდა, შევხებოდი საფ-
ლავებს ბაბუაჩებისა და ბებიასი, ჩემი ჭლექიანი ფარფატა-
სი, ოცდახუთი წლისა რომ ჩავიდა მინაში. მისი ნამლებისა
და კურორტებისათვის (არა ევროპისა, ცხადია) ბაბუაჩემს,
ნეტარ იონას, ბრნენინვალე სიმსუბუქით გაუტანებია ქა-
რისთვის თავისი ისეც უბადრუეული ქონება. მერე კი, პატარა
ვაჟთან ერთად მიტოვებულ წინქვილში დასახლებულა...
მალე მამაჩემი მის ნაცვლად ბაქოში მარილზე სიარულს
დაწყებს, მორიგი კომერციული ტურიდან (ო, ღმერთო!)
დაბრუნებულს, თექვსმეტი წლისას, მშობელი რო კვირის
მკვდარი დაუხვდება... არა, იმ რო კვირის გამოსყიდვა არ
უადგერდა ჩემითვის — თვითონვე გამოისყიდა უბედურმა
— ოცდაშვიდში მისი გვამი არც მომცეს და არც მანახეს“

თხრობის სადა სტილი, მეტაფორათაგან აბსოლუტური
განდარცულობა პასაუის ტრაგიკულობას ამძაფრებს.

[გრიგოლ რობაქიძე (სხვათა შორის, ანდროსათვის ერთი
საკალურ სახე- და სახელთაგანი) პროექტში „ქართული

პროზისათვის “უზუსტესად განმარტავდა ქართული მხატვრული სიტყვის უარსებითეს ნიშატს — „რასსიულ სიწმინდეს“: „მონღოლთა შემოსევამ გასტეხა ქართველთა ხერხემალი, გამნირდა ფსიქოკა, სიტყვა დავადა, დაუძლურდა, სინტაქსი შეიცვალა ძირეულად: რასსიული სიწმინდის მაგიერა — ათასნაირი ნალექი. აქედან — სიტყვასა და თქმაში — მეტხორცი, მეჭეჭი, ხორცი, ხინვი, დამძიმება, დამბლა“ (ქართული პროზისათვის (პროექტი), „ცისკარი“ № 10, 1987).

სტილის დაწურულობა, სადა სინატიფე (ნატიფი სისა-დავე) მაკა გოგუაძის სტილის არსებითი ნიშანია, რადგან თავად სათქმელია იმდენად ტევადი, იმდენად ტრაგიკული, ვერც იგუებს ღლარწნილებას, ვარამზე ვარაყს.

პეტრებურგში დაბადებულ-გაზრდილ, დედით უკრაინელ ანდროს, მამის (კაკი წერეთლის მეგობრის) ნალვლიან მონათხოვდებზე მეტად, რობაქიძის ესე („გურია და სოციალიზმი“) მიახლებს „წინაპრების საგანეთ.“

მუსიკას სუვჩინსკისადმი მინერილ ბარათში [წერილი, სუვჩინსკიზე მეტად, ლეოსთვის ინერება ჭვილმა (ჭვილიშვილმა) უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა(პაპა), — იტყოდა ილია] ანდრო გამოტყდება, რომ სწორედ რობაქიძის ესეს შტუდირების შემდეგ გაიცნობიერა თავი გურულად. თუმც „სმენაშული არ [იყო] მაღალი ქართულის ვიბრაციებისადმი, ყოველგვარი აქცენტის გარეშე საუძრობდა ქართულად, „ნერილობით მარგალიტებში“ ვერაულს დაიკვენდა — ტრაგიკული გაუვეგბრობა ტრალებსო ჩემს თავს“, წუხილი გააჯერებს ფაქტის კონსტატაციას.

ესეს ცენტრალური აზრი, როგორც ყოველი კვირცხენცია, ლაპდარულია, მარტივი: „უბედურება ისა, რომ გურული ყველა ნიჭიერია, ანუ მისთვის უცხო არაა „მანძილის პათოს“, მეტიც, სისხლხორცეულია საუთარი ლირსების გრძნობასთან (რომლის შელავისას რბილი გურული მყის გადაიცევა სასტიკ ფირალად), ლაზათიანი ჩაცმისადმი ნებასა და სხვასთან [სხვა ნებასთან] ერთად...“

გურულის ნიჭი ჯერ კიდევ მეტყვიდრეობის პოტენციით იძლება, მაგრამ, როცა გურული მეტყვიდრეობას მხოლოდ გამოიყენებს ახალი ძალების ამოძრავებით, მაშინ [აქ რობაქიძის ესეში თავად ანდრო ერთვება — ნ. კ.], ერთ მშვენიერ დღეს, ის გაიღვიძებს ფაუსტური მაღით თავის ბოგანო სანოლში...

საყოველთაო ნიჭიერება, როგორც პრობლემა, მთელი საქართველოსთვის ნიშნეულია, მაგრამ არ უნდა ღირდეს მისი დრამატიზება, რადგან, მალლობა უფალს, ყოველთვის მოიქცებიან თითონი, უბედური ამით (იგივ გრიგოლი). ამ ნიადაგზე მათში აღინთებოდა და აღინთება კვლავაც ჭეშმარიტად ფაუსტური მადა, ჩვენებურად გ ა ლ ა ქ ტ ი კ უ რ ი.“

სულის ტოლობის, სულიერი წყობისათვის აბსოლუტური მისაღებობს მიუხედავად, სუვჩინსკისათვის ქართული ენა არის „მტილი დაშული, წყარო დაბეჭდული“ და ანდრო ერთგვარი ნალველით (თუმც თითქოს, ოდნავ მოზეიმე ნოტითაც ხმაში) დასხენს: „სამწუხაროა, რომ ვერ გაეცნობით გალაქტიკური მაღის დაოვების ნიმუშთ — უთარგმნელია ისინი და შემაძრნულებლად სრული“ — წერილის ორიგინალის ენაზე: «*непереводимы и ужасающе прекрасны».*

იქნება, არც გალაკტიონის სათარგმნელად აღძრულ რუს პოეტს გაემტყუნება აღალი სასონარკვეთა:

«И вновь из голубого дыма встает поэзия.
Она непереводима — родному языку верна».

პოეზიით, მუსიკით იქსოვება კულტურული ოჯახის ყო-ფიერების ნატიფი ქსოვილი, გადასახლებაში ნაკონიწევი ფულით შვილისთვის ნაყიდი როიალიც „ბურჟუაზიულ-მეშჩანური გადმონაში“ კი არა, გასაგნებული სულიერებაა, რილკეს ული „საგანთა ხმების“ ნატიფად დამაუნჯებელი (არადა, მუსიკისაგან განძარცულ ერზაცილობი სწორედ „ბურჟუაზიულ-მეშჩანურ გადმოსაშთად“ აღიქმებოდა „თეთრკბილა საღვთო კამეჩინი“ (Bluthner-ისათვის უზუსტესი მეტაფორა ნაპოვნი) და აღარც გივირს (წლების შემდგომ) ნატიას — ვრინდაგანელა გობას, თუ სურაბპის, თუ ბრაჰმიარიას ინდური შტუდიების უნატიფესი პარადიგმები!) [ავტორისავე განმარტებით, სწორედ ინდური შტუდიები, „გიტას“ ზერთული რემინისცენციები ჰქიცევია ყველაზე საპასუხისმგებლო ეპიზოდებად (პასუხისმგებლობა ადვილი ასახსნელია — უცხო ქსოვილი ქართულს უნდა ჩასწორდა, არსი გაემკვეთრებინა და ისე ბუნებრივად, რომ რომანის უფაქიზესი ქარგა არ დაერღვია)].

რუსულად თხზული წერილი სუვჩინსკისადმი „მზერის ჩაშინაგანების“ უზუსტესი ანარეკლია.

წერილის რუსულად თხზუაც „მალალი ქართულის ვიბ-რაციებისადმი“ უზენაესი პატივისცემის (მეტიც, აბსოლუტური მოკრძალებისა და მონიწების) ნარმომჩენია და არა პირიქით.

ეს არა იმპერიის ნაცინებარი «*тело грузинское, душа русская»*—ს განხორციელება, „ვეფხისტყაოსნისეული“ „მზადდა, მაგრამ ვერ შევმართე“—ს ნატიფი ხიბლია.

ემზარ კვიტაშვილის უზუსტესი რემარკა რომანის ამ ერთ უარსებითეს ეპიზოდს (აბსოლუტურად თვითმკარსაც და ტექსტის კონტრაპუნქტშიც ძვირფას თვლად მოკაფეს) — ანდროს წერილს სუვჩინსკისადმი — მხოლოდ პოეტისათვის ნიშნეული სიფაქიზით განმარტავს: „ანდრომ, ყოფილმა ქირურგმა, ადამიანის ჭკონბად, ხორციელ გარსზე არანაკლებად მისი სულის იდუმალი ხევულების სამყოფელიც იცის... სიტყვათა ვირტუოზული თამაში მძღავრი გონების მქონე არსებაში მიმაღლულ პოეტს ამჟღავნებს. მართალია, „მუსიკალურ-ფილოსოფიურ-პოეტურ მატერიათა დიდი არბიტრი“, პეტრე სუვჩინსკი, არასოდეს უნახავს, არ იცის, იმჟამად (1978 წელს) [თავად ანდროს გარდაცვალებამდე ორიოდე თვით ადრე — ნ. კ.] ცოცხალია თუ მყვადარი, არც მისამართი აქვს მისი, არც იმაშია დარწმუნებული, წერილი მიუვა თუ არა ადრესატს, ისეთ სულიერ ნათესაობას გრძნობს მასთან, ეს სულაც არ ანაღვლებს.

უცნაური გზავნილი, ოკეანეში გადაგდებული (წერილი-ანი, დაბუფული ბოთლისა არ იყოს) ანდროს სიკედილისწინა ამოძაბლივი, ში თ ა მ თ ა ვ ა ლ თ ა ნასაკითხად გამიზული “[ემზარ კვიტაშვილი, ყველა სიკეთის ლირსი (მაკა გოგუაძის რომანი), ჩვენი მწერლობა № 10, 2008].

შთამომავალი, რა თქმა უნდა, ლეონა, „მზის ნილი ლომი“, მზეჭაბული, ინიციაციის გზაზე რომ მრავალგზის ტრანსფორმირებულ ურჩხულთან მოუწევს უთანასწორო, სასონარმევეთი თრთაბრძოლა.

სუვჩინსკის კი სწერს, მაგრამ წერილის ნამდვილი ადრესატის ვინაობა მაინც დასცდება ანდროს: «Если я буду гнаться за всякой мелиозой эмоциональной, алично, как озабоченный юнец, то погибнет мое предприятие в честь внuka».

რა ღია კოსმოსს განდობილი „ჩაქრულო“ და რა — სუვჩინსკისათვის გაგზავნილი წერილი ანდროსი...

პრიტიკა

„ჩაკრულოს“ რემისცენცია, შემთხვევითი, ალბათ, სულაც არ არის, არც მუსიკის, ზოგადად, არც ქართული სიმღერისა, კონკრეტულად.

არც წერილის ადრესატად სუვჩინსკის შერჩევაა შემთხვევითი — ემზარ კვიტაშვილი თავის უალრესად საინტერესო წერილში ახდენს მნიშვნელოვანი ფაქტის კონსტატირებას, რომ სუვჩინსკი „იგორ სტრავინსკის, სერგეი პორკოფიევის, ბორის პასტერნაკისა და სხვათა ახლო მეგობარი და რუსეთის ემიგრანტულ წრეებში ფეხმოკიდებული მიმდინარეობის — ევრაზიელობის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი იყო“.

ემზარ კვიტაშვილისავე წერილში აღნიშნულია ის ფაქტიც, რომ მაკა გოგუაძე საფუძვლიანად გასაცნობია ვადიმ კოზოვოსის მშვიათ ნიგნე, სუვჩინსკის წერილებს ბლოგა და „ვერცხლის საუკუნის“ პოეზიის ბირთვზე, ოციანი ნლების უილბლორ რუსულ ინტელიგენციაზე, რუსული კულტურის ხანძმოლე, ძირშივე ჩაბმულ, ჩაკლულ აღმავლობაზე („ორი რენესანსი“).

საინტერესოა მუსიკის ფენომენის ალირება ხელოვნების დარგთა შორის ალმატებულად [ანდრო გულისტყვიოლით მისწერს სუვჩინსკის დიდებულ ქართველ მხატვარზე, მაქსზე (მაქსი მაქსიმე ალმასარებლის სულიერი კოდის მატარებელია ტექსტი, „უფლის ნაძონის სეხნა“ (ციტატაა მაქსიმესავე იავნანადა)), „ოთალი არ ისახავს“ და ბლოგის აზრი არ ისახავს, რომელმაც მოასმენინა თბლისდან ჩატანილი ქართული ხალხური მრავალხმიანი სიმღერები (საგანგბოდ ახსენებს კრიმანჭულს), რამაც არნოლდ შიონბერგის დაუმთავრებელ ორატორიასთან ერთად („იაკობის კიბე“) მასზე გამაონგებელი შთაბეჭდილება მოახდინა... თავიდან სტრავინსკი დიდი ხალისით არ შეგებებია გრინბერგის წინადადებას, რაღა არ მომისმენია ჩემი სიცოცხლის მანძილზე, ამ ხნისა, რამ უნდა გამაკვირვოს. მეგობარს უთქვამს, ეს ცოტათი სხვანაირი რაღაცა, მოსმენა უეჭველად ლირსო, და ჩანაწერი ჩაურთავს.

ალბათ, ძნელი იქნებოდა ამდენის მომსწრე და შემქმნელი ჯადოქარი მუსიკოსის სახისა და თვალების გამომეტყველება აგენტერა. განცვიფრებული მაქსტრო ბოლთის ცემას მოჰყვა, ველარ ისვენებდა, მერე თურმე გაამეორებინა ჩანაწერი და უთქვამს, ეს ხმა მეტს აკეთებს, ვიდრე მთელი თანამედროვე მუსიკაო, მერე დაუმატებია, ეს ჩანაწერი ადრე რომ მომესმინა, ჩემს ბევრ რამეს სხვანაირ ელფერს მივცემდით. წარმოვიდგინოთ, რა დაემართებოდა „ლვითური გაზაფხულის“ ავტორს, აკეთელი ალმასხან ხუხუნაიშვილის 1913 წელს ჩანერილი ფანტასტიური კრიმანჭული რომ მოესმინა — არამეცვინურად გაგრძელებული კირკიცი თუ ტკარცალი, ნამდვილი „დუენდე“, ექსტაზის უმაღლესი გამოვლინება, რასაც თავის დროზე ზაქარია ფალია აძვილი შეუძრავს“ [ემზარ კვიტაშვილი].

უვრცესი ამონარიდის კონსტატირება, სუვჩინსკის „ევრაზიელობის“ ხაზგასმა ტექსტის კომენტარში თუ ემზარ კვიტაშვილის ესეში ანდროს წერილის ერთი პასაჟის გასამკვეთრებლადა უპრიანი. აქ ანდროს სახით უკვე „რას-სიულად“ ბოლომდის ქართველი მეტყველებს და წერილის მნერლისეულ ქართულ თარგმანს დავესესხებით:

„ევრაზიელი ორდენისა თუ მოძრაობის შესახებ გავონილი მქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემს ცნობიერებაში ის სხვა გვარებით იყო დამაგრებული სანდრო თითქოს უბოლობებს პიოტრ სუვჩინსკის — 6. კ.] მსმენოდა პარიზული „ვერსტის“ შესახებაც, მაგრამ თქვენი რედაქტორობა არ ვიცოდი, ვმეგობრობდი კიდევ ადამიანებთან, ვინც სასოებდა ევრაზიელ სტილში, მაგრამ უკანასკნელი ნამდვილად არ მეტყვილებოდა. ეს საყვედლური როდია — ყველა ისე გადაირჩენს თავს, როგორც შეუძლია. უბრალოდ, მე პირადად ვერაფრით გადავრჩებოდი სლავურ-სკვითურ მესიანიზმზე დაყრდნობით, თუ თურანულზე, მგონი, ასე უნიდებდნენ...“

[„ევროპა? აზია? საქართველო მესამე იქნება...“] — იტყოდა გრიგოლ რობაქიძე].

აქ კვლავ სტრავინსკის სილუეტი გაკრთება (როგორც თანადროულობის ერთი გენიოსისას), კომენტარით გამკვეთრებული: „გენიოსი ყველაფრის დამზადებელია, მით უმეტეს, ევრაზიელობა გემრიელი ლუქმა იქნებოდა ახალგაზრდა შემოქმედისათვის, რადგან, უპირველესად, როგორც კი ადამიანი თავს გამორჩეულად გააცნობიერებს, ის ეძლევა იონებას რენესანსსა და მესიანელობაზე. ეს ნორმაა და, რაც უფრო შესაგად იავადმყოფებს ამით, მით უკეთესი გემოვნებისათვის, მაგრამ უნდა აზიაზი ჩვენია — 6. კ.] იავადმყოფოს“.

ბლოგიც, სტრავინსკიც, სუვჩინსკიც, პეტერბურგიც, ხარკვიც... ყოველი ადამიანი, თუ ქალაქი თუ ალავი მხოლოდ იმისთვის ჩინდება ანდროს სულიერ გზზე, პეტერბურგში დაბადებულმა თავის სამშობლოს მოაგნოს ბოლოს (როგორც არჩიბალდ მექეში მოილტვის უცხო მამულისაკენ, ოლონდ ანდროს გზა სამშობლომდის არჩიბალდისაზე ბევრად მოკლეა — აქ ფესვები არათუ არა დაწყვეტილ-დაჭრილი, ანდრო ფლობს მთავარ გასაღებს მამულის სულისა — ენას [ენა რომანში ცალკე პარადიგმაზე, პარადიგმაზე მეტიც — თითქოს სულიერი, ყოფიერების სახლი, ამადაც ფიქრობს ენაზე ამდენს ანდროს შთამომავალი — მზიური ჭაბუკი — ლეო].

სუვჩინსკის ესეებს ოდესაც ახალგაზრდა ანდროსათვის უზუსტესად განუმარტავთ ბლოგის პოეზიის (და პიროვნული) არსი (წერილი «**Типы творчества. Памяти Блоков**» (1921)).

ამადაც თუ იორევს წერილის წარმოსახულ ადრესატად სწორედ სუვჩინსკის (პირველი ვარიანტი წერილისა მისითვის 20-იან წლებში გაუგზავნილია და ახლა მოკრძალებით ეხმიანება, პირველი პირი ან ასლი წარმოუგზავნოს, გადასახლებისას და კარგული ჩანაწერების ალსადგენად).

ბლოგს ხატებამ ანდრო დედასთან უნდა დაბარუნოს.

დედა — უკანანელი ნასტასია ლისენკო, მამის (ბეკეტოვის სამივე ასულის ტრიუვილის) გრძნობებს უცნაურად გარდატეხს საკუთარ სულში, თავს ლამის პოეტის სულიერ პიპოსტასად წარმოიდგენს (იგი და ბლოგი (ბეკეტოვის ერთ-ერთი ასულის ძე) ერთსა და იმავე წელს, ერთსა და იმავე დღეს, ერთსა და იმავე საათს დაიბადნენ).

სწორედ დედამ ჩანაგონა ანდროს, რომ „მხოლოდ პირია ადამიანი.“

ჯერ ბლოკად ყოფნას(!) ესნრაფოდა ყმანვილი ანდრო, მე-
რე — ბოეტის დეპიუდისტალიზაციას (განკვარცხლბეჭებას!).

ბლოკი ბედის სწერად ექცა, მერე — ტანჯვად (მამაც საყ-
ვარლის ყოლის უფრო მიუტევებდათ დედას, სუვჩინსკის
სწერდა ანდრო).

სუვჩინსკიმ სული მოათქმევინა მაშინ — სწორედ მის
ნერილში ამოიკითხა: «Блок накалялся до чувственного
яновидения, оставаясь всегда в тумане чувственного
чепенения. Чувственность — огонь, но такой огонь,
который не станет светом».

სუვჩინსკის ციტატა მართლაც სულის მოთქმას ჰყავდა,
მაგრამ ანდრომ, თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, ბლოკის მოყ-
ვარულთა წრე შეკრიბა, რათა შური ექა, გენიოსისავ სიტყვე-
ბით „დაკვალიანებულს“: «Не делайте из наших исканий

моды, из нашей души - балаганных кукол, которых таскают
на потеху публике по улицам, по литературным вечерам».

„პროფანი“ (როგორც საუკუთარ თავს იხსენიებს ანდრო)
კერძმა იმით დასაჯა, რომ სწორედ ბლოკის შემოქმედების
პოპულარიზაციისათვის გადაასახლეს 37-ში...

ანდროს წერილი მიდის ადრესატებდე (რასაკვირველია,
სწორედ ლეომდე და არა სუვჩინსკიმდე. ლეომ, რომელმაც
იცის, „სად და რაზედ გაჩერდა“ პაპა, თავად უნდა გადაწყ-
ვიტოს, რამდენად მისაღებია თავად მისოვის პაპისათვის
აბსოლუტურად მიუღებელი არსი „ევრაზიელობისა“ (მერე,
მოგვანებით, უკვე ამერიკაში იფიქროს, ხომ არ მოერვება
რამენაირად პურიტანული საზოგადოების ყოფიერების
მოდელი მის განამებულ სამშობლოს).

დასასრული შემდეგ ნომერში

უცხოთის გზებზე

ხვთისო მამისიმედიშვილი

დეართიან შერიგება

სოსო ნადირაძე სამწერლო ასპარეზზე XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს გამოვიდა, როდესაც თბილისის ქუჩე-
ბი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსულ აბო-
ბოქრებულ ხალხთა მასებს ვეღარ იტევდა. მთელი ქვეყანა
კომუნისტური უღლისაგან გათავისუფლების სურვილს შე-
ეცყრო, თუმცა მაშინ ნაკლებად ფიქრობდნენ, თუ როგორ
აეშენებინათ ახალი ქვეყანა, ან როგორ ეცხოვრათ თავისუ-
ფალ საქართველოში.

„ალტემულ ქვეყანაში“ ცხოვრებაზე ფიქრში დაიბადნენ
სოსო ნადირაძის თხზულებებათა პერსონაჟები. სოსო ნადირა-
ძემ თანამედროვე ქროული მწერლობა ორიგინალური თე-
მებითა და მოტივებით გაამდიდრა. მისი მრავალი ნაწარმო-
ები ქვეყნის ქმნადობა-განახლებას ეძღვნება. მწერლის
თხზულებებში თითქოს ხელახლა იბადება სამყარო, „ახალი
ცა და ახალი მინა“, რიმლის ბატონ-პატრიონიც ხდება ახალი
ადამიანი, ცოდვებისაგან დახსნილი, ისეთივე შეინდა და უმ-
ნიკვლო, როგორც სამოთხის ბირველი ბინადარი.

სევარიონ ნადირაძე მრავალი ლირიკული ლექსის, რამ-
დენიმე პოემისა და რომანის ავტორია. მწერლის შემოქმე-
დების დიდი ნაწილი, მისი ლექსები: „ძე შეცდომილი“, „მზეს
ელოდები, როცა ღამეა“, „ამინოთ შუქი“, „პოეტი და გრიგა-
ლი“, აგრეთვე პოემები: „ვარსკვლავი და მოგვები“, „ხმა
სამყაროდან“ და სხვ. გამოირჩევა მითოლოგიური, რელი-
გიური და ზეოპრივ-მორალისტური მოტივების სიჭარ-
ბით. მისი პოემები ძირითადად ბიბლიურ სიუჟეტებზეა
აგებული. თუმცა პოეტი ბიბლიურ თემებს ქვეყნის ახალ
პრობლემებს უკავშირებს. თბილისის ძმათამკვლელი ომი
კაენის მიერ აბელის მუხანათურ მკვლელობას ახსენებს.

XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს აფხაზეთში განვი-
თარებულ ტრაგიკულ მოვლენებს ეხმიანება მწერლის რომა-

ნი „ხაკისფერი ჩადრი“, რომელიც შთაგონებულია კავკასია-
ში მცხოვრები ხალხების ძმობისა და მეგობრობის სურვი-
ლით, ჰუმანიზმით, ქვეყნის ბედნიერი მომავლის რნენით.

სულ ახლახან ინგლისურ ენაზე ამეტებულდედა და გამომცემ-
ლობა „ლეთას“ მიერ გამოიცა სევარიონ ნადირაძის მინა-რო-
მანი „ფერილდაფევილ „სიარული“ გიორგი რუხაძემ თარგმნა.
ინგლისური ვერსიით კი ამერიკის შეერთებული შტატების
კულტურისა და მასმელის ატაშე, შესანიშნავი ქალბატონი
როვენა ქროსს ნაჯაფი დაინტერესდა და ავტორისთვის უთქ-
ვამს: მე ძალიან მომწენონა თქვენი ხელნაწერი და სურვილი
მაქვს აშშ-ში დაიბეჭდოს, თუმცა ამერიკელმა მწერალმა უნ-
და გააკეთოს ხელახლი რედაქტორებაო...და ქალბატონ როვე-
ნას თვითონვე მიუმართავს იმ დროისთვის საქართველოში
მივლინებით მყოფი უურნალისტისა და მწერლისთვის მერი ნი-
ილ მეიდორისთვის დასახმარებლად-ქალბატონი მერი დიდსუ-
ლოვნად შეუდაგა წიგნის რედაქტორებას. ასე შეიქმნა რომანის
ამერიკული თარგმანი. ინგლისურ გამოცემას სწორედ როვენა
ქროსს ნაჯაფს, მერი ნიილ მეიდორისა და ამერიკელი და ქართ-
ველი ხალხის მეგობრობას უძღვნის ავტორი და იმედოვნებს,
რომ წიგნის საქართველოში გამოცემას შემდეგი ნაბიჯიც მიპ-
ყვება და აუცილებლად გამოიცემა ამერიკაშიც.

„ფერილდაფევილ „სიარულის“ პერსონაჟები წუთისოფ-
ლისგან ძლეული ადამიანები არიან. მათ უმეტესობას კომუ-
ნისტური მმართველობის დროს ჩადენილი ცოდვები თით-
ქოს საგზლად გადმომჰყავა დამოუკიდებელ საქართველოში.
სწორედ მაშინ, იმ საბედისისწერი მომენტში, როდესაც საქარ-
თველო რუსეთის ორასწლიანი ბატონიობის ულელს იმორებ-
და, ღვთის რწმენის გარჩენილ ხალხში ერთაშემად
გაიღვია ნარსულში შექნილმა ყველა ნაკლმა, ყველა უარ-
ყოფითა თვისებამ; შური, დალატი, სიძულვილი, დაუნდო-
ლობა, შეუწყნარებლობა და სისასტიკე განსაზღვრავდა მა-
შინ ადამიანთა ქმედებებს. ხალხს თითქოს დაგრინებოდა
ყველაზე მთავარი, რომ ნანატრი თავისუფლება, სულიერი
სიძულვიდე და მატერიალურ კეთილდღეობა თავაუღებელი
შრომითა და ღვთის რწმენით უნდა მოეპოვებინათ.

რომანში მწერალი გვიხატავს რწმენაგაძარცულ და სუ-
ლიერად გატეხილ ადამიანებს. მტერმაც ადვილად იზეიმა:
ქვეყანა დაქუცმაცდა, ძმა ძმას გადაეკიდა, ოჯახი —
ოჯახს, სოფელი — სოფელს. რუსეთის სამხედრო ჩარევის

შედეგად 1993 წელს საქართველოს ფაქტობრივად ჩამომორდა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი.

თბილების მიხედვით, ქვეყნის გადარჩენა შესძლებელია სამოცდათოლიანი ურნმცნობისაგან თავის დახსნით, ღმერთით შერიგებითა და უფლის გზაზე სიარულით. რომანის ძირითადი მოტივი სათაურშივე გახმიანდება. „ფქვილდაფქვილ სიარული“ ღმერთით ზიარებასა და უფლის გზაზე შედგომას გულისხმობს. ფქვილი, მწერლის მხატვრული წარმოსახვით, არის სული პურისა, ხოლო პური — ხორცი ქრისტესი, სიმბოლო ზიარებისა, გამაერთიანებელი სამყაროსი.


„ფქვილდაფქვილ სიარული“ მოგვითხოვთ სიარულის ურთისონის ურთისონის დაცუმულ მკვიდრთ განასახიერებენ.

რომანში ამქვენიური სიკეთის, სიყვარულის, სათონებისა და რწმენის სიმბოლო ერთობის თონე. მასში ზიარების პური ცხვებოდა. ერთობის თონე, რომელიც მთელი ქვეყნის სიმინდეს ინახავდა, თბილების გმირისა მოულონდელად თავის მშობლიურ საფეხური აღმოაჩინა: „უსაზღვრო იყო ჩემი სიხარული, — წერს სოსო ნადირაძე, — ხელით შევხე თონეს, დავიჩიქე და ვეაბორე, როგორც სასწაულმოქმედ ნიშს, ეკვების ქვაუთხედს, კიბეს ჭეშმარიტებს კენ მიმავალს.“

ბალურისა და ჯიბოს პატებს, ბიკენტი ზეიადაძესა და იმედა მხედრიშვილს, ეს თონე თავიანთ კარმიდამოთა მიჯნაზე ჩაუდუღაბებიათ. ეს იყო მათი მტკიცე მეგობრობისა და ერთობის ნიში. გარდაცვალების წინ ღრმად მოხუცებმა ერთნაირი ანდერი დაიბარეს, არასოდეს გაემიჯნათ კარმიდამოები, არასოდეს აღემართათ საზღვარი, თონეს კი, როგორც საკრალურ ნივთს, როგორც ოჯახის, სოფლის, ქვეყნის შუაგულსა და ერთიანობის სიმბოლოს, თვალისჩინივით გაფრთხილებოდნენ.

სოსო ნადირაძე მძაფრი სიუჟეტებით წარმოგვიდგენს XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გახვეულ საქართველოს. საქართველოს პირველი პრეზიდენტის მომხრეებსა და მონინააღმდეგებს შორის გამართული სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა რომანში სიმბოლურად ბალურ ზეიადაძისა და ჯიბო მხედრიშვილის დაპირისპირების ფონზე ვითარდება. ერთი დედის ძუძუთი გაზრდილი ბიჭება, რომლებმაც ნინაპერების ანდერი დაივრწყეს, ერთმანეთის მოსისხლე მტკრებად იქცნენ: „საქართველოსთვის ყველაზე ტრაგიკული დღეები კი მას შემდეგ დაწყო, — წერს ავტორი, — რაც ბალურმა და ჯიბო ერთობის თონე ცეცხლგამძლე აურით ამოაშენეს. ამ დღიდან გემო დაეკარგა პურს. თონე, რომელიც მზესავით გავარვარდებოდა ხოლმე, ნახევარმთვარეს დაემსავსა, ცივსა და კუშტს. დაიკარგა აფხაზეთი და სამაჩაბლო, ატირდნენ დედები. ხალხი ირ დაპირისპირებულ ბანაკად დაიყო, მათ შორის სამკედრო-სასიცოცხლო მარათონი გაიმართა, მარათონი სამეფო გვირგვინის მოსაპოვებლად. ამ მარათონში აღმოჩნდნენ ჩათრეულები ბალური და ჯიბოც.“

თბილებაში განვითარებულ ტრაგიკულ დრამას ზოგჯერ გროტესკული იერი დაჰკრაგს. ადამიანური ყოფის



მრავალ ნაკლოვან მხარეს მწერალი გაზვიადებულად წარმოგვიდგენს. განსაკუთრებით გროტესკულია ადოლფ მაშულიას სახე. პერსონაჟთა უჩვეულო, საშიშ ქმედებებს სასაცილო სიტუაციები ენაცვლება და „ფქვილდაფქვილ სიარული“ ხალისით იკითხება.

რომანში ერთმანეთის მიყოლებით იშლება წუთისოფლის დაცემულ მკვიდრთა ცოდვის ამსახველი სურათები. ღვთის წყალობა დაიკარგა. საშინელების ლანდი გადაეფარა სოფელს. დაიკეტა სამშობიაროები, ხეებს ჭიალუა შეესია, შეწყდა ნაყოფიერება ქვეყანაში. ხალხი იტანჯებოდა, მაგრამ დუმდა უფალი, რადგან მაღლი აკლდა სოფელს.

ავისმენები დაუსჯელი არ უნდა გადარჩეს, მაგრამ, რომანის მიხედვით, ცოდვილ წუთისოფელში ცხოვრობს ერთი წმინდა ადამიანი, მღვდელი ზაქარია მრევლიშვილი. სწორედ მასზე ამყარებს მწერალი ქვეყნის ხსნისა და გადარჩენის იმედს. მამა ზაქარიას რომანში განსაკუთრებული მისია აკისრია. ის, როგორც ბიბლიური მოსახ, მიუძღვის ხალხს გადარჩენისკენ აღთქმულ ქვეყანაში შესასულელად. ტოტალიტარიზმისა და ბორიტების წინააღმდეგ მერძოლი მღვდელი დიდი შერმომათა და მცდელობით აღძრავს თავის ურნმუნო თანასოფლელებში სინაწყლის განცდას. უკეთური ქცევებით გვემული ადამიანები დადი ფიქრის შემდეგ ერთმანეთის მიყოლებით მიღიან სოფლის ეკლესიაში და მუზრვალე ცრემლებით ინანიებენ ჩადენილ ცოდვებს. ალსარების სცენა რომანის უძლიერესი ეპიზოდია. უფლის წყალობამაც არ დაყოვნა. სოფელში, რომელიც მთელ სამყაროს განასახიერებს, განახლების სიომდებერა.

„ფქვილდაფქვილ სიარულის“ ფინალში ამაღლელები სურათი იშლება. ცოდვებისგან განწმენდილი სამყარო პირველების უბრუნდება. სამყაროში დგება კაცობრიული ცხოვრების საუკეთესო დრო-უამი, რომელსაც რომანი, ძველი ეპოსების მსგავსად, გაზაფხულის ნიშნებით წარმოგვიდგენს. ცივი და ჩალამებული ქვეყანა გაზაფხულის ყვავილებით იფარება. ზიარების პურსა და ღვითონ ინანილებენ სხვადასხვა კონტინენტის მცხოვრებლები: „აღარ არსებობდა საზღვრება მოსახლეებს შორის, — წერია რომანში, — ყველაგან თონეებს ადულაბებდნენ, ქვეყნების საზღვრებთან კი აუქმებდნენ გამშვებ პუნქტებს და მათ ნაცვლად უზარმაზარ თონეებს აშენებდნენ, როგორც ანტიგოლოს ბაბილონისას.“

რომანი ესქატოლოგიურია. ყვავილებით მოჩითული მთის მწვერვალები, ბაზალების ტბიდან „ბორკოლასნილი“ ოქროს აკვანი და ციდან წამოსული მანანა კაცობრიობის საუკეთესი დრო-უამის დადგომის მაცნეა. სამყარო დაცემამდელ ხანას, სამოთხისებურ წესრიგს უბრუნდება.

„ფქვილდაფქვილ სიარული“ ადამიანის ძლიერი სიყვარულით და გადარჩენის ღრმა წმენით არის დაწერილი. სასიამოებია ისიც, რომ რომანი ინგლისურ ენაზე ქეყნდება, რაც საშუალებას მისცემს უცხოელ მკითხველს ჩასწავლის ქართულ ხასიათს, გაიცნოს თანამედროვე ქართველი მწერალი და საქართველო.

იტალიელი მწერლის ჯოვანი პაპინის (1881—1955) შემოქმედება უჩვეულო კონტრასტებითა და შინაგანი წინააღმდეგობის ნიშნითა აღბეჭდილი: მუსოლინის აპოლოგეტი და ქრისტეს ცხოვრებისადმი მიძღვნილი ათასგვერდიანი მონოგრაფიის ავტორი; ფაშისტური იდეოლოგიის პროპაგანდისატი და ღრმად მონანი ქრისტიანი... ქვემოთ გამოქვეყნებული სამი წინაგელა აღებულია მისი ახალგაზრდობის დროინდელი კრებულიდან „ტრაგიული ყოველდღიურობა“ (გამოქვეყნდა 1906 წელს).

ჯოვანი პაპინი

სამი წოვალა

ელეგია იმის შესახებ, რაც არ ყოფილა

როცა ღამის მდუმარებას ურიამული ცვლის, ციხეების მსგავს პირქუშ სასახლეთა ჩრდილში მივაბიჯებ ჩემი კოშკისენ, სადაც ვცხოვრობ და საიდანაც სამ მეზობელ კოშეს გაუცექრი. მივდივარ წელა, აუჩქარებლად და წამდაუწუმ ვჩერდები იქ, სადაც სინათლის თეთრი კონა ჩემთვის უცხო სამყაროს მაგონებს. და მაშინ იმ ურიცხვ კარზე ვფიქრობ, რომლებიც მე არ შემიღია; იმ ურიცხვ ხელზე, რომლებსაც არ შევხებივარ; ურიცხვ ნაწნავზე, რომლებიც მე არ დამიშლია; მოჩვენებებზე, რომლებიც ვერ გამომიცვნია; სიზმრებზე, რომლებიც უნდა მენახა; ყველა საიდუმლოზე, რომელიც ვერ ამიხსნია; ყველა მტერზე, რომელიც უნდა მძულებობდა, და მაშინ ვამობ ჩემს თვითემაყოფილ სიბრძავეს, ჩემი ქვეცნობიერების მხდალ წიაღს, ჩემი სურვილების უდლეურობას, ხანძარივით რომ ანათებენ მთერ სამყაროს და შემდეგ, სულის ერთი შებერვით, უცებ ქრებიან.

და როცა ამეკვიატება იმაზე ფიქრი, რისი წამოწყებაც ვერ შევძლი; განუმეორებელი წამების მოგონება, როცა შეიძლებოდა რაღაც მომხდარიყო, მაგრამ არ მოხდა; გზაზე კილვატერის სწრაფი კვალივით რომ გაიკლავნა ჩემს წინაშე და კვლავ ტალღებში გაუჩინარდა, შემდეგ კი თვალიც აღარ მომიკრავს მისთვის; ყველა იმ ბედზე, რომლებსაც ჩემი ბედი ლამის კიდეც გაეხახუნა; რომლებიც თითქოს ჩემთვის იყვნენ გამზადებულნი და ბევრი რამის შეცვლაც შეეძლოთ, მაგრამ ან უკვე ველარასოდეს ველარ შეცვდები... როცა ყოველივე ეს მემხოძა თავზე, გული გამალებით მიცემს და მაღალი სახლის ჩრდილში ვჩერდები, სადაც ყველაფერი სავსეა წინათვრისნობით და იმის მოლოდინით, რაც ჩემს მწუხარებას ეხმანება: ჩემი ბგერებით, ცხენის ფლოქვების გაშმაგებული თქარა-თქურით და გულის სიღრმიდან ამომს კდარი სულის შემძრელი სიმღრით.

მე მგონია, ყოველივე ესეც მოკვდება, სამუდამოდ დაინთემება მარადისობის წიაღში. ეს წამები, ეს ჟესტები, ყველა ეს მოძრაობა აღარასოდეს აღარ გამეორდება; ეს დღეები, საათები და წუთები აღარასოდეს შემოიქცევა უკან.

რამდენი რამა ქვეყნად ისეთი, არასოდეს რომ არ მინახავს და ვერც ვერასდროს განახავ; რამდენი ბგერაა, არასოდეს რომ არ მსმენია და ვერც ვერასოდეს მოვისმენ. რამდენი ვნებაა, არასდროს რომ არ განმიცდია და ვერც ვერასდროს განვიცდი; რამდენი საიდუმლოა, ჩემს მიერ ამოუხსნელი, ვერასოდეს რომ ვერ ამოვხსნი.

რამდენი ფუჭად ჩავლილი სიცოცხლით ცოცხლობს მხოლოდ ერთი ადამიანი?! რამდენი ფორმა, რამდენი ფერი, რამდენი პერსპექტივა მხოლოდ ერთ სამყაროში?! რამდენი შესაძლებლობა, არასოდეს რომ არ იქცევა სინამდვილედ; რამდენი სიქველე, არასოდეს რომ არ შეისამს ხორცს ამ ცხოვრებაში; რამდენი შანსი დარჩება მხოლოდ შანსად.

იქნებ სამყარო მხოლოდ იმის წარმოდგენაა, რაც შეიძლება მოხდეს? ხოლო ჩემი ცხოვრება განა მხოლოდ ლანდი არა იმისა, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო? და ამ მაღალ, პირქუშსა და მდუმარ სასახლეთა ჩრდილში, საპატიმროებს რომ ჰეგვანან, ჩემი ცხელი ხელები ელამუნებიან ცივსა და ხორკლიან ქვებს. ვგრძნობ, როგორ ფეთქავს ძარღვებში სისხლი, როგორ ხურს და წითლდება ჩემი სახე, მაგრამ სირცევილის ამაზრზენი გრძნობა კი არა, აუტანელი სიცხეა ამის მიზეზი, შეუძლებლისადმი სიყვარული რომ იწვევს.

მაგრამ როცა ჩემს კოშეში ავდივარ და ვხედავ სამ ერთნაირ კოშეს, კუპრივით შავად აზიდულს ცის მუქ-ლურჯ ფონზე, როცა ჩემი სანოლის ჩრდილში ვხედავ ორ უძრავად მბზინავ თვალს, უნებურად მელიმება, მაგრამ თუ სარკეში დავლანდავ ჩემს ლიმილს, ენით აუწერელი შიში ამიტანს ხოლმე.

პატივრის ნინასნარმატყველება

სხეულის ბერები დილეგიდან თავისუფლებას ვეზიარეთ, ჩემმ ძმაო და მეგობარო; მაგრამ როგორც კი გავთავისუფლდით, ჩვენ გვსურს კვლავ ავაგოთ ახალი, გაცილებით უფრო საშინელი საპატიმრო — სულის საპატიმრო. ბავშვობიდანვე ვიღვნით, ჩვენი სულსწრაფი ხელებით კვლავ ამოგვყავს ციხის კედლები; ყოველდღე ერთმანეთზე ვახვავებთ ლოდებს; ყოველი დაღვრილი ცრემლა დუღაბად იქცევა. ყოველი ტანჯვა უფრო ამძაფრებს ჩვენს სიმარტოვეს, ყოველი აღმოჩენა მხოლოდ გვაძორებს ერთმანეთს! ჩვენი ოცნებები ჩვენსავე თავში გვამნებულევენ, როგორც მიუდგომელ ციხე-სიმაგრეში.

ინყება სიჭაბუე და ჩვენი ციხე-სიმაგრის მშენებლობაც მთავრდება. მხოლოდ დედის ან სატრუქოს მზერა თუ შემოაღწევს ქვებს შორის დარჩენილი ჭუჭრუტანიდან. დგება ხანა სევდიანი სიმარტოვისა. სულ ფრთხები ეზრდება, მაგრამ სიცხე ცოცხალზე დარჩება მისთვის. მიადეთ ყუ-



რო ამ კედელს და იქ, შიგნით, თქვენ გაიგონებთ ძალუმი გულის ყრუ ძერას. თვალი თანდათან ეჩვევა სიბნელეს, მაგრამ მაინც სინათლეს ნატრობს. პატიმარი რაღაცის თქმას ცდილობს, მაგრამ ახლობელთაგან არავის ესმის მისი. ღაპა-ღუპით ჩამოსდის ცრემლი, მაგრამ არავინ აქ-ცევს ყურადღებას. გაშმაგებით ფეთქავს მრისხანება, მაგრამ ეს არავის აშინებს. კედლები სულ უფრო და უფრო სქელდება, სათოფურები კი ვიწროვდება, გეგონებათ, ცი-ხე-სიმაგრე მდვიმედ უნდა იქცესო, ჩვენ კი — მის ტყვევებად. არცერთი კარი, არცერთი ჭუჭრუტანა არ ატარებს სინათლეს. და თვით მძინარემაც თვალში რომ იკრა ხელი, ნაპერწკალს ვერ გააგდებინებ. რაღა შენ და რაღა მონადა, იდუმალი ტუსალივით კამერაში გამომწყვდეული. დუმხარ, როგორც ღამ-ღამობით კატისებრთა ჯილაგის მხეცი, რომელიც უკვე აღარაფერს აღარ მოე-ლის ორჯეხა მხეცებისაგან. ღამის წყვდიადში კი ვიღაცის ხმა ჩაგრიჩინებს: „არავის გეტყვის იმას, რისი თქმაც გსურდა, ვერავინ გაიგებს იმას, რაც შენ იცი, არავინ გეყოლება გვერდით სიკვდილის ჟამს“. სიმხდალის ხმა გაიძულებს ულირსი საქმე ჩაიდინო, და შენ ცახცახი აგიტანს ცინის სქელ კედლებს მიღმა. ხოლო როცა თავისუფლებას მონატრული ფუჭუსფუუსა და მორ-თვა-მოკაზმვას მოკყვები, შენს ხელში ჩირალდნის ალივით აბრიალდება ულამაზესი დროშა; თვალისმომჭრელ სამოსს ჩაიცვამ, ფაფუკი ფრთებით შეიმკობ თავს, უძვირფასესი სამკაულებით მოირთვები და ელვარე აბჯრით შემოსილი მოვეველინები, რათა შეიტებო თავისუფლება, მზის ნათელი და დედამინის უშრეტი მადლი. დაგნევას და დაგდაგავს მესიანური ცეცხლი და შენს მეერდში ეზეკიელისა და ერე-მისა პროფეტული სული აბობოქრდება.

მოინადინებ შენს მოყვასთ ელაპარაკო და შინ მოიწვევ მათ, როგორც სასურველი სტუმრებს; ყოველი მხრიდან შეიგრძნობ ენით უთქმელსა და დღიმდე განუცდელ სიყვარულს, დედის უსაზღვრო სინაზეს, მხურვალე ვნებას, და რაც უფრო სრულად პასუხობ მას, მით უფრო მძაფრად ენ-თები, და შენი სახე, როგორც რბილი ცვილი, შეის მხრივ, ძალისხმევის გარეშე, კეთილი ქრისტიანის ნიღბად იქცევა. მოინადინებ მიაღწიო ჭეშმარიტებას, სიკეთეს, სიმ-დიდრეს და სიდიადეს. სიტყვები ქვითინის სპაზმასავით გაგითანგავენ ყელს, შემდეგ კი დაუსრულებელ ნაკადად გადმოიღვრებიან, და შენ მიაღწევ თვინიერებას, რომელიც ფერს გაცვლევინებს, და ძლიერებას, ცახცახს რომ დაგაწყებინებს. შენი ხელები ჰაერში აიჭრებიან რტოები-ვით, ჩრდილს რომ აღვითქვამენ, შენი თმები კი ისე აიშ-ლებიან ქარში, რომ პანიკური შიშით დამფრთხალ ბრძოს გვაგონებენ. ნელში გაიმართები და მხრებს გამლი, რო-

გორც მპრძანებელი თუ მარტვილი, გოლგოთაზე ასვლას რომ აპირებს.

და მაშინ შენს სასთუმალთან ღამ-ღამობით თავს მოიყ-რიან ღდანდელ წინასწარმეტყველთა ღანდები: იხილავ მოსეს, კვლავინდებურად თვალდავსილს ცეცხლით, მაყვ-ლოვანში რომ გიზგიზებდა, მრისხანე კანონთა შემოქ-მედს; იხილავ უნუგეშო ქრისტეს, ცრემლებს რომ აფრქ-ვებს თავდახრილ ზეთისხილთა ქვეშ; იხილავ მაჟმადს, ცხენს რომ მიაგელვებს უდაბნოს შრიალა ქვიშრობზე და გულში ელოლიავება თავის მკაცრ იმედს. ყველანი ძმებად გექცევიან, და შენ მათსავით მოინდომებ ისეთივე ცეც-ლით აღანთო ამა თუ იმ ხალხის გული, შენი ცნება გადას-დო ამა თუ იმ ერს და შეცვალო მთელი სამყარო.

და შენი ფეხი თვი-თონვე მიგიყვნს მთას-თან, შენი ხმა შესძრავს, შეარხევს ბრძოს, და შენ ისურვებ ერთადერთ შე-მოქმედად იქცე. მოგეჩ-ვენება, თითქოს შენ ხსნი ახალი ეპოქის კარს და ახალ კანონებს ქმნი. და-უცყებ ცქერას ძველი ღმერთების ხატებს, და გულში აღგეძვრის ცოუ-ნება შენი ხელით დაამს-ხვრიო საწმიდრებში და-ცული ძველი რწმენის ფიცრები.

შენ იგრძნობ ამას, როცა შენი სული პირ-თმდე გალიცლიცდება, როცა მღვიმე, რომელ შიაც გაიზარდე, მეტისმეტად გევინროება და, ბოლოს, როცა გადაწყვეტ სინათლეზე გამოხვიდე შენი დილეგი-დან, სადაც თვითონვე გამომიმწყვდიე თავი. და, აი, მაშინ შენ შეხვალ სამყაროში ცხენზე ამხედრებული, დიდებამო-სილი, პატიოსაზო თვლებით და ყვავილების გვირგვინით შემკული, ამაყი, როგორც მეფე, გელუხვი, როგორც სულ-თანი და სასახლის კარის მასხარასავით მხიარული.

* * *

უნინარეს ყოვლისა, მასხარასავით, ჩემო ძმაო და მე-გობარო, სასახლის კარის მასხარასავით! შენი გამოსვლა საპატიმროდან შენივე მარცხით დამთავრდება; აკი იმდე-ნი სინათლე მოგაქს სხვებისთვის, რომ ყველაზე უმალ შენ დაბრმავდები. კვლავაც ულად იქცევა, კიდევ უფრო ეულად, რადგან მიხვდები, რომ საპატიმროს კედლებს მიღმა არაფერიც არ არის. ვიდრე ელოდი, ბრძოსთან ურ-თიერთობას ელოდი, ჩემო ძმაო და მეგობარო. მაგრამ რო-ცა მთელ ამ ზიზილ-პიპილებს ჩამოიბერტყავ, როცა წარ-მოსთქვამ ყველა შენს სიტყვას, როცა მთელი შენი სამოსი დაიფერფლება მზის მცხუნვარებით, როცა ქარი დაფლი-თავს შენს დროშებს, როცა მიწყდება შენს სადიდებლად აუდერებულ საყვირთა ხმა, მარტო დარჩები ქალაქის მოე-დანზე მიტოვებული ინბაზივით, რომელსაც ზურგი აქ-



მხატვარი სოფო ელიაშვილი

ახალი თარგმანები

ცია პრბომ. და დადგება დღე მწუხარების, ღრმა და დიადი მწუხარების დღე, ჩემო ძმაო და მეგობარო! და შენს ირგვ-ლივ გადაიშლება უდაბნო.

და მაშინ შემოიძარცვავ მთელ შენს მორთულ-მოკაზ-მულობას, ნებისმიერი სატყვა ფუქად, უაზროდ და სასა-ცილოდ, ურგებ ჩემინიდ, ნავის ბუდედ და უვარვის საჩხა-კუნიდ მოგეჩვენება. შენს დროშებს ტლაპო ჩაითრევს, საყვირები დადუმდებიან და მხოლოდ ბობოქარი ქარით რხეული ბებერი ხები, თითქოს თანაგრძნობის ნიშანად, თუ მოიხრიან ქედს შენს ჩინაშე. ჩამოძონძილ-ჩამოფლე-თილს, უსახლკარო მწირივით ტრამალზე მოხეტიალეს სა-სონარკვეთილების დამთრგუნველი გრძნობა შეგიპყ-რობს, როგორც სამუდამოდ სიცოცხლემისჯილს. ყველა-ფერი მოგეცემა და ყველაფერი წაგროთმევა...

ეგეც არ იყოს, შენ მიხვდები, რომ არა გაქვს ის, რასაც ისურვებდი ხალხისთვის მიგეძვნა, — არა გაქვს ჭეშმა-რიტება, რაც გინდოდა მიგეძვნა მისთვის, ვისაც არა აქვს ჭურჭელი მის მისალებად. შენ მიხვდები, რომ მთელი შენი ხაუბრიდან ვერავი ვერაფერი გაიგო, და ვერც შენ გაიგე ის, რისი თქმაც გსურდა.

დადგება უკანასკნელი დღე. შენი სული გაძარცულ ქა-ლაქს თუ დანგრეულ კოშკს ემგვანება, და შენ მოგინდება გაჩხრიკი ფერფლის სქელი ფენა თუნდაც ერთი მბჟუტავი ნაკვერცხლის მისაგნებად. მაგრამ ყველაფერი ჩაქრება, ყველაფერი გაცივდება, და არცერთი მბჟუტავი ალი აღარ გაიღვებს ნაგრევებს შორის. არცერთი კოცონი აღარ მიიზიდავს მოგზაურებს. ყველაფერი მოკვდება, როგორც მოკვდები შენც. და აღარ შეგრჩება იმისი ძალა, რომ შენი ხელით გაითხარო ღრმა სამარე.

და მაშინ, ჩემო ძმაო და მეგობარო, მხოლოდ ერთი რამ გრჩება: შენი ძელი მდგრმე, შენი მიუვალი ციხე-სიმაგრე, ერთ მშვენიერ დღეს რომ დაემშვიდობე. მეხსიერებაში დღემდე ინახავ მის მაღალ, პირუშ კედლებს, მინისქეშა ლაბირინთებს და იდუმალ, მქრქალ ნათელს. შენს მდვიმეს დაუბრუნდი, მწირო მანანალავ, შენი სიჭაბუკის მღვიმეს. ძალა მოკრიბე, რათა კვლავ ცხრაკლიტულში ამოყო თავი. შენ თვითონ იყავ ტყვეც და მეციხოვნეც. მთის ბინადარი ფრინველებივით ქარაფებს შორის არჩევდე სიკვდილს.

მხოლოდ ამ ბჭეთა მიღმა დაუტევე ის იდუმალი აჩრ-დილნი, შენ თვითონ „სხვებად“ რომ სახავ. თუ გინდა ის იყო, რაც ხარ, ნუ უხმობ შენსავე მსგავსო. მათ რომ დაემგვანო, შენ თვითონ უნდა განესხვისონ საკუთარ თავს; მასხარასა-ვით გაიხლართო პადეში, თავზე ჩაჩი ჩამოიფხატო და ძონ-ძები ჩაიცვა. დაფიქრდი, რა საშინელება იქნება, ყველა რომ შენსავით მოიქცეს. გამიამიტდე, რათა გაუგო ქეყენისაგან განდგომილთ, ნი-ლაბი გაიკეთო, რათა ალლო უზღო ნილბოსანთ. აი, მაშინ კი გულიანად იცინებ საკუთარ სისულელეზე, აღარ შეიზიზლებ შენს სიტყვებს, აღარ შეაჩვენებ შენს საქმეს. მიხვდები, რომ ჯერ კიდევ გაქვს დრო ღირსეულად მოკვდე. ხელახლა შეხ-ვალ შენს საპყრობილები, მაგრამ აწინდელი სილატაკე რამ-დენად უფრო მძლავრი იქნება უნიდელ სიმდიდრეზე! მო-გინევს ზურგი აქციო იმას, რაც ყველაზე მეტად გტანჯავდა: შენს ოცნებებს, შენს აუხდენელ იმედებს. აღარ შეგრჩება

არაფერი, რაც შენს ოცნებებს გინამლავდა: ყველაფერი გა-დაყარე დაბრკოლებათა დაძლევისას, ჭანჭრობში ჩაახრჩე, რომლითაც გზას მიიკვლევდი.

უწინ გინდოდა გრძნებით გევლო, ახლა კი იცი, რომ ვე-რავინ გვაუწყებს იმას, რაზედაც შეიძლება მხოლოდ იმდე-რო. უწინ გინდოდა ჩასწოდომოდი მოყვასის სულს, ახლა კი იცი, რომ ყველა სული ეულა, თავნება და მოუწვდომელი, ისევე, როგორც შენი სული, ჩემო ძმაო და მეგობარო. ხოლო თუ მბრძანებლობას ინებებ, არავის შეუძლია დაექვემდება-როს შენს ნებას, რადგან უამისოდაც ყველაფერი შენია.

და ახლა მღვიმე, რომელსაც უსახელო გამოხდომის შემ-დეგ კვლავ დაუბრუნდი, უკვე აღარ მოგეჩვენება უწინდე-ბურად ვინრო და ბნელი. ყოველი განვლილი დღის კვალ-დაკვალ ის თანადათან გაფართოვდება, თითქოს რომელი-ლაც გააფორებული გიგანტი ცდილობს მხრებით მისწი-მოსწინოს მისი კედლები. შენს თვალებს აღარ შერჩებათ იმის უნარი, რომ დაინახონ ბიბლიური სხვაობა ბნელსა და ნათელს შორის, და ვეღარც მეხსიერებაში აღადგენ იმას, რაც სიყრმისას უსწავლებათ, ისევე, როგორც ვეღარ გაიხ-სენებ სხვაობას დღესა და დამეს შორის. შენ სქოლასტიკო-სების მიერ გამოგონილ ამ წინააღმდეგობაზე მაღლა დად-გები. მღვიმის კედლები დილის ნისლივით გაიფანტებიან, თითქოს ჯადოსნური კერთისის აქნევით გაქრნენო, და შენ-თვის უცნობი სამყარო, რომელსაც ვერასოდეს იხილავ, მაგრამ რომელშიც იცხოვრებ, შენს ჭეშმარიტ საუნჯედ იქ-ცევა. მაგრამ ერთხელაც, ამ მყუდრო და აუმღვეველ ყო-ფაში შემოსრიალდება ვეებერთელა, ქრელი და ავხორცი გველი, ხახას დააფრჩეს და შენ დაინახავ მოკვეთილ ენას, დასაპამიერი სიმბდალე და დასაპამიერი სიძაბუნე წარიხო-ცება; მშვენიერება მოკვდება, მაგრამ არა გრძნეული სიტყ-ვის ცოუნებით და არც ავსულის მსახვრალი ხელით.

აყვითავის დროზევა

იმ დღეს, როცა თვრამეტი წლისა გავხდი, მამაჩემმა ალერსიანად მიმიხმო და, თავისი ჩემულებისამებრ, სერიო-ზულად მითხრა: უფალ ღმერთს ნებაცს, რომ ყველა ჩემენგა-ნი მუშაობდეს ამ ქვეყნად. მას არ უყვარს ის, ვინც ყანის პი-რას ჩამომჯდარი ზანტად ადევნებს თვალს მხვინელ-მთეს-ველთა შრომას. ასე რომ, დროა აირჩიო ხელობა, აზრს რომ მისცემს შენს სიცოცხლეს და განსაზღვრავს მის მიზანს. უფლისადმი მონინების გრძნობით აღვსილმა და მამის წი-ნაშე მორჩილებით ქედმორდეკეილმა პასუხად ვთქვი: უკვე მოვახდინე არჩევანი, მყვინათვი ვიქები-მეთქი. მამაჩემი იღნავ გაფითრდა, მაგრამ მაშინვე თქვა: ნება შენია.

აი, ასე გავხდი მყვინთავი. მრავალი წელი გავატარე სრულ საჩუმესა და მდუმარებაში, წყლის უზარმაზარი სისქის ქვეშ. ყველა ზღვაში ვიყავი, ყველა ოკეანე გამო-ვიკელიე; ვეშვებოდი ყველაზე უფრო ღრმა, ლამის უძირო ღრმულებმი, ვხედავდი ხომალდთა ჩონჩხებს; მონეტებით, რომელთა ზედაპირიც ზღვის მლაშე წყალს ამოეჭამა. უზარმაზარი ურჩხულები თავიანთი გადმოკარკლული

ახალი თარგმანები

თვალებიდან გამონაშუქი სინათლით მინათებდნენ გზას; სირინოზების მსგაცის ვეება მწვანე სეულები მელაციცებოდნენ ტანზე; ქვასავით ვევებოდი ჩამერალ ვულკანთა კრატერებში და მინის პირსაგან აღვილ ატლანტიდების ქუჩებში დავსეირნობდი. გამუდმებთ ვანყდებოდი საზღვაო კატასტროფებში დალუპულთა გაბერილ გვამებს; ცურვით მივიკვლევდი გზას გიანტურ რეაფეხათა საცეცებს შორის, ფსკერზე ვპოულობდი უამრავ საუცხოო მარგალიტს, უცნაურ ნიუარებს, ფოსფორული ნათებით მოციმციმე წყალმცენარეებს, ხანჯლებს, დამის საფარველქვეშ ზღვის რომ ისროლენ მკვლელები, დადოსტატური ხელოვნებით მოსირმულ სამეფო თასებს.

ბოლოს, რაკილა შევისწავლე ყველა ზღვის სილრმე, მოვჩერიე ყველა ოკეანის ფსკერი, აღმოვჩინე ყველაზე ვერაგი წყალქვეშა დინებანი და გამოვიკვლიე ყველაზე იდუმალი საუნჯენი, მოანის დრომ, როცა ყველა ზღვის მარილით გაჟღენთილი, ყველა ტალღის რიტმული რხევის შემცნობა და გრიგალთა ყველა სიმფონიით სმენადამტკბარი იმ დასკვნამდე მივედა, რომ უფალი ღმერთი კამაყოფილი უნდა დარჩენილყო ჩემი შრომით, ამიტომაც გადავწყვიტე ჩემს მშობლიურ ქალაქს დაგვბრუნებოდი, რათა სიცოცხლის დარჩენილი დღენი გამეტარებინა მინიერ არსებათა შორის, რომლებსაც დიდი ხნის წინათ დავშორდი.

მაგრამ ქალაქში ჩასვლისთანავე, სადაც ოდესლაც დავიბადე და სადაც ვაპირებდი სიკვდილს, მძაფრი უსიამოვნებისა და უსასოო სევდის გრძნობამ შემიყრო. ერთი საამო გრძნობა რა არის, იმისი განცდაც კი არ მქონია. აშკარად არ მომწონდა არაფერი, რაც ბავშვობაში მინახავს. წყალქვეშ სრულ მარტონბას ჩვეული და სილრმიდან დარული საოცარი ცამციმით განათებული, ვერასდიდებით ვერ ვეგუებოდი ქალაქად სახელდგბულ ამ ვინრო და ბინძურ ჭიანჭველეთს. ცა რომ ცაა, აქ ისიც კი უჩვეულოდ დაბალი და მქრქალი იყო; ხოლო ქალაქი დაცხავებულ საპატიმროდ მეჩვენებოდა, მისი ვინრო და ბინძური დერებუნებით, სადაც პატარა ცხოველები, სხვა ცხოველთა ტყავით მოსილი, გაანჩხლებული მიდი-მოდიოდნენ და ავისმოსურნე თუ ავხორცული მზერით მიაცილებდნენ ერთმანეთს. ხმამაღალი ხარხარი, დროდადრო რომ გაისმოდა ამ დერეფნებში, აიძულებდა ამ პატარა ცხოველებს შიშისაგან მოკუნტულიყვნენ. მტერით სავსე და ფისით გაჟღენთილი პაერო, იმავდროულად, უწმინდური მძაფრი სუნით იყო გავეერებული. ადამიანები სიკვდილმისჯილებს ჰგვანდნენ, გამართლების ხანგრძლივი და უშედეგო მოლოდინით გაგიჟებული. მათი სახეები ამაზრზე ზიზღა იწვევდა ჩემში, როგორსაც ინვევენ უფალული ქეწარმავლები, თავიანთ კვერცხებს რომ დებენ საფლავთა გვერდით. ამ ხალხის თვალების შემყურეს სიცარიელის განცდა გეუფლებოდა, თითქოს მათ სულს რა ხანია მიეტოვებინა მათი სხეული. ამ უბედურთა სიმღერები მშიერ მწირთა საწყალობელ ყმუილსა თუ არწივის ყაშაშს მოგაგონებდათ, რომელსაც უმოწყალოდ დააჭრეს ფრთხები. მათ ვიწრო და ბნელ ქოხმახებში მე ვხედავდი ხის საწოლებს, რომლებზედაც ისე ემხობოდნენ ლამით, გეგონებოდათ სიკვდილს ნატრობენ. ვხედავდი მდიდართა სასახლებსაც,

სადაც მაგიდები იზიქებოდა ახლად დაკლული საქონლის ხორცით დამზადებული და მინაზე ფინანდაზად დაფენილი ბოსტების ხავერდოვანი ხალიჩიდან ამოგლეჯილი მწვანილით შეკაზმულ სურნელოვანი კერძებით; უზარმაზარ დარბაზებს, სადაც გროტესკულ შავ ფრავებში გამოწებილი ადამიანის უფლებების დამცველთა და სამშობლოს კეთილისმყოფელთა როლს თამაშიბდნენ. მათ მიერვე აგებულ სხვა დარბაზთა კედლებს ამშვენებდნენ მხატვრული ტილოები, რომელთა დანიშნულებაც ის იყო, რომ ოცნებით გადასწვდომოდნენ უფრო უკეთესასა და სრულყოფილ სამყაროს, ვიდრე მათი სამყარო იყო.

ზღვის სილრმეთა აბსოლუტური მდუმარების შემდეგ ჩემამდე რის ვაივაგლახით აღწევდა ადამიანთა უსტებებისა და სიტყვების აზრი. მთელი ეს ცხოვერება, სადაც ოდესლაც დავიბადე და გავიზიარდე, ფუჭი, უაზრო, საზიზლარი, ნაცოლვილარი, მყრალი და ამაზრზენი მეჩვენებოდა, როგორც ბუნაგი, სადაც ბინაზრობენ თვალდავსილი, მასინჯი, უწმინდური და წუნკალი მხეცები. ასე მეგონა, ობმოდებულ, მოარული გვამებით სავსე ჭის ფსკერზე ვეგდე, დამლამობით კი ვერ ვძედავდი ზე ამხედა, რადგანაც მეშინოდა, რომ ამ პატარა ქალაქის თაგზე ციდან გაქრებოდნენ თვით ვარსკვლავები. და მე ვპრაზობდი: ვის შეეძლო აქამდე მივეყვანე? ვის შეეძლო ისე შეეცვალა ჩემი სული, რომ საითაც არ უნდა გავიზედო, ყველგან უმსგავსს, უბადრუკს და უსახურს ვხედავ? ქალაქი ხომ იგივეა, რაც სიჭაბუკისას დავტოვე? როგორც ამბობენ, მას შემდეგ ბევრი წარმატება იქნა მიღწეული. მაგრამ რატომაა, რომ დაბრუნებულს ყველაფერი ასე უბადრუკი და გულის ამრევ მეჩვენება? აკი ოდესლაც, ბავშვობაში, ისე ძალიან მიყვარდა ჩემი ქალაქი, რომ მეგონა, ის იყო ყველაზე ლამაზი, ყველაზე დიდებული, ყველაზე სტუმართმოყვარე ამ ქვეყნად.

არ ვიცი, როგორ ვუპასუხო ამ კითხვებს. ადამიანმა, რომელიც მივლიდა მას შემდეგ, რაც დეპრესიაში ჩავვარდ, მირჩია სამედიცინო წიგნებს ჩავჯდომოდი, სადაც განხილულია სულისა და სხეულის პრობლემები, ასე რომ, შეგვიძლია გამოვიცნოთ იმ სნეულების წარმოშობის მიზეზები და მკურნალობის მეთოდები, რასაც მან, გულწრფელი გაოგნებით, გაუცხოება უწოდა.

დღე და ღამ ასობით და ათასობით წიგნს ვნოტქავდი, გამოჯანმრთელების მძაფრი სურვილით ატაცებული. შემდეგ კი მამისეულ სახლში ჩავიკეტე და ვინ მოსთვლის, რამდენი საათი დავყავა იქ, მწუსარე ფიქრებში დანთებულმა და გამოჯანმრთელების სურვილით გულანთებულმა. მაგრამ აქამდე ვერ ვიპოვე ის, რასაც ვეტებდი. ამიტომაც შენ მოგვართავ, ჩემი მოყვასო, დამცინავი დიმილი რომ გიკროთს ბაგზე და ჯალათის ბრალს ვერა სცნობ შენში, თვალით კი არასოდეს გიხილავს ზეცა. გაფიცებ, ნაადრევად თავჩენილი ბინით სავსე ადამიანო, გულმოდგინებ რომ იფარავ შენს საიდუმლოს. დედომინის სახელს გაფიცებ, რომელმაც გშვა, ძუძუ განვა და რომელსაც ქელავ; გაფიცებ და გემუდარები ამისნა: რატომ არ მესმის და არ მიყვარს ადამიანის ცხოვრება?

თუ ამ კითხვაზე მიპასუხებ, იმ მარგალიტს გაზუქებ, იდესლაც რომ ვიპოვე ზღვის ჯაღმარებულ ფსკერზე და დღემდე არცერთი ადამიანის თვალს არ უნახავს, ჩემს გარდა.

იტალიურიდან თარგმნა
პაჩანა პრევადა

პილელ იტალი

რა ინახება სელინჯერის სიცვი?

ჯერომ დევიდ სელინჯერის სიკვდილით დასრულდა ერთ-ერთი ყველაზე საიდუმლობით მოცული მწერლის სიცოცხლე და გააძლიერა ერთ-ერთი უდიდესი საიდუმლო: ინახავდა თუ არა „თამაში ჭვავის ყანაში“ ავტორი გამოუქვეყნებელ ხელნახერებს სეიფში, თავის სახლში, კორნიშში, ნიუ ჰემფშირის შტატში. და თუ ინახავდა, ეს ხელნახერები შედევრებია, ახირებული თხზულებანი თუ შემთხვევითი ჩანაწერები.

და თუ გამოსაქვეყნებლად ღირებულია, გამოაქვეყნებენ თუ არა მწერლის მემკვიდრეები?

სელინჯერის პანაკი დუშა.

ვერაფერს გეტყვითო, ამბობს მისი ლიტერატურული წარმომადგენელი ფილის ვესტბერგი.

არ ვგეგმავთ სელინჯერის

წიგნების გამოცემასო, აცხადებს მისი გამომცემელი.

მარსია ბ. პოლმა, ვინც სელინჯერის ადვოკატი იყო ერთი წლის წინათ, როდესაც მწერალმა „თამაშის“ გაგრძელების გამო იჩიულა, ტელეფონს არ უპასუხა.

მისმა ვაჟმა მეთ სელინჯერმა თქვა, სეიფის გამო შეკითხვებით ვესტბერგს მიმართოთ.

ხმები სელინჯერის განძულის გამო დიდი ხანია დადის. 1999 წელს სელინჯერის ნიუ ჰემფშირელ მეზობელს, ჯერი ბართის უთქამის: მწერალმა მითხრა 15 გამოუქვეყნებელი წიგნი მანიც მექენება შინ, სეიფში ჩაეკეტილიო. ერთი წლით ადრე სელინჯერის ყოფილმა გამობარმა გოგონამ, მწერალმა ჯონის მეინარდმა აღნიშნა: სელინჯერი ყოველდღე წერდა და ორი რომანი მანიც ექნება გადანახულიო.

სელინჯერი ოთხშაბათს, 27 იანვარს გარდაიცვალა, 91 წლისა. მოთხოვდების გამოქვეყნება XX საუკუნის 40-იან წლებში დაიწყო; 50-იან წლებში გამოსული „თამაში ჭვავის ყანაში“ სენსაციად იქცა. ამ რომანის გამოქვეყნების შემდეგ ისედაც ფრთხილი და მარტისული მწერალი განდეგილი გახდა. „ჭერი მაღლა ასწიოთ დურგლები და სიმორი“ 1963 წელს გამოიცა; 1965 წელს ნიუ იორკერმი დაბეჭდილი „ჰემფუორთ 16, 1924“ კი მისი უკანასკნელი პუბლიკაცია გახდა.

ჯერ მაკლნერნის, 80-იანი წლების ბესტსელერის —



„დიდი ქალაქი, ჩახჩახა სინათლეები“ — ავტორს დიდად არ მოსწონს „ჰემფუორთი“ და სეიფში შენახულ განძეულზეც იჭვნეულად ლაპარაკობს.

„ეგებ ბევრი რამ არის იქ, მაგრამ, ვეჭვობ, ის იყოს, რასაც ველით. „ჰემფუორთი“ მანცდამაინც ვერ დაიკვეხნადა. ეს იყო შეშლილის ეპისტოლური მონოლოგი, უსახო და უფორმო. ვგონებ, მისი ბოლოდროინდელი თხზულებებიც ასეთი იქნება.“

მწერალი და გამომცემელი გორდონ ლიში, ვისი 1970 წელს გამოქვეყნებული ანონიმური მოთხოვდაც სელინჯერისა ეგონათ, დარწმუნებულია, რომ ქორნიშში კარგი „რამები“ ინახება. რომანისტი კურტის სიტენცელდი, ვისაც ხშირად ადარებენ სელინჯერს, მხოლოდ ამ სასეირო ამბით ტკბება.

„მოუთმენლად ველი რა მოხდება“, ამბობს იგი, „ამ ჩევნს უსირცხვილო თვითრეკლამის დროში დიდებულია იმაზე ფიქრი, რომ ვიღაც მხოლოდ იმიტომ წერს, რომ წერა სურს“.

ზოგიერთი დიდი ლიტერატურული ნაწარმოები ავტორის სიკვდილის შემდეგ გამოუქვეყნებათ, მისი ნება-სურვილის არადრჩაგდებით, მათ შორის ფრანც კაფკას რომანები, „პროცესი“ და „კოშკი“, თუმცა კაფკა ითხოვდა, გაანადგურეთო.

ვარაუდების გამოთქმა იოლზე იოლია, რადგან ძალზე ცოტა ვიცით იმაზე თუ რას წერდა სელინჯერი. მაკლნერნის თქმით, ერთი საერთო ნაცნობისაგან გაუგია, რომ სელინჯერი მხოლოდ ჯანმრთელობისა და კვების საკითხებზე წერდა. ლიშს უთქვამს, 1960 წელს სელინჯერს ვკითხე რაზე წერ-მეთქი, და მიპასუხა: გლასების ოჯახის ამბავს ვაგრძელებო.

მაგრამ სელინჯერის ნაწერები შესაძლოა მხოლოდ ჩვენი ოცნებების საგანია, ისევე როგორც ნიკოლაი გოგოლის „მეკვდარი სულების“ მეორე წიგნი, ავტორმა რომ დაწვა სიკვდილის წინ. ეგებ სელინჯერის სეიფი ჰენრი ჯეიმზის ნოველის „ასფერნის ფურცლების“ უერსიად გადაიქცეს, სადაც მთხოვდება გარდაცვლილი პოეტის წერილების ძიება იქამდე მიიყვანს, რომ ეტყვიან, განადგურებულიაო.

მწერლის ქალიშვილი მარგარეტ სელინჯერი 2000 წელს გამოქვეყნებულ მოგონებებში წერდა, რომ სელინჯერი ზედმინევნით ანესრიგებდა თავის ნაწერებს; ავტორის გარდაცვალების შემთხვევაში ნითლად აღნიშნულნი უნდა გამოვეყენებულიყო იმ სახით, როგორც იყო და ლურჯად აღნიშნულს კი რედაქტირება ესაჭიროებოდა.

„განსაცვიფრებელ სიმშვიდეს მანიქებს გამოუქვეყნებლიბა“, უთქვამს ჯერომ სელინჯერს ნიუ იორკ თამასის კორესპონდენტისთვის 1974 წელს. „გამოქვეყნება საშინელი შემოქრაა ჩემს პირად ყოფაში. მომწონს წერა. მიყვარს წერა. მაგრამ მხოლოდ ჩემთვის და ჩემი სიამოვ-

* * *

„გოეტეს ცხოვრების რომანის“ პოლოსიტყვაში კონსტანტინე გამსახურდია რომ აღნიშნავს, ეს ნაშრომი საქართველოს სახელგამმა შემიკვეთა გოეტეს იუბილეს გამო, იქვე მოადევნებს:

— ეს პირველი ცდა ბიოგრაფიული რომანისა ქართულ ენაზე.

მწერალს ისედაც ექნებოდა გულში ამოჭრილი ამ თემაზე ბიოგრაფიული რომანის შექმნა, თორემ დაკვეთა ასე ვერ აღანთხბდა — მონოგრაფიას ყველა შემთხვევაში დაწერდა მისი ერუდიციის პატრონი, მაგრამ მხატვრულ-დოკუმენტური თხზულება?.. ეტყობა, ეს იმ ბეჭინერთ დამთხვევათაგანია, შენც რომ მონადინებული ხარ და ვიღაცაც გთავაზობს.

1934 წელია.

და მანამდე ამ უანრის ქმნილება მართლა არ მოგვეპოვებოდა?

ძალიან დაგვგვიანებია და ეგაბა.

თუმცა მაშ როგორ განისაზღვრება პლატონ იოსელიანის „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“?

ანტონ ფურცელაძის „პრძლა საქართველოს მოსახ-პობად და საქართველოს შესაერთებლად ანუ გიორგი სა-აკაძე და მისი დრო“?

იონა მეუნარგიას „ცხოვრება და ლვანლი გრიგოლ ორ-ბელიანისა“?

არჩილ ჯორჯაძის „დიმიტრი ყიფიანი“?

გრიგოლ ყიფშიძის „ილია ჭავჭავაძე“?

ვახტანგ კოტეტიშვილის „ალექსანდრე ყაზბეგი“?

თუნდაც არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ პაგიოგრაფიულ თხზულებად შერაცხული „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ გიორგი მერჩულესი ამ უანრის ჩარჩოებში ძალდაუტანებლად მოექცევა.

ამ ფონზე „გოეტეს ცხოვრების რომანი“ პირველი ცდა ველარ იქნება.


თუ მაინცდამანც — პირველია იმ მხრივ, რომ ქართველი ბიოგრაფიასი წერს უცხოელ მწერალზე. ამ ნაკადის სათავეში მართლაც კონსტანტინე გამსახურდია — მერე დაინტერება ნიკა აგიაშვილის ბიოგრაფიული რომანი მიგელ დე სერვანტესზე, ვახტანგ ბააკაშვილისა — ეზოპესა და ესქილეზე, ოთარ ჩხეიძისა — ლორდ ბაირონზე, ნაირა ელაშვილისა — ფრიდრიხ ჰიოლდერლინსა და ლუიზე ლას-კერ-შიულერზე...

მაგრამ ნაკადის მოთავეობა უკმარია მისთვის — უანრში პირველობა გაცილებით ურჩევნია.

თუმცა, აბა, იმ თხზულებებს რა ვუყოთ?

მსგავს შემთხვევაში გალაკტიონ ტაბიძე ამგვარ ხერხს მიმართავდა, როდესაც თავისუფალი ლექსის მესვეურობას დაიჩინებდა:

— თავისუფალი ლექსის დაფუძნებისათვის დაწერილია ჩემმიერ მთელი რიგი ნაწარმოებებისა: „ჯონ რიდი“, ადგილები „პაციფიზმში“, „რევოლუციონურ საქართველოში“ და „ეპოქში“. ქართულ თავისუფალ ლექსს არა აქვს ისტორია (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ანტონ კათალიკოსის ლექსებს, აგრეთვე ე.წ. „სასულიერო პოეზიას“). არ შეიძლება არვა ურითმო ლექსისა თავისუფალ



გიგლა ფირცხალავას
მეგობრული მარუ

ლექსში (ვ. მაჩაბლის რაღაც მიუწვდომელი თარგმანი შექსპირისა არის ურითმო ლექსი).

მიაქცევდით ყურადღებას: თუ მხედველობაში არ მივიღებთო.

და უცებ გაინმინდა გზა.

თან ახსენებს, არ ფარაგს, თან... ისტორიის მიღმა ცოვებს.

ასე რომ, კონსტანტინე გამსახურდიას „გოეტეს ცხოვრების რომანიც“ პირველი ცდა ბიოგრაფიული რომანისა ქართულ ენაზე, თუ არ ვიგულისხმებთ იოსელიანის, ფურცელაძის, მეუნარგიას, ჯორჯაძისა და ყიფშიძის მხატვრულ-დოკუმენტურ ქმნილებებს.

* * *

ანტიკოს ვიქტორ ბიჩკოვთან შეხვედრისას სასტუმრო „საქართველოში“, თამაზ ჩხერიელი საუბარში ჩაურთავდა, რომ თარგმნილი და დაბეჭდილი ჰქონდა ერთი ნაწყვეტი („პლატონური მოძღვრება რიცხვზე“) ალექსეი ლოსევის ნიგნიდან. თანამოსაუბრე ურჩევდა, აუცილებლად გაუგზავნეთო, და ჩაილიმებდა:

— ლონდ კარგი ნარწერით, უყვარს ასეთი ნარწერები.

არ დაიზარებდა და გაუგზავნიდა, ორი კვირის თავზე კი მიიღებდა ლისევის ნიგნს „არაჩვეულებრივად გულთბილი ნარწერით“. თურმე დიდებულ რუს სწავლულს არამარტო ჰყვარებია ნაჩუქარ ნიგნებზე გულთბილი და ორიგინალური ნარწერების ამოკითხვა, არამედ თვითონაც ზრუნავდა, რომ სხვაც ასევე გაეხარებინა.

თამაზ ჩხერიელი ლიტერატურულ პორტრეტში — „ანალიზთან შერწყმული მხატვრული ხილვა“ — არ იხსენებს თავისი ნარწერის შინაარსს, თუმცა, დარწმუნებული ვარ, მოხდენილი იქნებოდა. ისეთ ზუსტ სიტყვებს პოულის ასეთ დროს, ისეთი ლრმა აზრით მსჯვალავს ორიოდ სტრიქონს, მის მიერ გაჩუქებული ნიგნებიდან ოდესაშე ეს ნარწერები რომ შეიკრიბოს, საკმაოდ შთამბეჭდავი სურათი წარმოსახება.

ამ უანრსაც დააჩნია თავისი კვალი და ეგაბა.



**ბადრი გაგნიძის
მეგობრული შარუ**

თუ შესაფერის მნიშვნელობას მივანიჭებთ, ამგვარი ნარწერები მართლაც ორიგინალურ უანრად გამოიკვეთება.

ისე ხან კომენტარისაც დაისაჭიროებს ესა თუ ის ნაკულისხმევი აზრი, რაც იმ ორი ადამიანისათვის ცხადია, მაგრამ სხვათათვის შესაძლოა ბუნდოვანი დარჩე.

აგრე, თუნდაც კარლო ფაჩულიას მდიდარი ბიბლიოთეკის თვალიერებასას ხელში რომ მიყენებათ თამაზ ჩეხენელის მიერ თარგმნილი „ინდური ლოტოსი“ (მისი ინდოლოგიური გატაცების ნაკოფი – პოეტური და ესეისტური თხზულების ნაკრები) და ტიტულზე ასეთ ნარწერას აღმოაჩენთ:

– ქალბატონ ნინოს, პროკლეს ძვირფასი წიგნის საზღაურად, და კარლოს, „დარახტული ცხენის“ საზღაურად. ძმური გულით – თამაზისაგან. 2007. VII.

შესაძლოა დაბწეთ.

ნინო ზაალიშვილს რომ პროკლე დიადოხოსის იშვიათი გამოცემის ჩუქებისათვის ემადლერება, გასაგებია, მაგრამ ეს რაო? დარახტული ცხენიო? ვინ მისცა კარლო ფაჩულიას დარახტული ცხენები, ასე გულუხვადაც რომ არიგებდეს? თუმც... ეს სიტყვათაშეთანხმება წინწკლებითაა შემოსილი და სხვა რაღაც უნდა იგულისხმებოდეს... მაგრამ რა?

კარლო გაიცინებს და აგიხსნით, რომ სამხედრო გადატრიალების შემდეგ ისაც ისევე დგებოდა პურის უსასრულო რიგებში, როგორც ყველა თბილისელი, ორი და სამი საათით ადრე მისვლა რომ ალარ ქმარიდა და აუცილებელი ხდებოდა ლამე სულაც საფუნთუშის დაკეტილ კართან გაგოთია, რათა როგორმე ხელო გეგდო საზრდო ჩვენი არსობისა, თანაც ორზე მეტს არ გაძლევდნენ.

ერთხელაც ვაივაგლახით რომ მოიპოვებდა ორ ცალს და ციმციმ გამოსწევდა შინისაკენ, რიგის სადღაც ბოლო-საკენ თამაზ ჩეხენელს შეამჩნევდა და მიხვდებოდა: ნამდვილად აღარ ერგებაო. ამიტომაც გამოიყვანდა რიგიდან და ერთ პურს შესთავაზებდა. ის იუარებდა, მაგრამ ეს არ მოეშვებოდა და შეაჩერებდა.

და თამაზი, გულაჩუყებული:

– ისე ჩათვალე, თითქოს დარახტული ცხენი გეჩუქები-ნოს ჩემთვის.

ეს დარახტული ცხენია, „ინდური ლოტოსის“ ნარწე-რაში რომ გადანაცვლებს.

...ისე მაშინ ერთი პური დარახტულ ცხენზე ნაკლები მართლა არ იყო!..

* * *

ვითომ შეიძლება „ეფრემ მცირე“ თავით ბოლომდე გა-ირითმოს?

კაცმა რომ თქვას, რატომაც არა – როგორი რიტმულია, კეთილმოვანი, ლამის თვითონვე გიწვევს სალექსო ყალიბ-ში ჩასამტელად, მითუმეტეს, თუკი ზეზვა მედულაშვილი ხარ და ურთულესი დაბრკოლებანიც კი გადაგილახავს ამ მხრივ, ეგაა, რაღაც საბაბი გჭირდება, თორებ ისე შესაძლოა არც ნამოგაგონდეს ეს ამხელა სასულიერო მოღვაწე.

მიყრუებული მისი სახელი, მიჩუმათებულა მისი ლვანლი და ძველი ქართული მწერლობის მყვლევარებიც მაინცდამა-ინც არა ზრუნავდნენ ამ სახელის ნარმოსაჩენად, ვიდრე გორგი ალბეგაშვილი არ ჩაუჯდებოდა მასზე სადისერტაციო ნაშრომის. სულ ეფრემ მცირე ეკერა პირზე, დაეძებდა მისი ზე-გავლენის კვალს ჩევნი სულიერი ცხოვრების ისტორიაში, არაფერს ტოვებდა მოუგნებელსა და შეუსწავლელს, თუკი



**ბეთქილ ონიანის
მეგობრული შარუ**

სადმე მისი სახელი გაელვებულიყო და გული წყდებოდა, რომ პავლე ინგოროვას განზრახვად დარჩენოდა ვრცელი ნაშრომის შექმნა ეფრემ მცირეზე. აი, ის იქნებოდა, თუ იქნებოდა!

თუმც რაც განუხორციელებელი აღმოჩნდა იდესძაც, დაე იმ მხრივ მაინც მობმოდა თავი, რომ მიბინარებიდან ამოეხდა ამ მონუმენტურ ფიგურასაც და ადვილი შესამჩნევი ყოფილიყო ყველასათვის, დიდებულ თანავარსკვლავედი მასაც რომ მოეპოვებინა ადგილი.

ესეც საბაბი – გიორგი ალიბეგაშვილის სადოქტორო დისერტაციის დაცვა. და ესეც ზეზვა მედულაშვილი:

**რა უყყოთ რომ, ჩემო გია,
ეს ცხოვრება ეგრე მნირე,
რა გინდოდა, რას ერჩოდი,
ამ საცოდავ ეფრემ მცირეს!..**

ვითომ ებრალებოდა ჩევნი სულიერი მამა ასეთი დისერტაციის ხელში. შეხალისებამ, მეგობრულმა შელიმილებამ იცის ამისთანა „საყვედურები“, რომლის მიღმაც მოისმის აღტაცების ინტონაცია: აგაშენოს ღმერთმა, შენ რომ მაინც უპატრონე და კარგადაც უპატრონეო.

თუმც ჩევნ ხელიდან როგორ გაეუშვებდით ამ მოხდენილ კალამბურს და მე მეხუთე თუ მეშვიდე ვიქნებოდი, მილოცვისას ამასაც რომ მივადევნებდი: რა გინდოდა,

„ქართლის ცხოვრება“ მა-ინცდამანც არ ანებივრებს დათუნა ბატონიშვილს, თეო-მურაზ პირველის ვაჟს – ორჯერ მოიხსენიებს და სულ ეგ არი. ერთგან აღნიშნულია, რომ კათალიკოს ევდემოზ დაისამიძის ძმისნული ჰყავდა ცოლად, მეორე ადგილას კი აღწერილია თეომურაზ მეფის უკანასკელი მო (1648 წ.) გამაჰმადიანებულ როსტომ მეფესთან და ნახსენებია დათუნა ბატონიშვილიც.

მემატიანე სიტყვაძუნნად გვაუწყებს: ყიზილბაშებმა გაიმარჯვეს, მოკლეს დავითი და მისი მოკევეთილი თავი ირანის შაპს ძლვნად გაუგზავნესო.

ქართული წყაროები არაფერს გვამცნობენ დათუნა ბატონიშვილის ცხოვრებაზე. წარმოდგენა არა გვაქვს, რას აკეთებდა იმ საბედისნერო ომამდე, რა უყვარდა და რა სძულდა, რას ფიქრობდა და რას ოცნებობდა, ღვინოს უფრო ეტანებოდა თუ წიგნსა და ლოცვას?

უცხოურ წყაროებში შედარებით მეტი ინფორმაცია მოიპოვება.

დაბადებული უნდა იყოს 1617 წელს – იტალიელი მისიონერი ჯუზეპე ჯუდიჩე 1631 წლის ნოემბერში გორიდან სწრეს რომმი მყოფ პიეტრო დელა ვალეს: თეომურაზ მეფეს ერთადერთი ვაჟი ჰყავს, სახელად დავითი, თოთხმეტი წლისა არისო.

ჯერ ფეხიც არ აედგა და უკვე კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრედ ითვლებოდა, ვინაიდნ უფროსი ძმები, შპ-აბასის ბრძანებით, 1618 წელს დაუსაჭრისეს შირაზში (როგორც ცნობილია, ერთი დაილუა და მეორე ჭკუდიან შეირყა).

1631 წელს, როდესაც თეომურაზის თავისი გარჯით მიერთებული ქართლის სამეფოც დაუმტკიცეს სეფიანთა კარზე, ქართლის მეფობა ფორმალურად მიეკუთვნა მათგან გურგინ-მირზად წოდებულ დათუნა ბატონიშვილს, როგორც ქართლის ბაგრატიონთა ნაშიერს დედის მხრიდან.

იტალიელი მისიონერი პიეტრო ავიტრაბილე 1632 წლის თებერვალში ატყობინებს იმავე პიეტრო დელა ვალეს, რომ თეომურაზ მეფეს განუზრავას დავითის დაქორწინება შირაზის ხანის – იმამყული-ხან უნდილაძის ასულზე, მავრამ თეომურაზისა და უნდილაძეთა მარცხიანმა ავჯანყებამ ირანის შაპის წინააღმდეგ, ცხადია, დასამარა ეს საქორწინო პროექტი.

კრისტოფორო კასტელის, ალბათ, 1632 წელს დაუხატავს დათუნა ბატონიშვილის პორტრეტი.

ახალგაზრდა უფლისნულის სიტყვიერი პორტრეტი კი რუსულ წყაროს შემოუნახავს.

აი, რას მოახსენებდნენ 1643 წელს საქართველოში ჩამოსული რუსი ელჩები თავის ხელმწიფებს: „დავით ბატონიშვილი ახოვანი ტანისაა. შავგვრემანი პირისახე აქვს და მუდამ ძირს დახრილი ნაცრისფერი თვალები. ქერაოთია-

სამოკლე სიცოცხლის მნვერვალი

პარაკობს ხოლმე“.

მისი თანამედროვე სპარსელი ისტორიკოსი კი სწორედ იმ საბედისნერო ომთან დაკავშირებით წერს: „დაუდ-მირზა განთქმული იყო თავისი სიმამაცითა და გამბედაობით. მასზე ამყარებდნენ იმედს თეიმურაზ-ხანი და ქართველი ურჯვულონი“.

1648 წლის გაზაფხული მოადგა დათუნა ბატონიშვილს ხანმოკლე სიცოცხლის მწვერვალად და მისი სულის მანამდე უთქმელ საუნჯეს აპხა-და ფარდა.

1648 წლის გაზაფხულზე გაიმართა გადამწყვეტი ომი თეიმურაზ პირველსა და როსტომ მეფეს შორის.

სპარსელი ისტორიკოსის მიერ ნაქები დათუნა ბატონიშვილის შესახებ ერთობ უჩვეულო ამბავს გადმოგვცემს სომეხი ისტორიკოსი ზაქარია ქანაქერცი, აღწერილ მოვლენათა თანამედროვე.

მისი სიტყვით, დათუნა ბატონიშვილმა „დაინდო სიბერე თავისი მამისა“, ნება არ მისცა, საომრად აღჭურვილიყო და უნინდებურად გასულიყო ბრძოლის ველზე.

თეიმურაზ მეფე იმხანად 58 წლისა იყო. შეილმა ბერიკაცად ჩათვალა და არ აომა.

აღნიშნულ ეპიზოდს მეკაფიოდ გამოუკვეთავს დათუნა ბატონიშვილის მიზიდული სახება პირქეში და შემზარვი მოვლენების ფონზე. თითქოს სინათლის სხივი შექრილა შავბეღლი ლამის სუფევაში, რათა გააქარყნლოს სკეპტიკოსთა გულაცრუება ადამის მოდგმაზე, ეჭვეჭეშ დააყენოს პესიმისტური შეგონებანი.

ზაქარია ქანაქერცის ცნობით, ჯარის სათავეში ჩამდგარი დათუნა ბატონიშვილი მედგრად შეიქრა როსტომ მეფის ლაშქრის შუაგულში, გამარჯვების სასწორი უკვე მისენე იხერძოდა, საომარი ნალარის ხმა რომ მოესმათ. წინასწარ ჩასაფრებული ყიზილბაშები მეორე მხრიდან მოადგნენ კახთა მხედრობას, რომელიც ორცეცხლშუა აღმოჩნდა. დათუნა ბატონიშვილი დაიღუპა ცხარე ბრძოლაში და მისი სიკვდილის გამო არეულ-დარეულმა ჯარმა ზურგი აქცია მტკრს.

„ქართლის ცხოვრებაში“ მიჩრებალულ უფლისნულს საუკუნო ძეგლი დაუდგა ქართველმა ხალხურმა პოეზიამ. უცნობი მელექსე აღტაცებით გვიამბობს, თუ როგორ იძრძოდა თავის უკანასკნელ ომში ოცდაათი წლის ვაჟეაცი.

ჩემი მიჩვენეთ დათუნა, ცოცხალია თუ მკვდარიო – მოთქმაში მისი ცოლი, დედოფლობა რომ აღარ უნერია, და ულმობელი პასუხი ესმის: დათუნას ვინდა გიჩვენებს, წითლის ლვინით არს მთვრალიო.

სპარსელი ისტორიკოსიც ასე გადმოგვცემს დათუნა



დათუნა ბატონიშვილი

ძნელად თუ მოიძებნება ორი სახელგანთქმული ადა- მიანი, ერთი და იმავე ხელო- ბისა, ერთსა და იმავე ქვეყანაში, ერთსა და იმავე დროს რომ ცხოვრობდეს, ერთი და იმავე პატიოით სუნთქვდეს, ერთსა და იმავე ზეცას უმზერდეს და ესოდენ მკეთრად განსხვავდებოდეს ერთიმეორისგან – ცხოვრების წესით, ზნე-ჩერებით, სოციალური სტატუსით, პოლიტიკუ- რი მრწამისითა და ფიზიკური შესახედაობით, სიცოცხლი- თაც და სიკვდილითაც.

ერთი სიტყვით, ყველაფრით განსხვავდებოდნენ ერ- თიმეორისგან ვლადიმირ მაიაკოვსკი და ოსიპ მანდელშ- ტამი. პირველს პირობითად საბჭოთა პოეტი შეიძლება ვუწოდოთ, მეორეს – ანტისაბჭოთა (პირობითად!).

ერთადერთი რანგ ჰქონდათ საერთო – ორივე დიდებუ- ლი პოეტი იყო.

მოუღლოდნელი და გასაკვირი სრულიადაც არ იქნება, თუკი ვიტყვით, რომ მაიაკოვსკი და მანდელშტამი ერთმა- ნეთის სიყვარულით არ გიყდებოდნენ.

ჯერ კიდევ რევოლუციიმდე, მეორე საუკუნის ათიან წლებში, ერთ მშენიერ საღამოს ხელოვანთა მიერ ამოჩე- მებულ კაფეში, „მანანწალა ძალი“ რომ ერქვა, მაიაკოვ- სკიმ წამოიწყო თავისი ლექსების (რევოლუციამდელი ლექსების!) კითხვა. მანდელშტამი მოურიდებლად მიეჭრა და უთხრა: „მაიაკოვსკი, ახლავე შენვიტეთ ლექსების კითხვა, თქვენ რუმზნული ორკესტრი ხომ არა ხართ!“

როგორც გადმოგვცემენ, ამის გაგონებაზე მაიაკოვს- კი ისე დაბნეულა, რომ ენამისწრებული პასუხი ვერ გაუ- ცია, რაც ძალზე იშვიათად ემართებოდა.

და აი, ოციან წლებში ისევ ხვდებიან ერთმანეთს, ამ- ჯერად – მოსკოვის ცნობილ გასტრონომში (ნეპის წლე- ბია).

ნაცნობებთან სტუმრად წასასვლელი მაიაკოვსკი ყი- დულობდა სარჩო-სანოვაგეს. წოქარი, რომელსაც ტყავის ლაქირებული სამკლავურები ეკეთა (რევოლუციამდელ სტილში), მონიცებული გაოგებით ალაგებდა ვეება კალა- თაში ყველაფერს, რასაც კარნახობდა მაიაკოვსკი, რომე- ლიც დროდადრო ჩერდებოდა და რჩევას ეკითხებოდა თა- ვის თანამგზავრს.

– კეთილი. კიდევ რა ავილოთ? დაძაბეტ მთელი თქვენი წარმოსახვა. შებოლილი ძეგვი? სწორია. შეგვიხვით, ღრმად პატივცემულო, კიდევ ორი კილო „მოსკოვური“

ორასი გრამი შაშები

შებოლილი. და კიდევ: ექვსი ბოთლი „აბრაუ-დიურს“, ერთი კილო ხიზილალა, ორი კოლოფი შოკოლადის კანფეტი, რვა ფილა „ოქროს იარ- ლიყი“ (შოკოლადი), ორი კილო თართის ზურგიელი, ოთხი ანდა სჯობს ხუთი ბატონი, ერთი დიდი ნაჭერი შვეიცარი- ული ყველისა, მერქ სარდინები...

და სწორედ ამ დროს შემოვიდა გასტრონომში ოსიპ მანდელშტამი. ერთობ ტანმორჩილს ეცვა ვეებერთელა ქურქი, კოჭებამდე რომ სწვდებოდა – ალბათ, სხვისი ნა- ქინი. თან ახლდა თავისი მეულლე ნადიუშა, სამეურნეო ჩანთით ხელში. იყიდეს ერთი ბოთლი „კაბერნე“ და ორასი გრამი შაშები.

მაიაკოვსკიმ და მანდელშტამმა ერთდროულად შე- ნიშნეს ერთმანეთი და უხმო საღამი გაიღეს მოწყალება- სავით. შეცყურებდნენ ერთმანეთს – მაიაკოვსკი გესლი- ანად ზემოდან ქვემოთ, მანდელშტამი მედიდურად ქვე- მოდან ზემოთ. სურათი იმას მეტყველებდა, რომ მაია- კოვსკის ენადა რაღაც ეანგლა ლაზათიანად და მანდელ- შტამი ნატრობდა, ნეტავი ხმა ამოილოს, ამას ვუჩვენებ სეირსო.

ვერადერი მოადგათ ენაზე, ცივად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს და თავის გზას დაადგნენ. მაიაკოვსკი კარგ- ხანს ადევნებდა თვალს ამაყად მიმავალ მანდელშტამს და უეცრად მზერა აუელვარდა, ხელი ასწია, თითქოსდა ესტ- რადაზე იდგა და აღფრთვობანებით, სიამაყით, მთელი გას- ტრონომის გასაგონად, წარმოთქვა: „Россия, Лета, Лоре- პლეა“.

მერქ მიუბრუნდა თავის თანამგზავრს, უსიტყვოდ ამ- ბობდა: ჴა, როგორია, ხმების გრინიალურიაო?

ეს გახლავთ ბოლო სტროფი მანდელშტამის ლექსიდან „დეკაბრისტი“: „Все перепуталось, и некому сказать, Что, постепенно холodeя, Все перепуталось, и спадко по- вторяется. Россия, Лета, Лорелей!“

ლექსი დათარიღებულია 1917 წლით. პირველად დაი- ბეჭდა გაზეთში „Новая жизнь“, პეტროგრადი, 1917 წ- 24 დეკემბერი (მომდევნო წლებში სხვა ჟურნალ-გაზეთებ- შიც გადაუბეჭდავთ).

მაიაკოვსკის ეამებოდა მეტოქის კარგი ლექსი. თავა- დაც დიდებულ პოეტს უხაროდა, რომ ამქვეყნად არსე- ბობდა ასევე დიდებული პოეტი, თუნდაც სხვა ჯიშისა.

წარმოგიდგენიათ?!

ქრონიკა

არტ კაფე „ქარავანში“ გაიმართა ზვიად რატიანის ახალი პო- ეტური კერძულის – „ნეგატივი“ – წარდგინება.

შეხვედრა გახსნა და უძლვებობდა მენეჯერი ლელა შუბითიძე, სიტყვით გამოვიდა წიგნის გამომცემელი, „დიოგენეს“ დირექტორი თამარ ლებანიძე, აგრეთვე პოეტები: გივი ალხაზიშვილი, ლელა სამნიაშვილი, შოთა იათაშვილი და გიორგი ლობჟანიძე, რომელ- თაც ისაუბრეს ზვიად რატიანზე, როგორც ერთ-ერთ თვალსაჩინო მწერალზე, ვინც არამარტო მონაწილეა თანამედროვე ქართული სალიტერატურო პროცესების, არამედ მისი დონის ერთ-ერთი გან- მსაზღვრელიც; ვისი მძაფრი დრამატიზმი ყოველთვის გადმოცე- მულია ჭეშმარიტი ოსტატის ხელოვნებით; ვინც იშვიათად ბეჭდავს

ლექსებს სამწერლო პერიოდიკაში, საკმაო შუალედებით აქვეყნებს ორიგინალურსა თუ თარგმნილ პოეტურ კრებულებსაც, და ეს თავ- შეავება აძლევს საშუალებას, მხოლოდ სრულფასოვანი მხატვრუ- ლი ქმნილებანი შესთავაზოს მეიოხელს. ამიტომაც არ ახასიათებს ჩავარდნები თუ ხარვეზები არამცთუ მის ცალკეულ პოეტურ პუბ- ლიკაციებს, არამედ წიგნებსაც, თუნდაც მათ ხალ კრებულს, რომე- ლიც – ლექსების კვალიბაზე – საკმაოდ მოზრდილია.

ზვიად რატიანი ერთ-ერთი საკუეთესო დეკლამატორიცაა და იმ დღესაც მოიხიბლა მსმენელი, თითქოს ლექსის შექმნის იდუმა- ლი პროცესის მონაწილებად აქცია და ერთი მსახიობის თეატ- რის თვითმხილველი გახადა ყველა.